

ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

ირაკლი დვალიძე

„მოტივისა და მიზნის ზეგავლენა  
ქმედების კვალიფიკაციასა და  
სისხლისსამართლებრივ  
პასუხისმგებლობაზე“

ხელმძღვანელი: იურიდიულ მეცნიერებათა  
დოქტორი, იურიდიული ფაკულტეტის  
სრული პროფესორი  
გურამ ნაჭყებია

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის  
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად



თბილისი 2008

## შინაარსი

გამოყენებული აბრევიატურა----- 4

შესავალი----- 5-7

### თავი I ნებელობითი ქცევის თავისებურებანი

§ 1. ადამიანი როგორც თავისუფალი არსება და ნების თავისუფლება-----	8-19
§ 2. ნებელობითი ქცევის არსი-----	20-25
§ 3. მოტივაცია, მოტივი და მიზანი-----	26-32
§ 4. არჩევანის პრობლემა მოტივაციის ფაქტორთა სიმრავლეში-----	33-37

### თავი II მოტივთა და მიზანთა კლასიფიკაცია

§ 1. ფსიქოდინამიკური მიმართულება პიროვნების თეორიაში: ზიგმუნდ ფროიდი-----	38-40
§ 2. მოტივთა კლასიფიკაცია თვისებათა თეორიაში ა) თვისებათა ინტუიციურ-ხასიათური მოძღვრება: ფილიპ ლერში-----	41-42
ბ) მოტივთა კლასიფიკაცია ინსტინქტთა საფუძველზე: უილიამ მაკ-დაუგოლი-----	42-44
გ) მოტივთა კლასიფიკაცია პიროვნებისა და გარემოს ურთიერთობათა საფუძველზე: ჰენრი ა. მიურეი-----	45-46
დ) მოტივთა კლასიფიკაციის იერარქიული მოდელი: აბრაჰამ მასლოუ-----	47-49
§ 3. მოტივთა კლასიფიკაცია რუსულ და ქართულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში-----	49-56
§ 4. მოტივთა და მიზანთა კლასიფიკაციის კრიტიკა და საკითხის გადაჭრა-----	57-63

### თავი III მოტივისა და მიზნის სისხლისსამართლებრივი ფუნქციები

§ 1. დანაშაულის მოტივი და მიზანი ძველ ქართულ სისხლის სამართალში-----	64-67
§ 2. უმართლობის სუბიექტური ელემენტები-----	68-77
§ 3. ბრალეული ქმედების მოტივირებულობის პრობლემა-----	78-86
§ 4. დანაშაულის სტადიების გამმიჯნავი სუბიექტური კრიტერიუმები-----	86-91
§ 5. მოტივისა და მიზნის როლი დანაშაულის ამსრულებლობისას და დანაშაულში თანამონაწილეობისას ა) თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე-----	91-105
ბ) მოტივისა და მიზნის როლი თანამსრულებლობისას-----	105-108

გ) აგენტ-პროვოკატორის ფიგურა სისხლის სამართალში-----  
----- 108-124

დ) ამსრულებლისა და თანამონაწილის პასუხისმგებლობის  
თავისებურებანი მოტივისა და მიზნის მიხედვით----- 125-131

§ 6. სასჯელის ინდივიდუალიზაცია მოტივისა და მიზნის  
მიხედვით----- 131-141

დასკვნა----- 141-143

ლიტერატურა----- 144-150

## გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი ა ბ რ ე ვ ი ა ტ უ რ ა :

1. სსკ – სისხლის სამართლის კოდექსი;
2. სსსკ – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
3. ე.წ. – ეგრეთ წოდებული;
4. ე.ი. – ესე იგი;
5. იხ. – იხილეთ;
6. შეად. – შეადარეთ;
7. დასახ. ნაშრ. – დასახელებული ნაშრომი;
8. გვ. – გვერდი;
9. სხვ. – სხვა;
10. ა.შ. – ასე შემდეგ;
11. გამომ. – გამომცემლობა;
12. თბ. – თბილისი;
13. თსუ – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
14. Тб. – Тбилиси;
15. Изд. – Издательство;
16. ЛГУ – Ленинградский государственный университет;
17. Л. – Ленинград;
18. КГУ – Казанский государственный университет;
19. С-Пет. – Санкт-Петербург;
20. Гос. – Государство;
21. М. – Москва;
22. С. – Страница;
23. S. – Seite.

## შესავალი

კვლევის აქტუალობა. ფსიქოლოგიურ და იურიდიულ ლიტერატურაში მოტივისა და მიზნის პრობლემა ერთ-ერთი ცენტრალური თუ არა, ერთ-ერთი აქტუალური და სათანადოდ დაუმუშავებელი საკითხია. სამართლებრივი აზროვნების სფეროში კაცობრიობის უდიდეს მიღწევად ითვლება ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის დამკვიდრება სისხლის სამართალში. ბრალეულ პასუხისმგებლობის სრულყოფილი ანალიზი ყოველად შეუძლებელია ნებელობითი ქცევის ანალიზის გარეშე, რომელიც, თავის მხრივ, მოითხოვს მოტივაციის, მოტივისა და მიზნის არსის რაციონალურ და დასაბუთებულ გააზრებას.

მოტივისა და მიზნის არასწორი გაგება მეცნიერებს დღემდე მცდარად აფიქრებინებს, რომ მეცნიერების თითოეულმა დარგმა უნდა შეიმუშაოს მისი შესწავლის საგნიდან გამომდინარე მოტივისა და მიზნის სპეციფიკური ცნება, რაც მეცნიერებაში სხვა არაფერია თუ არა დუალიზმი.

ცნობილია, რომ ფსიქოლოგიურად ერთ ქცევას ერთი მოტივი უდევს საფუძვლად. მოტივი მოტივაციის ის საბოლოო შემაჯამებელი ფსიქოლოგიური აქტია, რომელიც პრაქტიკულ მოქმედებას იწვევს. სწორედ ამიტომაც, რომ საფუძველშივე მცდარია საუბარი ე.წ. „მოტივთა ბრძოლის“ შესახებ, რადგან რეალურად ადგილი აქვს მოტივაციის ფაქტორთა ბრძოლას.

სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით, კვლევის აქტუალობა საკმაოდ დიდია არამარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული ღირებულების კუთხითაც. სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში დღემდე არაა ერთიანი აზრი მოტივისა და მიზნის ფუნქციების შესახებ. აქ განსაკუთრებით უნდა გამოიყოს შემდეგი პრობლემები: როგორი ბუნებისაა მოტივი და მიზანი და რა როლს ასრულებენ ისინი უმართლობის დაფუძნებაში; რა გავლენას ახდენენ ისინი უმართლობის ან ბრალის ხარისხზე; ასევე დიდ ყურადღებას იქცევს მოტივისა და მიზნის მნიშვნელობა დანაშაულის სტადიების განსაზღვრისას და ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის სუბიექტური მხარის სწორი დასაბუთებისას; განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა და, შეიძლება ითქვას, დღესაც არაა საფუძვლიანად შესწავლილი მოტივისა და მიზნის ფუნქცია სასჯელის დანიშვნისას.

მიუხედავად ნაშრომთა სიმრავლისა ცალკეული საკითხების შესახებ, წარმოდგენილ დისერტაციაში კოპლექსურად ძირითადი, პრინციპული დებულებები გადმოცემული. თემის მრავალასპექტიანობის გამო ცალკეული პრობლემების შესახებ ზედმიწევნით დეტალური განხილვა ერთი დისერტაციის ფარგლებში შეუძლებელია. თუმცა, წარმოდგენილი პრობლემების თავმოყრილი ანალიზი გარკვეულწილად გაუადვილებს ამ საკითხით დაინტერესებულ პირებს უფრო ორიენტირებულად და დეტალურად წარმართონ მეცნიერული საქმიანობა ამ კუთხით.

დისერტაციის მეცნიერულ სიახლეზე საუბრისას ხაზი უნდა გაესვას შემდეგს:

- დისერტაცია პირველი ცდაა ახლებურად იქნეს გააზრებული მოტივისა და მიზნის არსი და, თუ შეიძლება ითქვას, ერთობლივად წარმოჩინდეს მათი სისხლისსმართლებრივი ფუნქციები. ეს კი აადვილებს უფრო მკაფიოდ იქნეს გაგებული მოტივისა და მიზნის უდიდესი დანიშნულება ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის საკითხში.

- ნაშრომში აგრეთვე მოცემულია მოტივისა და მიზნის ახლებური კლასიფიკაცია.

- ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ნაკლებადაა დამუშავებული უმართლობის სუბიექტური ელემენტების პრობლემა. ამ მხრივ, უდავოა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოტივისა და მიზანს. კერძოდ, ნაშრომში მოცემულია მცდელობა დასაბუთდეს თუ როდის და რატომაა მოტივი და მიზანი პერსონალური ან ობიექტური ხასიათის და რა გავლენას ახდენენ ისინი უმართლობისა თუ ბრალის ხარისხზე. ეს კი, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა ამსრულებლობისას და თანამონაწილეობისას სწორად განვსაზღვროთ დამნაშავეთა პასუხისმგებლობის სიმძიმე.

- დისერტაციაში ღრმადაა გაანალიზებული ე.წ. აგენტ-პროვოკატორის ნიშან-თვისებები. ეს საკითხი კი ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში სათანადო დონეზე დამუშავებული არაა.

- ახლებურადაა გააზრებული არაპირდაპირი განზრახვითა და გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის მოტივირების პრობლემა, რომელიც მეცნიერთა შორის ერთ-ერთი განუწყვეტელი დავის საგანია.

- და ბოლოს, ახლებურადაა წარმოჩენილი მოტივისა და მიზნის როლი სასჯელის დანიშვნისას იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი თავისთავად სისხლის სამართლის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით დამამძიმებელ ან შემამსუბუქებელ გარემოებად არაა გათვალისწინებული. ამ მხრივ, განსაკუთრებით საზგასანმელია ის, რომ მოტივისა და მიზნის გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა აქვს გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელის დანიშვნის დროსაც.

დისერტაციაში გამოთქმული მოსაზრებები ამ საკითხით დაინტერესებულ თეორეტიკოს და პრაქტიკოს მუშაკებს, უპირველეს ყოვლისა, ხელს შეუწყობს ქცევის მოტივისა და მიზნის ასპექტით მართებულად გაიაზრონ ბრალეული და სამართლიანი პასუხისმგებლობის პრინციპების არსი.

წარმოდგენილი ნაშრომი ნაწილობრივ შეავსებს ქართულ იურიდიულ ლიტერატურას უმართლობის სუბიექტური ელემენტების საკითხში. გარკვეულწილად ამომწურავადაა ჩამოყალიბებული მოტივისა და მიზნის ფუნქციები სისხლის სამართალში, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქმედების მართლსაწინააღმდეგოდ ან მართლზომიერად, განზრახ თუ გაუფრთხილებლობით დანაშაულად მიჩნევისთვის, დანაშაულის სტადიების, ამსრულებლობისა და თანამონაწილეობისას პასუხისმგებლობის ფარგლების სწორად განსაზღვრისათვის, პასუხისმგებლობის დამძიმების ან შემსუბუქებისათვის, რომელიც ერთობ სერიოზული საკითხია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

**კვლევის მიზანი.** წინამდებარე სადისერტაციო კვლევის მიზანია იურიდიულ, ფსიქოლოგიურ, ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ ლიტერატურაზე დაყრდნობით აიხსნას ნებელობითი ქცევის ფსიქოლოგიური არსი, მოტივაციის, მოტივისა და მიზნის ბუნება. ამასთან, ამ ნაშრომის მიზანს წარმოადგენს წარმოაჩინოს მოტივისა და მიზნის თავისებურება და ფუნქციები სისხლის სამართალში. უფრო კონკრეტულად კვლევის მიზანია გაირკვეს:

– რა ნიშნებით გამოირჩევა თავისუფლება და რატომაა აუცილებელი ადამიანის თავისუფლების დადგენა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის;

– რატომაა რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ ნებელობით ქცევას უკავშირდება;

– მოტივაციის, მოტივისა და მიზნის არსის განსაზღვრა;

– მოტივისა და მიზნის კლასიფიკაციის კრიტერიუმები და მნიშვნელობა;

– განსაკუთრებით დიდი ყურადღებაა გამახვილებული მოტივისა და მიზნის სისხლისსამართლებრივი ფუნქციების ანალიზზე.

**კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი.** დასმული პრობლემის კვლევისას გამოყენებულია ისტორიული, ფორმალურ-ლოგიკური, დოგმატური, შედარებით-სამართლებრივი და სხვა მეთოდები.

**დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა.** ნაშრომი შედგება შესავლის, 3 თავის, 14 პარაგრაფის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან. ნაშრომის მოცულობა სულ შეადგენს 150 გვერდს.

# თ ა ვ ი I

## ნებელობითი ქცევის თავისებურებანი

### § 1. ადამიანი როგორც თავისუფალი არსება და ნების თავისუფლება

ადამიანის პასუხისმგებლობის რაციონალური დასაბუთების საკითხში აზრთა სხვადასხვაობა და პრობლემატურობა არა მარტო ადამიანის, როგორც რთული ბიოფსიქოლოგიური და სოციალური არსებისათვის დამახასიათებელი თავისებურებებით აიხსნება, არამედ თვით პასუხისმგებლობის არსის მრავალწახნაგიანობა აიძულებს მკვლევარს იგი განიხილოს სხვადასხვა თვალსაზრისით, რაც ზოგჯერ ეკლექტიზმით მთავრდება.

მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე დაუშვებელია. ბრალის ცნება, ბრალის ნორმატივისტული თეორიის მიხედვით, პერსონალურ გასაკიცხაობას გულისხმობს. ბრალის ასეთი განმარტება, რამდენად დასაბუთებულია ეს ცალკე კვლევის საგანია. ბრალის პრობლემას ცალკე მონოგრაფიული ნაშრომი მიუძღვნა გ. ნაჭყებია. იგი ბრალის არსს პასუხისმგებლობის არსთან კავშირში განიხილავს და დაასკვნის, რომ „ბრალი შეიძლება განისაზღვროს როგორც მოვალეობისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, რომელიც ანტისაზოგადოებრივი ქმედების ჩადენით ვლინდება.“<sup>1</sup> აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბრალი უცილობლივ გულისხმობს „გასაკიცხაობის“ მომენტს. მართლაც, „გასაკიცხაობა ბრალის იმანენტური თვისებაა, რადგან იგი უარყოფითობის ნიშნით იმთავითვეა აღნიშნული და, მაშასადამე, გასაკიცხაობა გარედან შეტანას სრულიად არ საჭიროებს.“<sup>2</sup> ისმის კითხვა: როდის შეიძლება ადამიანს ბრალად შეერაცხოს უმართლობა? ერთი შეხედვით მარტივი შეკითხვისთვის პასუხის გასაცემად უნდა გადაიჭრას რამოდენიმე საკითხი, რადგან ბრალის დადგენა სასჯელის დანიშვნის შესაძლებლობის წინამძღვარია. ამ საკითხებს მიეკუთვნება: ვის აქვს ბრალის დადგენის უფლება; რა მიზანი აქვს ბრალის დადგენას; ბრალის დადგენისას ობიექტურ წინამძღვრებთან ერთად რა სუბიექტურ წინაპირობებს უნდა მიექცეს ყურადღება. სწორედ ეს უკანასკნელი საკითხია ჩვენი განხილვის საგანი, რამეთუ დანაშაულებრივი ქმედების დახასიათება, დანაშაულის ფსიქოლოგიური მხარის ახსნა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება შეუძლებელია თავისუფლების განხილვის გარეშე. როგორც მართებულად აღნიშნავს გ.

<sup>1</sup> ნაჭყებია გ. ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია. თბ., 2001, გვ. 260.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 264.



ტყეშელიაძე: „სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრისას მხედვილობაში მიიღება მოქმედების თავისუფლება.“<sup>3</sup>

ნებისყოფის თავისუფლება ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური პრობლემაა იმდენად, რამდენადაც ფილოსოფიის ინტერესის ერთ-ერთი საგანს ადამიანის არსი წარმოადგენს. მისი შესწავლა კი თავისუფლებისაგან მოწყვეტით შეუძლებელია, რადგან თავისუფლება მხოლოდ ადამიანს ახასიათებს; იმისათვის, რომ ადამიანი თავისუფალი იყოს ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ის, რომ მას ნებელობითი ქცევის უნარი უნდა გააჩნდეს, რომლის სპეციფიკურ ბუნებას ფსიქოლოგია იკვლევს. ამ საკითხის ირგვლივ მრავალი ნაშრომი შექმნეს არამარტო ფილოსოფოსებმა და ფსიქოლოგებმა, არამედ იურისტებმაც. თუმცა, ნაშრომში შეგნებულად არაა გადმოცემული საკითხის ფართო მოცულობის ისტორიული ექსკურსი და მხოლოდ ძირითადი მომენტებია წარმოჩენილი.

თავისუფლება უძველესი ფილოსოფიური პრობლემაა. თავისუფლების გამართლების, დაფუძნების შესახებ ანტიკური ეპოქიდან დღემდე კაცობრიობის აზროვნებაში ორი ურთიერთგამომრიცხველ თეორიას შორის მიმდინარეობს დავა.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ფატალიზმისათვის ამოსავალია გარდაუვალობის აღიარება. ყველაფერი, რაც სამყაროში ხდება, გარდაუვალია, ცალსახად განსაზღვრულია. არ არსებობს შემთხვევითობა, ამიტომ სამყაროში არაფერი არ ხდება წინასწარი განსაზღვრულობის, დეტერმინაციის გარეშე. ფატალიზმი აურყოფს თავისუფლების შესაძლებლობას.

რაც შეეხება ვოლუნტარიზმს, იგი ახდენს შემთხვევითობის აბსოლუტიზაციას. სამყაროში არ არსებობს დეტერმინაცია, წინასწარ განსაზღვრულობა. ადამიანი არ ექვემდებარება დეტერმინაციას, რადგან არ არსებობს გარდაუვალობა. ამიტომ ნება წარმართავს საზოგადოების განვითარებას. ამგვარად, ვოლუნტარიზმი ამართლებს არა თავისუფლებას, არამედ თვითნებობას.<sup>4</sup>

„ფატალიზმი და ვოლუნტარიზმი სხვადასხვა გზით და მეთოდით უარყოფს თავისუფლებას. პირველი მიიჩნევს, რომ მხოლოდ გარდაუვალობაა და ამიტომ თავისუფლება გამორიცხებულია. მეორე მიიჩნევს, რომ სამყაროში მხოლოდ შემთხვევითობაა და ამიტომ თვითნებობაა გამეფებული. მიუხედავად ამოსავალი პრინციპების დაპირისპირებისა, ისინი ერთსა და იმავე შედეგებამდე მიდიან.“<sup>5</sup>

ცნობილია, რომ ნებელობითი ქცევის განხორციელება, როგორც წესი, მხოლოდ ადამიანის თავისუფლების ფარგლებშია შესაძლებელი. ამიტომ, მართალია, ნების თავისუფლება ფილოსოფიური პრობლემაა, მაგრამ იგი ამასთანავე სოციალური

<sup>3</sup> ტყეშელიაძე გ. ლენინური მოძღვრება აუცილებლობისა და თავისუფლების შესახებ და სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება. „მარქსისტულ-ლენინური ეკონომიკური და სამართლის თეორიის საკითხები,“ თბ., 1970, გვ. 184.

<sup>4</sup> იხ. ერქომაიშვილი ვ. ადამიანი, თავისუფლება, იდეოლოგია. თბ., 2002, გვ. 215-219.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 219.

პრობლემატაა, რადგან საზოგადოება და მისი განვითარება წარმოდგენილია პიროვნებათა პასუხისმგებლობის გარეშე. თავისუფლებისა და აუცილებლობის, ადამიანის ქცევის მიზეზობრივი განპირობებულობისა და პასუხისმგებლობის შესახებ კონკურენციას დეტერმინისტული და ინდეტერმინისტული შეხედულებები უწევენ.

ნების თავისუფლების ინდეტერმინისტულმა გაგებამ თავის აპოგეას გერმანულ იდეალისტურ ფილოსოფიაში მიაღწია XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში – კანტისა და ჰეგელის ნაშრომებში.

კანტის მიხედვით, ადამიანი თავის პრაქტიკულ საქმიანობაში არაა დამოკიდებული გარე სამყაროზე: იგი ემორჩილება პრაქტიკული გონების ბრძანებას, ე.წ. კატეგორიულ იმპერატივს. ამიტომ ნების თავისუფლება არის პრაქტიკული გონებისა და მისი ბრძანებებისადმი მორჩილება. ადამიანის ყველა პრაქტიკული მოქმედება როგორც კეთილი, ისე მანკიერი, არის მისი შინაგანი ნების, განსჯის აპრიორულ ფორმათა შედეგი. ნების თავისუფლება არაფრით არაა დეტერმინირებული. მაგრამ როგორც პირველმა მიზეზმა მან შეიძლება განაპირობოს გარკვეული შედეგების დადგომა. მაშასადამე, მოტივი კი არ განაპირობებს ნებას, არამედ ნება განაპირობებს მოტივს, რომელიც თავისუფლად ირჩევს.<sup>6</sup>

კანტის აზრით, ნებისმიერი ადამიანი გრძნობს რაღაც იძულებას, ვალდებულებას, რომ გააკეთოს ის, რაც ეწინააღმდეგება მისი პირადი ბედნიერებისაკენ მისწრაფებას. ადამიანი თავისუფალი მხოლოდ მაშინაა, როდესაც ამ ვალდებულების მიხედვით მოქმედებს. როცა ადამიანი სურვილებსა და მიდრეკილებებს ემორჩილება, ის არ შეიძლება თავისუფალი იყოს.<sup>7</sup>

კანტისთვის ადამიანის ნებისყოფის თავისუფლება როგორც ზნეობრივი, ისე სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგად საფუძველს შეადგენს. თავისუფლება ადამიანის შინაგანი არსის გამოვლენას შეადგენს და სასჯელის ის წანამძღვარია, ურომლისოდაც ისხნება სისხლისსამართლებრივი შერაცხვის ყოველგვარი შესაძლებლობა.<sup>8</sup>

ცნობილია, რომ კანტის ფილისოფიური სისტემა დუალისტური იყო. იგი, ერთი მხრივ, აღიარებს შემეცნებისაგან დამოუკიდებლად არსებულ თავისთავად ნივთს, რომელიც შეუმეცნებადია, მეორე მხრივ, ამტკიცებს, რომ შემეცნების სფეროში შემეცნება თვით აგებს თავის საგანს. თვით შემეცნებაც, ორ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ, მაგრამ შემეცნებისათვის ერთნაირად აუცილებელ წყაროს ემყარება – საგნის მოცემისა და საგნის გააზრების უნარებს (გრძნობადობას და აზროვნებას). კანტი მატერიასა და ცნობიერებას, ყოფიერებას და განსჯას განიხილავდა

<sup>6</sup> იხ. Волков Б.С. Проблема воли и уголовная ответственность. Изд. Казанского университета, 1965, с. 107.

<sup>7</sup> იხ. ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ფილოსოფიის ისტორიის კათედრა, რ. გორდუხიანი, გ. თევზაძე მ. ნემსაძე, მ. ჭყელიძე, თბ., 1993, გვ. 284.

<sup>8</sup> იხ. ვაჩიშვილი ალ. სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი. თსუ გამომცემლობა, თბ., 1960, გვ. 39.

როგორც დამოუკიდებელ სუბსტანციებს, პარალელურად. იგი მივიდა დასკვნამდე, რომ შეუთავსებელია აუცილებლობა და თავისუფლება, ადამიანის ქცევის მიზეზობრივი განპირობებულობა და ნება. სწორედ ამის გამო იყო, რომ კანტმა ხელოვნურად გახლიჩა ადამიანის მოქმედება, რომელშიც ნება და მისი გარეგანი გამოვლინება განიხილება როგორც ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი საწყისები. ამ კონცეფციით კი, ჩემი აზრით, შეუძლებელია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება, რადგან იგი უკავშირდება არა კაუზალურ მოვლენას, არამედ გარეგან მოქმედებას, რომელიც ნებელობითად წარიმართება.

კანტის დუალისტური შეხედულება დაძლია ჰეგელმა დიალექტიკური მეთოდის გამოყენებით. იგი ამტკიცებდა, რომ თავისუფლება და აუცილებლობა ერთიანია. თავისუფლება ნიშნავს აუცილებლობის გაცნობიერებას. ადამიანი თავისუფალი ხდება მაშინ, როდესაც იგი შეიცნობს აუცილებლობის კანონებს და ამის შემდეგ მის შესაბამისად მოქმედებს. აუცილებლობა ჰეგელს ესმოდა დიალექტიკურად. სამყარო არის იდეათა, აბსოლუტური გონის განფენილობა. აუცილებლობის კანონები არის აბსოლუტური გონის კანონები.<sup>9</sup>

ჰეგელთან ნების თავისუფლება ატარებს აბსტრაქტულ, მეტაფიზიკურ ხასიათს. იგი არავითარ არსებით მნიშვნელობას არ ანიჭებს პასუხისმგებლობის განსაზღვრისას მოტივებს, მიზნებს და სამართალდამრღვევის პიროვნებისთვის დამახასიათებელ სხვა გარემოებებს, რადგან ზედაპირულია ის მოსაზრება, რომლის თანახმადაც, დანაშაულის შეფასებისას არსებითია მორალური თვალსაზრისი, დანაშაულის სუბიექტური მხარე, რომლებიც შერეულია ტრივიალურ ფსიქიკურ წარმოდგენებთან, გონებასთან შედარებით დიდი მიმზიდველობისა და გრძნობითი სწრაფვის, ფსიქიკური ზეწოლის შესახებ.<sup>10</sup>

ბ. ვოლკოვი ნების თავისუფლების პრობლემას დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძველზე წყვეტს. მისი აზრით, ფიზიკური და ფსიქიკური ერთიანია, რომელშიც განმსაზღვრელი მნიშვნელობა გააჩნია მატერიალურს, ფიზიკურს. შეგრძნება არის ობიექტური სამყაროს სუბიექტური ასახვა. ადამიანის ქცევა, მისი ნება, მოტივები და მიზნები მიზეზობრივად განპირობებულია. ადამიანის ქცევის დეტერმინირებულობა არ უნდა გავიგოთ მექანიკურად როგორც ქცევის კავშირი გარემოსთან. გარეგანი გარემოებები ზემოქმედებენ პირის ქცევაზე არა უშუალოდ, არამედ გაშუალებულიად, ცნობიერების გავლით, შინაგანი პირობების გავლით.<sup>11</sup>

ამ მხრივ, საყურადღებოა გ. ნაჭყებიას მოსაზრება: – „სისხლის სამართალი მთლიანად დეტერმინისტული ბუნებისაა. მაგრამ ეს არ ეწინააღმდეგება დებულებას, რომ სისხლის სამართალი არ დაიყვანება კაუზალურ პროცესთა შესწავლამდე, რადგან დეტერმინიზმიც არ დაიყვანება მიზეზობრიობამდე. მით

<sup>9</sup> იხ. Волков Б.С. დასახ. ნაშრ., გვ. 109.

<sup>10</sup> იხ. იქვე, გვ. 112.

<sup>11</sup> იხ. იქვე, გვ. 121-129.

უმეტეს, სოციალურ სფეროში საქმე შეეხება ადამიანთა ქცევებს, რომელთაც არა მარტო მიზეზობრივი ახსნა სჭირდებათ, არამედ შინაგანი საზრისის გაგებაც, რაც მიზეზში არცაა შესაძლებელი; იგი მოტივისა და მიზნის საზრისით გაიგება (ხაზგასმა ჩემია. – ი.დ.).“<sup>12</sup>

ნების თავისუფლების პრობლემა კრიმინალისტთა შორის განსაკუთრებით აქტუალური გახდა სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის ჩამოყალიბების შემდეგ. სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის წარმომადგენელთა უმეტესობა ნებელობის თავისუფლებას აღიარებენ და მიუთითებენ, რომ მხოლოდ ინდეტერმინიზმის ფარგლებში შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება და სასჯელის დანიშვნა. გერმანელი იურისტი ბარი აღნიშნავს, რომ აბსოლუტური ინდეტერმინიზმის აღიარება უძღურია დაასაბუთოს რაციონალური სისხლის სამართალი. იგი ქადაგებს მიმართებით ინდეტერმინიზმს, რომლის მიხედვითაც: მოტივები განაპირობებენ ადამიანის მოქმედებას, მაგრამ ადამიანი მაინც ინარჩუნებს თავისუფლების გარკვეულ მინიმუმს. მსგავს გაუგებარ დასკვნამდე მიდის ბინდინგიც: ადამიანის ნებისყოფა მიზეზობრიობის კანონს ემორჩილება და ამავე დროს თავისუფალია მისგან.<sup>13</sup>

კლასიკური სკოლის ერთ-ერთი წარმომადგენელი ბელინგი იცავს ნებისყოფის თავისუფლებას და შერაცხაობის ბუნებაზე წერს: იმისათვის, რომ ვინმე გავეიცხოთ და დავსაჯოთ, აუცილებელია პირი იყოს თავისი მოქმედების ბატონ-პატრონი. თუკი ადამიანის მოქმედებას განსაზღვრავს საკუთარი ხასიათი და მოტივები ისეთი აუცილებლობით, რომ მოქმედება მისთვის გარდაუვალია, მაშინ შეუძლებელია იმის გაგება, თუ როგორ შეიძლება მისი გაკიცხვა ამ მოქმედებისათვის. ამიტომ ნამდვილი დეტერმინიზმის თვალსაზრისით გაუგებარია სისხლის სამართალი, რომელიც სასჯელს ბრალს უკავშირებს. ასე, რომ სისხლის სამართლის აგება მხოლოდ „ავტოდეტერმინიზმის“, ე.ი. „პირობითი ანუ რელატიური ინდეტერმინიზმის“ საფუძველზეა შესაძლებელი, რაც იმას ნიშნავს, რომ ხასიათისა და მოტივების გარდა ადამიანს აქვს მესამე რამეც – „წინააღმდეგობის გაწევის ძალა“, რომელიც საწინააღმდეგო მოტივების შემწეობით მას უნარს აძლევს უძღური გახადოს მოზგავებული მოტივები, მოახდინოს არჩევანი და გამოიტანოს გადაწყვეტილება. ბელინგის აღნიშნულ კონცეფციას აღ. ვაჩეიშვილი მართებულად უწოდებს უცნაურს, რადგან „წინააღმდეგობის გაწევის“ უნარი წარმოიშობა როგორც მიზეზობრივად განპირობებული.<sup>14</sup>

ნეოკლასიკოსი ზაუერი აღიარებს ნებისყოფის თავისუფლებას, რომლის გარეშეც მას წარმოუდგენლად ეჩვენება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება. რამდენადაც

<sup>12</sup> ნაჭყებია გ. ნებისყოფის თავისუფლების პრობლემა სისხლის სამართალში. სადისერტაციო ნაშრომი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1975, გვ. 71-72.

<sup>13</sup> იხ. ვაჩეიშვილი აღ. დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში. თბ., 1957, გვ. 66-67.

<sup>14</sup> იხ. იქვე, გვ. 69.

მეცნიერება მიზეზობრიობას ემყარება, ამდენად აქ დამოკიდებულებაა საგნებს შორის და ამიტომ მეცნიერება დეტერმინიზმს მოითხოვს, ხოლო ადამიანის ქმედების კატეგორიულური შეფასება ემყარება თელოს და ნორმას.<sup>15</sup>

კრიმინალისტთა ის ნაწილი (მაგალითად, მირუიკა, სერგეევსკი, ტაგანცევი), რომელიც ნებისყოფის თავისუფლებას მოტივაციის საფუძველზე განიხილავს, დეტერმინისტულ პოზიციებზე დგას, რადგან საკმაო მიზეზის კანონი, ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების მიმართ გამოყენების შეთხვევაში, მოტივაციის სახით გვეკლინება.<sup>16</sup>

კანტისაგან განსხვავებით, ანსელმ ფოიერბახი უარყოფს ნებისყოფის თავისუფლებას სამართლებრივ სფეროში; ამ სფეროში იგი მკაცრი და თანმიმდევრული დეტერმინისტია და თავის ფსიქოლოგიური იძულების თეორიას აგებს თანმიმდევრული დეტერმინიზმის საწყისებზე; იგი ამბობს, რომ სამართალი არ საჭიროებს თავისუფლების დაშვებას; თავისუფლების აზრსა და მნიშვნელობას იგი განსაკუთრებით ზნეობის ჩარჩოებით ზღუდავს.<sup>17</sup>

ცნობილია, რომ სოციოლოგიური სკოლის ფარგლებში ჩამოყალიბდა ე.წ. „ფაქტორთა თეორია“, რომლის მიხედვითაც დანაშაულობის მიზეზები მოცემულ საზოგადოებაში წარმოშობილ ურთიერთობებში უნდა ვეძებოთ. ამ მოძღვრებაში დანაშაულობის სოციალურ ფაქტორთა გვერდით დიდი ადგილი უკავია დამნაშავის ბიოლოგიური ხასიათის მიდრეკილებებს. ბუნებრივია, რომ სოციოლოგიური სკოლის წარმომადგენელმა ლისტმა ნებისყოფის თავისუფლების პრობლემა სისხლის სამართლის ფარგლებს გარეთ გაიტანა. სისხლის სამართალი კმაყოფილდება იმის დადგენით, რომ წარმოდგენები წარმართავენ, სტიმულს აძლევენ ადამიანის ნებისყოფას. მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ წარმოდგენების მოტივაციური მნიშვნელობის აღიარება უკვე თავისთავად დეტერმინიზმის აღიარებაა.<sup>18</sup>

რაც შეეხება ანთროპოლოგიურ ანუ პოზიტიურ სკოლას, მან სისხლის სამართალში შემოიტანა დამნაშავის ფატალისტური გაგება, რის გამოც გამოირიცხა ნებისყოფის თავისუფლება. ამ თვალსაზრისით, ცხადია, ბრალეულობა და შერაცხადობა ზედმეტ ცნებებად იყო მიჩნეული. ამ ცნებების ნაცვლად ფერი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის მიმართავს ფიზიკური შერაცხადობის ცნებას. უკანასკნელი უნდა გავიგოთ როგორც დამნაშავის ფიზიკური კავშირი დანაშაულებრივ შედეგთან.<sup>19</sup> მაშასადამე, ანთროპოლოგიური სკოლა უკიდურესი დეტერმინიზმის პოზიციებზე დგას.

<sup>15</sup> იხ. ვაჩეიშვილი ალ. დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში. თბ., 1957, გვ. 70-71.

<sup>16</sup> იხ. იქვე, გვ. 72-73.

<sup>17</sup> იხ. ვაჩეიშვილი ალ. სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი. თსუ გამომცემლობა, თბ., 1960, გვ. 39.

<sup>18</sup> იხ. იქვე, გვ. 74-76.

<sup>19</sup> იხ. ვაჩეიშვილი ალ. დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში. თბ., 1957, გვ. 80-81.

გ. ნაჭყებია მიუთითებს, რომ “ინდეტერმინიზმი მთელ რიგ წინააღმდეგობას აწყდება სისხლის სამართალში. მთავარი კი ისაა, რომ იგი უძღვრება ახსნას თვით დანაშაულის ბუნება. „სხვანაირად მოქმედების” უპირობო შესაძლებლობიდან გამომდინარე დანაშაული ადამიანის ბოროტ ნებისყოფას მიეწერება, რაც იწვევს ან ლომბროზოს ბიოლოგიური დეტერმინიზმის ბანაკში გადაბარებას, ან აბსოლუტური შემთხვევითობის დაშვებას, ე.ი. მთელი სისხლის სამართლის უარყოფას.”<sup>20</sup>

ფილოსოფიურ ლიტერატურაში თავისუფლების ცნებას აქვს ორი მნიშვნელობა: უარყოფითი და დადებითი. უარყოფითი აზრით თავისუფლება სამყაროს ნებისმიერ საგანს მიეწერება და იგი მხოლოდ მაშინაა თავისუფალი თუ მისი ყოფიერების წესის ხელისშემშლელი, შემაფერხებელი გარემოებები არ არსებობს. მაგალითად, მდინარე თავისუფლად მიედინება, ჩიტი თავისუფალია და ა.შ. თავისუფლების ჭეშმარიტი საზრისი გამოხატულია მის პოზიტიურ, დადებით მნიშვნელობაში. სწორედ ამ გაგებით გვიანტერესებს ჩვენ თავისუფლება, რადგან იგი ისეთ ქცევას გამოხატავს, რომელიც სრულდება ავტონომიურად, ე.ი. გარეგანი პირობებისაგან დამოუკიდებლად, მხოლოდ შინაგანი აუცილებლობის მიხედვით. ასეთი ქცევის განხორციელება მხოლოდ ადამიანს შეუძლია, რადგან მარტოდენ ადამიანს აქვს ნებელობითი ქცევის უნარი.<sup>21</sup>

თავისუფლების პრობლემის გამოსაკვეთად აუცილებელია ადამიანისა და პიროვნების გამომხატველი ცნებების გამიჯვნა. ადამიანის ცნება გამოხატავს იმ არსებითს, ზოგადას და აუცილებელს, რაც ყოველ ადამიანს ახასიათებს. ყოველ ადამიანს ერთი ბუნება, ერთნაირი ყოფიერების წესი აქვს, მიუხედავად მათი ცხოვრების განსხვავებული ისტორიული ეპოქისა, სოციალური პირობებისა, ეროვნული კუთვნილებისა და ა.შ. ადამიანის ცნება არის ადამიანის ანთროპოლოგიურ-ექსისტენციალური დახასიათება. ანთროპოლოგიური დახასიათება ადამიანის როგორც სახეობის არსებით ნიშნებს ადგენს, ხოლო ექსისტენციალური – ადამიანის ყოფიერების, არსებობის წესს გამოხატავს.<sup>22</sup>

პიროვნება არის თვითცნობიერების მქონე ადამიანი, რომელიც აქტიურად მოქმედებს თავისი ინდივიდუალობის, საკუთარი მე-ს გაგლენისა და დამკვიდრებისათვის.<sup>23</sup>

„ადამიანის თავისუფლების პრობლემა ექსისტენციალურ-ანთროპოლოგიურია, პიროვნება კი ისტორიულ-სოციალური... ადამიანი თავისუფალი არსებაა. მას მისი მოპოვება არ სჭირდება. იგი მას მუდამ აქვს. საკითხი ეხება მისი გამოვლენის შესაძლებლობას. მეორე ადამიანს არ ახასიათებს. იგი მან უნდა მოიპოვოს, რათა პიროვნებად იქცეს. ეს კი დამოკიდებულია იმაზე,

<sup>20</sup> ნაჭყებია გ. ნებისყოფის თავისუფლების პრობლემა სისხლის სამართალში. სადისერტაციო ნაშრომი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1975, გვ. 8.

<sup>21</sup> იხ. ერქომაიშვილი ვ. ადამიანი, თავისუფლება, იდეოლოგია. თბ., 2002, გვ. 129-131.

<sup>22</sup> იხ. იქვე, გვ. 132.

<sup>23</sup> იხ. იქვე, გვ. 135.

თუ რომელ საზოგადოებაში ცხოვრობს იგი. პიროვნების თავისუფლება განპირობებულია საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურით.“<sup>24</sup>

თემის კვლევის საგნიდან გამომდინარე ჩვენთვის საინტერესოა ადამიანის და არა პიროვნების თავისუფლება.

ადამიანს მართალია შესწევს თავისუფალი მოქმედების უნარი, მაგრამ გარკვეულ სიტუაციაში მისი მოქმედება ვერ ჩაითვლება თავისუფლად. ეს ის შემთხვევებია, როდესაც ადამიანი იძულებით მოქმედებს. იძულებას ადგილი აქვს მიზეზობრივი დეტერმინაციის დროს. მიზანშეწონილობას ადგილი აქვს არაცოცხალ ბუნებაში, სადაც ბატონობს გარეგანი იძულება, რადგან საგნის მდგომარეობას განსაზღვრავს მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვი და მიზეზი ყოველთვის გარეგანია შედეგის მიმართ. ადამიანის გარდა ნებისმიერი ცოცხალი არსება მისი გენური სტრუქტურის გამო მოქმედებს ინსტინქტურად, რის გამოც მას არა აქვს სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობა.<sup>25</sup>

ადამიანს ცხოველისაგან განსხვავებით ახასიათებს მიზანშეწონილი საქმიანობა, რაც ცოდნის საფუძველზე ხორციელდება. ადამიანის მოქმედება მთლიანად დეტერმინირებული არ არის გარეგანი ფაქტორებით. მართალია, იგი ცხოველის მსგავსად განიცდის ბუნებრივი გარემოს ზემოქმედებას, მაგრამ ცხოველისაგან განსხვავებით ადამიანი ასევე იძულებულია ანგარიში გაუწიოს სოციალურ გარემოს. მიუხედავად ამისა, ადამიანის ქცევა ცალსახადაა დეტერმინირებული, რამეთუ შინაგანი აქტიურობის მეოხებით მას შეუძლია დაძლიოს გარეგანი დაწოლა და იმოქმედოს თავისი შესედეულებისამებრ. მაგალითად, ალექსანდრე მაკედონელმა დაძლია წყურვილის მოთხოვნილება უდაბნოში და ჯარის მიერ მირთმეული ერთი მუხარადი წყალი მათ წინაშე დააქცია. ამ საქციელით მან საკუთარ მეომრებს დაუმტკიცა, რომ მათთან ერთად იტანს წყურვილსა და ყველა სხვა გაჭირვებას. ცნობილია, რომ მიზეზობრიობა დეტერმინაციის ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი სახეა. თავისუფლება არამიზეზობრივად დეტერმინირებულია. ადამიანისა და ცხოველის მოქმედება ავტონომიურია, თუმცა ადამიანისაგან განსხვავებით ამ უკანასკნელის მოქმედება არაა თავისუფალი, რადგან მისი მოქმედება ინსტიქტურია, ხოლო ასეთი მოქმედება იძულებითია. მართალია, ადამიანსაც ახასიათებს ინსტიქტური მოქმედება, მაგრამ ამგვარი მოქმედება არ განსაზღვრავს მისი მოღვაწეობის ძირითად შინაარსს (ხაზგასმა ჩემია – ი.დ.). სპეციფიკურ-ადამიანური საქმიანობა ცნობიერია. ადამიანის მოქმედებას საფუძველად უდევს მოტივაცია. ვინაიდან ადამიანის ნებელობითი ქცევა მიზანდასახულია, ამიტომ მისი მოქმედება მოტივირებულია. ნებელობით ქცევას წინ უსწრებს არჩევანი, რომელიც ხორციელდება გარკვეული ღირებულებისა და მიზნის შესაბამისად. მაშასადამე, მიზანია ის დეტერმინანტი, რომლის გულისთვისაც ხორციელდება არჩევანი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ნებელობითი

<sup>24</sup> ერქომაიშვილი ვ. დასახ. ნაშრ., გვ. 143.

<sup>25</sup> იხ. იქვე, გვ. 144-145.

ქცევა ცალსახად მიზეზ-შედეგობრივად, ფატალისტურად დეტერმინირებული კი არ არის, არამედ მას მიზნობრივი დეტერმინაციის ხასიათი აქვს.<sup>26</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი თავისუფალი ქცევა მოტივირებულია, მაგრამ არა პირიქით. თუკი მოქმედება ხორციელდება ფსიქიკური იძულებით, მაშინ მოქმედება მოტივირებულია, მაგრამ არაა თავისუფალი. მოტივირებული ქცევა მხოლოდ მაშინაა თავისუფალი თუ იგი ხორციელდება ყოველგვარი იძულების გარეშე.

თავისუფლებას გააჩნია თავისი სტრუქტურა, რომელიც შემდეგი ელემენტებისაგან აიგება:

ა) **ალტერნატივების გაცნობიერება.** მოქმედების პრაქტიკულად განხორციელებამდე ადამიანი აცნობიერებს ობიექტურ ვითარებას და შესაძლო შედეგებს.<sup>27</sup>

ბ) **არჩევანი.** აუცილებლობა, რომელიც ადამიანმა გააცნობიერა, უნდა იქცეს შინაგან აუცილებლობად. ამისათვის არ კმარა ცოდნა. ამას სჭირდება არჩევანი.<sup>28</sup>

არჩევანი ყოველთვის არ გამოხატავს თავისუფლებას. თუკი არჩევანი იმპულსური ან იძულებითი სახისაა, მაშინ ასეთი მოქმედება თავისუფლებას ვერ გამოხატავს. თავისუფლების აუცილებელი მომენტი იძულების მოხსნა.

რაც განასხვავებს ადამიანის ქცევას სხვა მოვლენებისაგან ისაა, რომ იგი ატარებს მიზანმიმართულ, შერჩევით ხასიათს. ადამიანი ჩვეულებრივ ცდილობს შეარჩიოს ისეთი ქცევა, რომელიც შეესაბამება მის განზრახვებს და მისწრაფებებს, რასაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მისი პიროვნების სტრუქტურაში.<sup>29</sup>

ადამიანის ნებელობითი ქცევა ყოველთვის თავისუფალი და არჩევითია. გამონაკლისს წარმოადგენს ფსიქიკური იძულება, როდესაც ქცევა ნებელობითია, მაგრამ თავისუფალი არ არის. თუკი ადამიანი იმოქმედებდა პრინციპით: სტიმული – რეაქცია, მაშინ მოტივის პრობლემას არავითარი აზრი არ ექნებოდა.

არჩევითობის საზღვრები ზოგადად ორგვარი ფაქტორით განისაზღვრება: ობიექტურით და სუბიექტურით, სამყაროთი და პიროვნებით, გარეგანი გარემოებებით და შინაგანი პირობებით. ამასთან, ეს ფაქტორები მოქმედებენ არა პარალელურად, არამედ ურთიერთმოქმედებითა და ურთიერთგანპირობებულობით. ქცევის არჩევითობა არის თავისუფლების გამოვლენის ფორმა. ქცევის არჩევითობა და მოტივირებულობა არსებობს იმდენად, რამდენადაც არსებობს ობიექტური გარემოებები, რომლებიც უშვებენ არაერთგვაროვანი გადაწყვეტილებების, სხვადასხვა ნების გამოხატვის შესაძლებლობას. ქცევის ალტერნატივის გარეშე

<sup>26</sup> იხ. ერქომაიშვილი ვ. დასახ. ნაშრ. გვ. 150-152.

<sup>27</sup> იხ. იქვე, გვ. 154.

<sup>28</sup> იხ. იქვე, გვ. 156.

<sup>29</sup> იხ. Волков Б.С. Мотивы преступлений (Уголовно-правовое, социально-психологическое исследование). Изд. Казанского университета, 1982, с. 6.



შეუძლებელია ნების გამოვლენა, თავისუფლება და პასუხისმგებლობა.<sup>30</sup>

ვ) მოქმედება ანუ ნებელობითი ქცევა. თუკი ადამიანი გარეგან აუცილებლობას შინაგან მოთხოვნილებად, სურვილად აქცევს, მაშინ მისი მოქმედება თავისუფალია. ამის საშუალებას კი ნება იძლევა. ეს უკანასკნელი არჩევანის გაკეთების საფუძველთაგანია.<sup>31</sup>

დ) პასუხისმგებლობა. ადამიანი ერთადერთი არსებია ბუნების ქმნილებათა შორის, რომელსაც მოეთხოვება პასუხი თავისი ქმედებისათვის. ეს განპირობებულია იმით, რომ მას ახასიათებს თავისუფლება. ადამიანი თავის საქმიანობაში არ არის ცალსახად დეტერმინირებული ბუნების მიერ. მას ახასიათებს სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობა. უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან პასუხისმგებლობა და პასუხისმგებლობის გრძნობა. პირველი ობიექტური, ხოლო მეორე სუბიექტური მოვლენაა. პასუხისმგებლობა ყოველ ადამიანს ახასიათებს დამოუკიდებლად. ვ. ერქომაიშვილი მართებულად მიუთითებს, რომ პასუხისმგებლობის გრძნობა არის განცდა, თუმცა, იქვე არასწორად მიუთითებს, რომ თითქოს პასუხისმგებლობის გრძნობა ზოგიერთ ადამიანს აქვს, ხოლო ზოგიერთს არა.<sup>32</sup> სინამდვილეში მსჯელობა შეიძლება ადამიანის პასუხისმგებლობის გრძნობის ხარისხზე, ვინაიდან შეუძლებელია რომელიმე შერაცხად ადამიანს პასუხისმგებლობის გრძნობა საერთოდ არ გააჩნდეს.

რ. ბლეკბორნი სამ ძირითად თეორიულ პოზიციას ასახელებს: მკაცრ დეტერმინიზმს, მსუბუქ დეტერმინიზმს და ლიბერტარიანიზმს. მკაცრი დეტერმინიზმის მიხედვით, ადამიანური ქცევა სრულიად განისაზღვრება იმ ფაქტორებით, რომლებიც არ იმყოფება ადამიანის ცნობიერების სფეროში და არჩევანზე საუბარი ზედმეტია. მსუბუქი დეტერმინიზმი ცდილობს თავისუფლების დეტერმინიზმთან შერიგებას. ამ უკანასკნელი მიმართულების მიხედვით ადამიანები არჩევანს აკეთებენ, მაგრამ ვარიანტთა შეზღუდული რიცხვიდან.<sup>33</sup>

ლიბერტარიანიზტული შეხედულება მსუბუქი დეტერმინიზმის შემდგომი გაგრძელებაა: მართალია, ქცევა არ ითვლება აბსოლუტურად თავისუფლად, მაგრამ ადამიანის არჩევანის წინასწარმეტყველება შეუძლებელია. ქცევის თავისუფალი არჩევა არ ნიშნავს „უმიზეზოს“, რადგან უკანასკნელ შემთხვევაში არჩევანი უნდა იყოს შემთხვევითი და ამიტომ არსებობს განსაკუთრებული სახის მიზეზები, რომლებიც ადამიანს საშუალებას აძლევენ აირჩიოს მოქმედების სხვა სახე, რაც განსხვავდება რეალურად არსებულისაგან.<sup>34</sup>

<sup>30</sup> იხ. Волков Б.С. Мотивы преступлений (Уголовно-правовое, социально-психологическое исследование). Изд. Казанского университета, 1982, с. 21-22.

<sup>31</sup> იხ. ერქომაიშვილი ვ. დასახ. ნაშრ. გვ. 162.

<sup>32</sup> იხ. იქვე, გვ. 169-171.

<sup>33</sup> იხ. Блэкборн Р. Психология криминального поведения. Серия «Мастера психологии», изд. «Питер», С-Пет., 2004, с. 38-39.

<sup>34</sup> იხ. იქვე, გვ. 39.

დეტერმინიზმის ნაკლად რ. ბლეკბორნი მიიჩნევს იმას, რომ შეუძლებელია აწმყოს ცოდნით მომავლის განჭვრეტა და მეორე, – შეუძლებელი ხდება წინასწარ მოფიქრებული განზრახვის არსებობა. ლიბერტარიანიზმის ფარგლებში ორი არსებითი პრობლემაა გადაუჭრელი: 1) ყოველთვის სრულიად დამოუკიდებელია თუ არა ადამიანის არჩევანი და 2) უშვებს თუ არა ტრაგიკული კრიტერიუმი “სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობის” მეცნიერულ შემოწმებას.<sup>35</sup>

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ნების თავისუფლების შესახებ ინდეტერმინისტული და დეტერმინისტული კონცეფციების მოკლე მიმოხილვამ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ ორივე უკიდურესობაში ვარდება. დ. უზნაძის აზრით, „ფაქტია, რომ მოტივაციის გარეშე ნებელობის აქტი არ ხდება. მაშასადამე, დეტერმინიზმი მართალია: ნებელობის აქტს მოტივი განსაზღვრავს, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ერთიდაიგივე მოტივი ყოველთვის ერთსადაიმთავრე აქტს არ იწვევს. ერთხელ რომ იგი ერთ შედეგს იძლევა, მეორეჯერ მის მიმართ სრულიად უძლეური რჩება. მიზეზობრიობის ცნებას ასეთი ფაქტები სრულიად არ ეგუება. მიზეზი განსაზღვრულ პირობებში ყოველთვის განსაზღვრულ შედეგს იწვევს. ამიტომაც, შეუძლებელია რომელიმე გარკვეული მოტივი ან მოტივთა ჯგუფი კაუზალურად დაუკავშირო გარკვეულ ნებელობის აქტს. მაშასადამე, დეტერმინიზმი მაინც არ არის მართალი.“<sup>36</sup>

ვინაიდან სუბიექტი თვითონ ქმნის თავის თავში განსაზღვრული მოქმედების განწყობას, ამიტომ მოქმედებასაც იგი იწვევს, რაც მოქმედების თავისუფლებაზე მიუთითებს, ე.ი. ნებელობის თავისუფლების განცდა უდავოა. ამასთან, ნებელობითი ქცევის კაუზალობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ ნებისმიერ ქცევას განწყობა უდევს საფუძვლად, რომელსაც, თავის მხრივ, წარმოსახული ანუ აზრითი სიტუაცია განსაზღვრავს.<sup>37</sup>

მსგავსი მოსაზრება აქვს გამოთქმული რ. ნათაძეს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ნებელობითი მოქმედების დეტერმინაციას, მისი აზრით, ცნობიერების პროცესი განაპირობებს: – „ნებისყოფის აქტის თავისუფლება მის უშუალო სიტუაციისაგან დამოუკიდებლობაში მდგომარეობს; **ნებისმიერი მოქმედება ისევეა მიზეზობრივად განსაზღვრული, როგორც ყოველი მოქმედება, ოღონდ ნებისმიერი მოქმედების დეტერმინაცია რთულია, იგი პიროვნების ცნობიერების პროცესით არის გაშუალებული.**“<sup>38</sup>

მართებულად უნდა ჩაითვალოს დ. უზნაძის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ნებელობის თავისუფლების პრობლემის ინდეტერმინისტული და დეტერმინისტული გადაჭრის მცდელობა ორ უკიდურესობას წარმოადგენს. ამ საკითხის სწორად განსაზღვრისათვის მას შუალედური პოზიცია უკავია. ეს კარგად ჩანს მისი შემდეგი მსჯელობიდან: „ნებელობა თავისუფალია,

<sup>35</sup> იხ. Блэкборн Р. Психология криминального поведения. Серия «Мастера психологии», изд. «Питер», С-Пет., 2004, с. 39.

<sup>36</sup> უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია. გამომცემლობა „აღმაშენებელი“, ტომი III–IX, თბ., 1998, გვ. 219.

<sup>37</sup> იხ. იქვე, გვ. 220.

<sup>38</sup> ნათაძე რ. ზოგადი ფსიქოლოგია. თსუ გამომცემლობა, 1977, გვ. 550.

რამდენადაც აქტუალური სიტუაციის გავლენას არ ემორჩილება, რადგან აქედან მომდინარე იძულებას არ განიცდის. იგი თავისუფალია, რამდენადაც მასზე მოქმედი სიტუაცია წარმოსახვითია, მაშასადამე, სუბიექტის მიერაა გაცნობიერებული. მაგრამ იგი დეტერმინირებულია, არაა თავისუფალი, რამდენადაც, თუმცა წარმოსახვით, მაგრამ მაინც სიტუაციითაა პირობადებული.<sup>39</sup>

ასე, რომ ადამიანს, რომელსაც არ გააჩნია სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობა, შეუძლებელია ბრალზე აგებულმა სისხლის სამართალმა დააკისროს პასუხისმგებლობა. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა კი სასჯელის მიზნებს განუხორციელებელს დატოვებდა.

ადამიანის თავისუფლება შეიძლება რეალიზებლ იქნეს ისეთ სამყაროში, სადაც არსებობს აუცილებლობისა და შემთხვევითობის ერთიანობა... რაიმეს მოხდენა აუცილებელიცაა და შემთხვევითიც. ამგვარ სამყაროში ადგილი აქვს ალბათური, სტატისტიკური ხასიათის კანონზომიერებას. აუცილებლობა გამოხატავს არა გარდაუვალობას, არამედ მოხდენის სიხშირეს. ასეთი აუცილებლობა არ გამორიცხავს შემთხვევითობას, რომელიც არსებობს როგორც გადახრა კანონზომიერებიდან.<sup>40</sup>

---

<sup>39</sup> ნათაძე რ. დასახ. ნაშრ. გვ. 220.

<sup>40</sup> იხ. ერქომაიშვილი ვ. დასახ. ნაშრ., გვ. 245.

## § 2. ნებელობითი ქცევის არსი

ადამიანმა შეიძლება განახორციელოს ინსტიქტური, იმპულსური და ნებელობითი მოქმედება. ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე სისხლის სამართალს მხოლოდ ნებელობითი ქცევა აინტერესებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სისხლის სამართალმა უნდა შექმნას ფსიქოლოგიისაგან განსხვავებული ქცევის საკუთარი ცნება და მასში შეიტანოს მართლწინააღმდეგობისა და ბრალეულობის მომენტები. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება საკითხისადმი დუალისტური მიდგომა, რაც სისხლის სამართალში სხვა არაფერი იქნება თუ არა ფსიქოლოზი. ამ მხრივ, მართებულია თ. წერეთლის აზრი, რომლის თანახმადაც, „ქცევის ფსიქოლოგიური ცნება არ გულისხმობს სამართლებრივ შეფასებას; ქცევა ფსიქოლოგიური გაგებით იურიდილად შეიძლება იყოს მართლზომიერი და არამართლზომიერი ან ბრალეული და არაბრალეული.“<sup>41</sup>

სისხლის სამართლის მეცნიერება ზოგჯერ სხვა მეცნიერების გავლენას განიცდის. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ფსიქოლოგიის „შეჭრის“ შესახებ, რაც „ფსიქოლოგიზმის“ საფრთხეს ქმნის სისხლის სამართალში. ეს პრობლემა განსაკუთრებით თავს იჩენს დანაშაულისა და ნებელობითი ქცევის ურთიერთმიმართებასთან, მოტივთან, მიზნთან და ბრალთან დაკავშირებით.

გარკვეულ შემთხვევებში იმდენად დიდია ფსიქოლოგიური ხერხებითა და მეთოდებით სამართლებრივი ცნებების განმარტების მცდელობა, რომ ზოგიერთი მეცნიერი გაკვირვებით მსჯელობს ამის შესახებ. მაგალითად, გერმანელი მეცნიერი ნასი აღნიშნავს: „არსად და არც ერთ მეცნიერებაში ფსიქოლოგიის შემეცნებანი ისე ინტენსიურად და გლობალურად არ ასახულა, როგორც XIX საუკუნის იურისპრუდენციაში... გასაოცარიც არის ის სიღრმისეული სიზუსტე, რომლითაც ურთულესი ფსიქოლოგიური ცნებები და მიღწევები გამოიყენება. ხშირია შემთხვევები, როცა ბრალის პრობლემისადმი მიძღვნილ იურიდიულ ნაწარმოებში უფრო სპეციალური ფსიქოლოგიური, ვიდრე სამართლებრივი ლიტერატურაა ციტირებული. ამიტომაც არაფერი იყო საკვირველი იმაში, რომ ობიექტურად განწყობილი ზოგიერთი კრიმინალისტი სამართლის მეცნიერების სრულ ფსიქოლოგიზირებაზე წერდა.“<sup>42</sup>

გ. ნაჭყებიამ სისხლის სამართლის მეცნიერებაში ფსიქოლოგიზმისა და ნორმატივიზმის პრობლემას მცირე მონოგრაფიული ნაშრომი მიუძღვნა, რომელშიც ავტორი ცდილობს ქართველი კრიმინალისტის ბ. ხარაზიშვილის მოსაზრებებს საკუთარი მეცნიერული დასაბუთება მისცეს.<sup>43</sup>

<sup>41</sup> Церетели Т.В. Причинная связь в уголовном праве. Гос. изд. «Юридической литературы», изд. второе, исправленное и дополненное, М., 1963, с. 25.

<sup>42</sup> ციტ. ლ-გ. კუტალიას მიხედვით: ბრალის შესახებ ფსიქოლოგიური მოძღვრების ფრანკისეული კრიტიკისათვის, ჟურნალი „სამართალი“, 1998, №7-8, გვ. (G. Nass. Wandlungen des Schuldbegriffs im Laufe des Rechtsdenkens, Berlin, 1963, s. 97).

<sup>43</sup> იხ. Начкебия Г.И. Психологизм и нормативизм в науке уголовного права. Изд. «Меридиани», Тб, 2000.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს ბ. ხარაზიშვილის მიერ წამოყენებული ორი დებულება: პირველი, რატომ არაა დანაშაული ნებელობითი ქცევის ნაირსახეობა და მეორე, რატომ გვთავაზობს ავტორი „დანაშაულის მოტივის“ ნაცვლად „დამნაშავის ქცევის მოტივს.“ ამ უკანსკნელის შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი.

ბ. ხარაზიშვილი მიუთითებდა, რომ დანაშაული თვითონ კი არ არის დამოუკიდებელი ფსიქოლოგიური ქცევა, არამედ დანაშაული მოტივისა და მიზნის განხორციელების ხერხია.<sup>44</sup> ერთი სიტყვით, ამას იმით ასაბუთებდა, რომ შეუძლებელია შეიქმნას ქცევის ფსიქოლოგიურისაგან განსხვავებული ქცევის ნორმატიული ცნება, რადგან დანაშაული შეფასებითი ცნებაა, ხოლო ფსიქოლოგია, რომელიც ფაქტების მეცნიერებაა, შეფასებას მოკლებულია. ამიტომ დანაშაულიც ვერ იქნება ქცევის ნაირსახეობა.

ამ განსაზღვრების შესახებ მართებულად მიუთითებს გ. ნაჭყებია და ამას იმით ხსნის, რომ „დანაშაულის ნიშნები მიეწერება არა ქცევას ფსიქოლოგიური გაგებით, არამედ ამ ქცევის განხორციელების ხერხს. ეს ბუნებრივია, რადგან ნორმატიულად ფასდება არა ქცევა თავისთავად, არამედ ამ ქცევის განხორციელების ხერხი.“<sup>45</sup>

სისხლის სამართალში ფსიქოლოგიზმის დაძლევის მცდელობა ფრიად საყურადღებოა. მოტივის ჩამოყალიბება მოიცავს მიზნის მიღწევის საშუალებებისა და ხერხის გაცნობიერებასაც. მაშინ ლოგიკურია თუ ვიტყვით, რომ ამის გამო მოტივი და მიზანი არ შეიძლება სხვა შეფასებას იმსახურებდეს და მათი განხორციელების ხერხი სხვას. ამას გ. ნაჭყებიაც აღიარებს: სამართლის პოზიციიდან ფასდება ჯერ ქმედება, როგორც მოტივისა და მიზნის მართლსაწინააღმდეგო ხერხი, ხოლო ხერხის შეფასების კვალობაზე ფასდება მოტივიც და მიზანიც. „მაგალითად, მატერიალური გამდიდრების მოტივი და მიზანი თავისთავად უარყოფით მოვლენას არ წარმოადგენს, მაგრამ საკმარისია, რომ სუბიექტმა ამ მიზნის მისაღწევად დანაშაულებრივი ხერხი შეარჩიოს, რომ მოტივი და მიზანი „ანგარებად“ შეფასდეს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ დანაშაულებრივი ქმედება ქცევის, ანუ მოტივისა და მიზნისაგან მოწვევით შეუძლებელია.“<sup>46</sup> მართლაც, ქცევის შეფასება მოტივისა და მიზნის გარეშე შეუძლებელია, რადგან ქცევის მხოლოდ ობიექტური თვალსაზრისით შეფასება ვერ ხსნის ქცევის ფსიქოლოგიურ არსს. „ფსიქოლოგიური თვალსაზრისი, – წერს შ. ჩხარტიშვილი, – ქცევას მოტივისა და მიზნისაგან ვერ გამოყოფს. როგორცაა მოტივი, ისეთივეა მიზანიც და ქცევაც.“<sup>47</sup>

ამ მხრივ, საყურადღებოა ბ. ვოლკოვის კრიტიკა მ. შარგოროდსკის მიმართ, რომლის აზრითაც, თითქოს შესაძლებელი იყოს, რომ ერთი და იგივე მოტივმა შეიძლება წარმოშვას სიკეთეც და ბოროტებაც. „მოტივსა და მიზანს შორის, – წერს ბ. ვოლკოვი, –

<sup>44</sup> იხ. Хорнабуджели Б.В. Психологическая сторона вины. Тб., 1981, с. 6.

<sup>45</sup> ნაჭყებია გ. ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია. თბ., 2001, გვ. 219-220.

<sup>46</sup> იქვე, გვ. 220.

<sup>47</sup> ჩხარტიშვილი შ. ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა, თბ., 1958, გვ. 73.

არსებობს უწყვეტი კავშირი... თავის კონკრეტულ შინაარსს მოტივი იძენს მოქმედების მიზნის საშუალებით. მოტივი კონკრეტული ქცევის გარეშე არ არსებობს. მას აზრი გააჩნია გარკვეულ მოქმედებასთან კავშირში, რომლისგანაც საბოლოო ჯამში მოტივი უნდა დახასიათდეს.“<sup>48</sup>

ეს მოსაზრება დაზუსტებას მოითხოვს. მოტივაციის პროცესი მიზნის გაცნობიერებასაც გულისხმობს. სხვადასხვა მიზნის გაცნობიერება მოტივაციას და შესაბამისად მოტივსაც შინაარსობრივად და არა ფორმით ცვლის. მაგალითად, ავიღოთ ზიზლი და აუცილებელი მოგერიების ვითარება. თუ პირი თავდამსხმელს დააზიანებს თავდაცვის მიზნით, მაშინ განხორციელებული ქმედება სამართლის თვალსაზრისით მისაღებია; თუკი ზიზლი საფუძვლად დაედო თავდამსხმელის დაზიანებას იმის გამო, რომ მასთან წარსულში უსიამოვნება ჰქონდა, მაშინ ზიზლი დასაგმობია. ამიტომ უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ შინაარსობრივად ერთი და იგივე მოტივით არ შეიძლება როგორც საქებარი, ისე დასაგმობი მოქმედების განხორციელება.

შეიძლება ითქვას, რომ, ერთი მხრივ, კონკრეტული ქცევის მოტივისა და მიზნის, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ქცევის ხერხისა და საშუალების სხვადასხვა თვალსაზრისით შეფასება გაუმართლებელია, რადგან ისინი ურთიერთდაკავშირებული ცნებებია.

თანამედროვე მეცნიერების განვითარების მაღალი დონის მიუხედავად, ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი ადამიანის აქტივობის განმაპირობებელ ფაქტორთა ბუნება, სისტემა და მათი ურთიერთდამოკიდებულება. აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს მოტივაციის, მოტივის, განწყობის, მიზნისა და ნებელობითი მოქმედების ურთიერთდამოკიდებულება და განპირობებულობა. ამ საკითხების არასწორი გაგება იწვევს მოცემული ფსიქოლოგიური კატეგორიებისა თუ ცნებების გაიგივებას და ადამიანის ნებელობითი მოქმედების არასწორ ახსნას.

ფსიქოლოგიის განვითარების ისტორიას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ადამიანის მოქმედების ახსნის სამი ძირითადი მიმართულება იკვეთება. პირველ მიმართულებას აქცენტი პიროვნულ თავისებურებებზე გადააქვს. მეორე მიმართულება ცდილობს ადამიანის აქტივობის გასაღები გარე სამყაროში, შექმნილ სიტუაციაში ეძებოს. და ბოლოს, აღნიშნული საკითხისადმი მესამე მიდგომას შემრიგებლური პოზიცია უკავია და ადამიანის მოქმედების ფსიქოლოგიური არსის დასადგენად თანაბრად ეყრდნობა პიროვნულ (სუბიექტურ) და სიტუაციურ (ობიექტურ) ფაქტორთა ზემოქმედების ხარისხობრივ მაჩვენებლებს და პირველ ორ მიმართულებასთან შედარებით უფრო კონკრეტული ხასიათის დებულებებს აყალიბებს.

უდავოა ის ფაქტი, რომ ნებელობითი ქცევის განხორციელებისას შეუძლებელია უპირატესობა ადამიანის ქცევის ან შინაგან ფაქტორებს ან გარეგან ფაქტორებს მივანიჭოთ. ყოველი ადამიანი განუმეორებელია და ამიტომ ყოველი მათგანის ქცევაც

<sup>48</sup> Волков Б.С. Проблема воли и уголовная ответственность. Изд. Казанского университета, 1965, с. 76-77.

განსხვავებულია. უფრო მეტიც, ერთი და იგივე ობიექტურ სიტუაციაში ესა თუ ის ინდივიდი შეიძლება განსხვავებულად მოიქცეს. რატომ ხდება ასე? ამ კითხვაზე პასუხი ერთია: ადამიანი არაა სტატიკური არსება, იგი დინამიურია, რაც განპირობებულია სამყაროსადმი მისი შემეცნებითი და შეფასებითი დამოკიდებულების თავისუფლებით, რომელიც იწვევს მრავალგვარი მოთხოვნის, ინტერესების, განწყობის წარმოშობას, ახალი უნარების შექმნას და ა.შ.

დაბეჯითებით, შეიძლება ითქვას, რომ ფსიქოლოგიაში ყველაზე რთული ადამიანის ნებელობითი ქცევის საკითხია: თუ რატომ იქცევიან ა. და ბ. განსხვავებულად ერთი და იგივე სიტუაციაში ან რატომ იქცევიან ისინი ერთნაირად სხვადასხვა სიტუაციაში კვლავ დავის საგანს წარმოადგენს.

ამ მხრივ, საინტერესოა კ. ჰეკჰაუზენის მსჯელობა: „ძალიან გავრცელებულია ქცევის მიზეზების ახსნის სამი გზა: ვითვალისწინებთ მხოლოდ ადამიანის ინდივიდუალურ თავისებურებებს, ან მხოლოდ სიტუაციის თავისებურებებს, ან ქცევის მიზეზებს ვეძებთ პიროვნებისა და სიტუაციის ურთიერთქმედების თავისებურებებში. კ. ჰეკჰაუზენის აზრით, თანამედროვე ფსიქოლოგიისათვის ამგვარი კვლევის ყოველგვარი ხერხი სასარგებლოა, მაგრამ საკმაოდ „მეამიტურია,“ გამარტივებულია.“<sup>49</sup>

თუ როგორ ვხსნით ქცევას, ეს გარკვეულწილად დამოკიდებულია შედარების პარამეტრთა ნაირსახეობაზე. შედარება შეიძლება ვაწარმოოთ სამი განზომილებით. პირველი, ადამიანების ქცევა სხვადასხვა სიტუაციების მიხედვით; მეორე, დროის სხვადასხვა მომენტების მიხედვით; და ბოლოს, განსხვავებულ ინდივიდთა ქცევის მიხედვით. რთული სიტუაციის შეცვლისას ან დროის მიმდინარეობისას გარკვეული ქცევა მცირედ იცვლება და არსებითად განსხვავდება ანალოგიურ პირობებში სხვა ადამიანთა ქცევისაგან, მაშინ ქცევის მიზეზი მოცემული ადამიანის ინდივიდუალურ თვისებებში უნდა ვეძებოთ. ესაა ქცევის ახსნა პირველი თვალსაზრისით, რომელიც საფუძვლად უდევს პიროვნების ფსიქოლოგიას. თუკი ქცევა არსებითად იცვლება ერთი სიტუაციიდან მეორეზე გადასვლისას, თანაც იგი დროის სხვადასხვა მომენტებში სხვადასხვაგვარად გვევლინება, მაშინ – ქცევის მიზეზები სიტუაციის თვისებებში უნდა ვეძებოთ. ესაა ქცევის ახსნა მეორე თვალსაზრისით, რომელიც გაბატონებულია სოციალურ ფსიქოლოგიაში და ეფუძნება კლინიკური ფსიქოლოგიის თეორიულ სწავლებას. და ბოლოს, თუ დრმა ანალიზით მივაღწეოთ დასკვნამდე, რომ მოქმედებებს შორის განსხვავებაში, ამასთან, დროის სხვადასხვა მომენტებში, მონაწილეობს როგორც პიროვნული, ისე სიტუაციური ფაქტორები, ადგილი აქვს ქცევის ახსნას მესამე თვალსაზრისით. ამგვარი ახსნა დამახასიათებელია მოტივაციის

<sup>49</sup> Хайнц Хекхаузен, Мотивация и деятельность. Серия «Мастера психологии», 2-е издание, изд. «Питер», М., С-Петербург и т.д., 2003, с. 31; ქცევის განპირობებულობაზე იხილეთ აგრეთვე: Блэкборн Рональд. Психология криминального поведения. Серия «Мастера психологии», изд. «Питер», С-Пет., 2004, с. 34, სადაც ავტორი სვამს კითხვას: რაზეა დამოკიდებული ქცევა – ადამიანზე თუ სიტუაციაზე?

ფსიქოლოგიისათვის, აგრეთვე კოგნიტური ფსიქოლოგიისა და პიროვნების თანამედროვე კვლევისათვის.<sup>50</sup>

ვინაიდან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ ნებელობით ქცევას უკავშირდება უნდა გავაკვიროთ ნებელობითი ქცევის თავისებურება.

ადამიანის ფსიქიკის ძირითად შინაარსს განცდათა სამი განსხვავებული კლასი შეადგენს: ადამიანი ან ობიექტურ სინამდვილეს განიცდის, ე.ი. **შემეცნების** პროცესები აქვს, ან თავის სუბიექტურ მდგომარეობას განიცდის, ე.ი. გრძნობები აქვს, ანდა, დასასრულს, თავის აქტივობას განიცდის, ე.ი. **ნებელობის** პროცესები აქვს.<sup>51</sup>

ინსტინქტური და იმპულსური ქცევა ავტომატურად ხორციელდება და იგი ცხოველსაც ახასიათებს. იმპულსური ქცევა ყოველთვის ინსტინქტურია, მაგრამ არა პირიქით. იმპულსურ ქცევას ახასიათებს მყისიერობა, ხოლო იმპულსური ქცევა დროში „განგრძობადი“ ქცევაა. მაგალითად, ცხოველის მიერ საკვების მომარაგება იმპულსურია.

რ. ნათაძე სწორად მიუთითებს, რომ „ადამიანს ცხოველისაგან განსხვავებით აქტივობის ისეთი ფორმა გააჩნია, როგორცაა ნებისმიერი მოქმედების უნარი – ნებისყოფა.“<sup>52</sup>

ადამიანის საქმიანობის წარმართვისათვის მხოლოდ ინსტინქტი საკმარისი არაა. ადამიანს მის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტაში ეხმარება ცნობიერება, რომელიც საგნობრივი ვითარების ცოდნაა, გააზრებაა და მის საფუძველზე ადამიანი ახორციელებს მიზანდასახულ ქცევას.<sup>53</sup> მაშასადამე, ცნობიერება ფსიქიკური საქმიანობის, როგორც განცდის, შედეგია, მაგრამ არ არის მისი იგივეობრივი. სწორედ, ცნობიერება აძლევს ადამიანს აზროვნების საშუალებას და მის საფუძველზე იგი ახორციელებს ნებელობით ქცევას.

ამ მხრივ, სწორია ბ. ხარაზიშვილის მტკიცება, რომ ნებელობითი ქცევა აზროვნების გარეშე არ არსებობს. „თუ იმპულსური ქცევის განწყობას უშუალოდ მოთხოვნილება ქმნის, მაშინ ნებისმიერი ქცევის დროს, მოტივთან ერთად თავს იჩენს უკვე ოდესღაც დაკმაყოფილებული მოთხოვნილებით შექმნილი ფიქსირებული განწყობაც.“<sup>54</sup>

ნებისმიერი ქცევის უმნიშვნელოვანეს ნიშანს წარმოადგენს განხორციელებული ქცევის გაცნობიერება. კერძოდ, გადაწყვეტილების მიღება და მისი შესრულება შეუძლებელია იმის გარეშე, რომ ადამიანმა არ გააცნობიეროს განხორციელებული

<sup>50</sup> იხ. Хайнц Хекхаузен. დასახ. ნაშრ., გვ. 31.

<sup>51</sup> იხ. უზნაძე დ. დასახ. ნაშრ., გვ. 33.

<sup>52</sup> ნათაძე რ. დასახ. ნაშრ., გვ. 549.

<sup>53</sup> ცნობიერებისა და ინსტინქტის ნიშნებისა და მათი განსხვავების შესახებ დაწვრილებით იხ: 1) ერქომაიშვილი ვ. ფილოსოფია. გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, გამომცემლობა „კვარი“, თბ., 2002, გვ. 122-125; ცნობიერების არსის შესახებ იხ. აგრეთვე: 2) ბეჭუაია დ. საზოგადოებრივი ცნობიერების აქტუალური საკითხები. თსუ გამომცემლობა, თბ., 1990, გვ. 228.

<sup>54</sup> იხ. ხარაზიშვილი ბ. სიცრუის ფსიქოლოგია (ეთიკურ-სამართლებრივი ასპექტები), გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1975, გვ. 42.



ქცევის სოციალური საზრისი და ის შედეგები, რომლებიც შეიძლება დადგეს ამის გამო. ნებელობითი შეიძლება იყოს მხოლოდ გაცნობიერებული ქცევა.<sup>55</sup>

ვინაიდან ადამიანს შეუძლია ცნობიერად წარმართოს საკუთარი ქცევა, ეს მისი ნების თავისუფლებაზე მიანიშნებს. ნებელობითი მოქმედების განხორციელებისას კი ადამიანი წინასწარ განჭვრეტს მოსალოდნელ შედეგებს და ამის შესაბამისად ირჩევს მოქმედების მიზანს, რომლის მიღწევაც მოტივის დაკმაყოფილებას იწვევს.

ადამიანის ქცევას სხვა მოვლენებისაგან ის განასხვავებს, რომ იგი ატარებს მიზანმიმართულ, შერჩევით ხასიათს. ადამიანი ჩვეულებრივ ცდილობს შეარჩიოს ისეთი ქცევა, რომელიც შეესაბამება მის ზრახვებს და მისწრაფებებს, რასაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მისი პიროვნების სტრუქტურაში. ვინაიდან ქცევა ხორციელდება საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემაში, ამდენად პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ნებელობით პროცესში ჩადენილი ქმედების სოციალურ საზრისისა და მნიშვნელობის გაცნობიერებას. კერძოდ, თუ რამდენად შეესაბამება ეს ქცევა სამართლებრივ და ზნეობრივ მოთხოვნებს და ა.შ.<sup>56</sup>

ნებელობითი ქცევის გაცნობიერებულ ხასიათსა და მიზანმიმართულებაზე მიუთითებს თ. წერეთელიც: „ადამიანის ნებელობითი მოქმედება შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ადამიანის შეგნებული მიზანსწრაფული ზემოქმედება მის გარემომცველ ობიექტურ სამყაროზე.“<sup>57</sup>

ამრიგად, ადამიანის სპეციფიკურ თავისებურებას, რითაც იგი მკვეთრად განსხვავდება ცხოველისაგან, ის გარემოება შეადგენს, რომ წამყვან როლს მის ცხოვრებაში ცნობიერება ასრულებს. აქტუალური სიტუაციის ნიადაგზე აღმოცენებულ განწყობას არ ემორჩილება, როგორც ამას ცხოველის შემთხვევაში აქვს ადგილი. იგი წინასწარ აცნობიერებს თავის ქცევას და ამა თუ იმ აქტს მხოლოდ იმის მიხედვით მიმართავს, თუ რას მიიღებს ამ გაცნობიერების შედეგად. მოკლედ: ცხოველის განწყობას აქტუალური იმპულსის სიტუაცია ქმნის, ხოლო ადამიანის განწყობას, რომელიც მის ქცევას უღვეს საფუძვლად, გაცნობიერებული წარმოსახული სიტუაცია.<sup>58</sup>

ნებელობითი ქცევა აუცილებლად მოტივის საფუძველზე ხორციელდება, რომელიც მოტივაციის პროცესის შედეგად ყალიბდება. ამიტომ მომდევნო პარაგრაფში ასახული იქნება მოტივაციის სტრუქტურა, მოტივისა და მიზნის ბუნება, მათი ურთიერთდამოკიდებულება და განპირობებულობა.

<sup>55</sup> იხ. Волков Б.С. Мотивы преступлений (Уголовно-правовое, социально-психологическое исследование). Изд. Казанского университета, 1982, с. 20.

<sup>56</sup> იხ. იქვე, გვ. 24.

<sup>57</sup> წერეთელი თ. დანაშაულებრივი ქმედობა და მისი შედეგი. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1966, გვ. 12.

<sup>58</sup> იხ. უზნაძე დ. დასახ. ნაშრ., გვ. 91.

### § 3. მოტივაცია, მოტივი და მიზანი

სახელმწიფოში მართლწესრიგის განმტკიცებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო მართლსაწინააღმდეგო, არამედ მართლზომიერი ქცევის მოტივების შესწავლას. ადამიანის აქტიურობის შინაგანი ბუნების ახსნისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი ქცევის მოტივის დადგენას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში არ არის ერთიანი აზრი არც მოტივის ცნების და არც მისი მოტივაციის სხვა ფაქტორებთან ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. განსაკუთრებული სიმწვავეთ და არათანმიმდევრულობით გამოირჩევა ამ საკითხის შესახებ შექმნილი იურიდიული ლიტერატურა. უფრო მეტიც, როგორც აღვნიშნეთ, იქმნება ფსიქოლოგიზმის საფრთხე. ნაშრომში გაანალიზებულია მხოლოდ შედარებით გავრცელებული მოსაზრებები განსახილველი პრობლემის შესახებ, რამეთუ ხშირია ტიპური მოსაზრებები და მათი წარმოჩენა მხოლოდ ინფორმაციულ ხასიათს მიიღებს.

უეჭველია, რომ მოტივი და მოტივაცია ფსიქოლოგიური კატეგორიებია, მაგრამ ზოგჯერ არის მოტივის სისხლისსამართლებრივი ცნების შემოღების მცდელობა. მაგალითად, ი. ფილანოვსკი ფიქრობს, რომ თუკი ფსიქოლოგია გვიხსნის ადამიანის მოქმედების მამოძრავებელ ძალას ზოგადად, სისხლის სამართალმა უნდა აგვიხსნას დანაშაულებრივი ქმედების სპეციფიკური ძალები. ამით იგი იმის დამტკიცებას ცდილობს, რომ სისხლის სამართალში ფსიქოლოგიისაგან განსხვავებული მოტივის ცნება კი არ უნდა შეიქმნას, არამედ დანაშაულის სპეციფიკური ცნება უნდა შემუშავდეს.<sup>59</sup>

ბ. ხარაზიშვილი მოტივის განსაზღვრებაში მონისტური პოზიციიდან გამოდის და სწორად მიუთითებს, რომ დანაშაულის მოტივისათვის სისხლისსამართლებრივი განსაზღვრების ყოველგვარი ცდა არამეცნიერულია, რადგან ეს მხოლოდ ფსიქოლოგიური პრობლემაა. წინააღმდეგ შემთხვევაში იმდენი მოტივის ცნება იქნება, რამდენიც სამართლის დარგია.<sup>60</sup>

ბ. ვოლკოვი თავის შეხედულებას ასე ასაბუთებს: დანაშაულის მოტივის პრობლემა, უპირველეს ყოვლისა, სოციალური პრობლემაა. სისხლის სამართალში მოტივის გამოკვლევამ უნდა მოგვცეს მისი გამოვლენის სპეციფიკური ფორმები, რაც დანაშაულის ჩადენითაა განპირობებული. მოტივის ფსიქოლოგიური და სისხლისსამართლებრივი გაგების დიალექტიკა საკმაოდ მარტივია: იგი გამოხატავს ზოგადისა და კერძოს, გვარისა და სახის თანაფარდობას.<sup>61</sup> როგორც ვხედავთ, ბ. ვოლკოვიც ისევე როგორც ი. ფილანოვსკი სისხლის სამართალში მოტივის გამოვლენის სპეციფიკურობაზე მიუთითებს. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი,

<sup>59</sup> იხ. Филановский И.Г. Социально-психологические отношения субъекта к преступлению. ЛГУ, 1970, с. 41.

<sup>60</sup> იხ. Харазишвили Б. В. Вопросы мотива поведения преступника в советском праве. Гос. изд. «Цодна», Тб. 1963, с. 4-5.

<sup>61</sup> იხ. Волков Б.С. Проблема воли и уголовная ответственность. Изд. Казанского университета, 1965, с. 57.

რომ მოტივი, რომელიც ფსიქოლოგიური კატეგორიაა, ბ. ვოლკოვი მორალურ კატეგორიად მოიხსენიებს.<sup>62</sup>

ე. ლუკაშევა ეხება რა ფსიქოლოგიზმის პრობლემას, მოტივის განსაზღვრებისას ეყრდნობა ე. მიასიშევისა და ე. ასეევის მოსაზრებებს და საბოლოოდ დაასკვნის, რომ „შეუძლებელია საკუთარი მოქმედებების, სამართლებრივი ნორმების მოთხოვნებისა და მითითებებისადმი ღირებულებითი დამოკიდებულების გარეშე მოტივის ფორმირება, რომელიც სპეციფიურია სამართლებრივი სფეროსთვის.“<sup>63</sup>

თუკი ფსიქოლოგია შეისწავლის მხოლოდ ფაქტებს ყოველგვარი შეფასების გარეშე (და ეს ასეცაა), ხოლო მოტივი ფსიქოლოგიური კატეგორიაა (ამას არც არავინ უარყოფს), მაშინ შეუძლებელია მოტივის ზოგადი ცნების გვერდით არსებობდეს მოტივის კერძო ცნება, რომელშიც შეფასებითი ნიშნებიცაა შეტანილი; ეს კი მოტივის ზოგად ცნებას შეეწინააღმდეგება. ისევე როგორც სისხლის სამართალი მიზეზობრივი კავშირის სპეციალურ ცნებას არ ქმნის, არამედ ამ ფილოსოფიურ კატეგორიას იყენებს თავის მიზნებიდან გამომდინარე (თ. წერეთელი),<sup>64</sup> ასევე უნდა გამოვიყენოთ ფსიქოლოგიური კატეგორია ყოველგვარი დამახინჯების გარეშე.

სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ყველა ავტორისათვის საერთოა ის აზრი, რომ მოტივი მოთხოვნილებითა და ინტერესით განპირობებული მამოძრავებელი ძალაა (ლათ. სიტყვიდან **moveo** – ვამოძრავებ), რომელიც ადამიანს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების მიზეზად გვევლინება, ხოლო მიზანი – ის აზრობრივი მოდელია რისი მიღწევაც პირს სურს დანაშაულის ჩადენით; თუკი მოტივი პასუხობს კითხვაზე რატომ ჩაიდინა პირმა დანაშაული, მიზანი პასუხობს კითხვაზე – რისკენ მიისწრაფვოდა დამნაშავე.<sup>65</sup>

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ მოტივაცია, მოტივი და მიზანი მატერიალურად არსებული, ასე ვთქვათ, ჩვენი გრძნობის ორგანოებით აღქმადი მოვლენები არაა. ისინი პირობითი არსის მქონენი არიან, რომელიც ჩვენი აზროვნების დამხმარე კონსტრუქტებად გვევლინებიან, ანუ ემპირიზმის ენაზე რომ ვთქვათ, ისინი ჰიპოთეტური კონსტრუქტებია. სწორედ ამიტომაც, რომ პ. ჰეკსაუზენი ამბობს: “მოტივი ცნება კი არაა, რომელიც რაიმეს აღწერს, არამედ ისეთი ცნებაა, რომელიც მოწოდებულია რაიმე ახსნას... გარკვეულ მოტივს შეესაბამება ცალკეულ პარამეტრთა

<sup>62</sup> იხ. Волков Б.С. Мотивы преступлений (Уголовно-правовое, социально-психологическое исследование). Изд. Казанского университета, 1982, с. 13.

<sup>63</sup> Лукашева Е.А. Мотивы поведения человека в правовой сфере. Журнал «Советское государство и право», 1972, с. 24.

<sup>64</sup> იხ. წერეთელი თ., ტყეშელაძე გ. მოძღვრება დანაშაულზე, თბ., 1969, გვ. 260-261.

<sup>65</sup> იხ: 1) სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. ავტორთა კოლექტივი, რედაქტორები: გ. ტყეშელაძე, გ. ნაჭყებია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004, გვ. 137; 2) Курс уголовного права. Учебник для вузов. В пяти томах. Под редакцией проф. Н. Ф. Кузнецовой, доц. И.М. Тяжковой. Том 1, общая часть, учение о преступлении. Изд. «Зерцало-М», М., 2002, с.345-346; 3) Наумов А.В. Уголовное право. Общая часть, изд. «Бек», М., с.229-230; 4) Уголовное право. Общая часть, издание третье, измененное и дополненное, изд. «Норма», М., 2001, с. 202-205 და სხვ.

მთელი სიმრავლე. მაგრამ მოტივი ყოველთვის რჩება ე.წ. „ჰიპოთეტურ კონსტრუქტად,“ ე.ი. რაღაცით მოაზრებული და არა უშუალოდ დაკვირვებას დაქვემდებარებული.“<sup>66</sup>

ნებელობითი მოქმედების პრაქტიკულ განხორციელებას ყოველთვის წინ უსწრებს მოტივაციის პროცესი, რომლის დროსაც სუბიექტი იდეალურად, აზრობრივად მოქმედებს, აწონ-დაწონის ობიექტურ ფაქტორებს (სიტუაცია, მოთხოვნილების საგანი, სოციალური ქცევის ნორმები, საზოგადოებრივი ინტერესები და ღირებულებებითი ორიენტაციები და სხვ.) სუბიექტურ ფაქტორებთან (მოთხოვნილებები, ინტერესები, ღირებულებებითი ორიენტაციები, ადრე მიღებული გამოცდილებები, განწყობები და სხვ.) მიმართებით და მხოლოდ ამის შემდეგ იწყება ქცევის მეორე საფეხური, რომელიც მიღებული გადაწყვეტილების ანუ ჩამოყალიბებული მოტივის გარესამყაროში რეალიზაციას გულისხმობს. თუკი ამ პროცესში რაიმე გაუთვალისწინებელი ფაქტორი იჩენს თავს, კვლავ ახალი მოტივაციის პროცესი წარმოიშობა.

მოტივაციის პროცესში მონაწილეობას შეიძლება იღებდეს წინათ ჩამოყალიბებული მოტივები და განწყობები, მაგრამ აქ უკვე ისინი მოტივაციის ფაქტორებად გვევლინებიან. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მოქმედებას სხვა ფაქტორებისაგან დამოუკიდებლად გამოიწვევენ. ამ მხრივ, სწორია დ. კიკნაძე, რომელიც საკითხისადმი სხვაგვარ მიდგომას იმ მეცნიერთა მცდარი მოსაზრების მიზეზად ასახელებს, რომლებიც შესაძლებლად მიიჩნევენ რამოდენიმე მოტივით ერთი მოქმედების განხორციელებას.<sup>67</sup> ამ საკითხს ჩვენ დაწვრილებით შევხებით ე.წ. „მოტივთა კონკურენციის“ აბსურდულობის შესახებ შემდგომ პარაგრაფში.

ნებელობითი მოქმედებისას, ისევე როგორც იმპულსურისას, სუბიექტურ ფაქტორთაგან პირველი წყარო არის მოთხოვნილება. ადამიანის მოთხოვნილება ჩნდება დისჰარმონიულობით, ფიზიკური და სულიერი ცვლილებებით. ცხოველისაგან განსხვავებით ადამიანს ბუნებრივ მოთხოვნილებებთან ერთად აქვს სოციალური მოთხოვნილებებიც.<sup>68</sup> მოთხოვნილებას მოქმედების საწყის წყაროდ ასახელებს ს. რუბინშტეინი და იქვე მიუთითებს, რომ „ადამინისათვის მოთხოვნილების ქონა მეტყველებს იმაზე, რომ იგი განიცდის საჭიროებას რამეში, რაც მასში არ არის და არსებობს გარე საგნებში ან სხვა ადამიანში.“<sup>69</sup> მსგავს აზრს გამოთქვამს დ. უზნაძეც: „მოთხოვნილება აქტიობის წყაროა: იქ, სადაც არავითარი მოთხოვნილება არ არსებობს, იქ არც აქტიობაზე შეიძლება ლაპარაკი.“<sup>70</sup>

<sup>66</sup> Хайнц Хекхаузен, დასახ. ნაშრ., გვ. 38-39.

<sup>67</sup> იხ. კიკნაძე დ. დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის სისტემური გაგებისათვის. ეურნალი „ალმანახი,“ სპეც. გამოშვება: სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის პრობლემები, 2000, №13, გვ. 126.

<sup>68</sup> იხ. Кикнадзе Д.А. Система факторов действия и развития личности. Изд. «сабчота сакартвелო», Тб., 1982, с. 15-16.

<sup>69</sup> Рубинштейн С.Л. Основы общей психологии. Серия «Мастера психологии», изд. «Питер», Санкт-Петербург, 2002, с. 522.

<sup>70</sup> უზნაძე დ. დასახ. ნაშრ., გვ. 163.

„მოთხოვნილება შინაგანი არსია, რომელიც დამახასიათებელია ყოველი მოცემული ინდივიდისათვის და მისი ქცევის მოტივის საფუძველთა საფუძველია.“<sup>71</sup>

მოთხოვნილების წარმოშობის შემდეგ ადამიანს უჩნდება ინტერესი. შეიძლება ითქვას, რომ ინტერესის წარმოშობის შემდეგ უკვე იწყება ადამიანის აზრობრივი მუშაობა, რომელიც მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მიზნისა და მისი მიღწევის საშუალებებისა და ხერხების შერჩევის საწყისი ეტაპია. ამ მხრივ, საინტერესოდ მსჯელობს დ. კიკნაძე: „ინტერესი განპირობებულია მოთხოვნილებით. მათ შორის არსებითი განსხვავება ისაა, რომ ინტერესი არის მოტივაცია გავლილი მოთხოვნილება, მაგრამ დაუკმაყოფილებელი და ადამიანში შემონახული, რომელიც მომავალში დაკმაყოფილებისკენაა მიმართული. მოთხოვნილების საგანი ირიბად, მოთხოვნილების გავლით, ხდება ინტერესის საგანი. ხოლო ინტერესის უშუალო საგანი არის მოთხოვნილება და მისი დაკმაყოფილების საშუალება. მოთხოვნილება არსებობს ინტერესისაგან დამოუკიდებლად, ხოლო ინტერესი არ შეიძლება არსებობდეს მოთხოვნილებისაგან დამოუკიდებლად.“<sup>72</sup>

ბ. ზემცოვის აზრით, ინტერესი არის ობიექტთან პიროვნების დადებითი მნიშვნელობის მქონე ურთიერთობა და გვიჩვენებს ინდივიდის სწრაფვას.<sup>73</sup>

სწორედ ინტერესის წარმოშობის შემდეგ იწყება შეფასებითი მსჯელობა, რომელიც ინდივიდის ღირებულებითი სისტემისა და საზოგადოებრივი აზრის, სოციალურ-სამართლებრივი ნორმების ერთდროულად განსჯას გულისხმობს. „მოტივაციაში მოცემული ფაქტორები და თვით სამომავლო მოქმედება შეფასებას იღებს მათი სუბიექტური შეფასების საფუძველზე. ამ მომენტების ობიექტური ღირებულება სუბიექტის ღირებულებით ორიენტაციათა სისტემაში გარდატყდება და თუ რომელ სუბიექტურ შეფასებას მიიღებენ ისინი როგორც მოტივაციის ფაქტორები, დამოკიდებულია ამ ფაქტორთა ობიექტური ღირებულებებისადმი სუბიექტურ დამოკიდებულებაზე.“<sup>74</sup>

მართალია, მოტივი და მიზანი კორელატიური ცნებებია,<sup>75</sup> მაგრამ ისინი ერთმანეთზე არ დაიყვანება ან ერთი მეორეზე არ გადავა, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს.<sup>76</sup> მოტივაციის პროცესში ანუ მოტივის ჩამოყალიბებაში მიზანი მონაწილეობას იღებს, როგორც ერთ-ერთი ფაქტორი და რაც მთავარია მოტივისაგან განსხვავებით მიზნის ფორმირებაში ინტელექტუალური სფერო ერთვება, რომელიც აუცილებლად

<sup>71</sup> Кикнадзе Д.А. Потребности, поведение, воспитание. М., 1968, с.68.

<sup>72</sup> Кикнадзе Д.А. Система факторов действия и развития личности. Изд. «сабчота საქართველო», Тб., 1982, с. 57-58.

<sup>73</sup> იხ. Земцов И.Г. Социальные механизмы мотивации поведения личности. М., 1971, с. 162-163.

<sup>74</sup> Кикнадзе Д.А. Система факторов действия и развития личности. Изд. «сабчота საქართველო», Тб., 1982, с. 149-150.

<sup>75</sup> იხ. Таганцев Н. С., Русское уголовное право. Часть общая, том I, (полное переиздание), изд. «Автограф», Тула, 2001, с. 465-466.

<sup>76</sup> იხ. Леонтьев А.Н. Проблемы развития психики. М., 1959, с. 301; Земцов И.Г. დასახ. ნაშრ. გვ. 113. ამ საკითხზე სწორად მსჯელობს ნ. ტაგანცევი: იხ. დასახ. ნაშრ. გვ. 465-456.

გულისხმობს სუბიექტის შეფასებით მსჯელობას. ცნობილია, რომ მიზნის დასახვა მისი მიღწევის საშუალებისა და ხერხის განსაზღვრის გარეშე შეუძლებელია, რაც აუცილებლად გულისხმობს მოთხოვნილების საგნისადმი ღირებულებითი დამოკიდებულებისათვის ანგარიშის გაწევას. სწორად შენიშნავს დ. ბეჭკაია, რომ „ღირებულება შეფასებაში გამოითქმის. როდესაც სუბიექტი საგანს აფასებს, იგი გარკვეულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს საგნისადმი (ხაზგასმა ჩემია – ი.დ.).“<sup>77</sup> ეს მომენტი ასევე სწორადაა შენიშნული სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაშიც (მაგ: გ. ნაჭყებია).<sup>78</sup>

ღირებულება მნიშვნელობს მხოლოდ სუბიექტისთვის და ღირებულება არის იქ, სადაც არის სუბიექტი.<sup>79</sup> „ღირებულება – ეს არის მნიშვნელობა, რომელზეც დამყარებულია შეფასება. ღირებულება არაა შეფასება, არც საგანი (ან მისი თვისება), რომელიც ფასდება; ღირებულება არის სოციალურად ჩამოყალიბებული გარკვეული იდეალური საფუძველი შეფასებისა და ორიენტაციისა.“<sup>80</sup>

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ მიზანი არის ადამიანის შეფასებითი მსჯელობის შედეგად ჩამოყალიბებული მისაღწევი აზრობრივი, იდეალური შედეგი, რომელმაც მოტივის დაკმაყოფილება უნდა გამოიწვიოს.

მოტივი და მიზანი არავითარ შემთხვევაში არ წარმოიშობა თუ არსებულ სიტუაციასთან ერთად პიროვნებას შესაბამისი სუბიექტური შესაძლებლობები, უნარები არ გააჩნია. ამ უკანასკნელთა გარეშე შეიძლება ვისაუბროთ პიროვნების არარეალურ მისწრაფებებზე, სურვილებზე და არა მოტივსა და მიზანზე.

ნებელობითი მოქმედების განხორციელებისათვის საჭირო გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია მზაობა, რასაც დ. უხნაძე განწყობას უწოდებს. განწყობას არც მარტო მოთხოვნილების მდგომარეობა ქმნის თავისთავად და არც მარტო ობიექტური სიტუაცია. იმისათვის, რომ განწყობა გაჩნდეს, მოთხოვნილება თავისი დაკმაყოფილების პირობების შემცველ ობიექტურ სიტუაციას უნდა შეხვდეს.<sup>81</sup>

საინტერესოა და არ შეიძლება არ დავეთანხმოთ დ. კიკნაძეს იმაში, რომ ნებელობითი მოქმედების პრაქტიკული განხორციელება შეუძლებელია თუ სუბიექტის ქცევას თან არ ახლავს შესაბამისი რწმენა. მისი აზრით, „რწმენა არის რაიმეს შესახებ მოტივაციის შედეგად ჩამოყალიბებული აზრის ჭეშმარიტების შინაგანი განცდა

<sup>77</sup> ბეჭკაია დ. დასახ. ნაშრ., გვ. 228.

<sup>78</sup> იხ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. ავტორთა კოლექტივი, რედაქტორები: გ. ტყეშელაძე, გ. ნაჭყებია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004, გვ. 189.

<sup>79</sup> იხ. Чавчавадзе Н. Культура и ценности. Тб., 1984, с. 128.

<sup>80</sup> სოციოლოგიური ნარკვევები. ვ. ქვაჩხია, შ. ნადირაშვილი, დ. ბეჭკაია, ვ. ჭელიძე. ღირებულება და განწყობა. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1969, გვ. 57.

<sup>81</sup> იხ. უხნაძე დ. დასახ. ნაშრ., გვ. 95.

და შესაბამისი პრაქტიკული დამოკიდებულება, მოქმედების განწყობა.“<sup>82</sup>

წარმოშობის მიხედვით, დ. კიკნაძე განასხვავებს რწმენის სამ სახეს: „პრიმიტიული, ავტორიტარული და შეგნებული რწმენა. მათ შორის, პრიმიტიული რწმენა ყოველდღიური ცხოვრებისეული პრაქტიკის საფუძველზე ყალიბდება. ავტორიტარულ რწმენას ვინმეს – მაგალითად, ღმერთის, პატიოსანი და მართალი ადამიანის, დიდი მეცნიერის, ცნობილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის და ა.შ. ავტორიტეტი წარმოშობს. შეგნებული რწმენა კი, რაიმეს შესახებ მხოლოდ დასაბუთებული ცოდნის შეგნების და მისი ჭეშმარიტების განცდის საფუძველზე წარმოიშობა.“<sup>83</sup> საყურადღებოა, რომ შემდგომ ნაშრომში დ. კიკნაძე შეგნებული რწმენის ნაცვლად ასახელებს მეცნიერულ რწმენას,<sup>84</sup> რაც უფრო მისაღებია, რადგან პრიმიტიული და ავტორიტარული რწმენაც შეგნებულია. ამასთან, მეცნიერების ამა თუ იმ სფეროში არსებული მიღწევები და მოსაზრებები, მართლაც იწვევს ადამიანში გარკვეულ რწმენას, რადგან, უმეტეს შემთხვევებში, ისინი პრაქტიკულადაც მტკიცდება.

დ. კიკნაძემ წამოყენებული დებულება შემდგომ ნაშრომებშიც განავითარა და მივიდა დასკვნამდე, რომ „ყოველ კონკრეტულ ვითარებაში ამ და არა სხვა მოქმედების აუცილებლობის შინაგანი რწმენა ნებისმიერი მოქმედების მოტივის არსებითი ნიშანია. მის საფუძველზე მიიღება პრაქტიკული მოქმედების გადაწყვეტილება და ყალიბდება შესაბამისი განწყობა, რითაც მთავრდება მოტივაციის პროცესი. მთელი ამ პროცესის საბოლოო შედეგია მოტივირებული მოქმედების განწყობის ჩამოყალიბება, რაც, თავის მხრივ, გათვალისწინებულ ვითარებაში პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნილებას წარმოშობს და უშუალოდ განიცდის რეალიზაციას გარე სამყაროზე მიმართული მოქმედების სახით.“<sup>85</sup>

მართებულად მიუთითებს ჰ. ჰეკჰაუზენი, რომ „მოტივაციური“ საკითხები მიმართულია გაარკვიოს თუ რა მიზნით ასრულებს მავანი და მავანი მოქმედებას. **მოტივაცია** არის რომელიმე მიზანზე აქტუალური მიმართულება, მოტივაციური ტენდენცია, რომლის ასახსნელად აუცილებელია ყურადღება მიექცეს ერთდროულად სიტუაციურ და პიროვნულ ფაქტორებს.<sup>86</sup>

მოტივაციის შემდეგ ყალიბდება **მოტივი**, რომელიც ნებელობითი ქცევის პრაქტიკულად განხორციელების გადაწყვეტილებაა და იგი მანამდე იარსებებს, ვიდრე მოტივაციის ისეთი სუბიექტური ან ობიექტური ფაქტორი არ გამოჩნდება, რომელიც მიზნის მიღწევას ეჭვქვეშ დააყენებს.

<sup>82</sup> კიკნაძე დ. სამართლის ცოდნა და მართლშეგნება. ჟურნალი „მაცნე“, სამართლის სერია, 1998, №1, გვ. 88.

<sup>83</sup> კიკნაძე დ. სამართლის ცოდნა და მართლშეგნება. ჟურნალი „მაცნე“, სამართლის სერია, 1993, №2, გვ. 9.

<sup>84</sup> იხ. კიკნაძე დ. სამართლის ცოდნა და მართლშეგნება. ჟურნალი „მაცნე“, სამართლის სერია, 1998, №1, გვ. 85.

<sup>85</sup> კიკნაძე დ. დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის სისტემატური გაგებისათვის. ჟურნალი „ალმანახი“, სპეც. გამოშვება: სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის პრობლემები, 2000, №13,128.

<sup>86</sup> იხ. Хайнц Хекхаузен, დასახ. ნაშრ., გვ. 26-28.

ზემოთ აღინიშნა და აქ მოკლედ უნდა გაანალიზდეს ბ. ხარაზიშვილის მცდელობა „დანაშაულის მოტივის“ ნაცვლად დაამკვიდროს ტერმინი „დამნაშავის ქცევის მოტივი.“<sup>87</sup> ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს დებულება, რომ დანაშაული არაა ნებელობითი ქცევა, ხოლო რადგან მოტივი მხოლოდ ქცევას შეიძლება ჰქონდეს და დანაშაული ქცევა არაა, ამიტომ არც დანაშაულის მოტივზე შეიძლება საუბარი. მაგრამ საკითხის ამგვარი გადაჭრა გარკვეულ ეჭვს ბადებს. ჯერ ერთი, თუ ასე „მკაცრად“ ვიცავთ სისხლის სამართალს სხვა მეცნიერების გავლენისაგან, მაშინ არც დამნაშავეა სისხლისსამართლებრივი ცნება. მეორე, მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად ფასდება მთლიანად ქცევა, რომელშიც მოტივიც იგულისხმება და რატომ არ შეიძლება ვისაუბროთ უკვე შეფასებული ქცევის ანუ დანაშაულის მოტივზე. და ბოლოს, „დამნაშავის ქცევის მოტივის“ ხმარება პრაქტიკული თვალსაზრისითაც მოუხერხებელია. მაგალითად, მკვლელობა დანაშაულია. ბ. ხარაზიშვილის წამოყენებული დებულების მიხედვით მკვლელობის მოტივის ნაცვლად უნდა ვთქვათ მკვლელის ქცევის მოტივი, რაც არც თუ ისე წარმატებული მოსაზრებაა. უფრო მეტიც, ცნობილია, რომ სისხლის სამართალი ზოგჯერ ტერმინებს პირობითად ხმარობს. მაგალითად, როდესაც ვსაუბრობთ დამნაშავის შეპყრობაზე, აქ ხომ იურიდიული გაგებით არ გვყავს დამნაშავე, რადგან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი არ შესულა ძალაში.

ცნობილია, რომ ყოველ ქცევას ერთი მოტივი გააჩნია. თუკი დანაშაული მოტივისა და მიზნის განხორციელების ხერხია, მაშინ ლოგიკურია თუ ვიტყვით, რომ უმოტივო დანაშაულიც არ არსებობს. სწორედ ამიტომაც, რომ ერთგვაროვანი მოტივით შეიძლება სხვადასხვა დანაშაული განხორციელდეს. ამ მხრივ, აღსანიშნავია გ. ნაჭყებიას მოსაზრება, რომ „შესაძლებელია ერთი და იგივე მოტივით თვისებრივად სხვადასხვა დანაშაულის ჩადენა.“ მაგალითად, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა და ა.შ. არის ანგარებითი მოტივის განხორციელების ხერხები; მკვლელობა, ჯანმრთელობის დაზიანებები, ცეცხლის წაკიდება და სხვ. – შურისძიების განხორციელების ხერხებია და ა.შ.<sup>88</sup> აქ, ბუნებრივია, ერთი და იგივე მოტივში იგულისხმება მსგავსი და არა სრულიად იდენტური მოტივი, რადგან ყოველი დანაშაული მისი განხორციელების სპეციფიკიდან გამომდინარე გარკვეულწილად ცვლის მოტივაციის ფაქტორებს.

<sup>87</sup> იხ. Харазишвили Б. В. Вопросы мотива поведения преступника в советском праве. Гос. изд. «Цодна», Тб. 1963, с. 72.

<sup>88</sup> იხ. Начкевия Г.И. Психологизм и нормативизм в науке уголовного права. Изд. «Меридиани», Тб, 2000, с. 17.



#### § 4. არჩევანის პრობლემა მოტივაციის ფაქტორთა სიმრავლეში

ფსიქოლოგიურ და იურიდიულ ლიტერატურაში ვხვდებით მოსაზრებას ე.წ. „მოტივთა კონკურენციის“ ანუ „მოტივთა ბრძოლის“ შესახებ. „ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში საკითხი „მოტივთა კონკურენციის“ შესახებ განიხილება მე-19 საუკუნის დასასრულიდან. ვ. ვუნდტი (1897) მოტივთა ბრძოლას უკავშირებს არჩევანის პროცესს, ხოლო ვ. შტერნი (1900) – ადამიანის სიმტკიცის გამოვლინებას.“<sup>89</sup> ამის მიზეზი ნებელობითი ქცევის, მოტივაციის არსის არასწორი გაგების შედეგია.

მეცნიერებაში ერთ-ერთ რთულ პრობლემას ცნების შინაარსის განსაზღვრა წარმოადგენს. ამ მხრივ, დიდ დავას იწვევს მოტივის ცნების ჩამოყალიბება. თუკი მოტივს გავიგებთ როგორც ფსიქოლოგიურ გადაწყვეტილებას მოქმედების პრაქტიკულად განხორციელების შესახებ, მაშინ ე.წ. „მოტივთა კონკურენცია“ ეჭვის ქვეშ დგება. თუკი მოტივს გავიგებთ როგორც მოქმედების პრაქტიკულად განხორციელების ერთ-ერთი ფაქტორს, მაშინ მის გვერდით სხვა მოტივებიც შეიძლება არსებობდეს და „მოტივთა კონკურენციას“ შეიძლება ადგილი ჰქონდეს. რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი შეხედულება ჩვენთვის მიუღებელია იმდენად, რამდენადაც შეიძლება ვისაუბროთ მოტივაციის ფაქტორთა და არა მოტივთა კონკურენციის შესახებ.

ბ. ვოლკოვიც ვერ ასცდა „მოტივთა კონკურენციის“ პრობლემას. საკითხის ასეთი ფორმით დასმა თავიდანვე განწირულია, რადგან შეიძლება ვისაუბროთ მოტივაციის ფაქტორთა და არა მოტივთა კონკურენციაზე. მისი აზრით, შერეულ მოტივებს შორის უნდა განვასხვავოთ მთავარი, ძირითადი მოტივები, რომლებიც განსაზღვრავენ ქცევის სუბიექტურ არსს და მეორეხარისხოვანი, არაძირითადი მოტივები, რომლებიც თითქოს უბიძგებს უკვე მზა განზრახვას შესრულებისკენ. დანაშაულის კვალიფიკაციისას უპირატესობა დომინირებულ, ძირითად მოტივს უნდა მიენიჭოს.<sup>90</sup>

უფრო გვიანდელ ნაშრომში ბ. ვოლკოვიც მიუთითებს, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის გადაწყვეტილებას ყველაზე ხშირად თან ახლავს არა ერთი, არამედ რამოდენიმე განზრახვა, შერეული მოტივები, რომელსაც გარკვეულწილად შეუძლია შეავსოს, ზოგიერთ შემთხვევაში კი სახე უცვალოს ძირითად მოტივს, გააძლიეროს მისი განზრახვითი მნიშვნელობა.<sup>91</sup>

ერთი ქცევის განხორციელებას ყოველთვის საფუძვლად უდევს ერთი მოტივი. დანაშაულიც ხომ ნებელობითი ქცევის საფუძველზე ხორციელდება. ამიტომ, ლოგიკურია თუ ვიტყვით, რომ ერთი დანაშაულის განხორციელება მხოლოდ ერთი მოტივით

<sup>89</sup> იხ. Ильин Е.П. Мотивация и мотивы. Серия «Мастера психологии», Изд. «Питер», М., 2003, с. 135.

<sup>90</sup> იხ. Волков Б.С. Мотив и квалификация преступления. Изд. Казанского университета, 1968, с. 17-21.

<sup>91</sup> იხ. Волков Б.С. Мотивы преступлений (Уголовно-правовое, социально-психологическое исследование). Изд. Казанского университета, 1982, с. 9.

შეიძლება. ამ მხრივ, საყურადღებოა დ. უზნაძის შეხედულება, რომლის თანახმადაც, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით რამდენი მოტივიცაა, იმდენი ქცევაა. შესაძლებელია სხვა მოტივით ფიზიკურად იგივე ქცევა განხორციელდეს, რომელიც უარყოფილი იყო, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ უარყოფილი ქცევა განხორციელდა ან გადაწყვეტილება შეიცვალა. ამ შემთხვევაში ახალმა მოტივმა ახალი ქცევის განხორციელება გამოიწვია. ამიტომ „არსებითად მოტივთა ბრძოლის შესახებ ლაპარაკი სრულიად დაუსაბუთებელია. ერთიდაიმავე ქცევის pro და contra მოტივთა შეხლა-შემოხლა, ან აწონ-დაწონა არ არსებობს; არ არსებობს იმიტომ, რომ თვითონ ქცევა არ არის ერთი, რომელსაც სხვადასხვა მოტივი შეიძლება ჰქონდეს.“<sup>92</sup>

ბ. ვოლკოვის მტკიცება არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს, როდესაც იგი წერს, თითქოს მოტივებს, რომლებითაც ხელმძღვანელობდა პირი დანაშაულის ჩადენისას არ შეიძლება ჰქონდეს ერთნაირი მნიშვნელობა ქმედების კვალიფიკაციისას და აღნიშნულ მოტივებს შორის უნდა განვასხვაოთ ძირითადი, მთავარი მოტივები, რომლებიც განსაზღვრავს ჩადენილი მოქმედების აზრს და შინაარსს და მეორეხარისხოვანი, გვერდითი მოტივები.<sup>93</sup> აქ ერთმანეთშია გაიგივებული მოტივაციის ფაქტორები და თვით მოტივი, რომელიც მოტივაციის შემადგენელი ფაქტორებისაგან აიგება. ცხოვრებაში სრულიად შესაძლებელია ნებელობითი ქცევის განხორციელებისას და, მათ შორის, დანაშაულის ჩადენისას მოტივი ეფუძნებოდეს რამოდენიმე დამოუკიდებელ ფაქტორს. მაგალითად, მავანი და მავანისათვის სრულიად შესაძლებელია რელიგიური მრწამსი ან მატერიალური დაინტერესება ცალ-ცალკე აღებული არ იყოს საკმარისი იმისათვის, რომ მან მიიღოს კაცის მოკვლის გადაწყვეტილება, მაგრამ ორივე ერთად აღებული სრულიად საკმარისი აღმოჩნდეს ამგვარი დანაშაულის ჩასადენად.

მტკიცება იმის შესახებ, რომ კვალიფიკაციისას „ძირითად მოტივს აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციისას“,<sup>94</sup> საფუძველს მოკლებულია, რადგან არ არსებობს ძირითადი და მეორე ხარისხოვანი მოტივები. როგორც უკვე აღინიშნა ბ. ვოლკოვს არასწორად ესმის მოტივაციის პროცესი, რომელიც სხვადასხვა ფაქტორებისგან შედგება და სწორედ ამ ფაქტორთა შორის შეიძლება იყოს ძლიერი და სუსტი ფაქტორები და არა მოტივები. არც ისაა გამორიცხული, რომ ეს ფაქტორები თანაბარი სიძლიერის იყოს. ასეთ ვითარებაში ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისას და სასჯელის დანიშვნისას, თუ ამგვარი ფაქტორები დამამძიმებელ ან შემამსუბუქებელ გარემოებებად გვევლინება, აუცილებელია მათზე იყოს მითითება.

როგორც ირკვევა მრავალი სხვა მეცნიერი ვერ გაექცა იმ მცდარ მოსაზრებას, რომ არსებობს „მოტივთა კუნკურენცია.“

<sup>92</sup> უზნაძე დ. დასახ. ნაშრ., გვ. 210.

<sup>93</sup> იხ. Волков Б.С. Мотивы преступлений (Уголовно-правовое, социально-психологическое исследование). Изд. Казанского университета, 1982, с. 84-85.

<sup>94</sup> იქვე, გვ. 86.

მაგალითად, ბ. პეტელინი,<sup>95</sup> ბ. უტევსკი და სხვ. ბ. უტევსკი მოტივირებულად თვლის როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებელ დანაშაულებსაც. „დანაშაულებრივი თვითიმედოვნების დროს მოქმედების შესრულების გადაწყვეტილება, რასაც თან ერთვის დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილების მოუფიქრებელი იმედი, რომელიმე მოტივიდან (სურვილიდან, გრძნობიდან) გამომდინარეობს. მაგრამ დაუდევრობის შემთხვევაშიც დანაშაულებრივი მოქმედების განხორციელებისას ხელმძღვანელობს რაიმე მოტივით – სამუშაოს სწრაფად დამთავრება, თავისი სიმარჯვის გამოჩენა და ა.შ. დაუდევრად მოქმედის ფსიქიკაში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს **მოტივების ბრძოლას** (ხაზგასმა ჩემია – ი.დ.). მაგალითად, ხუმრობის დროს: დაუყოვნებლივ დამიზნების და გასროლის სურვილს და მოსახრებას თოფის შემოწმების შესახებ – დატენილია თუ არა, იმარჯვებს პირველი და გასროლით სიცოცხლე ესპობა დაზარალებულს.“<sup>96</sup>

ბ. უტევსკის შეცდომაა ის, რომ იგი მოტივაციის ფაქტორთა ბრძოლას მოტივთა ბრძოლას უწოდებს. ამ თვალსაზრისით უნდა გაეკრიტიკებინა ალ. ვაჩიშვილს ბ. უტევსკი და არა იმ კუთხით, თითქოს დაუდევრობის შემთხვევაში ჩვეულებრივ მოტივების ბრძოლას (როგორც აღინიშნა, მართებულია მოტივაციის ფაქტორთა ბრძოლა. შენიშვნა ჩემია. – ი.დ.) ვერ ვხვდებით, რადგან დანაშაულებს დაუდევრობით დანაშაულის ჩადენისას არა აქვს გათვალისწინებული თავისი მოქმედების მავნე შედეგები.<sup>97</sup>

მართებულად შენიშნავს დ. კიკნაძე, რომ „მოტივაციის პროცესში მისი აღმძვრელი მოთხოვნილების გარდა, სხვა მოქმედებათა მოთხოვნილებები, ინტერესები, მიზნები, მოტივები, განწყობები და სხვა მონაწილეობენ არა როგორც მოტივები, არამედ როგორც მოტივაციის ფაქტორები (ხაზგასმა ჩემია – ი.დ.). სხვაგვარი მიდგომა მეცნიერებს დღემდე აფიქრებინებს, რომ ამა თუ იმ გადაწყვეტილებასა და მოქმედებას რამდენიმე მოტივი ედოს საფუძვლად, რაც მცდარი მეცნიერული მიდგომაა.“<sup>98</sup>

ალ. ვაჩიშვილი „მოტივთა ბრძოლას“ ასე წარმოგიდგენს: – „... ნებიყოფის ანალიზის შედეგად ვლდებულობთ შემდეგ საფეხურებს: **მოტივების ბრძოლას**, უკეთუ ადგილი აქვს სხვადასხვა სურვილების კონფლიქტს; გადაწყვეტილების მიღებას და გადაწყვეტილების შესრულებას.“<sup>99</sup> იგი იქვე განაგრძობს, რომ ხშირად მოქმედების შესრულებამდე „... მოტივი ხვდება სხვა, საწინააღმდეგო მოტივებს, რაც იწვევს **მოტივების ბრძოლას** (ხაზგასმა ჩემია – ი.დ.), მოფიქრებას, მოტივების აწონ-დაწონას, შეფასებას და მხოლოდ ამ ბრძოლის შემდეგ, რომლსაც ზოგჯერ აქვს მეტად მწვავე ხასიათი

<sup>95</sup> იხ. Петелин Б. Я. Мотивация преступного поведения. Журнал «Советское государство и право», 1980, №4, с. 111.

<sup>96</sup> Утевский Б.С. Вина в советском уголовном праве. М., 1950, с. 149.

<sup>97</sup> იხ. ვაჩიშვილი ალ. დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში. თბ., 1957, გვ. 18.

<sup>98</sup> კიკნაძე დ. დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის სისტემური გაგებისათვის. ჟურნალი „აღმანახი“, სპეც. გამოშვება: სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის პრობლემები, 2000, №13, გვ. 126.

<sup>99</sup> ვაჩიშვილი ალ. დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში. თბ., 1957, გვ. 30.

და დაკავშირებულია მძიმე განცდებთან, ადამიანი ღებულობს გადაწყვეტილებას, რომელიც უხსნის გზას ნებისყოფის საბოლოო მომენტს და გადაწყვეტილება მოიყვანება სისრულეში.“<sup>100</sup>

მოტივაციის პროცესში, რომ მოტივაციის ფაქტორთა და არა მოტივთა ბრძოლას რომ აქვს ადგილი ეს თვით ალ. ვაჩეიშვილის სიტყვებიდანაც ნათლად ჩანს, როდესაც იგი მოტივთა ბრძოლის საფუძველად „სურვილების კონფლიქტს“ ასახელებს.

„მოტივის წარმოშობას, – წერს დ. კიკნაძე, – საფუძველად უდევს სხვადასხვა მოთხოვნილებების, ინტერესების, მისწრაფებების, ინდივიდში ადრე ჩამოყალიბებული სხვა მოქმედებათა მიზნების, მოტივების, განწყობისა და დამოკიდებულებების ურთიერთშეპირისპირება, ურთიერთზემოქმედება და თანამოქმედება. ისინი, ვინც მოტივაციაში მონაწილე აღნიშნულ ფაქტორებს აიგივებენ მოტივებთან, ამ ეტაპს უწოდებენ მოტივების ბრძოლის ეტაპს. სინამდვილეში კი ადგილი აქვს არა მოტივების, არამედ მოტივაციის ფაქტორების ბრძოლას, შეპირისპირებას, ურთიერთზემოქმედებასა და თანამოქმედებას მოცემულ ვითარებაში სუბიექტისათვის ყველაზე მიზანშეწონილი და გამართლებული მოქმედების გარკვევისათვის.“<sup>101</sup>

მართებულია ბ. ვოლკოვის მოსაზრება, რომ ერთი და იგივე მოქმედებას (უმოქმედობას) გააჩნია სხვადასხვა აზრი, თუ ისინი განპირობებულია სხვადასხვა მოტივებითა და მიზნებით.<sup>102</sup> მაგალითად, ა-მ ბ-ს დაარტყა და ჯანმრთელობა ნაკლებად მძიმედ დაუზიანა. აქ თუკი ა. მოქმედებდა მკვლელობის მიზნით მკვლელობის მცდელობა იქნება; თუ ხულიგნური ქვენა გრძნობით – ხულიგნობა და ა.შ.

„მოტივთა კონკურენციას“ აღიარებს ბ. ტეპლოვიც: „თუ არსებობს შინაგანი დაბრკოლება, მოსამზადებელი სტადია მოტივების ბრძოლის ხასიათს ღებულობს, გარეგან დაბრკოლებათა წინაშე კი იგი ირჩევს მოქმედების საშუალებებსა და ხერხებს.“<sup>103</sup>

დ. კიკნაძე არ ეთანხმება იმ მეცნიერთა მოსაზრებებს, თითქოს ადამიანის გადაწყვეტილება და მოქმედება განისაზღვრება რამოდენიმე მოტივით. ამ მოსაზრების მცდარობა მდგომარეობს შემდეგში: პირველი, ერთ მოქმედებას ყოველთვის ერთი მოტივი აქვს. თუკი მოტივაციის პროცესში მონაწილე ყოველ ფაქტორს, ზოგჯერ საწინააღმდეგო მოქმედების წარმართველსაც, რომ ჰქონდეს მოტივის ძალა, მოქმედება ვერ განხორციელდება. მეორე, ამა თუ იმ მოქმედების მოტივი, რომელიც პირველად ხორციელდება ან ხორციელდება ახალ პირობებში, წინასწარ არაა მოცემული, მისი ფორმირება ხორციელდება მოტივაციის პროცესში, რა დროსაც ხდება სხვადასხვა ხელშემწყობი და ხელშემშლელი ობიექტური და

<sup>100</sup> ვაჩეიშვილი ალ. დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში. თბ., 1957, გვ. 31.

<sup>101</sup> კიკნაძე დ. დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის სისტემური გაგებისათვის. ჟურნალი „აღმანახი“, სპეც. გამოშვება: სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის პრობლემები, 2000, №13, გვ. 129.

<sup>102</sup> იხ. Волков Б.С. Проблема воли и уголовная ответственность. Изд. Казанского университета, 1965, с. 24.

<sup>103</sup> Теплов Б. М. Психология. М., 1949, с. 161.

სუბიექტური ფაქტორების შეჯერება და შეფასება. ამ გზით ინდივიდი ირჩევს შემდგომი მოქმედების მოტივს.<sup>104</sup>

ასე, რომ „მოტივთა კონკურენციის“ შესახებ საუბარი მოტივაციის პროცესის შემადგენელი ელემენტების ბუნებისა და მათი ჩამოყალიბების მცდარი გაგების შედეგია. მოტივის წარმოშობას საფუძვლად უდევს ფაქტორთა ურთიერთდაპირისპირება და ბრძოლა. მკვლევარები, რომლებიც აიგივებენ მოტივებს მოტივაციის ფაქტორებთან, ფსიქიკური საქმიანობის ამ საფეხურს განსაზღვრავენ როგორც მოტივთა ბრძოლას. სინამდვილეში მიმდინარეობს არა მოტივთა, არამედ მოტივაციის ფაქტორთა ბრძოლა, დაპირისპირება, რათა მოცემულ სიტუაციასთან მიმართებით სუბიექტმა აირჩიოს მიზანშეწონილი და გამართლებული მოქმედება. მოტივაციის პროცესში მონაწილეობენ მხოლოდ ფაქტორები, ხოლო მოტივი ამ ფაქტორთა დაპირისპირებისა და ბრძოლის შედეგად მიიღება. სხვა მოქმედებათა მოტივებიც მონაწილეობენ ახალი კონკრეტული მოქმედების მოცემული მოტივაციის პროცესში, ოღონდ მოტივაციის ფაქტორთა სახით. ერთ მოქმედებას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი მოტივი.<sup>105</sup>

ვინაიდან ჩვენ მოტივი გვესმის როგორც სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების საფუძველზე ჩამოყალიბებული საბოლოო გადაწყვეტილება, რომელიც მოქმედებას ან მოქმედებისაგან თავის შეკავებას იწვევს, მაშინ სუბიექტის პრაქტიკულ ქცევამდე მოტივზე საუბარიც კი ზედმეტია. ამ მხრივ, მეტად საინტერესოა ბ. ხარაზიშვილის მსჯელობა, რომლის თანახმადაც, „შეუძლებელია ვილაპარაკოთ მოტივთა ბრძოლაზე მანამდე, სანამ ნებისმიერი ქცევა არ განხორციელდება. თუ ნებისმიერი ქცევა არა გვაქვს სახეზე, მაშინ მოტივებზე ლაპარაკიც ზედმეტია და, მაშასადამე, არც მათ შორის „ბრძოლა“ გაიმართება.“<sup>106</sup>

<sup>104</sup> იხ. Кикнадзе Д.А. Система факторов действия и развития личности. Изд. «сабчота сакартвелო», Тб., 1982 с. 123.

<sup>105</sup> იხ. იქვე, გვ. 151.

<sup>106</sup> ხარაზიშვილი ბ. სიცრუის ფსიქოლოგია (ეთიკურ-სამართლებრივი ასპექტები). გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1975, გვ. 8.

## თ ა ვ ი II

### მოტივთა და მიზანთა კლასიფიკაცია

ყოველი ადამიანის არამარტო ბიოლოგიური, არამედ მისი პიროვნული თვისებების განუმეორებლობა, საზოგადოებრივი ცნობიერებისა და კულტურის განსხვავებული დონე, ღირებულებებისადმი ცალკეული ინდივიდის პერსონალური დამოკიდებულება, განხორციელებული ქცევა საშუალებას იძლევა ერთმანეთისაგან განვასხვავოთ მოტივი და მიზანი მათი სოციალურ-ფსიქოლოგიური, ზნეობრივ-ეთიკური და სამართლებრივი თვალსაზრისით.

ნებისმიერი მეცნიერული კვლევა უნაყოფო იქნება თუ მას თეორიულთან ერთად პრაქტიკული დანიშნულება არ ექნება. ჩვენს განსახილველ პრობლემასთან დაკავშირებით ისმის კითხვა: აქვს თუ არა რაიმე პრაქტიკული დანიშნულება მოტივთა და მიზანთა კლასიფიკაციას სამართალშემოქმედებით და სამართალგამოყენებით საქმიანობაში? ამ კითხვაზე პასუხი გზადაგზა უნდა გაეცეს, რადგან ყოველი პასუხი შესაბამისი არგუმენტაციით უნდა იყოს ნასაზრდოები.

კრიმინალისტთა და ფსიქოლოგთა ყურადღება ძირითადად მოტივთა და არა მიზანთა კლასიფიკაციას ეხება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ავტორები მოტივს, მოთხოვნილებას, ინტერესს და მოტივაციას თანაბარი, სინონიმური მნიშვნელობით ხმარობენ, რაც ცალკე კვლევას მოითხოვს. ამიტომ ჩვენ აქ ყურადღებას არ გავამახვილებთ აღნიშნულ ტერმინთა თანაბარი მნიშვნელობით გამოყენების დასაბუთებულობაზე. მოტივთა კლასიფიკაცია სხვადასხვა პოზიციებიდან ხდებოდა, რაც იმაზე იყო დამოკიდებული თუ რას გულისხმობდა ესა თუ ის მეცნიერი მოტივის ცნებაში და რა კუთხით აინტერესებდა მოტივი. მაგალითად, გამოიყოფა: ბიოლოგიური და სოციალური, პირადული და საზოგადოებრივი, ეგოისტური და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი მოტივები და ა.შ. ამ თავში განხილული იქნება ადამიანის ქცევის მამოძრაველი ძალის ფორმებისა და შინაარსისადმი მიძღვნილი ცნობილი ფსიქოლოგებისა და კრიმინალისტების ნაშრომებში წარმოდგენილი მოტივთა ცალკეული ჯგუფები.

## § 1. ფსიქოდინამიკური მიმართულება პიროვნების თეორიაში: ზიგმუნდ ფროიდი

ადამიანის ქცევის მთავარ მამოძრავებელ ძალად ზიგმუნდ ფროიდი (1856-1939) ინსტინქტებს თვლიდა. ფროიდის მიხედვით სულიერი ცხოვრება კონფლიქტთა დინამიკაა: სწორედ ამის გამო, მისთვის უცნობი არაა დუალისტური პრინციპი, რასაც ასაბუთებს მის მიერ შემოთავაზებული მოტივთა კლასიფიკაცია. კლასიფიკაციაზე ფროიდი მუდმივად მუშაობდა, თუმცა არ ესწრაფვოდა მის დასრულებას. თუკი მან 1915 წელს ერთმანეთს დაუპირისპირა მეს ანუ „თვითდაცვის“ მოთხოვნილება (მაგალითად, შიმშილის მოთხოვნილება) და სექსუალური მისწრაფება (ლიბიდო), მოგვიანებით, პირველი მსოფლიო ომით გამოწვეული შთაბეჭდილებების გამო, მან დასახელებული პირველი მოთხოვნილება შეცვალა აგრესიის მოთხოვნილებით. თუმცა, მისი ძირითადი კვლევითი ინტერესები ყოველთვის თავმოყრილი იყო ფართოდ მოაზრებულ სექსუალურ მისწრაფებებზე. საკუთარი შემოქმედების უკანასკნელ პერიოდში ფროიდმა ერთმანეთს დაუპირისპირა ანტაგონისტური მისწრაფებანი: სიცოცხლის (ეროსი) და სიკვდილის (თანატოსი) ინსტინქტი.<sup>107</sup>

სიცოცხლის ინსტინქტა ჯგუფი მოიცავს ყველა ძალას, რომელიც ემსახურება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროცესების ხელშეწყობასა და სახეობის გამრავლებას უზრუნველყოფს. პიროვნების განვითარებაში ყველაზე არსებითია სექსუალური ინსტინქტები. სექსუალურ ინსტინქტთა ენერგიამ მიიღო სახელწოდება ლიბიდო (ლათ. – „სურვილი“, „ნდომა“) ანუ ლიბიდოს ენერგია – ტერმინი, რომელიც გამოიყენება მთლიანად სასიცოცხლო ინსტინქტთა ენერგიის მნიშვნელობით. ლიბიდო ესაა ფსიქიკურ ენერგიათა გარკვეული რაოდენობა, რომელიც განმუხტვას მხოლოდ სექსუალურ ქცევაში პოულობს. არსებობს არა ერთი, არამედ რამოდენიმე სექსუალური ინსტინქტი, რომელთაგან ყოველი დაკავშირებულია სხეულის გარკვეულ ნაწილთან, რასაც ეროგენული ზონა ეწოდება. გარკვეული მნიშვნელობით სხეული წარმოადგენს ერთ დიდ ეროგენულ ზონას, მაგრამ ფსიქონაღლიტიკური თეორია განსაკუთრებით გამოყოფს პირს, ანუსს და სასქესო ორგანოებს.<sup>108</sup>

მეორე ჯგუფი – სიკვდილის ინსტინქტები – საფუძვლად უდევს სისასტიკის, აგრესიის, თვითმკვლელობისა და მკვლელობის ყველა გამოვლინებას. შოპენჰაუზერზე დაყრდნობით ფროიდი ამტკიცებდა, რომ „სიცოცხლის მიზანს წარმოადგენს სიკვდილი.“ ამით მას იმის თქმა უნდოდა, რომ ყოველი ცოცხალი ორგანიზმისათვის დამახასიათებელია იმ გაურკვეველ

<sup>107</sup> იხ. Хайнц Хекхаузен, Мотивация и деятельность. Серия «Мастера психологии», 2-е издание, изд. «Питер», М, С-Петербург и т.д., 2003, с. 73.

<sup>108</sup> იხ. Хьел Л., Зиглер Д., Теории личности. Серия «Мастера психологии», изд. «Питер», М, С-Петербург и т.д., 2001, с.11 7.

მდგომარეობაში დაბრუნების კომპლესიური მისწრაფება, საიდანაც ისინი გამოვიდნენ.<sup>109</sup>

ამრიგად, ფროიდის ფსიქონალიტიკური თეორია ადამიანის ქცევის შესწავლის ფსიქოდინამიკური მიდგომის თავისებური ახსნაა. ფროიდი თვლიდა, რომ გაუცნობიერებელი ფსიქოლოგიური კონფლიქტები აკონტროლებს ადამიანის ქცევას. ფროიდის კონცეფცია თითქმის მთლიანად აგებულია ნევროზით დაავადებულთა ფართო კლინიკურ დაკვირვებებსა და ფსიქონალიზზე. თუნდაც ამ მიზეზის გამო ფროიდის თეორია ვერ ჩაითვლება ადამიანის ქცევის ახსნის უნივერსალურ მიგნებად. მართებულად უნდა ჩაითვალოს ბ. ვოლკოვის კრიტიკა: – „ფროიდი არ უარყოფდა ადამიანისათვის გარეგანი მდგომარეობის მნიშვნელობას, მაგრამ ქცევის მოტივაციაში მას არსებითად ადგილი არ დაუტოვა. ფროიდი ადამიანის მისწრაფებებისა და განცდების მარადიულობისა და უცვლელობიდან გამოდიოდა. არსებითად ფროიდის მოტივაციური თეორია დაკავშირებულია არამხოლოდ ქვეცნობიერის როლის გადამეტებასთან, არამედ პიროვნების განვითარების პროგრესის უარყოფასთან. იგი სრულიად უარყოფს მოტივაციის სოციალურ ასპექტს და ამიტომ არ გააჩნია პრაქტიკული მნიშვნელობა.“<sup>110</sup>

---

<sup>109</sup> იხ. Хьел Л., Зиглер Д., დასახ ნაშრ., გვ. 117.

<sup>110</sup> Волков Б. С., Мотивы преступлений (Уголовно-правовое, социально-психологическое исследование), изд. Казанского университета, 1982, с. 36; დაწვრ. იხ: Волков Б. С., Детерминистическая природа преступного поведения, Казан, изд. КГУ, 1975.



## § 2. მოტივთა კლასიფიკაცია თვისებათა თეორიაში

მოტივთა კლასიფიკაციას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მიმართულების, თვისებათა თეორიის წარმომადგენელთა ნაშრომებში, რომლებიც ქცევის ახსნის პიროვნული მიდგომისკენაა ორიენტირებული. როდესაც სიტუაცია განიხილება როგორც ერთგვაროვანი ან საერთოდ იგნორირებულია, ინდივიდუალური განსხვავებანი ფრიად თვალში საცემია. სწორედ ეს განსხვავებანი აიხსნებოდა დისპოზიციათა სხვადასხვა ხარისხით გამოხატვის მეშვეობით. ასე წარმოიშვა თვისებათა თეორია, რომლის ფარგლებშიც მოტივაციის ფსიქოლოგიის ახსნის ორიგინალურ მიდგომებს ვხვდებით.

### *ა) თვისებათა ინტუიციურ-ხასიათური მოძღვრება: ფილიპ ლერში*

თვისებათა ინტუიციურ-ხასიათური მოძღვრება განხილვის ორი პერსპექტივის თავისებურ სინთეზს წარმოადგენს. ერთი მხრივ, ესაა ფენომენოლოგიური თვითდაკვირვების პერსპექტივა, რომელიც საშუალებას იძლევა გავმიჯნოთ განცდების სახეები და ინვენტარში შევიტანოთ „პატარა აგურების“ სახით, რითაც აიგება პიროვნების სტრუქტურა. მეორე მხრივ, დისპოზიციათა ამგვარი აგურების სახით განხილვას, რომელთა გამოხატულების ხარისხი სხვადასხვა ინდივიდებს სხვადასხვა აქვთ, ეს თეორია მიჰყავს განხილვის სხვა პერსპექტივასთან – გარეგანი დაკვირვების აღმოჩენასთან. თვით სუბიექტის მიერ ერთმანეთისაგან განსხვავებული განცდილი მისწრაფებები გამოყოფის შედეგად იქცევა დისპოზიციებად ანუ „შედარებით უცვლელ, სხვადასხვა ადამიანებისათვის დამახასიათებელ განსხვავებულ განწყობებად.“<sup>111</sup>

ამ მიმართულების სახელოვანი წარმომადგენლის ფილიპ ლერშის მიერ მოცემული განცდილი ზრახვების მოტივაციურ კლასიფიკაციას ზოგადანთროპოლოგიური საფუძველი გააჩნია. განცდილი მისწრაფებების არსია „მოძრავი ფორმები, რომელშიც ადამიანური ყოფიერება თვითრეალიზებას ესწრაფვის.“ ფილიპ ლერში განასხვავებს ამგვარი მისწრაფებების სამ ჯგუფს:

პირველი მოიცავს „ვიტალური ყოფიერების“ განცდილ მისწრაფებებს. მასში შედის „ცხოვრების შეგრძნება მის უშუალოებაში, პირველადობასა და მიზნის დინამიკურ მისწრაფებაში.“ აქვე იგულისხმება საქმიანობისაკენ, ტკობისაკენ მიდრეკილება, ღიბიდო და ახალი შთაბეჭდილებების მოთხოვნილება;

მეორე ჯგუფი მოიცავს „ინდივიდუალურ მეს“ განცდილ მისწრაფებებს.“ ადამიანი ვალდებულია „წარმართოს საკუთრი არსებობა... როგორც ერთ-ერთ უამრავ არსებათაგანმა.“ ამ ჯგუფს მიეკუთვნება თვითდაცვის მოთხოვნილება, ეგოიზმი, ძალაუფლებისაკენ მიმართული ნება, მიზიდულობის დონე,

<sup>111</sup> Хайнц Хекхаузен, დასახ. ნაშრ., გვ. 112.

მნიშვნელობისკენ მისწრაფება, აღიარების მოთხოვნილება თვითპატივისცემისაკენ მიდრეკილება;

და ბოლოს, მესამე ჯგუფი გულისხმობს „არაინდივიდუალური ყოფიერების“ განცდილ მისწრაფებებს. „იგი მიმართულია სამყაროში თანამონაწილეობისაკენ, მაგრამ არა მისი დაუფლების, თავისთვის სურვილის გაგებით, არამედ ინდივიდუალური მეს სამყაროსთან მიკუთვნების გაგებით, რისი წყალობითაც წონასწორდება ცნობიერების განკერძოებულობა,“ რაც ვლინდება „...კითხვების დასმასა და შენს გარეთ მასზე პასუხების ძიების მისწრაფებაში.“ ამ ჯგუფს მიეკუთვნება ადამიანური მონაწილეობა, შემოქმედებითი თანამონაწილეობა (ნაყოფიერი შემოქმედებისაკენ სწრაფვა), შემეცნებითი თანამონაწილეობა (ინტერესები), სასიყვარულო თანამონაწილეობა, ვალდებულებანი (მოვალეობა), განდგომილი თანამონაწილეობა (მხატვრული მოთხოვნილება, მეტაფიზიკური მოთხოვნილება, რელიგიური ძიებანი).<sup>112</sup>

**ბ) მოტივთა კლასიფიკაცია ინსტინქტთა საფუძველზე:  
უილიამ მაკ-დაუგოლი**

თვისებათა განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მაკ-დაუგოლს (McDougall). რაიმონდ ბ. კეტელის მოტივაციის ფსიქოლოგიის აღწერილობითმა სისტემამ გარკვეულწილად საფუძველი დაუდო 20-ე საუკუნეში პოპულარულ, მაკ-დაუგოლის მიერ შემოთავაზებულ ქცევის ფორმათა განმარტებით კლასიფიკაციას. მაკ-დაუგოლის მცდელობა პირველი იყო, რათა ყველა ქცევა მოტივაციური დისპოზიციის ფარგლებში შეეკრიბა. იმ დროისათვის მოტივაციური დისპოზიციის ნაცვლად საყოველთაოდ გამოიყენებოდა არა მოტივის, არამედ ინსტინქტის ცნება. რამდენადაც ტერმინი ინსტინქტი გააფთრებულ დევნას განიცდიდა და ქცევის, რომელიც ძირითადად თანდაყოლილი მოტივაციური დისპოზიციებით განისაზღვრებოდა, მცდარი ახსნის საფუძველს იძლეოდა, მაკ-დაუგოლი ინსტინქტის ნაცვლად მოგვიანებით ხმარობდა ტერმინს „მიდრეკილება“ (**propensity**). თუმცა, მისი შინაარსი თითქმის არ შეიცვალა, გარდა იმისა, რომ აღინიშნა განსხვავება დისპოზიციასა (**propensity**) და ფუნქციას (**tendency**) შორის, რაზეც მეტყველებს შემდეგი ციტატა მაკ-დაუგოლის უკანასკნელი ნაშრომიდან: „მიდრეკილება არის დისპოზიცია, საერთო ფსიქიკური ორგანიზაციის ერთეული, რომელიც, შემდგომში გააქტიურებული, წარმოშობს აქტიურ ტენდენციას, მისწრაფებას (**striving**), იმპულსს ანუ მიდრეკილებას (**drive**) რომელიმე მიზნისკენ.

<sup>112</sup> იხ. Хайнц Хекхаузен, ციტ. დასახ. ნაშ. მხ. გვ. 114; Lersch, PL. (1951). Aufbau der Person (4.Aufl. von Aufbau des Charakters. Leipzig: Barth, 1938). München: Barth.

ცნობიერად ზეადმატებული მიზნისაკენ მიმართული ასეთი ტენდენცია არის სურვილი (**desire**).<sup>113</sup>

ზოგიერთმა მიდრეკილებამ შეიძლება სინთეზი განიცადოს ე.წ. გრძნობაში (**sentiments**), რომელიც განპირობებულია გამოცდილებით და კოგნიტურ-ემოციური შეფასების შესწავლით, რომელიც დაკავშირებულია საგნებთან და გარემოებებთან ურთიერთობასთან. მაგალითად, მამულის აღქმასა და შეფასებაში მონაწილეობს მრავალი მიდრეკილება. მაკ-დაუგოლი მიდრეკილებათა ანუ ინსტინქტთა მაგვარი მოტივაციური დისპოზიციების (**propensity**) შემდეგ ვარიანტს წარმოგვიდგენს, სადაც ყოველ ემოციას საკუთარი ინსტინქტი (მიდრეკილება) შეესაბამება:

1. საკვების მოპოვება. საკვების ძიება (და, შესაძლებელია, შეგროვება);
2. ზიზღი. გარკვეული საზიანო ნივთიერებების მიუღებლობა და მათთვის თავის არიდება;
3. სექსუალურობა. არშიყობა და საქორწინო ურთიერთობები;
4. შიში. გაქცევა და გულში ჩადება ტრაუმის, ტკივილისა და ტანჯვის მიყენების ან ასეთი ზემოქმედებით მუქარის საპასუხოდ;
5. ცნობისმოყვარეობა. უცნობი ადგილებისა და საგნების გამოკვლევა;
6. მფარველობა და მშობლიური მზრუნველობა. პატარების გამოკვება, დაცვა და შეფარება;
7. ურთიერთობა. შენი დონის საზოგადოებაში ყოფნა, ხოლო მარტოობისას ასეთი საზოგადოების ძიება;
8. თვითდამტკიცება. დომინირება, ლიდერობა, გარშემომყოფთათვის საკუთარი თავის დამტკიცება და დემონსტრაცია;
9. დამორჩილება. დათმობა, ყურის დაგდება, მიბაძვა, დამორჩილება იმისადმი, ვინც ზეადმატებული ძალის დემონსტრირებას ახდენს;
10. მრისხანება. აღშფოთება და ყოველივე იმ დაბრკოლების ანუ შეფერხების ძალადობით თავიდან აცილება, რომელიც ხელს უშლის ყველა სხვა ტენდენციის თავისუფალ განხორციელებას;
11. დახმარებისაკენ მოწოდება. დახმარების აქტიურად თხოვნა იმ შემთხვევაში თუ ჩვენი ძალისხმევა სრული წარუმატებლობით მთავრდება;
12. შექმნა. თავშესაფრისა და შრომის იარაღების შექმნა;
13. გამომგონებლობა. ყოველივე იმის გამოგონება, დაუფლება და დაცვა, რაც ჩვენ სასარგებლოდ ან რატომღაც მიმზიდველად გვეჩვენება;
14. სიცილი. ჩვენი გარშემომყოფი ადამიანების ნაკლოვანებათა და წარუმატებლობათა საცინად აგდება;

<sup>113</sup> Хайнц Хекхаузен, ციტ. დასახ. ნაშ. მის. გვ. 124: McDougall, W. (1932). The energies of men. London: Methuen.

15. კომფორტი. იმის გამოსწორება ან თავიდან აცილება, რაც დისკომფორტს იწვევს: მაგალითად, მოფხანა ან პოზის, ადგილსამყოფელის შეცვლა;
16. დასვენება და ძილი. დადლილობისას გაუნძრევლობის, დასვენებისა და ძილისაკენ მიდრეკილება;
17. მაწანწალობა. გადაადგილება ახალ შთაბეჭდილებათა საძიებლად;
18. პრიმიტიულ მიდრეკილებათა ჯგუფი, რომელიც ემსახურება ისეთ სხეულებრივ საჭიროებებს, როგორიცაა ხველება, დაცემინება, სუნთქვა, დეფაკაცია.<sup>114</sup>

პირველი და უმთავრესი, რაც ასეთი კლასიფიკაციისას თვალში საცემია მოტივთა კლასიფიკაციის კრიტერიუმების შერჩევის პრობლემაა. მართებულად სვამს საკითხს ჰ. ჰეკჰაუზენი: „რატომაა სწორედ ამდენი და არა ნაკლები ან მეტი მოტივაციური დისპოზიციები? საკმაოდ ბევრი საერთო ხომ არ აქვთ „დახმარების ძიებას“ (11) და „დამორჩილებას“ (9)? ხომ არაა „მაწანწალობისაკენ მისწრაფება“ (17) „ცნობისმოყვარეობის“ (5) ერთ-ერთი გამოვლინება?<sup>115</sup> თუ ამ თვალსაზრისით დაუუკვირდებით მოცემულ კლასიფიკაციას, დავინახავთ, რომ იგი ხელოვნურადაა გაზრდილი. სრულიად შესაძლებელია, მაგალითად, საკვების მოპოვებისაკენ სწრაფვა (1) შიშის ინსტინქტით (4) იყოს ნაკარნახები; ანდა ურთიერთობის (7) ერთ-ერთ გამოვლინებად შეიძლება მოგვევლინოს თვითდამტკიცება (8) და ა.შ.

მაკ-დაუგოლის კლასიფიკაციის შესახებ დ. უზნაძე შენიშნავს: – „საკმარისია თვალი გადავაფლოთ ამ კლასიფიკაციას, რათა იმ წამსვე შევამჩნიოთ, რომ აქ ზოგი რამ ინსტინქტად არის დასახელებული, რაც არავითარ შემთხვევაში ინსტინქტს არ წარმოადგენს და ზოგი რამ – ემოციად, რაც ემოციად არ ჩაითვლება. ეს იმით აიხსნება, რომ მაკ-დაუგოლის კლასიფიკაციას თვითონ ამოსავალი პუნქტი აქვს მცდარი. სრულიად შეუწყნარებელია, ადამიანის ემოციური ცხოვრება, რაც ეგოდენ მჭიდროდაა მის სოციალურ განვითარებასთან დაკავშირებული, ინსტინქტებზე იქნეს დაყვანილი და მისი განვითარების ყოველი შესაძლებლობა სრულიად უარყოფილი იქნეს. მაკ-დაუგოლის ამ შეხედულების მიხედვით გამოდის, თითქოს ადამიანის ემოციები, მისი ინსტინქტების მსგავსად, ერთხელ და სამუდამოდ იყოს მოცემული და მათი შეცვლა შეუძლებელი იყოს.“<sup>116</sup>

<sup>114</sup> იხ. Хайнц Хекхаузен, ციტ. დასახ. ნაშ. მის. გვ. 124-125.

<sup>115</sup> იხ. იქვე, გვ. 124.

<sup>116</sup> უზნაძე დ. დასახ. ნაშრ., გვ. 133.

*გ) მოტივთა კლასიფიკაცია პიროვნებისა და გარემოს ურთიერთობათა საფუძველზე: ჰენრი ა. მიურეი*

სიტყვა „ინსტინქტი“ მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან აღარ გამოიყენებოდა მოტივაციური დისპოზიციების აღსანიშნავად. მისი ადგილი დაიკავა მისწრაფებისა და მოთხოვნილების ცნებებმა. მაგრამ მაკ-დაუგოლის მიერ შემოთავაზებული და კეტელის კატალოგის ფაქტორული ანალიზის დახმარებით მიღებული ინსტინქტთა ნუსხის გვერდით გაკეთდა კიდევ ერთი სერიოზული და მოტივთა განზომილებასთან მჭიდროდ დაკავშირებული მათი კლასიფიკაციის მცდელობა. ესაა მიურეის მიერ შემოთავაზებული მოთხოვნილებათა (**needs**) ნუსხა. მიურეის ნაშრომი „პიროვნების გამოკვლევა“ წარმოადგენს რიგი სერიოზული მიმართულებების გადაკვეთის წერტილს, რითაც ვითარდებოდა მოტივაციის ფსიქოლოგია, სახელდობრ, მიმართულებები, რომელიც სათავეს იღებს მაკ-დაუგოლის, ფროიდისა და ლევინისაგან. მის შემოქმედებაში სუბიექტი გაგებულია როგორც აქტიური ორგანიზმი, რომელიც არა მხოლოდ რეაგირებს სიტუაციის ზეწოლაზე, არამედ აქტიურად ეძებს ან ქმნის კიდევაც მას. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში იგი, მოქმედებს რა შესაბამისი სახით, ითვისებს აქტუალური სიტუაციის შეცვლის შესაძლებელ შედეგებს საკუთარი მოთხოვნილებების პრიზმის გავლით.<sup>117</sup>

ორგანიზმი (პიროვნება) და ათვისებული სიტუაცია ქმნის ურთიერთმოქმედების ერთეულს ურთიერთგანპირობებულობის თვალსაზრისით. ცენტრალურ ურთიერთმიმართებით ცნებებად გვევლინება მოთხოვნილება (**need**) პიროვნების მხრიდან და ზეგავლენა (**press**) სიტუაციის მხრიდან. მოთხოვნილება და ზეგავლენა უშუალო დაკვირვებას არ ექვემდებარება, ისინი მიღებული უნდა იქნეს დასკვნით; ესენი აღწერილობითი ცნებები კი არაა, არამედ ჰიპოთეტური კონსტრუქტებია. „მოთხოვნილების“ ცნების შინაარსი (იგი სხვათაშორის არაა განცალკევებული მისწრაფების ცნებისაგან) განისაზღვრება „პიროვნება-გარემოს“ ურთიერთობის სასურველი მიზნობრივი მდგომარეობით, ხოლო „ზეგავლენა“ – სიტუაციის მიზნობრივი მდგომარეობიდან, რომელზეც შეიძლება იმედის დამყარება ან რომელსაც უნდა ვერიდოთ. მოთხოვნილება და ზეგავლენა შინაარსობრივად ერთმანეთს შეესაბამება: ზეგავლენა აქტუალურს ხდის შესაბამის მოთხოვნილებას, ხოლო მოთხოვნილება ეძებს შესაბამის სიტუაციას. მოთხოვნილებასა და სიტუაციას შორის ურთიერთქმედებას, მათ შინაარსობრივ შეჯვარებას თემა (**thema**) ეწოდება (აქედან – თემატური აპერცეპტული ტესტი). სწორედ თემა აქტიურობის ნაკადის ნამდვილი ერთეული. ყოველი ეპიზოდი ხასიათდება თემით, მოქმედებათა მიზანმიმართული თანმიმდევრულობით.<sup>118</sup>

<sup>117</sup> იხ. Хайнц Хекхаузен, დასახ. ნაშ., გვ.126.

<sup>118</sup> იხ. იქვე, გვ. 127.

მიურეის მოთხოვნილებათა შემდეგნაირად გამოიყურება:	მიერ ნუსხა	შემოთავაზებული ლათინური ანბანის	ფსიქოგენურ მიხედვით
1. Abasement		დამცირება;	
2. Achievemant		მიღწევა;	
3. Affiliation		აფილაცია;	
4. Aggression		აგრესია;	
5. Aautonomy		დამოუკიდებლობა;	
6. Counteraction		წინააღმდეგობა;	
7. Deference		პატივისცემა;	
8. Defendance		დაცვა;	
9. Dominance		დომინირება;	
10. Exhibition		ყურადღების მიპყრობა	ვინმესგან;
11. Harmavoidance		ზიანისათვის თავის არიდება;	
12. Infavoidance		წარუმატებლობისათვის	თავის
არიდება;			
13. Nurturance		მფარველობა;	
14. Order		წესრიგი;	
15. Play		თამაში;	
16. Rejection		მიუღებლობა;	
17. Sentience		გააზრება;	
18. Sex		სექსუალური ურთიერთობები;	
19. Succorance		დახმარების	(დამოკიდებულების)
ძებნა;			
20. Understanding		გაგება.	

„მოთხოვნილების“ ცნებას მიურეი იყენებს როგორც დისპოზიციური, ისე ფუნქციური ცვლილების თვალთახედვით. როგორც მოტივაციური დისპოზიციები „მოთხოვნილებების“ კლასიფიკაცია შეიძლება სხვადასხვა საფეხველზე. პირველ რიგში, შეიძლება გამოიყოს **პირველადი (ვისცენოგენური)** მოთხოვნილებანი და **მეორადი (ფსიქოგენური)** მოთხოვნილებანი. პირველადი მოთხოვნილებანი მეორადისაგან განსხვავებით ეფუძნება ორგანულ პროცესებს და წარმოიშობა ან ციკლურად (საკვები) ან რეგულაციის აუცილებლობასთან დაკავშირებით (სიცოცხლისათვის თავის არიდება). მეორე რიგში, მოთხოვნილებანი შეიძლება დაიყოს პოზიტიურად (ძიება) და ნეგატიურად (თავის არიდება), აშკარად და ლატენტურად. აშკარა მოთხოვნილებანი თავისუფლად და ობიექტურად მუდავნდება გარეგნულ ქცევაში, ლატენტური კი მუდავნდება სათამაშო მოქმედებებში (ნახევრად ობიექტურად) ან ფანტაზიებში (სუბიექტურად). გარკვეულ სიტუაციებში ცალკეული მოთხოვნილებანი შეიძლება გაერთიანდეს ქცევის მოტივაციაში ან კონფლიქტი წარმოიშვას მათ შორის ანდა ერთმანეთს დაექვემდებაროს და ა.შ.“<sup>119</sup>

<sup>119</sup> Хайнц Хекхаузен, ციტი. დასახ. ნაშ. მიხ. გვ. 128.

**დ) მოტივთა კლასიფიკაციის იერარქიული მოდელი: აბრაჰამ მასლოუ**

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპული ეგზისტენციალიზმის გავლენით ჩამოყალიბდა ჰუმანისტური ფსიქოლოგია ანუ პერსონოლოგიის მესამე და ყველაზე ახალი მიმართულება. ამ მიმართულების წარმომადგენლები საკუთარ თავს „მესამე ძაღად“ მიიჩნევენ, რომელიც ისწრაფვის გათავისუფლდეს წმინდა ბიჰევიორისტული ან ფსიქონალიტიკური ცალმხრივი მიდგომისაგან და პიროვნების შესწავლის ცენტრში დააყენოს ღირებულებითი ორიენტაციისა და ცხოვრების აზრის საკითხები. ამ მიმართულების მამამთავარი აბრაჰამ ჰორაღდ მასლოუ (1908–1970) მოტივაციაზე საუბრისას აღნიშნავდა, რომ ადამიანის ყველა მოთხოვნილება თანდაყოლილია და ისინი ორგანიზებულია პრიორიტეტის ანუ დომინირების იერარქიულ სისტემაში. მოთხოვნილებათა იერარქიის აღნიშნული კონცეფცია ადამიანის მოტივაციაში გულისხმობს იმას, რომ პირველ ადგილზე მოთავსებული დომინირებული მოთხოვნილება, ასე თუ ისე დაკმაყოფილებული უნდა იყოს, ვიდრე ადამიანი შეძლებს გააცნობიეროს შემდგომი მოთხოვნილება და ამ უკანასკნელი მოთხოვნილებით იქნება მოტივირებული.<sup>120</sup>

აბრაჰამ მასლოუს მიერ წარმოდგენილი მოდელი ყველაზე სრულად ჩამოყალიბებულია წიგნში „მოტივაცია და პიროვნება.“ იგი წინააღმდეგი იყო მოტივთა კლასიფიკაციის, რამდენადაც, მისი, აზრით, მისწრაფებათა და მოთხოვნილებათა ჩამოთვლა თეორიული მიმართებით უნაყოფოა. მიუხედავად ამისა, მან შექმნა მოტივთა საკუთარი კლასიფიკაცია. მოტივთა იერარქიაში ყველაზე დაბალ საფეხურზე მყოფ პირველად მოთხოვნილებას მოსდევს უფრო მაღალი, მეორე დონის მოთხოვნილება და ა.შ.:

1. ფიზიოლოგიური მოთხოვნილებანი (**physiological needs**): შიმშილი, წყურვილი, სექსუალურობა ა.შ.;
2. უსაფრთხოების მოთხოვნილებანი (**safety needs**): ტკივილისაგან, შიშისაგან, რისხვისაგან, მოუწყობლობისაგან დაცვა;
3. სოციალური ურთიერთობების ანუ მიკუთვნებისა (წევრობის) და სიყვარულის მოთხოვნილებანი (**needs for belongingness and love**): სიყვარულის, სინაზის, სოციალური მიერთების, იდენტიფიკაციის მოთხოვნილებები;
4. თვითპატივისცემის მოთხოვნილებანი (**esteem needs**): მიღწევის, აღიარების, მოწონების მოთხოვნილებანი;
5. თვითაქტუალიზაციის ანუ პირადი სრულყოფის მოთხოვნილებანი (**self-actualization needs**): საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარის რეალიზაცია; გაგებისა და გააზრების მოთხოვნილება.

მასლოუს მიხედვით, მაგალითად, თვითაქტუალიზაცია მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს ქცევის მოტივი, თუ დანარჩენი მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულია. სხვადასხვა იერარქიული

<sup>120</sup> იხ. Хьел Л., Зиглер Д., დასახ. ნაშ., გვ. 487-488.

დონის მოთხოვნილებათა კონფლიქტისას იმარჯვებს ქვედა მოთხოვნილება.<sup>121</sup> იგი მოტივთა ამ იერარქიული განლაგებიდან უშვებდა გამონაკლისს. მაგალითად, არსებობენ ადამიანები, რომელთა ფასეულობანი, იდეალები იმდენად ძლიერია, რომ ისინი მზად არიან გადაიტანონ შიმშილი ან წყურვილი ან მოკვდნენ, ვიდრე უარი განაცხადონ მათზე. ამასთან, ადამიანს ზოგჯერ შეუძლია საკუთარი ბიოგრაფიის თავისებურებიდან გამომდინარე შექმნას მოთხოვნილებათა საკუთარი იერარქია. მაგალითად, ადამიანებს შეუძლიათ უფრო მეტი პრიორიტეტი მიანიჭონ პატივისცემის მოთხოვნილებას და არა სიყვარულისა და მიკუთვნების მოთხოვნილებას. ასეთ ადამიანებს უფრო აინტერესებთ პრესტიჟი და სამსახურში დაწინაურება, ვიდრე ინტიმური ურთიერთობანი და ოჯახი. ასე რომ, ყოველი მოთხოვნილება მის შემდგომთან შედარებით უფრო ძლიერი და პრიორიტეტულია.<sup>122</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოთხოვნილებანი, რომლებიც ჩნდება იერარქიაში, წარმოიშობა მუდმივად. ადამიანები არა უბრალოდ იკმაყოფილებენ მოთხოვნილებებს ერთმანეთის მიყოლებით, არამედ ერთდროულად ნაწილობრივ იკმაყოფილებენ და ნაწილობრივ არ იკმაყოფილებენ მათ. მნიშვნელობა არა აქვს ადამიანმა მოთხოვნილებათა თუ რომელ ტიპს მიადწია: თუ შედარებით წინმდგომი მოთხოვნილება აღარაა დაკმაყოფილებული, ადამიანი დაუბრუნდება მოცემულ დონეს და დარჩება იქ, მანამ ეს მოთხოვნილებანი საკმარისად არ იქნება დაკმაყოფილებული.<sup>123</sup>

მასლოუ მოტივთა საკუთარ იერარქიულ კონცეფციას უმატებს და გამოყოფს მოტივთა ორ გლობალურ კატეგორიას: პირველი, დეფიციტური (**deficiency needs**) მოტივები, რომელსაც იგი საჭიროებებს უწოდებს. ესაა დაბალი მოთხოვნილებანი, როგორცაა, ვთქვათ, შიმშილი, წყურვილი და ა.შ.; მეორე, განვითარების მოტივები, რომელსაც მასლოუ განვითარების მოთხოვნილებებს (**growth needs**) უწოდებს. აქ იგულისხმება მაღალი მოთხოვნილებანი. მაგალითად, თვითაქტუალიზაცია.

დეფიციტური მოტივებისაგან განსხვავებით განვითარების მოტივებს (მათ აგრეთვე უწოდებენ მეტამოთხოვნილებებს და ყოფიერებით მოტივებს) გააჩნია შორეული მიზნები, რომელიც დააკავშირებულია ჩვენი პოტენციალის აქტუალურად გახდის მისწრაფებასთან. განვითარების მოტივაცია გულისხმობს თვალსაწიერის გაფართოებას. მაგალითად, სტუდენტი, რომელიც ირჩევს ორგანული ქიმიის კურსს მხოლოდ იმიტომ, რომ გაიფართოს საკუთარი ცნობიერება, უმეტესწილად, ახდენს ყოფიერებითი მოტივაციის დემონსტრირებას დეფიციტური ტიპის მოტივაციასთან შედარებით. რა თქმა უნდა, იგი არ დაინტერესდება ორგანული ქიმიით, თუ კვდება შიმშილით. მასლოუ საბოლოოდ მიდის დასკვნამდე, რომ განვითარების მოტივები აქტუალური ხდება

<sup>121</sup> იხ. Хайнц Хекхаузен, დასახ. ნაშ. გვ. 131.

<sup>122</sup> იხ. Хьел Л., Зиглер Д., დასახ. ნაშ., გვ. 487-489.

<sup>123</sup> იხ. იქვე, 489.



ძირითადად მას შემდეგ, რაც საკმარისი რაოდენობით დაკმაყოფილებულია დეფიციტური მოტივები.<sup>124</sup>

ჰ. ჰეკჰაუზენის აზრით, მასლოუს მიერ შემოთავაზებულ მოტივთა კლასიფიკაციის პოპულარობა მისმა განსაკუთრებულობამ მოუტანა. „პირველი, მასლოუს განასხვავებს არა ცალკეულ მოტივებს, არამედ მათ მთელ ჯგუფებს. მეორე, ეს ჯგუფები დალაგებულია ღირებულებათა იერარქიის მიხედვით პიროვნების განვითარებაში მათი როლის შესაბამისად. ვიდრე მოთხოვნილება დაკმაყოფილებული არაა, იგი ახდენს მოქმედების გააქტიურებას და გავლენას ახდენს მასზე. მასლოუს კლასიფიკაციის ძირითადი იდეა არის მოტივთა აქტუალიზაციის შედარებითი პრიორიტეტი (ხაზგასმა ჩემია – ი.დ.), რომლის თანახმადაც, ვიდრე გააქტიურდება და დაიწყება უფრო მაღალი დონეების მოთხოვნილებათა ქცევის გამოძღვლავნება, უნდა დაკმაყოფილდეს დაბალი დონის მოთხოვნილებანი.“<sup>125</sup>

### § 3. მოტივთა კლასიფიკაცია რუსულ და ქართულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში

საბჭოთა პერიოდის სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში მოტივთა კლასიფიკაციას ქართველი კრიმინალისტებიდან განსაკუთრებული ყურადღებით ეხება ბ. ხარაზიშვილი. იგი განიხილავს რა, ე.წ. „ბურჟუაზიულ“ კრიმინალისტთა ნაშრომებს, მიდის დასკვნამდე, რომ მათ მიერ შემოთავაზებულ მოტივთა კლასიფიკაციას საფუძვლად შეფასებითი კრიტერიუმი უდევს, რომელიც სამართლის ან ზნეობის ნორმებიდან გამომდინარეობს. ამგვარი კრიტერიუმი შეიძლება იყოს: ნორმატიული (ფერი), ღირებულება (კრაუსი) და სხვ.<sup>126</sup>

ბ. ხარაზიშვილის მოსაზრებით საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში მოტივთა კლასიფიკაციის საკითხი პირველად ა. გერცენზონმა დააყენა.<sup>127</sup> თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ა. გერცენზონზე ადრე, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იან წლებში საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში დანაშაულის მოტივთა კლასიფიკაცია პირველად გ. ფელდშტეინმა სცადა.<sup>128</sup>

მოტივთა კლასიფიკაციის პრობლემატიკაში ბ. ხარაზიშვილი უპირატესობას ქცევის ფსიქოლოგიურ არსს ანიჭებს. „ქცევის

<sup>124</sup> იხ. Хьел Л., Зиглер Д., დასახ. ნაშ., გვ. 496-499.

<sup>125</sup> Хайнц Хекхаузен, დასახ. ნაშ. გვ. 130-131.

<sup>126</sup> იხ. Харазишвили Б. В. Вопросы мотива поведения преступника в советском праве. Гос. изд. «Цодна», Тб. 1963, с. 52-57.

<sup>127</sup> იხ. იქვე, გვ. 57.

<sup>128</sup> იხ. Фельдштейн Г. С. Уголовное право и психология. Роль мотива в уголовном праве. Право и жизнь, кн. 6, 1925, с.55.

ფსიქოლოგიური მხარე სხვა არაფერია თუ არა სუბიექტის გარემოსთან (საზოგადოებასთან) კონკრეტული ურთიერთობები. იგი წარმოადგენს ამ რეალურ ფსიქიკურ ურთიერთობებში გამოხატულ ნიშანთა ერთობლიობას, რომელიც უნდა დადგინდეს, რადგან შესაძლებელი გახდეს ქცევის შეფასება.<sup>129</sup>

ბ. ხარაზიშვილი სიფრთხილეს იჩენს და მართებულად აღნიშნავს, რომ რამდენადაც შეუძლებელია ყოველი მოსალოდნელი ქცევის გათვალისწინება და მის კვალობაზე მოტივთა **სახეობრივი** (ხაზგასმა ჩემია – ი.დ.) კლასიფიკაცია, ამდენად მოტივთა კლასიფიკაციას საფუძვლად გვარეობითი ნიშანი უნდა დაედოს.<sup>130</sup>

**პირველ ჯგუფში** (გვარში) ბ. ხარაზიშვილი აერთიანებს იდეურ მოვლენებთან დაკავშირებულ ნებელობითი ქცევის მოტივებს. ამ ჯგუფის სოციალური შეფასებისას იგი გამოდის ადამიანის ქცევის კლასობრივი არსიდან, რის შედეგადაც ამგვარი მოტივები შეიძლება იყოს ამაღლებული ან მისი საწინააღმდეგო ხასიათის (მაგალითად, კლასობრივი სიძულვილი, კერძო საკუთრებისადმი სიმპატიის მოტივი და ა.შ.).<sup>131</sup>

იდეურ მოვლენებთან დაკავშირებული მოვლენები იყოფა **საერთოსოციალურ** და **პირად** მოტივებად. **საერთოსოციალური** მოტივები დაკავშირებულია განყენებული ხასიათის მოვლენებთან, მაგრამ ზოგჯერ მოვლენის ფორმით შეიძლება დაემთხვეს პირად მოტივებს. მაგალითად, ეჭვიანობა, შური და ა.შ. უფრო ზუსტად, შინაარსით ზოგჯერ საერთოსოციალურ ხასიათს ატარებს. საერთოსოციალური მოტივები შეიძლება აგრეთვე იყოს: ა) მორალურ-პოლიტიკური მოტივები (კლასობრივი ინტერესები, კლასობრივი ან რასობრივი სიძულვილი და ა.შ.); ბ) მოტივები, რომლებიც დაკავშირებულია ესთეტიკურ მოთხოვნილებებთან, ინტერესებთან, მიდრეკილებებთან და გემოვნებასთან; გ) რელიგიური მრწამსის მოტივები და გვაროვნულ ყოფა-ცხოვრების გადმონაშთებთან დაკავშირებული მოტივები.<sup>132</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, იდეურ მოვლენებთან დაკავშირებული მოტივების ქვეჯგუფად ბ. ხარაზიშვილი ასახელებს **პირადი** ხასიათის მოტივებს, რომელიც შეფასებითი კატეგორიის ორი საწინააღმდეგო ფორმითაა წარმოდგენილი: ა) ქვენა მოტივები: ეგოისტური ხასიათის მოტივები (კარიერიზმი, შური, ეჭვი, შურისძიება, უპატივცემულობა, სიხარბე და ა.შ.); ანგარებითი მოტივები; ბ) არაქვენა მოტივები: არაეგოისტური მოტივები, რომელიც გამოხატულია პიროვნების კომუნიკატურ თვისებებში (მომჭირნეობა, გულუხვობა, სიჯიუტე, თავმოყვარეობის გრძობა, სიზარმაცე, სიბრალული და ა.შ.); განწყობიდან გამომდინარე მოტივები (სიამოვნება, უსიამოვნება, უკმაყოფილება, კმაყოფილება, სიხარული, წყენა, სევდა და ა.შ.); არაანგარებითი მატერიალური დაინტერესების მოტივები (შემოსავლის ინტერესი და ა.შ.); აფექტური ხასიათის მოტივები (ძლიერი სულიერი აღელვება, შიში და ა.შ.); სხვა ინტერესებისა და მოთხოვნილებების მოტივები

<sup>129</sup> Харазишвили Б. В. დასახ. ნაშ., გვ. 58.

<sup>130</sup> იხ. იქვე, გვ. 58.

<sup>131</sup> იხ. იქვე, გვ. 59.

<sup>132</sup> იხ. იქვე, გვ. 59-60.

(სპორტული ინტერესი, ვიტალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, გარკვეული მოქმედებისაკენ დაინტერესება და ა.შ.).<sup>133</sup>

მეორე ჯგუფი მოიცავს საგნობრივი ხასიათის მოტივებს (საგნებით დაინტერესება). სამწუხაროდ, ბ. ხარაზიშვილი ამ ჯგუფის მოტივთა გვარებითი ცნების დასახელებით შემოიფარგლება.<sup>134</sup>

კრიმინალისტთა და ფსიქოლოგთა უმეტესობის მსგავსად მხოლოდ მოტივის (და არა მასთან ერთად მიზნის) კლასიფიკაციას დაწვრილებით ეხება ბ. ვოლკოვი. იგი ხედავს რა მოცემული პრობლემის სირთულეს, მართებულად შენიშნავს, რომ ქცევის მოტივები „ერთმანეთისგან განსხვავდება უდიდესი მრავალფეროვნებით, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური და საგნობრივი შინაარსით, ისე ზნეობრივ-ეთიკური და სამართლებრივი შეფასებით. განსხვავებულად გამოხატავენ პიროვნების სოციალურ და ბიოლოგიურ საწყისებს და არაერთგვაროვან როლს ასრულებენ მის სტრუქტურაში. განსხვავდებიან ისინი პიროვნების ქცევაზე კაუზალური ზემოქმედების ხარისხითაც. ერთნი განსხვავდებიან დიდი ცვალებადობით, ხოლო მეორენი – ნაკლებით. ყოველივე ეს, ერთი მხრივ, საკმაოდ ართულებს მოტივთა კლასიფიკაციას და, მეორე მხრივ, – ამ პრობლემის გადაჭრაში განსხვავებული ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციების წარმოშობის ერთ-ერთი მიზეზთაგანია.“<sup>135</sup>

დანაშაულის მოტივები საკმაოდ მრავალფეროვანია, რის გამოც მათ არ გააჩნიათ ერთგვაროვანი მნიშვნელობა. მოტივთა ერთი ნაწილი მნიშვნელოვან მორალურ აღშფოთებას იწვევს, ხოლო მეორე გარკვეულწილად მისატყვებელს ხდის ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას, ამსუბუქებს ბრალს და პირის პასუხისმგებლობას; მათ შეიძლება ჰქონდეს უაღრესად პირადი ხასიათი, რომელიც ეგოიზმისა და ინდივიდუალიზმის გამოვლინების განსაკუთრებული ფორმაა, ანდა განისაზღვრება პირის კლასობრივი მიკუთვნებულობით და ა.შ. ამ თვალსაზრისით მოტივთა კლასიფიკაციას არამარტო შემეცნებითი, არამედ უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი საშუალებას იძლევა დავაკონკრეტოთ დანაშაულობის მიზეზები, სამართლიანად შევუფარდოთ მსჯავრდებულს სასჯელი და მისი მოხდის შესაბამისი პირობები, განვსაზღვროთ თუ რამდენად მიზანშეწონილია მოტივის სისხლის სამართლის კოდექსის ამა თუ იმ მუხლის დისპოზიციაში შეტანა.<sup>136</sup>

ბ. ვოლკოვის აზრით, მოტივთა კლასიფიკაციას საფუძვლად მათი სოციალურ-ფსიქოლოგიური და ზნეობრივ-ეთიკური შეფასება უნდა დაედოს, რომლის კვლობაზეც გამოიყოფა მოტივთა სამი ჯგუფი: 1) კლასობრივი, იდეურ-პოლიტიკური ხასიათის მოტივები; 2)

<sup>133</sup> იხ. Харазишвили Б. В. დასახ. ნაშ. გვ. 62-63.

<sup>134</sup> იხ. იქვე, გვ. 63.

<sup>135</sup> Волков Б.С. Мотивы преступлений (Уголовно-правовое, социально-психологическое исследование). Изд. Казанского университета, 1982, с. 34-35.

<sup>136</sup> იხ. Волков Б.С. Проблема воли и уголовная ответственность. Изд. Казанского университета, 1965, с. 95-96.

ქვენა მოტივები, რომლებიც ეგოიზმის გამოვლინების სხვადასხვა ფორმებად გვევლინება; 3) ქვენა შინაარსის არმქონე მოტივები.<sup>137</sup>

პირველი ჯგუფის მოტივები გულისხმობს პირის განზრახვის კლასობრივ ხასიათს, მის დამოკიდებულებას სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობისადმი და ა.შ. მოტივთა მეორე ჯგუფს უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ისინი მჭიდროდაა დაკავშირებული პიროვნებასთან და იძლევა მისი ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თვისებებისა და თავისებურებების დახასიათებას. აღნიშნული მოტივები უფრო ხშირად პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს წარმოადგენს. ასეთებია, მაგალითად, ანგარება, ხულიგნური ზრახვა, შური, ეჭვი, პატივმოყვარეობა და სხვ. არაქვენა შინაარსის მოტივები კი, მართალია, დანაშაულის ჩადენის მიზეზად არ გვევლინება, თუმცა საპატიოა ან თვით დაზარალებულის არამართლზომიერი მოქმედების გამო, ან სხვა პირადი თუ ობიექტური ხასიათის გარემოებების გამო. მაგალითად, დაზარალებულისადმი სიბრაღეული, თანაგრძნობა, განსაკუთრებით რთული პირადი თუ ოჯახური ურთიერთობებით განპირობებული მოტივები და ა.შ. აღნიშნული ბუნების მოტივები ხშირად დანაშაულის შემამსუბუქებელ გარემოებებად გვევლინება.<sup>138</sup>

მესამე ჯგუფის მოტივებთან დაკავშირებით ბ. ვოლკოვის აზრი არასწორია, თითქოს ისინი დანაშაულის მიზეზებად არ გვევლინება ან საპატიოა. თუ რომელიმე აღნიშნულ მოტივთან დანაშაულის მიზეზი არაა ან საპატიოა, მაშინ დანაშაულის მოტივზე არც შეიძლება საუბარი. უფრო მართებულია თუ ვიტყვით, რომ ამგვარი მოტივები ბრალს ამსუბუქებს, რასაც იქვე მისი უფრო დამაჯერებელ მოსაზრებაში აფიქსირებს: არაქვენა შინაარსის „მოტივთა უმეტესობა მითითებულია რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებათა რიცხვში, რომლებიც ერთობლიობაში სხვა პირობებთან ერთად ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.“<sup>139</sup>

ა. რაროვი მართებულად ედავება ბ. ვოლკოვს მოტივთა კლასიფიკაციის საკითხში. მისი აზრით, პოლიტიკური მოტივების ცალკე გამოყოფის დასაბუთება პრობლემატურია, რადგან ისინი არ შეიძლება მივაკუთნოთ არც ქვენა ხასიათის და არც ქვენა შინაარსს მოკლებულ მოტივებს, რაც არაა გამართლებული.<sup>140</sup>

ბ. ვოლკოვი იძლევა მოტივთა კლასიფიკაციის სხვა მოდელსაც, რომელსაც სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, ასეთ მაკლასიფიცირებელ ნიშნად გვევლინება გარემოება, რომელიც ხაზს უსვამს მოტივის პიროვნებასთან, მის ღირებულებით ორიენტაციასა და განწყობასთან კავშირს. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგს: – მამოძრავებელი მისწრაფებანი შემთხვევით წარმოიშვა თუ ისინი უშუალოდაა დაკავშირებული პიროვნების

<sup>137</sup> იხ. Волков Б.С. Мотивы преступлений (Уголовно-правовое, социально-психологическое исследование). Изд. Казанского университета, 1982, с. 38.

<sup>138</sup> იხ. იქვე, გვ. 38-39.

<sup>139</sup> Волков Б.С. Мотивы преступлений (Уголовно-правовое, социально-психологическое исследование). Изд. Казанского университета, 1982, с. 39.

<sup>140</sup> იხ. Парог А.И. Субъективная сторона и квалификация преступлений. М., 2001, с. 68.

თავისებურებებთან, შედის თუ არა მის სტრუქტურაში. ამ საფუძვლის მიხედვით მოტივები იყოფა: მდგრად და სიტუაციურ მოტივებად. მდგრადი მოტივებია, მაგალითად, ეჭვიანობა, ანგარება, შური, შურისძიების ზოგიერთი სახე და ა.შ. რაც შეეხება სიტუაციურ მოტივებს, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას. ამასთან, გასათვალისწინებელია პიროვნული თავისებურებანი. მაგალითად, მძიმე შეურაცხყოფას შეუძლია შელახოს ნებისმიერი ადამიანის პატივი და ღირსება, მაგრამ ყველა არ ვარდება ასეთი შემთხვევისას ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში და არ ჩადის დანაშაულს.<sup>141</sup>

რსფსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობაზე დაყრდნობით ბ. ვოლკოვი დანაშაულთა მოტივებს ორ ჯგუფად ყოფს: 1) ქვენა მოტივები და არაქვენა შინაარსის მოტივები. მაგალითად, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის 1958 წლის საფუძვლების 33-ე მუხლი დამამძიმებელ გარემოებათა რიცხვში ასახელებს ანგარებით და სხვა ქვენა გრძნობებს; 2) პირადი ხასიათის მოტივები და ყველა სხვა მოტივები, რომელსაც უადრესად პირადული აზრი და მნიშვნელობა არ გააჩნია. პირადი ხასიათის მოტივები ადამიანის მეტისმეტად ინდივიდუალურ ინტერესებსა და მისწრაფებებს გამოხატავს. სხვა არაპირადი ხასიათის მოტივებს, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება ყალბად გაგებული აუცილებლობის მოტივები. ძირითადად, ესაა დაწესებულების, საწარმოსა და ორგანიზაციის ყალბად გაგებული ინტერესები (ნამდვილი და მოჩვენებითი). თუმცა, „ყალბად გაგებული აუცილებლობის მოტივები არ იქნება მართებული თუ მხოლოდ დაწესებულების, საწარმოსა და ორგანიზაციის ყალბად გაგებულ ინტერესებში იქნება გაერთიანებული.“<sup>142</sup>

სხვა მოტივებს მიეკუთვნება ნებისმიერი მოტივი, რომელიც არ მოიცავს პირადი გამორჩენისა და პირადი დაკმაყოფილების მისწრაფებას. ამიტომ, ყალბად გაგებული აუცილებლობის მოტივებით ჩადენილ დანაშაულთა სუბიექტები შეიძლება იყვნენ არამართ თანამდებობის, არამედ სხვა პირებიც. მაგალითად, ალტრუიზმის მოტივები, მოტივები, რომლებიც წარმოიშობა ყალბად გაგებული სხვა პირებისა თუ სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებისა და ორგანიზაციის ინტერესთა დაცვის საფუძველზე. ბ. ვოლკოვი მართებულად მიუთითებს, რომ ეს უკანასკნელი მოტივები, როგორც წესი, არ გამორიცხავს ქმედების დანაშაულობრიობას, „მაგრამ თუ სისხლის სამართლის კანონი დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ნიშნად მიუთითებს ანგარებით ან სხვა პირად დაინტერესებაზე, ანგარებით ან პირად მოტივებზე, მაშინ სხვა მოტივით ჩადენილმა ქმედებამ არ უნდა გამოიწვიოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.“<sup>143</sup>

<sup>141</sup> იხ. Волков Б.С. Мотивы преступлений (Уголовно-правовое, социально-психологическое исследование). Изд. Казанского университета, 1982, с. 39.

<sup>142</sup> იქვე, გვ. 40.

<sup>143</sup> Волков Б.С. Мотивы преступлений (Уголовно-правовое, социально-психологическое исследование). Изд. Казанского университета, 1982, с.41-42.

როგორც უკვე აღინიშნა, საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გ. ფელდშტეინი პირველი იყო, ვინც დანაშაულის მოტივთა კლასიფიკაცია სცადა. მისი აზრით, ადამიანის მოქმედებას შეიძლება საფუძვლად დაედოს შემდეგი მოტივები: 1) უკიდურესი საჭიროების მოტივები, რომელიც მოიცავს შიმშილით, გაჭირვებით, მუქარით, იძულებით, აუცილებელი მოგერიებით, უკიდურესი აუცილებლობით განხორციელებულ ქმედებებს; 2) უცოდინრობისა და შეცდომის მოტივები; 3) სიამოვნების მოტივები; 4) სქესობრივი გრძნობები; 5) არამატერიალური კმაყოფილების მიღების მისწრაფება; 6) სიბოროტისა და შურისძიების, რისხვის, ეჭვიანობის, ანგარებითი მოტივები; 7) ალტრუიზმის მოტივები.<sup>144</sup>

მოტივთა კლასიფიკაციას ეხება ა. გერცენზონიც. იგი გვთავაზობს მისი მოღვაწეობის დროს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით მოტივთა შემდეგ კლასიფიკაციას: 1) კონტრრევოლუციური მოტივები; 2) ქვენა (სულმდაბლური) მოტივები; 3) მოტივები, რომლებიც განპირობებულია მერყეობითა და უდისციპლინობით.<sup>145</sup>

პ. დაგელი მოტივებს სამ ჯგუფად ყოფს: პირველი მოიცავს საზოგადოებრივად საშიშ მოტივებს: 1) ანტისახელმწიფოებრივი მოტივები; 2) პირადი ქვენა მოტივები; 3) რელიგიური და ცრურწმენიდან გამომდინარე მოტივები. აღნიშნული მოტივების გათვალისწინება ხდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისა და სასჯელის დანიშვნისას.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება საზოგადოებრივად ნეიტრალური მოტივები, რომელიც მოიცავს ისეთ გრძნობებს, როგორცაა დაზარალებულის ან სხვა პირის არასწორ ქცევასთან დაკავშირებული წყენა, სირცხვილი, ქვენა ხასიათს მოკლებული გატაცება, სიბრაღული და გულშემატკივრობა, ქვენა ნიშნებს მოკლებული მატერიალური დაინტერესება. აღნიშნული მოტივები გავლენას არ ახდენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელის გამოყენების საკითხის გადაწყვეტაზე.

მოტივთა მესამე ჯგუფი საზოგადოებრივად სასარგებლოა და შეიძლება მათი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად გათვალისწინება.<sup>146</sup>

ს. ტარარუხინის კლასიფიკაციის მიხედვით, დანაშაულის მოტივები უნდა დავყოთ სამ ჯგუფად: 1) პირადი ხასიათის მოტივები, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფა მოტივებად, რომლებიც წარმოიშობა საგნობრივი ხასიათის მოტივებითა და ინტერესებით და მოტივებად, რომლებიც გამოწვეულია ემოციური განცდებითა და მდგომარეობით და რომელთაც არ გააჩნიათ საგნობრივი ხასიათი; 2) მოტივები, რომელთაც არ გააჩნია პირადული აზრი, მნიშვნელობა

<sup>144</sup> ციტირებული: Волков Б.С. Проблема воли и уголовная ответственность. Изд. Казанского университета, 1965, с. 96: // Фельдштейн Г. С. Уголовное право и психология. Роль мотива в уголовном праве. Право и жизнь, кн. 6, 1925, с.55.

<sup>145</sup> იხ. Герцензон А.А. Уголовное право. Часть общая. М., 1948, с. 343.

<sup>146</sup> იხ. Дагель П.С. Проблема вины советском уголовном праве. Уч. зап. ДВУ, Владивосток, 1968, с. 163. Дагель П. С. Котов В. Д. Субъективная сторона преступления. Изд. Воронежского университета, 1974, с. 196.

და არაა დაკავშირებული საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილებასა და დანაშაულის ინტერესებთან; 3) სიტუაციური მოტივები, რომელიც წარმოიშობა, უპირველეს ყოვლისა, დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო ქცევით და იძულებითი ხასიათი აქვს.<sup>147</sup>

ა. რაროგის აზრით, „მოცემული კლასიფიკაცია არაა უნაკლო: პირველი, მოტივთა მესამე ჯგუფი შეუძლებელია გაიმიჯნოს პირველი ორისგან, რამდენადაც ისინიც და სხვებიც შეიძლება აღმოჩნდეს სიტუაციური. მეორე, მოტივთა დაყოფა პირადულად და არაპირადულად ეწინააღმდეგება დანაშაულის მოტივის მეცნიერულ განსაზღვრებას, რადგანაც მოტივი არის ადამიანის მოთხოვნებით გამოწვეული ბიძგი, ანუ იგი არის ღრმად ინდივიდუალური, ფსიქოლოგიური მოვლენა. მესამე, მოცემულ კლასიფიკაციას არ გააჩნია სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა, რამდენადაც ვერ გვიხსნის დანაშაულის მოტივის იურიდიულ მნიშვნელობას.“<sup>148</sup>

დანაშაულის მიზნის სისხლისსამართლებრივი კლასიფიკაციისათვის ა. რაროგი შესაძლებლად მიიჩნევს იმავე კრიტერიუმების აღებას, რომლებითაც შეიძლება მოტივთა კლასიფიკაცია: 1) ქვენა მიზნები. მაგალითად, სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზანი, მსხვერპლის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ან სხვაგვარად გამოყენების მიზანი, სახელმწიფოს დასუსტების მიზანი და ა.შ.; 2) სხვა მიზნები, როდესაც ისინი შეტანილია კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობაში და არ მიეკუთვნება ქვენა ხასიათის მიზნებს, რადგან კანონმდებლის მიერ ისინი არ განიხილება როგორც ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ამამაღლებელი, თუმცა, შესაძლებელია ამ მიზანთა ჯგუფის საძრახისობა არსებითად განსხვავდებოდეს.<sup>149</sup> ა. რაროგი არ აკონკრეტებს შესაბამისი მაგალითებით თუ რა სახის მიზნებს გულისხმობს. რჩება მხოლოდ ერთი ვარიანტი: ალბათ იგი გულისხმობს ისეთ მიზნებს, რომლებიც არ ამძიმებს დანაშაულს ან არ აფუძნებს სხვა ტიპის უმართლობას. მაგ: მითვისების მიზანი ქურდობისას (სს.კ-ის 177-ე მუხლი), შვილად აყვანის მიზანი არასრულწლოვნის ყიდვისას (სს.კ-ის 172-ე მუხლი).

უახლეს რუსულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ვხვდებით მოტივებისა და მიზნების ორ ჯგუფად დაყოფას მორალური და სამართლებრივი შეფასების საფუძველზე: 1) ქვენა მოტივები; 2) ქვენა შინაარსის არმქონე მოტივები.<sup>150</sup>

ქვენაა ისეთი მოტივები და მიზნები, რომელთაც კანონმდებელი უკავშირებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენას ან გამკაცრებას. მაგალითად, მძევლად

<sup>147</sup> იხ. Тарарухин С.А. Установление мотива и квалификация преступления. Киев, 1997, с. 22-24.

<sup>148</sup> Парог А.И. დასახ. ნაშრ., გვ. 67.

<sup>149</sup> იხ. იქვე, გვ. 72.

<sup>150</sup> იხ. Курс уголовного права. Учебник для вузов. В пяти томах. Под редакцией проф. Н. Ф. Кузнецовой, доц. И.М. Тяжковой. Том 1, общая часть, учение о преступлении. Изд. «Зерцало-М», М., 2002, с. 347.

ხელში ჩაგდება უფრო მკაცრად ისჯება თუ ის ანგარებითაა განხორციელებული (რუსეთის სსკ-ის 206-ე მუხლის მე-2 ნაწ. “ზ” ქვეპუნქტი).

ანგარებით მოტივსა და მიზანს კანონმდებელი ქვენა ხასიათის მქონედ მიიჩნევს. მაგალითად, შვილად აყვანის საიდუმლოების გახმაურება მხოლოდ მაშინ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას თუ ანგარებით ან სხვა ქვენა გრძნობითაა ჩადენილი (რუსეთის სსკ-ის 155-ე მუხლი).

სხვა ქვენა გრძნობებს მიეკუთვნება ეროვნული, რასობრივი, რელიგიური სიძულვილი, მართლმსაჯულების განმახორციელებელი პირის კანონიერი საქმიანობის განხორციელებისათვის ხელშეშლის მიზანი (რუსეთის სსკ-ის 295-ე მუხლი), დანაშაულის ჩადენის მტკიცებულებათა ხელგონურად შექმნის მიზანი (რუსეთის სსკ-ის 304-ე მუხლი), ხულიგნური მოტივები (რუსეთის სსკ-ის 213-ე მუხლი) და სხვ.

არაქვენა შინაარსის მოტივები და მიზნები არ ამძიმებენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ასეთებია, მაგალითად, შიშის, საქმის ყალბად გაგებულის მოტივები და ა.შ.<sup>151</sup>

---

<sup>151</sup>. იხ: Курс уголовного права. Учебник для вузов. В пяти томах. Под редакцией проф. Н. Ф. Кузнецовой, доц. И.М. Тяжковой. Том 1, общая часть, учение о преступлении. Изд. «Зерцало-М», М., 2002, с. 347.



#### § 4. მოტივთა და მიზანთა კლასიფიკაციის კრიტიკა და საკითხის გადაჭრა

მოცემული პრობლემის გარშემო ფსიქოლოგიურ და იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები, როგორც დავინახით, საკმაოდ მრავალფეროვანია, რაც ერთი უმთავრესი მიზეზითაა განპირობებული: ყოველი ადამიანი თავისი ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური თვისებებით, სოციალური სტატუსით და, რაც მთავარია, სამყაროში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების საკუთარი, განუმეორებელი ინდივიდუალური აღქმითა და მის შესაბამისად ობიექტურად რეალიზებული ქცევით გამოირჩევა. შემთხვევითი არ იყო, რომ ბ. უტევსკი მოტივთა კლასიფიკაციის წინააღმდეგი იყო. მისი აზრით, არ არსებობს მოტივთა სტაბილური სისტემა და მათი პრაქტიკული დანიშნულება.<sup>152</sup> თუმცა, ბ. უტევსკის ამგვარი მოსაზრება ამ საკითხისადმი ზედაპირული მიდგომის შედეგია, რომლის უსაფუძვლობაშიც მოტივთა და მიზანთა კლასიფიკაციის მნიშვნელობის ქვემოთ წარმოდგენილი დებულებები დაგვარწმუნებს.

მოტივთა კლასიფიკაციას გვერდი ვერ აუარა ჰუმანისტური ფსიქოლოგიის მამამთავარმა და ერთ-ერთმა გამოჩენილმა ფსიქოლოგმა აბრაჰამ მასლოუმ. მიუხედავად იმისა, რომ იგი მოტივთა კლასიფიკაციის წინააღმდეგი იყო, მან მაინც შეძლო ჩამოეყალიბებინა პრიორიტეტულ მოთხოვნილებათა იერარქიული მოდელი, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. მასლოუს კარგად ესმოდა, რომ ადამიანის ქცევის ფსიქოლოგიური ახსნისათვის ერთ-ერთი სერიოზული ასპექტია მოთხოვნილებათა სიძლიერის ხარისხის დადგენა. ვინაიდან მოტივთა ერთ ჰორიზონტალურ სიბრტყეზე მოთავსება სრული უაზრობაა, რადგან მოთხოვნილებათა თუ ინტერესთა ბრძოლა ქცევის განხორციელებისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ზოგჯერ წარმოიშობა და იმარჯვებს ის, რომელიც უფრო აქტუალურია კონკრეტულ ვითარებაში ადამიანისათვის, ამიტომ ერთობ აქტუალურია მოტივთა რანგირება. მაგალითად, ძილი ყოველთვის პირველადია თვალსაწიერის, ცოდნის გაღრმავებასთან შედარებით. მასლოუს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მოტივთა საერთო იერარქიული მოდელის შექმნისას არ ივიწყებს ადამიანთა განსხვავებულ ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ სტრუქტურას, მათ არაერთგვაროვან დამოკიდებულებას სხვადასხვა მოთხოვნილებებისა და ღირებულებებისადმი და აცხადებს, რომ ადამიანს ზოგჯერ საკუთარი ბიოგრაფიიდან გამომდინარე შეუძლია შექმნას მოთხოვნილებათა საკუთარი იერარქია.<sup>153</sup> მაშასადამე, მოტივთა და მიზანთა კლასიფიკაციის მკაცრად განსაზღვრული მოდელის შექმნის ხელშემშლელმა მიზეზებმა არ უნდა დააბრკოლოს მეცნიერი ცალკეულ ადამიანებზე დაკვირვებით გამონახოს მათ მამოძრავებელ ძალაში ის საერთო ნიშანი, რაც

<sup>152</sup> იხ. Утевский Б. С. Вина в советском уголовном праве. Госюриздат, М., 1950, с. 155.

<sup>153</sup> იხ. Хьел Л., Зиглер Д., დასახ. ნაშ., გვ. 487-489.

საფუძვლად დაედება მოტივთა და მიზანთა გარკვეულ ჯგუფებად დალაგებას.

ზიგმუნდ ფროიდის მიერ შემოთავაზებული მოტივთა კლასიფიკაცია, რომელიც სიცოცხლისა და სიკვდილის ინსტინქტების ორ დიდ ჯგუფადაა წარმოდგენილი, ადამიანის მამოძრავებელი ძალის საკმაოდ შეზღუდული ახსნაა. თანამედროვე ფსიქოლოგიაში ადამიანის ქცევის წარმართველ წყაროდ მხოლოდ არაცნობიერის დასახელება საკმაოდ დიდი ხანია უარყოფილი. ამასთან, არსებობს სიტუაციები, როდესაც ადამიანის ქცევას არც სიცოცხლის და არც სიკვდილის ინსტინქტი არ უდევს საფუძვლად. მაგალითად, ალტრუიზმით, ტოლერანტობით ნაკარნახევი ქცევა, ესთეტიკური გრძნობის დაკმაყოფილების სურვილი და ა.შ.

რაც შეეხება თვისებათა თეორიის წარმომადგენელთა (ფილიპ ლერში, მაკ-დაუგოლი, ჰენრი ა. მიურეი) ნაშრომებში მოცემულ მოტივთა კლასიფიკაციებს, ისინი უფრო მოთხოვნილებათა და ინტერესთა უბრალო ჩამონათვალია, ვიდრე ამა თუ იმ ნიშნით გაერთიანებული მოტივთა ჯგუფები, რადგან არ ჩანს ის კრიტერიუმი, რომელიც ადამიანის მამოძრავებელ ძალთა დაყოფას უდევს საფუძვლად. როგორც უკვე აღინიშნა, ხშირად მოტივთა ჯგუფების ხელოვნურად გაზრდასაც აქვს ადგილი. მაგალითად, მაკ-დაუგოლის მიდრეკილებათა ნუსხა.

კრიმინალისტთა ნაშრომებში მოტივთა ჯგუფებად დაყოფისას თვალში საცემია ქმედების სოციალური თუ სამართლებრივი შეფასების გაგრძელება მოტივთა შეფასებაზეც. ა. გერცენზონი, როგორც დავინახეთ, გამოყოფს კონტრეკოლუციურ მოტივებს. აღნიშნული მოტივების ცალკე გამოყოფა სახელმწიფო იდეოლოგიისათვის ხარკის გადახდა უფრო იყო, ვიდრე საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა. კონტრეკოლუციური შეიძლება იყოს ქმედება, დანაშაული და არა მოტივი, რადგან ამგვარი ქმედება (დანაშაული) შეიძლება განხორციელდეს სამშობლოს სიყვარულით, არსებული ხელისუფლების სიძულვილის გამო, ანგარებით და ა.შ. მოტივთა ნაირგვარობის მიუხედავად, დანაშაულის სამართლებრივი შეფასება იგივე რჩება. ხელისუფლების შეცვლა გამოიწვევს რევოლუციონერთა განხორციელებულ დანაშაულთა სოციალურად სასარგებლო ქმედებად შეფასებას, თუმცა ამ ქმედებათა მოტივები იგივე ბუნების დარჩება. ეს კრიტიკული შენიშვნა ეხება პ. დაგელის მოსაზრებასაც, რომელიც ცალკე გამოყოფს ანტისახელმწიფოებრივ მოტივებს.

გ. ფელდშტეინის მიერ მოცემულ მოტივთა კლასიფიკაციას, როგორც მას უწოდებს ბ. ვოლკოვი, შეუძლებელია ეწოდოს კლასიფიკაცია. ჯერ ერთი, არ ჩანს ის კრიტერიუმი, რომელიც საფუძვლად უდევს მოტივთა დაყოფას. მეორე, ერთი და იგივე მოტივი სრულიად შესაძლებელია სხვადასხვა მოტივთა ჯგუფში მოთავსდეს. მაგალითად, ცალკე გამოყოფილი შურისძიების ან თუნდაც ეჭვიანობის მოტივი შეიძლება იყოს შეცდომის საფუძველი. და ბოლოს, ადამიანის ქცევას შეიძლება განაპირობებდეს სულ სხვა მოტივებიც. მართებულად შენიშნავს ბ. ვოლკოვი, რომ „ავტორი იძლევა სასამართლო პრაქტიკაში გაცილებით ხშირად შემხვედრ დანაშაულთა მოტივებს. მათი მორალური და სამართლებრივი

შეფასების მიუხედავად, ამ კლასიფიკაციას პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს. ამასთან, ავტორი დაუსაბუთებლად მიაკუთვნებს მოტივებს ისეთ გარემოებებს, როგორცაა რისხვა, უცოდინრობა და შეცდომა. ეს ნიშნები ახასიათებს პიროვნების მდგომარეობას, მაგრამ არ ხსნის, თუ რატომ იქცევა ადამიანი ასე და არა სხვაგვარად.<sup>154</sup>

რაც შეეხება ბ. ვოლკოვის მიერ შემოთავაზებულ მოტივთა კლასიფიკაციას, განსაკუთრებით სადავოა მოტივთა კლასიფიკაციის ის მოდელი, რომელიც ითვალისწინებს მოტივების დაყოფას მდგრად და სიტუაციურად. აქ უფრო მართებული იქნება ვისაუბროთ პიროვნების თვისებებზე, რომელსაც საკუთარი წვლილი შეაქვს მოტივის ფორმირებაში. ის, რასაც ბ. ვოლკოვი მდგრად მოტივებს უწოდებს შეიძლება გახდეს მოტივაციის ერთ-ერთი ფაქტორი. სიტუაციურ მოტივებთან დაკავშირებით ბ. ვოლკოვის მოტანილი მაგალითიც ადასტურებს მოტივთა ამგვარი დაყოფის უსაფუძვლობას. თუკი მძიმე შეურაცხყოფა ნებისმიერ ადამიანს არ უბიძგებს დანაშაულის ჩადენისაკენ, მაშინ ეს ფაქტი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ქცევის განხორციელებისათვის ობიექტურთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პიროვნულ თვისებებს ანუ ე.წ. მდგრად მოტივებს. მაშასადამე, ე.წ. მდგრად მოტივებსა და სიტუაციურ მოტივებს შორის ისეთი მიმართებაა, როგორც ზოგადსა და კერძოს შორის. მაგალითად, შურისძიება, რომელსაც ბ. ვოლკოვი მდგრად მოტივს უწოდებს, რელიზებას მანამდე ვერ კპოვებს ანუ მოტივი ვერ გახდება, ვიდრე შესაბამისი სიტუაცია არ შეიქმნება.

როგორც უკვე დავინახეთ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ბ. ხარაზიშვილი ერთადერთი იყო ვინც მოტივთა კლასიფიკაციას საფუძვლად ქცევის ფსიქოლოგიური არსი დაუდო. საკითხის ამგვარ გადაწყვეტას იგი შემდეგნაირად ხსნის: „ნებელობითი ქცევის ცნებაში დაუშვებელია შევიტანოთ სამართლისა და მორალის ნორმათა ნიშნები, რადგან ისინი რეალურად დასაშვებია ასეთი ნიშნების გარეშე.“<sup>155</sup>

ბ. ხარაზიშვილის მოსაზრება გაკრიტიკებულია ბ. ვოლკოვის მიერ: „ნებელობითი ქცევა ყოველთვის დეტერმინირებულია საზოგადოებრივი, სოციალურ-ეკონომიკური შინაარსით. არსებითად სწორედ აქედან ამოდის ავტორი, როდესაც უშუალოდ გადადის მოტივთა კლასიფიკაციაზე... გამოვონილია, უპირველეს ყოვლისა, მოტივთა გამიჯვნა იდეური და საგნობრივი ხასიათის მოტივებად. ნებისმიერ მოტივს აქვს საგნობრივი ხასიათი იმდენად, რამდენადაც იგი დაკავშირებულია მიზანთან. მაგალითად, ანგარება წარმოიშობა მაშინ, როდესაც ჩნდება მატერიალური გამორჩენის, სარგებლის მიღების მისწრაფება... მოცემული კლასიფიკაციის ნაკლია აგრეთვე ის, რომ მასში მოტივთა გვერდით დაყენებულია პიროვნების თვისებები, ხასიათის თვისებები, მაგალითად, მომჭირნეობა, გულუხვობა, სიჯიუტე, ძლიერი სულიერი აღელვება და ა.შ. ეს

<sup>154</sup> Волков Б.С. Проблема воли и уголовная ответственность. Изд. Казанского университета, 1965, с. 96.

<sup>155</sup> Харазишвили Б. В. Вопросы мотива поведения преступника в советском праве. Гос. изд. «Цодна», Тб., 1963, с. 51.

გარემოებები ახასიათებს პიროვნების მიდრეკილებებს და არა ქცევის მოტივებს.<sup>156</sup>

ბ. ვოლკოვის კრიტიკა მთლიანად გასაზიარებელი არაა. უპირველეს ყოვლისა ის, რომ ნებელობითი ქცევა ყოველთვის დეტერმინირებულია, ამას თვით ბ. ხარაზიშვილიც ვერ უარყოფს: – „რა თქმა უნდა, სამართლისა და მორალის ნორმები არეგულირებს ადამიანის ქცევას. ეს ნორმები აიძულებს ადამიანს თავი შეიკავოს გარკვეული ქცევისაგან ან იმოქმედოს გარკვეული სახით. მართლაც, თვით ნებელობითი ქცევა, როგორც ასეთი, სამართლისა და მორალის ნორმების გარეშე არის დასრულებული შინაარსის გამომხატველი ცნებები, მაგრამ რამდენადაც ნებელობითი ქცევის შინაარსი ჩვენ უნდა ვეძებოთ მოტივებსა და მიზნებში, ამდენად ნორმის დარღვევის გამომხატველი ქცევა მოითხოვს ნორმისა და ქცევის ურთიერთმიმართების, ურთიერთკავშირის შესწავლას... უეჭველია, რომ საზოგადოებაში, სადაც მოქმედებს სამართლისა და მორალის ნორმები, შეუძლებელია ადამიანის ქცევის ხასიათის შეფასება ამ ნორმათა გაუთვალისწინებლად. ქცევა დადებით ან უარყოფით შეფასებას იღებს იმის მიხედვით, თუ როგორი მოთხოვნები წაყენება პიროვნებას საზოგადოების ამა თუ იმ განვითარების ეტაპზე. სწორედ ეს გარემოება გვკარნახობს ადამიანის ქცევის მოტივთა კლასიფიკაციის აუცილებლობას მათი განსხვავების საფუძველზე.“<sup>157</sup>

ბ. ხარაზიშვილის მოსაზრებას თუ კარგად დავუკვირდებით, გამოვიტანთ დასკვნას, რომ **მოტივის ქცევისაგან მოწყვეტით შეფასება შეუძლებელია**. მართლაც, ცნობილია, რომ მოტივი და მიზანი ფსიქოლოგიური კატეგორიებია, ხოლო ფსიქოლოგია ღირებულებებითი თვალსაზრისით ყოველგვარ შეფასებას მოკლებულია. მართებულად მიუთითებს გ. ნაჭყებია, რომ „დანაშაული, როგორც ფსიქოლოგიური განხორციელების ხერხი, საზოგადოებრივად საშიში, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულია. მაშასადამე, დანაშაულის ნიშნები მიეწერება არა ქცევას ფსიქოლოგიური გაგებით, არამედ ამ ქცევის განხორციელების ხერხს. ეს ბუნებრივია, რადგან ნორმატიულად ფასდება არა ქცევა თავისთავად, არამედ ამ ქცევის განხორციელების ხერხი...“<sup>158</sup>

მოტივთა კლასიფიკაცია ქცევისაგან მოწყვეტით შეუძლებელია, რადგან კლასიფიკაციას ყოველთვის თან ახლავს შეფასება. მაშასადამე, მოტივთა კლასიფიკაცია ქცევის ფსიქოლოგიური არსის საფუძველზე ნიშნავს შემდეგს: ვინაიდან მოტივი ქცევისაგან მოწყვეტით არ არსებობს, (ამას თვით ბ. ხარაზიშვილიც აღიარებს: „რამდენადაც მოტივები არ არსებობს ქცევის გარეშე, ამდენად მოტივთა კლასიფიკაციაზე საუბრისას ყოველთვის მოვიაზრებ შესაბამის ქცევას.“<sup>159</sup>), მაშინ სწორედ მხოლოდ ქცევის შეფასების კვალობაზე უნდა მოხდეს მოტივის

<sup>156</sup> Волков Б.С. Проблема воли и уголовная ответственность. Изд. Казанского университета, 1965, с. 97-98.

<sup>157</sup> Харазшвили Б. В. დასახ. ნაშ. გვ. 51-52.

<sup>158</sup> ნაჭყებია გ. ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია. თბ., 2001, გვ. 219-220.

<sup>159</sup> Харазшвили Б. В. დასახ. ნაშ. გვ. 58-59.

შეფასება. ბ. ხარაზიშვილიც ასევე იქცევა, როდესაც იდეურ მოვლენებთან დაკავშირებულ მოტივებში დასახელებულია მორალურ-პოლიტიკური მოტივები, ქვენა და არაქვენა მოტივები. სრულიად ნათელია, რომ მოტივებისათვის ამგვარი სახელების დარქმევა უკვე იმაზე მიუთითებს, რომ მათ ასეთი შეფასება მიეცა საზოგადოებაში არსებული სამართლებრივი თუ ზნეობრივი ნორმების საფუძველზე შეფასებული ქცევების შემდეგ. მაგალითად, ისეთი მორალურ-პოლიტიკური მოტივის განსაზღვრისათვის როგორცაა რასობრივი სიძულვილი, რასაკვირველია, აუცილებელია მივმართოდ საზოგადოებაში დამკვიდრებულ იმ სამართლებრივ ნორმებსა თუ შეხედულებებს, რომელიც რასობრივი სიძულვილის განსაზღვრის კრიტერიუმებს ადგენს.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მართლაც ხელოვნურია მოტივთა დაყოფა იდეური და საგნობრივი ხასიათის მოტივებად. არაა გამორიცხული იდეურ მოვლენებთან დაკავშირებული მოტივები სწორედ საგნებით დაინტერესებამ წარმოშვას. მაგალითად, ძვირადღირებული ნახატის ხილვამ გამორიცხული არაა წარმოშვას ესთეტიკური და ანგარებითი ან სხვა იდეური მოთხოვნის დაკმაყოფილების სურვილი და მისი დაკმაყოფილებისათვის ადამიანმა ჩაიდინოს ქურდობა.

და ბოლოს, მიუღებელია მოტივების გვერდით ადამიანის პიროვნული თვისებებისა (მაგალითად, მომჭირნეობა, გულუხვობა და სხვ.) და ემოციის (მაგალითად, ძლიერი სულიერი აღელვება) დაყენება, რადგან ისინი თვითონ კი არ გვევლინებიან მოტივებად, არამედ მონაწილეობას იღებენ მოტივის ჩამოყალიბებაში.

მოტივთა და მიზანთა კლასიფიკაციისას მეცნიერ-კრიმინალისტმა, უპირველეს ყოვლისა, აქცენტი უნდა გააკეთოს სისხლის სამართლისათვის პრაქტიკული დანიშნულების მქონე დაჯგუფებაზე. იმდენად, რამდენადაც ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისას ყოველთვის ადგილი აქვს ჩადენილი ქმედების შეფასებას სისხლისსამართლებრივი, სოციალური თუ ზნეობრივი ნორმების ჭრილში, ამიტომ მოტივთა და მიზანთა კლასიფიკაციას (როგორც უკვე აღინიშნა ქცევის შეფასების შემდეგ) საფუძველად უნდა დაედოს სოციალურ-ფსიქოლოგიური და ზნეობრივ-სამართლებრივი კრიტერიუმი.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის ანალიზით გამოირკვა, რომ თითქმის ორმოცდახუთამდე დანაშაულის შემადგენლობა მიზნით ან მოტივით დეტერმინირებულია. რაც შეეხება სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ნორმებს, აქ მხოლოდ მიზანი გვევლინება ამა თუ იმ ნორმის გამოყენების აუცილებელ პირობად. კერძოდ, ეს შეეხება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებს და ზოგიერთ ბრალის გამომრიცხველ გარემოებას. მართალია, მიზანზე მითითება მხოლოდ მართლზომიერი რისკის (სსკ-ის 31-ე მუხლი) განმარტებისას გვხვდება, მაგრამ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი სხვა გარემოებების გამოყენება შეუძლებელია თუ პირი შესაბამისი მიზნის მისაღწევად არ მოქმედებდა.

ყოველივე ამის შემდეგ შესაძლებელია მოტივები დაეყოს პირად და საერთო-სოციალურ მოტივებად, რომლებიც, თავის მხრივ, შეიძლება იყოს ქვენა ხასიათის და ქვენა ხასიათს მოკლებული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქოლოგიურად ყველა მოტივი პირადია და მოტივების პირად და საერთო-სოციალურ მოტივებად დაყოფას საფუძვლად ის მოთხოვნილება ან/და ინტერესი უდევს, რომლის დასაკმაყოფილებლადაც ხორციელდება ნებელობითი ქცევა.

პირადი ხასიათის მოტივი შეიძლება იყოს, მაგალითად, სიძულვილი, ანგარება, ეჭვიანობა, სექსუალური მოთხოვნილება, შიში, თვითდამკვიდრება და ა.შ.

საერთო-სოციალური ხასიათის მოტივი შეიძლება იყოს: ალტრუიზმი, ყალბად გაგებული სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესი, თავგანწირვა, პატრიოტული სულისკვეთება და ა.შ.

მოტივთა უფრო დეტალური კლასიფიკაცია რეალურად შესაძლებელია, თუმცა ასეთი კვლევა **სქოლასტიკური** ხასიათისაა. ამასთან, გამორიცხული არაა ერთი და იგივე მოტივმა თავისუფლად დაიმკვიდროს ადგილი როგორც პირადი ისე საერთო-სოციალური ხასიათის მოტივთა ჯგუფში. მაგალითად, რელიგიურ ან პოლიტიკურ ინტერესებთან დაკავშირებული მოტივით ადამიანის მოქმედება სავსებით შესაძლებელია ემსახურობდეს ან პირადი ან საზოგადოებრივი ინტერესების დაკმაყოფილებას ან ორივეს ერთად აღებულს. ამ უკანასკნელის შესაძლებლობის მაგალითად გამოდგება თუნდაც ქეთევან დედოფლის წამების ისტორიული ფაქტი. თუ არა ღმერთისა და სამშობლოსადმი უდიდესი სიყვარული, ქეთევან წამებული ვერ გაუძლებდა ასეთ გამოცდას. მისი სხვაგვარი ქცევა შეეწინააღმდეგებოდა, ერთი მხრივ, მის შინაგან მოთხოვნილებებს, მეორე მხრივ, საზოგადოების რელიგიურ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

და ბოლოს, მოტივთა და მიზანთა კლასიფიკაცია შესაძლებელია იმისდამხედვით თუ რა მნიშვნელობა აქვს მათ დანაშაულის სამი ელემენტიდან თითოეული მათგანისათვის: 1) მოტივი და მიზანი, რომელიც დანაშაულის შემადგენლობის ტიპს აფუძნებს. მაგალითად, ანგარება ან სხვა ქვენა გრძნობა გვევლინება სსკ-ის 174-ე მუხლით (ბავშვის შეცვლა) გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის დამაფუძნებელ მოტივად; მითვისების მიზანი განმსაზღვრელია ქურდობის (სსკ-ის 177-ე მუხლი), ძარცვის (სსკ-ის 178-ე მუხლი) და სხვა შესაბამისი შემადგენლობებისათვის; 2) მართლწინააღმდეგობის ბუნებიდან გამომდინარე, მის არსებობა-არარსებობაზე გავლენა შეიძლება მოახდინოს მხოლოდ მიზანმა. თუ პირმა თავდამსხმელს ესროლა ტყვია მოკვლის მიზნით, მაგრამ თუ ეს მიზანი სხვა უფრო მნიშვნელოვანი მიზნის მიღწევის საშუალებაა ანუ სამართლებრივი სიკეთის გადარჩების გზაზე მისი ერთ-ერთი ეტაპია, მაშინ ქმედება მართლზომიერად ფასდება. რა თქმა უნდა, თუ აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების ყველა პირობა დაცულია. ასეთ სიტუაციაში ქცევის მოტივს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება; 3) მოტივმა და მიზანმა შესაძლებელია გავლენა მოახდინოს ბრალის შინაარსსა და

ხარისხზე. ცნობილია, რომ ქვენა ხასიათის მოტივებმა შესაძლებელია დაამძიმოს ბრალი. მაგალითად, ანგარება ან ხულიგნური ქვენა გრძნობა მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებებზე გვევლინება (სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტები). პრაქტიკაში გვხვდება ისეთი მოტივებიც, რომლებიც ბრალს ამსუბუქებს. მაგალითად, სიბრაღული მშვიერი ბავშვების მიმართ, შეიძლება გახდეს ღარიბი მშობლისათვის საკვების ქურდობის მოტივი. შესაძლებელია ამა თუ იმ მოტივმა ბრალი საერთოდ გამორიცხოს. მაგალითად, მოჩვენებითი აუცილებელი მოგერიებისას შიში, დაბნეულობა შეიძლება გახდეს შეცდომის მიზეზი, რაც სხვა გარემოებების გათვალისწინებით ბრალს გამორიცხავს.

ანალოგიური გავლენის მოხდენა შეუძლია მიზანსაც, ოღონდ მოტივისაგან განსხვავებით მიზანი ზოგჯერ უმართლობის ხარისხზე მოქმედებს, რაც თავისთავად ბრალის ხარისხზეც ახდენს გავლენას. მაგალითად, თუ მკვლელობა ჩადენილია სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, მაშინ უმართლობასთან ერთად ბრალიც დამამძიმებელია (სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწ. „დ“ ქვეპუნქტი); თუ მკვლელობა ჩადენილია ხელმყოფის მოგერიების მიზნით, მაგრამ თავდაცვის შერჩეული საშუალება მეტისმეტად შეუსაბამო აღმოჩნდა თავდასხმის საშიშროებასა და ინტენსიობასთან, გვექნება მკვლელობის პრივილეგირებული შემადგენლობა (სსკ-ის 113-ე მუხლი). მაშასადამე, მარტივი მკვლელობისაგან განსხვავებით ბრალი აქ შემსუბუქებელია სწორედ თავდაცვის მიზნით მოქმედების გამო.

მოტივთა და მიზანთა კლასიფიკაცია, **უპირველეს ყოვლისა**, საშუალებას იძლევა სწორი კვალიფიკაცია მიეცეთ განხორციელებულ ქმედებას, რადგან, როგორც დავინახეთ, ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობა მიზნით ან მოტივითაა განსაზღვრული. მაგალითად, თუ ბავშვი შეცვლილია არა ანგარებით, არამედ სხვა ქვენა გრძნობით, აუცილებელია ვიცოდეთ თუ რომელ მოტივებს აერთიანებს ცნება ქვენა, რათა დანაშაულად დავაკვალიფიციროთ ბავშვის შეცვლა (სსკ-ის 174-ე მუხლი). ანალოგიური სიტუაციაა მიზნით დეტერმინირებულ დელიქტებშიც. **მეორე**, ზნეობრივ-ფსიქოლოგიური და სამართლებრივი კრიტერიუმების საფუძველზე დაჯგუფებული მოტივები და მიზნები სასჯელის სამართლიანი დანიშნვის საშუალებას იძლევა. სისხლის კანონმდებლობაში დანაშაულის შემადგენლობათა უმეტესობა იმგვარადაა კონსტრუირებული, რომ მოტივს ან მიზანს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა მათი გათვალისწინება აუცილებლად უნდა მოხდეს სასჯელის შეფარდებისას. **მესამე**, დანაშაულობათა თავიდან აცილების ღონისძიებათა დაგეგმვისა და დასაბუთებულობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ვიცოდეთ, დანაშაულთა უმეტესობა თუ რა მოტივებითა და მიზნებით ხორციელდება.

# თ ა ვ ი III

## მოტივისა და მიზნის სისხლისსამართლებრივი ფუნქციები

### § 1. დანაშაულის მოტივი და მიზანი ძველ ქართულ სისხლის სამართალში

ცნობილია, რომ სისხლის სამართალი ყველაზე რეპრესიული დარგია სამართლის სისტემაში. ამასთან, შეიძლება ითქვას, რომ სამართლის არც ერთ დარგში ისე მკვეთრად არ გამოიხატება ერის კულტურული განვითარების დონე, როგორც სისხლის სამართალში. სისხლის სამართლის კუთხით ორი კითხვის დასმაც კი საკმარისია იმისათვის, რომ შევაფასოთ ერის სამართლებრივი აზროვნება. პირველი, ვის ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და, მეორე, როგორ ისჯება დანაშაულები.

ჩვენს ყურადღებას პირველი კითხვა იპყრობს, რადგან ამ კითხვაზე პასუხის გაცემით დადგინდება თუ რა ხარისხის ყურადღება ეთმობა სუბიექტური ანუ ბრალეული შერაცხვის პრინციპს. ქართული კულტურის სასიქადულოდ უნდა ითქვას, რომ ძველ ქართულ სისხლის სამართალშიც ჯეროვანი ყურადღება ეთმობოდა ბრალს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის. ამაზე მეტყველებს ის, რომ დანაშაულის სუბიექტი ყოველთვის ადამიანი იყო<sup>160</sup> და მეორე, – დანაშაულის სიმძიმის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღებოდა ბრალის ხარისხი.

ბუნებრივია, სუბიექტური შერაცხვის პრინციპი თავისთავად მოიაზრებს დანაშაულის მოტივისა და მიზნის გათვალისწინებასაც, რომელიც პირდაპირ კავშირშია ბრალის ხარისხის განსაზღვრასთან. მართალია, ძველ ქართულ სამართლის წყაროებში, უმეტესწილად, მოტივისა და მიზანზე პირდაპირ მითითებას ვერ ვხვდებით, თუმცა კანონთა ტექსტის ანალიზი და ტერმინებზე დაკვირვება საშუალებას იძლევა გამოვკვეთოთ მოტივთა და მიზანთა სახეები.

დანაშაულის მოტივისა და მიზნის შესახებ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ყურადღებას იპყრობს ექვთიმე მთაწმინდელის მიერ თარგმნილი, ნაწილობრივ გადაკეთებული და განმარტებებით თანდართული ორი ბიზანტიური ძეგლი – მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების სჯულის კანონის წესი და განგება და იოანე მმრახველის „კანონნი შეცოდებულთანი.“

ექვთიმე მთაწმინდელი მკვლევლობის განხილვისას ყურადღებას აქცევს დანაშაულის სუბიექტურ მხარეს, რომლის

<sup>160</sup> ძველი ქართული სისხლის სამართალი ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გარდა იცნობდა კოლექტიურ პასუხისმგებლობასაც. მაგალითად, ვახტანგ VI სამართლის მიხედვით ოჯახს შეიძლება დაკისრებოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ერეკლე II მიერ გამოცემული დადგენილებით – ნათესავეებსა და სოფელს (დაწვ. იხ: მეტრეველი ვ. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. გამომ. „მერიდიანი“, თბ., 2002, გვ. 273-274).



მიხედვითაც ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ბრალის ხარისხებზე. ესენია: 1) „ნებსითი“ ანუ განზრახი ბრალი; 2) „უნებლიე“ ანუ გაუფრთილებლობითი ბრალი. ნებსითი ანუ განზრახი ბრალი, თავის მხრივ, ორ სახედ შეიძლება დაგვით:

ა) საკვებით გამოკვეთილი განზრახვა.<sup>161</sup> ამ განზრახვით ჩადენილი დანაშაულის გამოსახატად ზოგჯერ სჯულის კანონი ხმარობს ტერმინს „გულის სიტყვა;“ ამიტომ ასეთ დანაშაულებს შეიძლება ვუწოდოთ გულზრახვითი დელიქტები ანუ გამიზვნით ჩადენილი დანაშაულები;

ბ) განზრახვასთან მიახლოებული ბრალი.

„უნებლიე“ მოქმედების გამოსახატად სჯულის კანონი ხმარობს სიტყვას „იშობრივს“ და „ფათერაკს.“ თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ „ფათერაკი“ ზოგჯერ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამორიცხავდა, ამიტომ იგი თანამედროვე ეპოქებით კახუსს უთანაბრდება.<sup>162</sup>

როგორც აღ. ვახეიშვილი შენიშნავს, მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების სჯულის კანონის წესი და განგება იცნობს ბრალის რთულ, ორმაგ ფორმასაც. კერძოდ, თუ ჩხუბის დროს პირი აღგზნებულ მდგომარეობაში, „გულისწყრომისა“ და „სისასტიკის ზეგავლენით“ მკვლელობის განზრახვის გარეშე, სხეულის დაზიანების ან ფიზიკური ტკივილის მიყენების მიზნით მეორე პირს ჯოხით ან მჯიღით სცემდა, რასაც სიკვდილი მოჰყვა.<sup>163</sup>

ამ მაგალითს მოსდევს „ნებსითი“ მკვლელობა, რომლის მოტივად შურისძიებაა დასახელებული. აქ საუბარია მახვილით მკვლელობაზე.<sup>164</sup>

მცირე სჯულის კანონი იცნობს ანგარებითი მოტივით ჩადენილ მკვლელობას: – თუ ავაზაკნი (თანამედროვე ტერმინით ყაჩაღები) კაცს მოკლავენ ფასეულობათა დასაუფლებლად.<sup>165</sup>

ამავე კანონში საყურადღებოა მოწამვლით კაცის მოკვლის შემთხვევები, რომელთაგან მეორე მაგალითში მკვლელობის მოტივად დასახელებულია სიყვარული: თუკი ქალი მამაკაცს საწამლავს სიყვარულისათვის, ტრფიალებისათვის მკვლელობის განზრახვით შეასმევს, დანაშაული მაინც ნებსით მკვლელობას უთანაბრდება.<sup>166</sup>

როგორც აღინიშნა, XI საუკუნეში ექვთიმე მთაწმინდელმა ასევე თარგმნა იოანე მმარხველის ნომოკონი (იოანე მმარხველის „კანონნი შეცოდებულთანი“). კანონიკური სამართლის ამ ძეგლში ინტერესს იპყრობს ის წესი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს აღსარების მიმღებმა მოძღვარმა, როდესაც იგი მსჯელობს სხვადასხვა დანაშაულთა (ცოდვების) მნიშვნელობისა და სიმძიმეს

<sup>161</sup> იხ. მეტრეველი ვ. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. გამომ. „მერიდიანი“, თბ., 2002, გვ. 280.

<sup>162</sup> იხ. ვახეიშვილი აღ. ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან. ტომი I, თბ., 1946, გვ. 143.

<sup>163</sup> იხ. იქვე, გვ. 150.

<sup>164</sup> მცირე სჯულის კანონი. გამოსაცემად მოამზადა ელგუჯა გიუნაშვილმა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1972, გვ. 79.

<sup>165</sup> იხ. იქვე, გვ. 79.

<sup>166</sup> იხ. მცირე სჯულის კანონი. გამოსაცემად მოამზადა ელგუჯა გიუნაშვილმა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1972, გვ. 80.

შესახებ. აქ სხვა გასათვალისწინებელ გარემოებებს შორის დასახელებულია დამნაშავის ისეთი მოტივი, რომელიც პატრონის ბრძანებითა და შიშითაა გამოწვეული.<sup>167</sup> ასეთი იძულება, ივ. ჯავახიშვილის აზრით, პირს უმსუბუქებდა ან ათავისუფლებდა პასუხისმგებლობისაგან.<sup>168</sup>

ექვთიმე მთაწმინდელი „უნებლიე“ მკვლელობად თვლიდა ისეთ შეთხვევებს, თუ მასწავლებელს მონა ან მოწაფე შოლტით შემოაკვდებოდა. აქ ხაზგასმულადაა აღნიშნული, რომ მასწავლებელს სურდა არა მისი მოკვლა, უზომოდ ცემა, „არამედ მოქცევად მისი უწესობისაგან,“ რომ იგი ცემდა „განსაწურთელად.“<sup>169</sup> რა თქმა უნდა, აქ ნათელია მასწავლებლის მიზანი, რომელიც სურვილს უთანაბრდება.

ასევე ანგარებად უნდა მივიჩნიოთ “ვერცხლის-მოყვარეობა,” რომელსაც ექვთიმე მთაწმინდელი დიდ ყურადღებას უთმობს.<sup>170</sup>

ანგარებით მოტივზე მითითებას ასევე ვხვდებით გიორგი V „ძეგლისდებაში“, სადაც მე-12 მუხლში საუბარია „მამულის ნდომისათვის“ მკვლელობაზე. ასეთი დანაშაულიც განზრახ დანაშაულად ითვლებოდა.<sup>171</sup> ამავე სამართლის 90-ე მუხლი მიუთითებს ბჭის ანუ მოსამართლის მიერ ქრთამის აღებაზე, რომლის მოტივად სიხარბეა დასახელებული. 94-ე მუხლი აწესებს პასუხისმგებლობას ვალის გადაუხდელობის გამო ჩადენილი მკვლელობის ან ჯანმრთელობის დაზიანებისათვის. თუ ამ მუხლის ტექსტს დაუკვირდებით დანაშაულის მიზნად შურისძიება უნდა მივიჩნიოთ, რადგან დანაშაული „შუდლის“ ნიადაგზე ხორციელდება.

აღბულა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართალში ანგარებითი მოტივი დამამძიმებელ გარემოებად ითვლება. კერძოდ, 93-ე მუხლში ნათქვამია: „... ანგარება არს უფროსი ცოდვა.“<sup>172</sup>

ძველ ქართულ სამართალში ავაზაკობასთან ერთად ანგარებით ჩადენილ დანაშაულად ითვლებოდა მეკობრეობა, რა დროსაც ადგილი ჰქონდა ადამიანთა დახოცვას.<sup>173</sup> დანაშაულის მოტივზე მითითებას ვხვდებით ვახტანგ VI კოდიკოში, ასევე ბექა-აღბუღას სამართლის 168-ე, 169-ე მუხლებში და ა.შ.

სუბიექტური შერაცხვის პრიციპთან მიმართებით აღსანიშნავია ვახტანგ VI სამართლის წიგნი, დანაშაულები კლასიფიცირებულია ორ ჯგუფად. განზრახ და განზრახვის გარეშე ჩადენილ დანაშაულებად.<sup>174</sup>

<sup>167</sup> იხ. ვაჩიშვილი ალ. ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან. ტომი I, თბ., 1946, გვ. 158-159.

<sup>168</sup> იხ. ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თბ., 1984, გვ. 201.

<sup>169</sup> იხ. ჯავახიშვილი ივ. დასახ. ნაშრ., გვ. 198.

<sup>170</sup> იხ. კორძაია-სამადაშვილი ნ. დანაშაულის მოტივი ვახტანგ VI სამართლის მიხედვით. თსუ შრომები, ტ. 89, 1960, გვ. 47-48.

<sup>171</sup> იხ. ვაჩიშვილი ალ. ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან. ტომი I, თბ., 1946, გვ. 174.

<sup>172</sup> კორძაია-სამადაშვილი ნ. დასახ. ნაშრ. გვ. 48-49.

<sup>173</sup> იხ. 1) ჯავახიშვილი ივ. დასახ. თხ., გვ. 225; 2) მეტრეველი ვ. დასახ. ნაშრ. გვ. 315.

<sup>174</sup> იხ. ვაჩიშვილი ალ. ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან. ტომი I, თბ., 1946, გვ. 176.

„ვახვანგ VI სამართალში, – წერს ნ. კორძაია-სამადაშვილი, – ერთი მხრივ, მოქმედების მოტივით წყდება საკითხი ამა თუ იმ ქმედების დანაშაულებრივი ხასიათის შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, მოტივი გამოდის დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოების როლში.“<sup>175</sup>

ვახვანგ VI სამართლის წიგნის 192-ე მუხლში საბძლის, თივის, ვენახის დობის და ა.შ. ნივთებისათვის ცეცხლის წაკიდების ერთ-ერთ მიზეზად ასახელებს „მტრობას“ (დანაშაულის მოტივი), რაც შურისძიების მიზნით ჩადენილ დანაშაულზე მიუთითებს. 193-ე მუხლში კვალიფიციურ მკვლევლობადაა მიჩნეული მოწამვლით მკვლელობა, რომლის მოტივებად დასახელებულია „შუღლი“ და „მტრობა“, ხოლო ცალკეა გამოყოფილი „ფათერაკით“ კაცის მოკვლა.<sup>176</sup>

ვახვანგ VI სამართლის წიგნი მოსამართლის უდიდეს დანაშაულად თვლის ქრთამის აღებას, რაც მოსამართლის ანგარებით მოქმედებაზე მეტყველებს. შეიძლება ითქვას, რომ ვახვანგ მეექვსემ კარგად იცის ადამიანის შინაგანი ბუნება და ამიტომ განზრახვისა და განზრახვის გარეშე ჩადენილი დანაშაულების განმარტებით არ კმაყოფილდება. იგი მოსამართლეს მოუწოდებს გაითვალისწინოს დანაშაულის ჩადენის მოტივი, დამნაშავის ემოციური მდგომარეობა და სხვ. მაგალითად, 42-ე მუხლის მერვე და მეცხრე პუნქტებით ქმარს უფლება აქვს მოკლას მოღალატე ცოლი დანაშაულის ადგილზე. ასეთ ვითარებაში ქმრის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ერთ-ერთ მიზეზად ქმრის სულიერი მღელვარება, აფექტი შეიძლება მივიჩნიოთ.

წარმოდგენილი მცირე ისტორიული ექსკურსი მოტივისა და მიზნის შესახებ კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მოტივსა და მიზანს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის იმდენად, რამდენადაც ჯერ კიდევ იმ დროში, როდესაც ადამიანის შინაგანი ბუნება მეცნიერულად შეუსწავლელი იყო, კანონმდებელს მაინც კარგად ესმოდა ადამიანის მოქმედების შინაგანი, სუბიექტური ფაქტორების როლი სამართლიანი სასჯელის განსაზღვრისათვის.

<sup>175</sup> კორძაია-სამადაშვილი ნ. დასახ. ნაშრ. გვ. 43.

<sup>176</sup> იხ. ვაჩიშვილი ალ. ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან. ტომი I, თბ., 1946, გვ. 182.

## § 2. უმართლობის სუბიექტური ელემენტები

ნაშრომის ამ ნაწილში გამოკვლეულია, შეიძლება ითქვას, ქართულ სისხლისსმართლებრივ ლიტერატურაში ნაკლებდამუშავებული პრობლემა: მოტივისა და მიზნის როლი უმართლობის დაფუძნებისათვის და მათი გავლენა უმართლობის ხარისხზე.

სისხლისსმართლებრივ ლიტერატურაში მოტივსა და მიზანს ძირითადად ოთხ ფუნქციას მიაწერენ.<sup>177</sup> ასეთ ფუნქციებად მიუთითებენ: დანაშაულებრივი ქმედების არადანაშაულებრივისაგან გამიჯვნა, დანაშაულების ერთმანეთისაგან გამიჯვნა, დანაშაულის კვალიფიციური შემადგენლობის შექმნა, სასჯელის დამძიმება ან შემსუბუქება.

ბ. ხარაზიშვილის აზრით, სისხლისსმართლებრივი თვალსაზრისით მოტივები სამ ჯგუფად იყოფა:

1) მოტივები, რომლებიც დანაშაულის შემადგენლობაში აუცილებელი ნიშნის სახით შედიან;

2) მოტივები, როგორც მაკვალიფიცირებელი ნიშნები;

3) პასუხისმგებლობაზე გავლენის მქონე მოტივები.<sup>178</sup>

მოტივსა და მიზანს სხვა ფუნქციებიც გააჩნია, რომლებიც არანაკლებ მნიშვნელოვანია სისხლის სამართლისათვის. ამ ფუნქციებს თანმიმდევრობით განვიხილავ ნაშრომში.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლში მოცემულია დანაშაულის სამსაფუხურიანი სისტემა, რომელიც სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის წარმომადგენლების მიერ იყო შემუშავებული და მათ პატივსაცემად ლისტ-ბელინგის სისტემასაც უწოდებენ. დანაშაულის სამსაფუხურიანი სისტემა დანაშაულის ფორმალური განსაზღვრებაა, რადგან ცალკე ელემენტად გამოყოფილი არ არის საზოგადოებრივი საშიშროება. დანაშაულის სისტემაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს სისხლისსმართლებრივი უმართლობა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან პოლიტიკური გარდაქმნები, რა თქმა უნდა, სამართალსაც შეეხო, რამაც ბევრი გაუმართლებელი ცვლილება გამოიწვია. ხშირად, არამეცნიერული მოსაზრებებით ხმარებიდან განიდევნებოდა მნიშვნელოვანი სამართლებრივი ტერმინები და დებულებები იმის გამო, რომ თითქოს მას ბურჟუაზიული წარმომავლობა ჰქონდა. ამის შემდეგ კი მათ შესახებ საუბარს თითქმის ყველა ერიდებოდა. ასეთი ბედი ეწია ტერმინს უმართლობა, რომელიც გერმანულ იურიდიულ

<sup>177</sup> იხ: 1) Парог А.И. Субъективная сторона и квалификация преступлений. М., 2001, с. 72-73; 2) Уголовное право. Общая часть, изд. «Норма», авт. кол., М., 2001, с.207-208; 3) Курс уголовного права. Учебник для вузов. В пяти томах. Под редакцией проф. Н. Ф. Кузнецовой, доц. И.М. Тяжковой. Том 1, общая часть, учение о преступлении. Изд. «Зерцало-М», М., с.345-350; 4) Наумов А.В. Уголовное право. Общая часть, изд. «Бек», М.,1996, с.230-232; 5) სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. ავტორთა კოლექტივი, რედაქტორები: გ. ტყეშელიაძე, გ. ნაჭყებია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004, გვ. 138 და სხვ.

<sup>178</sup> იხ. Харазишвили Б. В. Вопросы мотива поведения преступника в советском праве. Гос. изд. «Цодна», Тб. 1963, с. 71.

ლიტერატურაში ჩამოყალიბდა (Unrecht). რეკოლუციამდელ რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში მისი შესატყვისი ტერმინი იყო Неправда, რომლის ნაცვლადაც საბჭოთა პერიოდში და ახლანდელ რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში იხმარება Противоправное деяние.

ამ ტერმინის გაუქმების ერთ-ერთ მიზეზად ო. გამყრელიძე იმითაც ხსნის, რომ „საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში გამოიყენებოდა ტერმინები „მართლწინააღმდეგობა“ და „სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობა.“ ისე გამოდიოდა თითქოს სამართლის რამდენი დარგიცაა იმდენი მართლწინააღმდეგობაა, რაც არასწორია, რადგან სახელწიფოში ერთი სამართალი მოქმედებს და ამიტომ ესა თუ ის ქმედება ეწინააღმდეგება მთლიანად სამართალს. უფრო მართებულია სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობის ნაცვლად ვიხმაროთ ტერმინი სისხლისსამართლებრივი უმართლობა.“<sup>179</sup> ამ მოსაზრებას არ შეიძლება არ დავეთანხმოთ, რადგან შეუძლებელია სამართლის ერთი დარგის მიერ დაშვებული ქმედება, სამართლის სხვა დარგმა აკრძალოს. ეს იმიტომ, რომ სამართლის ყველა დარგი მოწოდებულია სახელმწიფოში დაამყაროს ერთიანი მართლწესრიგი. სამართლის სხვადასხვა დარგის არსებობის მიუხედავად, სამართლის ყოველი დარგი სამართლის ერთიან სისტემას შეადგენს. ლოგიკურია თუ ვიტყვი, რომ სამართლის სხვადასხვა დარგთა ერთ სისტემაში არსებობა შეუძლებელი იქნებოდა თუ სამართლის თითოეული დარგის ნორმები ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებებს გაითვალისწინებდა. „სხვისი უფლებების ისეთი ხელყოფა, რომელიც სამოქალაქო ან საჯარო სამართლის ნორმების თანახმად, გამონაკლისის სახით ნებადართულია, აქედან გამომდინარე მართლზომიერიც, ამ თვალსაზრისით, არც სისხლის სამართლის სფეროში უნდა შეფასდეს მართლსაწინააღმდეგოდ, არამართლზომიერად. ასეთ შემთხვევაში სამართლებრივი სისტემის ერთიანობისა და ურთიერთშეთანხმებულობის პრინციპი მოქმედებს.“<sup>180</sup> მაშასადამე, სამართლის ყველა დარგი ქვეყანაში მართლწესრიგის შექმნისათვის ადგენს ურთიერთშეთანხმებულ პირობებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სამართლის ერთი დარგით ნებადართული ქმედება არ შეიძლება სამართლის სხვა დარგმა აკრძალოს.

ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, უმართლობის პრობლემის შესახებ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში (მათ შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებშიც) მცირეოდენი ნაშრომებია შექმნილი. გამორჩევით უნდა აღინიშნოს ო. გამყრელიძის ღვაწლი ამ მხრივ.

უმართლობა დანაშაულის პირველი ორი ელემენტის – სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების ანუ ვიწროდ გაგებული დანაშაულის შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის ერთობლიობაა. უმართლობა და მართლწინააღმდეგობა ერთმანეთისაგან განსხვავებული ტერმინებია: პირველი, მართლწინააღმდეგობა არის თვისება, რომელსაც

<sup>179</sup> გამყრელიძე ო. გერმანულ-რუსული იურიდიული ლექსიკონის გამოცემის გამო. უსურნალი „მაცნე“, სამართლის სერია, 1998, №1, გვ. 31.

<sup>180</sup> Wessels/Beulke. Strafrecht. Allgemeiner Teil. Die Straftat und ihr Aufbau. C. F. Müller Verlag Heidelberg, 2002, S. 91.

სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება მაშინ იძენს, როდესაც იგი განხორციელებულია მართლწინააღმდეგობის გამოძრისხველი გარემოებების არ არსებობისას. მეორე, მართლწინააღმდეგობისაგან განსხვავებით უმართლობას გააჩნია ხარისხი, ანუ უმართლობები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სიმძიმით. მართებულად მიუთითებს ო. გამყრელიძე, რომ უმართლობისაგან განსხვავებით მართლწინააღმდეგობის დახარისხება მძიმედ და მსუბუქად არ შეიძლება, რადგან შეუძლებელია ერთი ქმედება ნაკლებად ეწინააღმდეგებოდეს, ხოლო მეორე ქმედება მეტად ეწინააღმდეგებოდეს სამართალს.<sup>181</sup>

კანონმდებელი ზოგჯერ ქმედების დანაშაულებრიობას, მისი გარკვეული მოტივით ან მიზნით განხორციელებას უკავშირებს, რადგან ქმედების ობიექტური თვალსაზრისით შეფასება საშუალებას არ გვაძლევს გავმიჯნოთ დანაშაულებრივი ქმედება არადანაშაულებრივისაგან. მოტივსა და მიზანს უმართლობასთან მიმართებით შეიძლება ორი ფუნქცია ჰქონდეს: ან დააფუძნოს, ე.ი. თვისობრივად განსაზღვროს უმართლობა, ან ხარისხობრივად იმოქმედოს მასზე, ე.ი. დაამძიმოს ან შეამსუბუქოს.

მოტივმა და მიზანმა სისხლის სამართალში შეიძლება შემდეგი ფუნქციები შეასრულოს (ნაშრომის ამ პარაგრაფში წარმოდგენილი იქნება ფუნქციების მხოლოდ ნაწილი, ხოლო დანარჩენი ფუნქციები – შემდგომ პარაგრაფებში):

პირველი, მოტივმა და მიზანმა შეიძლება დააფუძნოს უმართლობა. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში დაიწყო მსჯელობა იმის შესახებ, რომ ხშირად ქმედების მატერიალურ მართლწინააღმდეგობას სუბიექტური ელემენტი აფუძნებს. „ამ მოვლენას, – წერს ო. გამყრელიძე, – გერმანელი მეცნიერები აღმოჩენას (Entdeckung) უწოდებენ. ეს აღმოჩენა უკავშირდება გერმანელი ცივილისტის ჰ. ფიშერის სახელს, რომელმაც დასახელებული მოვლენა შენიშნა სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობაში.“ კრიმინალისტებიდან ეს პრობლემა ყველაზე საფუძვლიანად გერმანელმა კრიმინალისტმა, ნეოკლასიკური მიმართულების წარმომადგენელმა ედმუნდ მეცგერმა დაამუშავა.<sup>182</sup>

მიუხედავად ნაკლოვანებებისა, ნეოკლასიკური მიმართულების წინგადადგმული ნაბიჯი კლასიკურ მიმართულებასთან შედარებით უდავოა. ნეოკლასიკოსთა ყველაზე დიდი ღირსება ისაა, რომ მათ მართლწინააღმდეგობა ობიექტურთან ერთად სუბიექტურ კატეგორიად წარმოადგინეს. მათ შეძლეს დაემტკიცებინათ, რომ ზოგჯერ ქმედების მართლწინააღმდეგობა მხოლოდ წმინდა კაუზალურ ქმედებას კი არ უკავშირდება, არამედ დამნაშავის სუბიექტური მიმართება ამ ქმედებისადმი, კერძოდ,

<sup>181</sup> იხ. გამყრელიძე ო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. ზოგადი ნაწილი, პირველი წიგნი, საქ. იუსტიციის სამინისტროს „საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ რედაქცია, თბ., 2005, გვ. 84.

<sup>182</sup> იხ. გამყრელიძე ო. სისხლის სამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი. გამომ. „მეცნიერება“, თბ., 1989, გვ. 141-142.

მიზანი აფუძნებს ამა თუ იმ ტიპის უმართლობას. როგორც მართებულად შენიშნავს გ. ნაჭყებია: „სისხლის სამართლის ე.წ. კლასიკურ მიმართულებაში ნეოკანტიანელობისა და ღირებულების თეორიის ანუ აქსიოლოგიის განვითარების ზეგავლენით უმართლობაში სუბიექტურ ელემენტად შეტანილი იქნა მიზანი. ცხადია, უმართლობის წმინდა ობიექტურ გაგებასთან შედარებით ეს ფაქტი უადრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახლდათ, რადგან ამ პოზიციიდან ობიექტივიზმი ნაწილობრივ მაინც იქნა დაძლეული. სუბიექტის ქცევაში მიზნის დადგენით მართლაც ხდება შესაძლებელი ქმედების დადებითი ან უარყოფითი შეფასება.“<sup>183</sup>

ქართველი კრიმინალისტებიდან თ. წერეთელი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ობიექტური მართლწინააღმდეგობის დამფუძნებელ ნიშნად მიზანი დაასახელა.<sup>184</sup> უფრო მოგვიანებით თ. წერეთელი უმართლობის სუბიექტურ ელემენტებს შედარებით დაწვრილებით შეესო და სუბიექტურ ელემენტებად დაასახელა მიზანი, შეცნობადობა და სხვ.<sup>185</sup> მაგალითად, თუ ნივთი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით არაა დაუფლებული, ქმედებას ქურდობად ვერ დავაკვალიფიცირებთ; ანდა თუ ფალსიფიკაცია (სსკ-ის 197-ე მუხლი) ანგარებითი მოტივით არაა განხორციელებული, მაშინ ასეთი მოქმედება მოკლებულია დანაშაულებრივ ხასიათს.<sup>186</sup>

მოტივსა და მიზანს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შეუძლია „შემოსაზღვროს“ პასუხისმგებლობის ფარგლები. მართებულად მიუთითებს ო. გამყრელიძე, რომ სისხლის სამართლის კერძო ნაწილში განზრახვი დელიქტების ორი სახე იკვეთება: პირველი, – როდესაც დელიქტის ჩადენა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება. ამ სახის დელიქტი ან მიზნითაა დეტერმინირებული (მაგალითად, ქურდობა (სსკ-ის 177-ე მუხლი) ან თავისი ბუნებით ამა თუ იმ დელიქტის განხორციელება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება, მიუხედავად იმისა, რომ მიზანი მითითებული არ არის. მეორე, – შერეული სახის დელიქტები, რომელთა ჩადენა შეიძლება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით (მაგალითად, მკვლელობა (სსკ-ის 108-ე მუხლი). ზოგჯერ შესაძლებელია შერეულ დელიქტებში კანონმდებელმა გამოყოს ცალკე დანაშაულის შემადგენლობა მიზნის ჩართვით, რის გამოც ეს დელიქტი მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება განხორციელდეს. მაგალითად, მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით (სსკ-ის 110-ე მუხლი).<sup>187</sup>

<sup>183</sup> ნაჭყებია გ. სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება. (დექციების კურსი), თბ., 2002, გვ. 122.

<sup>184</sup> იხ. Церетели Т.В. Причинная связь в уголовном праве. Гос. изд. «Юридической литературы», изд. второе, исправленное и дополненное, М., 1963, с. 196-197.

<sup>185</sup> იხ. Церетели Т.В. Основание уголовной ответственности и понятие преступления, «Правоведение», 1980, №8, с. 85.

<sup>186</sup> იხ: 1) სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ავტორთა კოლექტივი, რედაქტორი პროფ. გ. ტყეშელაძე, გამომ. „მერიდიანი,“ თბ., 2006, გვ. 401; 2) წულაია ზ., სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, მეორე ტომი, გამომ. „ინტელექტი,“ თბ., 2001, გვ. 199-200.

<sup>187</sup> იხ. გამყრელიძე ო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. ზოგადი ნაწილი, პირველი წიგნი, საქ. იუსტიციის სამინისტროს „საქართველოს

მეორე, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ მოქმედების მიზანმა სისხლის სამართლისათვის არათუ ირელევანტურად აქციოს განხორციელებული ქმედება, არამედ მართლზომიერადაც ცნოს. მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის თავიდან აცილება ვერ ჩაითვლება აუცილებელ მოგერიებად თუ სხვა პირობებთან ერთად არ არსებობს მომგერიებლის თავდაცვის მიზანი. „სამართლით დაცული ინტერესების დაცვის მიზანი არის აუცილებელი მოგერიების კონსტრუქციული ნიშანი, რომელიც მის ძირითად არსსა და შინაარსს განსაზღვრავს.“<sup>188</sup> შეცდომას უშვებს იქვე ბ. ვოლკოვი, თითქოს სავალდებულო არ იყოს მომგერიებლის მიერ თავდასხმის დანაშაულებრივი (უფრო სწორია მართლსაწინააღმდეგო. შენიშვნა ჩემია.-ი.დ.) ხასიათის გაცნობიერება.<sup>189</sup> თუკი მომგერიებელს ხელყოფის მართლწინააღმდეგობა გაცნობიერებული არა აქვს, მაშინ სამართლებრივი სიკეთის დაცვის არც მიზანი და სურვილი წარმოიშობა. არც ისაა სწორი თითქოს თუ მომგერიებელმა იცის, რომ ფსიქიკურად შეურაცხი ესხმის მას თავს, მან კი არ უნდა მოიგერიოს, არამედ უნდა მიმართოს სხვა ზომებს (გაიქცეს, საშველად მოუხმოს სხვას).<sup>190</sup> აუცილებელი მოგერიების უფლების მიცემით კანონდებელი ცდილობს მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაიცვას სამართლებრივი სიკეთე და ამისათვის ნებისმიერ სიტუაციაში მოგერიების მართლზომიერების თანაბარ პირობებს აყენებს.

მართალი არაა ბ. ვოლკოვი, როდესაც აკრიტიკებს თ. შავგულიძეს და მის საწინააღმდეგოდ აცხადებს, რომ აუცილებელი მოგერიების მართლზომიერებისათვის სავალდებულოა სოციალურ-ეთიკურად დადებითი მოტივის არსებობა.<sup>191</sup> მართალია, მოტივი და მიზანი კორელატიური ცნებებია ანუ ყოველ მოტივს შეესაბამება მისთვის დამახასიათებელი ქცევის მიზანი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ზნეობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით მოტივი და მისი შესაბამისი მიზანი თანაბარ შეფასებას იმსახურებს. სრულიად შესაძლებელია საზოგადოებრივად დასჯილი მოტივით სამართლებრივად მისაღები მიზანი განხორციელდეს. მაგალითად, ა-მ დაინახა, რომ მის ბიძას ანდერძის წერისას, რომლითაც მას ბიძის ქონება ერგებოდა, თავს დაესხა მანიაკი. ა-მ მანიაკი იმიტომ მოიგერია, რომ ანდერძის შედგენის გარეშე მას ქონება არ დარჩებოდა. მოცემული ფაბულის მიხედვით ა-ს მოქმედების მოტივი ანგარებითია, მაგრამ მიზანი სიცოცხლის დაცვაა, რის გამოც ჩვენ არ შეგვიძლია ა-ს მოქმედება აუცილებელ მოგერიებად არ ჩავთვალოთ.

უდავოდ სწორია ბ. ხარაზიშვილის მოსაზრება, რომ აუცილებელი მოგერიებისას მკვლელობა არის დაცვის მიზნის

---

კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ რედაქცია, თბ., 2005, გვ. 97-98.

<sup>188</sup> Волков Б.С. Мотивы преступлений (Уголовно-правовое, социально-психологическое исследование). Изд. Казанского университета, 1982, с. 89.

<sup>189</sup> იხ. იქვე, გვ. 90.

<sup>190</sup> იხ. იქვე, გვ. 90.

<sup>191</sup> იხ. იქვე, გვ. 94.



განხორციელების საშუალება.<sup>192</sup> ცნობილია, რომ თუკი მიღწეული მიზანი ემსახურება მისი შემდგომი მიზნის მიღწევას, მაშინ ადრეული მიზანი მომდევნო მიზნის მიღწევის საშუალებად იქცევა. ეს საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით მკვლევლობისას, როდესაც დამნაშავეს დაცვის მიზანი ამოძრავებს, იკიცხება სწორედ ამ კონკრეტული ვითარებაში დაცვის მიზნის მისაღწევად არასწორად შერჩეული საშუალების გამო, რადგან ამ საშუალებამ დანაშაულებრივი შედეგი გამოიწვია.

სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზანი მართლზომიერების ერთ-ერთ პირობად გვევლინება უკიდურესი აუცილებლობის დროს.<sup>193</sup> ასევე, დამნაშავეს შეპყრობა მხოლოდ მაშინ გამორიცხავს ქმედების მართლწინააღმდეგობას, როდესაც შემპყრობის მიზანი იყო დამნაშავეს ხელისუფლების ორგანოში წარდგენა.<sup>194</sup> ბ. ვოლკოვიც აღიარებს, რომ დამნაშავეს შეპყრობის მართლზომიერებისათვის აუცილებელია ყურადღება მიექცეს ამ უფლების განმასხვავებლის ქმედების მიზნობრივ შინაარსს.<sup>195</sup> კანონმდებელი პირდაპირ ასახელებს მართლზომიერი რისკის მართლზომიერების ერთ-ერთ პირობად საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მიღწევას.

აუცილებელი მოგერიების ფარგლებისა და დამნაშავეს შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილების სწორად განსაზღვრისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფარგლების ან ზომის გადამცილებლის მოტივის დადგენა, რამეთუ შესაძლებელია მოტივზე დაკვირვებით იგი სრულიად გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ბრალის არ არსებობის გამო. მაგალითად, შიშის, დაბნეულობის, მღელვარების მაღალი ხარისხი, რამაც შეიძლება შეურაცხ მდგომარეობაში ჩააგდოს ადამიანი.

მესამე, მოტივი და მიზანი, რომელიც დანაშაულის შემადგენლობაში აუცილებელი ნიშნის სახითაა შეტანილი უმართლობის ტიპების ერთმანეთისაგან გამიჯვნის საშუალებას იძლევა. მართებულად მიუთითებს ო. გამყრელიძე, რომ უმართლობა მხოლოდ ობიექტური ნიშნებისაგან არ შედგება და ისეთი სუბიექტური ნიშანი, როგორცაა მიზანი საშუალებას გვაძლევს ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ ობიექტურად მსგავსი დელიქტები. სწორედ მიზანი მიუთითებს იმაზე, რომ ობიექტურად მსგავსი ქმედებები სხვადასხვა ობიექტებს ხელყოფენ. ამიტომ ზოგიერთი

<sup>192</sup> იხ. Харазишвили Б. В. დასახ. ნაშრ., გვ. 86.

<sup>193</sup> დაწკ: იხ. ფუტკარაძე ე. უკიდურესი აუცილებლობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალში. სადისერტაციო ნაშრომი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2003, გვ. 55.

<sup>194</sup> იხ. შაგვულიძე თ., სურგულაძე ლ. საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თბ., 1988, გვ. 173.

<sup>195</sup> იხ. Волков Б.С. Мотивы преступлений (Уголовно-правовое, социально-психологическое исследование). Изд. Казанского университета, 1982, с. 96.

სუბიექტური ნიშანი მთლიანად არ მიეკუთნება ბრალს.<sup>196</sup> მაგალითად, თუ საქართველოს დასუსტების მიზნითაა განადგურებული საწარმო, გვექნება საბოტაჟის შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედება (სსკ-ის 318-ე მუხლის მე-2 ნაწილი), ხოლო ასეთი მიზნის გარეშე ქმედება ნივთის განადგურებად დაკვალიფიცირდება (სსკ-ის 187-ე მუხლი); ხულიგნური ქვენა გრძნობით ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 239-ე მუხლით (ხულიგნობა) და არა სსკ-ის 120-ე მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება) და ა.შ.

მეოთხე, მოტივმა და მიზანმა შეიძლება შექმნას დანაშაულის კვალიფიციური შემადგენლობა. აი, სწორედ აქ უნდა გაირკვეს სუბიექტური მხარის რომელი ნიშანი განსაზღვრავს უმართლობის ხარისხს. ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემები, შეიძლება ითქვას, ზოგჯერ უფრო თვალნათლივ მქდავდება დანაშაულის ამსრულებლისა და თანამონაწილეთა პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, რაზეც შემდგომ პარაგრაფში გვექნება საუბარი.

უმართლობის სიმძიმე არაა დამოკიდებული იმაზე, იგი განზრახაა ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით იმდენად, რამდენადაც განზრახვამ და გაუფრთხილებლობამ შეიძლება დაამძიმოს ბრალი და არა უმართლობა. სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გამოქმულია მცდარი მოსაზრება, რომ საზოგადოებრივი საშიშროების (უმართლობის. – შენიშვნა ჩემია. ი.დ.) ხარისხზე გავლენას ახდენს ბრალის ხარისხი.<sup>197</sup>

თ. შავგულიძის აზრით, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი შეიძლება ბრალმა განსაზღვროს. „განზრახი მკვლელობის დროს, – წერს იგი, – სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობები უფრო მეტ ზიანს განიცდის, ვიდრე, მაგალითად, სიცოცხლის შემთხვევითი მოსპობის დროს. პირველ შემთხვევაში, ქმედება გაცილებით დიდ რეაქციას და დიდ შემფოთებას იწვევს საზოგადოებაში, საზიანო ზეგავლენას ახდენს საზოგადოების მერყევე ელემენტებზე, იწვევს სახელმწიფოს მხრივ რეპრესიის გამოყენების აუცილებლობას და ა.შ.“<sup>198</sup>

ამ მხრივ, უდავოდ მართალია ო. გამყრელიძის კრიტიკა თ. შავგულიძის მიმართ. მისი აზრით, საზოგადოებრივი საშიშროების (უმართლობის. – შენიშვნა ჩემია. ი.დ.) ხარისხზე არ შეიძლება იმოქმედოს ისეთმა გარემოებამ, რომელიც მას არ აფუძნებს.<sup>199</sup> ამ სიტყვებს ო. გამყრელიძე იმ დროს წერდა, როდესაც მკვლელობა განზრახვაც შეიძლებოდა და გაუფრთხილებლობითაც. მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში კი, როგორც ცნობილია,

<sup>196</sup> . იხ: Актуальные вопросы современного уголовного права, криминологии и уголовного процесса (второй советско-западногерманский коллоквиум). Гамкрелидзе О. К. К вопросу субъективных признаках неправды. Изд. «Мецниереба», Тб., 1986, с. 120-121.

<sup>197</sup> იხ. Курс уголовного права. Учебник для вузов. В пяти томах. Под редакцией проф. Н. Ф. Кузнецовой, доц. И.М. Тяжковой. Том 1, общая часть, учение о преступлении. Изд. «Зерцало-М», М., 2002, с.154.

<sup>198</sup> Шавгулидзе Т.Г. Необходимая оборона. Тб., 1966, с. 15.

<sup>199</sup> იხ. გამყრელიძე ო. სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი. გამომ. „მეცნიერება,“ თბ., 1989, გვ. 160-161.

ტერმინოლოგიური ცვლილება განხორციელდა და მკვლევლობა მხოლოდ განზრახვი ქმედებით შეიძლება, ხოლო თუ გაუფრთხილებლობით ქმედებას ადამიანის სიკვდილი მოჰყვა, მაშინ ასეთი ქმედება სიცოცხლის მოსპობად ფასდება. თუმცა, სისხლის სამართლის კოდექსიდან შეიძლება სხვა მაგალითაც დავასახელოთ, რომლის საფუძველზეც უნდა ითქვას, რომ განზრახვა და გაუფრთხილებლობა უმართლობის ხარისხზე ვერ იმოქმედებს. მაგალითად, ნივთი განზრახ იქნება განადგურებული თუ გაუფრთხილებლობით, ქმედების სოციალური საშიშროება, უმართლობის ხარისხი თანაბარია.

და ბოლოს, თუკი განზრახ ქმედების განხორციელებისას უმართლობა უფრო მძიმეა, ვიდრე გაუფრთხილებლობისას, მაშინ ამ ლოგიკით გამოვა, რომ არაბრალეული ქმედებით განხორციელებულ უმართლობას ხარისხი საერთოდ არა აქვს.

განსხვავებულადაა საკითხი მიზანთან დაკავშირებით. თუკი მიზანი დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებადაა მოცემული, მაშინ უმართლობის ხარისხთან ერთად იზრდება ბრალის ხარისხიც. მაგალითად, მკვლევლობა სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით.

მიზნისგან განსხვავებით მოტივი უმართლობის ხარისხზე გავლენას ვერ მოახდენს. უმართლობის ხარისხზე მხოლოდ ისეთი სუბიექტური ნიშანი იმოქმედებს, რომელსაც შეუძლია უფრო მეტი ზიანი მიაყენოს სამართლით დაცულ ობიექტს. მაგალითად, წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მკვლევლობისას, წინასწარი შეცნობადობა უმართლობას ამძიმებს, რადგან ქალის სიცოცხლესთან ერთად ხდება ნაყოფის ხელყოფა. ანდა, თუკი ორი ან მეტი პირის მკვლევლობის მიზნით ხდება მოქმედების განხორციელება, მაშინაც უმართლობის ხარისხი მძიმდება, რადგან ერთზე მეტი სიცოცხლის ხელყოფა ხდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უმართლობის ხარისხი, ქმედების საშიშროება იზრდება ისეთი ობიექტური ნიშნითაც, რომელიც ქმედებას უფრო აადვილებს ან ინტენსიურს ხდის. მაგალითად, ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული.

რაც შეეხება მოტივს, მას თავისი ბუნებიდან გამომდინარე არ შეუძლია უმართლობის ხარისხზე იქონიოს გავლენა. მოტივი პერსონალური ხასიათისაა და მხოლოდ ბრალის ხარისხზე ახდენს გავლენას. მაგალითად, მკვლევლობა ჩადენილი ანგარებით (სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწ. „გ“ ქვეპუნქტი). სწორედ ამიტომაც, რომ თანამონაწილეობით დანაშაულის ჩადენისას თუნდაც ერთ-ერთ ამსრულებელს ან თანამონაწილეს შეცნობილი ჰქონდეს რომელიმე თანამზრახველის მოტივი, ეს ფაქტი მაინც ვერ იმოქმედებს მისი პასუხისმგებლობის სიმძიმეზე. ანალოგიური აზრი აქვს გამოთქმული ო. გამყრელიძეს.<sup>200</sup>

მესუთე, სისხლის სამართლის კანონმდებლობაზე დაკვირვებით შეიძლება ითქვას, რომ მოტივისაგან განსხვავებით მიზანს უნდა მივაწეროთ პრივილეგირებული შემადგენლობის

<sup>200</sup> შეად. გამყრელიძე ო. დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანამსრულებლობა. გამომცემლობა „მცენიერება“, თბ. 1974, გვ. 162.

შექმნის შესაძლებლობა. მაგალითად, სსკ-ის 110-ე მუხლით (მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით) ქმედების კვალიფიკაციისათვის, სხვა პირობებთან ერთად, აუცილებელია დამნაშავეს ჰქონდეს მომაკვდავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლების მიზანი.

მართალია, მოტივი დანაშაულის პრივილეგირებულ შემადგენლობას არ ქმნის, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბრალის ხარისხს ვერ შეამსუბუქებს. ზოგჯერ მიზნის განსაზღვრისა და განხორციელებული ქმედებისათვის შესაბამისი სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის განხორციელებაში დიდ როლს თამაშობს დამნაშავეს ქცევის მოტივის დადგენა. მაგალითად, აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მყოფმა მკვლელობის მარტივი შემადგენლობა განხორციელა თუ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით მკვლელობა, რომლის დროსაც დამნაშავეს უნდა ამოძრავებდეს თავდაცვის მიზანი, უაღრესად დიდი დახმარების გაწევა შეუძლია მოტივის განსაზღვრას. თუკი დადგინდება, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება განაპირობა შიშმა, დაბნეულობამ ან მღელვარებამ, სიტუაციის საერთო შეფასებით შესაძლებელია პირი გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ბრალის არ არსებობის გამო.

და ბოლოს, სისხლის სამართლის კოდექსში 2007 წლის 4 ივლისს მე-15 მუხლში განხორციელებულ ცვლილებამდე მიზნის დაუდგენლობას შეიძლება გამოეწვია ერთი უმართლობის ნაცვლად რამოდენიმე უმართლობის დაფუძნება ან პირიქით. სახელდობრ, აქ საუბარია განგრძობადი დანაშაულისა და არაერთგზისი დანაშაულის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. მიზნის დაუდგენლობა უსამართლოდ ღმობიერი ან მძიმე სასჯელის დანიშვნის საფუძველი იყო, რადგან არაერთგზისობა ყოველთვის ორი ან მეტი დანაშაულის არსებობას გულისხმობს და შესაბამისად სასჯელიც უფრო მძიმე ინიშნება განგრძობად დანაშაულთან შედარებით, თუ, რა თქმა უნდა, განგრძობადი დანაშაული სხვა დამამძიმებელ გარემოებაში არ იყო ჩადენილი.

მოქმედი სსკ-ის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „განგრძობადია სისხლის სამართლის კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც მოიცავს ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით ჩადენილ ორ ან მეტ ქმედებას.“ როგორც ირკვეოდა განგრძობადი და არაერთგზისი დანაშაულები ერთმანეთისგან სუბიექტური ნიშნებით იმიჯნებოდა. კერძოდ, განგრძობადი დანაშაულისას ობიექტურად აღებული ცალკეული ქმედებები, არაერთგზისი დანაშაულისაგან განსხვავებით, ერთიანი მიზნითა და განზრახვით ხორციელდება. გ. ტყეშელიაძე განგრძობადი დანაშაულის დამახასითებელ ერთ-ერთ ნიშნად ერთიან და განუწყვეტელ ბრალს ასახელებდა.<sup>201</sup>

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ განგრძობადი დანაშაულის ცალკეულ ობიექტურ ქმედებებს სხვა

<sup>201</sup> იხ. ტყეშელიაძე გ. პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1965, გვ. 32.

ნიშნებთან ერთად უნდა ახასიათებდეს მსგავსი მოტივები და მიზანი.<sup>202</sup> მსგავს მოტივებზე მითითება არაა სავალდებულო, რადგან მოტივის ცვალებადობა გავლენას ვერ მოახდენს განგრძობადი დანაშაულის ბუნებაზე. სრულიად შესაძლებელია, მაგალითად, პირმა ავტომანქანის ძრავის ერთი ნაწილი პირველ დღეს მატერიალური დაინტერესების მოტივით მიითვისოს, ხოლო მეორე დღეს – სიყვარულის, შურისძიების ან მეგობრებში „ავტორიტეტის“ მოპოვების მოტივით.

სსკ-ის მე-14 მუხლის პირველ ნაწილში განგრძობადი დანაშაულის ერთ-ერთ ნიშნად მიზანია დასახელებული, ამიტომ ლოგიკურია თუ ვიტყვით, რომ განგრძობადი დანაშაული მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ხორციელდება, რადგან მიზანზე მითითება განზრახვის უმაღლეს სახეს, პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. ამ მხრივ, მართებულად მსჯელობს გ. მამულაშვილი, რომ განგრძობადი დანაშაულის შემადგენელი ყველა დისკრეტული აქტი ერთიანი პირდაპირი განზრახვით ხორციელდება და ერთი მიზნისკენაა მიმართული.<sup>203</sup>

დღეისათვის განგრძობადი და არაერთგზისი დანაშაულების მიზნით გამიჯვნამ დაკარგა აქტუალობა, რამდენადაც სისხლის სამართლის კოდექსში 2007 წლის 4 ივლისს მე-15 მუხლში განხორციელებული ცვლილებით არაერთგზისობის ერთ-ერთი წინაპირობა არის მეორე დანაშაულის ჩადენა ნასამართლევი პირის მიერ, რის გამოც პრაქტიკულადაც და თეორიულადაც შეუძლებელია განგრძობად დანაშაულს ჰქონდეს ადგილი, როდესაც პირი მის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის ნასამართლევი და ამის შემდეგ კვლავ ახორციელებს იგივე დანაშაულს, რომლისთვისაც ნასამართლევი. აქ ერთიან მიზანსა და საერთო განზრახვაზე ყოველგვარი საუბარია ზედმეტი და ასეთ ვითარებაში ყოველთვის ადგილი აქვს დანაშაულის არაერთგზისობას.

---

<sup>202</sup> იხ. Кудрявцев В.Н. Общая теория квалификации преступлений. Изд. «Юристъ», М., 2001, с. 264.

<sup>203</sup> იხ. მამულაშვილი გ. ერთიანი დანაშაულის ცნება და ფორმები. ავტორეფერატი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1994, გვ. 15-17.

### § 3. ბრალეული ქმედების მოტივირებულობის პრობლემა

ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აწესებს მხოლოდ და მხოლოდ დანაშაულის ჩადენისათვის. დანაშაულის ერთ-ერთი ელემენტი კი ბრალია, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, უცილობლივ გულისხმობს უმართლობის ჩამდენის გაკიცხვას მისი შერაცხაობის გათვალისწინებით. ამ საკითხზე გ. ტყეშელიაძე მიუთითებს, რომ „ბრალის ძირითადი ფუნქციაა შეფასება. ესაა მისი მთავარი დანიშნულება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი თავისუფალია აღწერილობითი მომენტისაგან, ბრალი ნიშნავს გაკიცხვას, მაგრამ ეს გაკიცხვა ეფუძნება ფსიქიკურ დამოკიდებულებას, მოტივებს.“<sup>204</sup>

ამგვარი გაკიცხვა მარტოდენ მოსამართლის სუბიექტურ თვალსაზრისს კი არ გულისხმობს, არამედ გაკიცხვა კომპლექსური ცნებაა, რომელიც ობიექტური (ე.ი. უმართლობის) და სუბიექტური ნიშნების, ადამიანის სუბიექტური თვისებებისა და შესაძლებლობების შეფასებას გულისხმობს (მაგალითად, ასაკი, ფსიქიკური შერაცხაობა და სხვა ისეთი გარემოებების არაარსებობა, რომლებიც გამორიცხავენ სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობას). ლოგიკურია თუ ვიტყვი, რომ ბრალეულ მოქმედებაზე საუბარი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ადამიანს თავისუფალი ქცევის შესაძლებლობა აქვს. ასეთი ქცევა კი მხოლოდ ნებელობითი მოქმედების დროსაა შესაძლებელი.

ვინაიდან დანაშაული ნებელობითი მოქმედებაა, არ უნდა იყოს შემთხვევითი ის ფაქტი, რომ დანაშაულის ჩადენისას მოტივისა და მიზნის დადგენა ქმედების დანაშაულად სწორი კვალიფიკაციის აუცილებელი წინაპრობაა.

მოტივისა და მიზნის ერთ-ერთი ფუნქცია ისიცაა, რომ ისინი საშუალებას იძლევა სხვა პირობებთან ერთად დავადგინოთ ქმედება განზრახაა ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით. „მოტივი და მიზანი, – წერს ბ. ვოლკოვი, – არამარტო საშუალებას იძლევა დავახასიათოდ დამნაშავის ფსიქიკური მდგომარეობა დანაშაულის ჩადენისას, გამოვავლინოთ მართლსაწინააღმდეგო ქცევის მიზეზები, არამედ მართებულად განვსაზღვროთ ბრალის ფორმა, დამნაშავის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი.“<sup>205</sup>

მოტივი დანაშაულის სუბიექტური მხარის სხვა ნიშნებთან ერთად ბრალის სოციალურ საფუძველს წარმოადგენს. მას ბრალის ცნებაში შეაქვს მორალურ-ეთიკური შეფასების მომენტი. ერთი და იმავე პირობებში საკუთარი მოქმედების გაცნობიერებისა და მართლსაწინააღმდეგო შედეგის გათვალისწინებისას ბრალი შეიძლება იყოს ნაკლები ან მძიმე, თუკი არაერთგვაროვანია მოტივი ქვენა ხასიათიდან გამომდინარე. მოტივი ბრალის ხარისხზე იმის

<sup>204</sup> ტყეშელიაძე გ. ბრალი შეფასებითი ცნებაა. სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები (საიუბილეო კრებული მიძღვნილი თსუ იურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთავისადმი), თსუ გამომცემლობა, თბ., 2003, გვ. 326.

<sup>205</sup> Волков Б.С. Проблема воли и уголовная ответственность. Изд. Казанского университета, 1965, с. 54.

მიხედვით ახდენს გაგლენას, მოტივი ქვენა ხასიათისაა თუ ასეთ შინაარსს მოკლებული.<sup>206</sup>

იურიდიულ ლიტერატურაში დღესაც სადაოდ ითვლება საკითხი იმის შესახებ, რომ შეიძლება თუ არა ვისაუბროთ არაპირდაპირი განზრახვით და გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულებში მოტივსა და მიზანზე. ავტორთა ერთი ნაწილი მართებულად მიუთითებს, რომ რამდენადაც ყველა დანაშაული ნებელობითია, ამდენად შეუძლებელია რომელიმე დანაშაული მოტივისა და მიზნის გარეშე არსებობდეს. მეცნიერთა მეორე ნაწილი კატეგორიულად გამორიცხავს მოტივისა და მიზნის არსებობას პირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულთა გარდა. ერთ-ერთი რუსული სისხლის სამართლის კურსში ვკითხულობთ: „გაცილებით მართებულია იმ მეცნიერთა აზრი, რომლის თანახმადაც, გაუფრთხილებლობით დანაშაულებთან მიმართებით შეიძლება ვისაუბროთ მხოლოდ ქცევის და არა დანაშაულის მოტივსა და მიზანზე. ამის სასარგებლოდ მეტყველებს ის, რომ კანონდებელი მოტივსა და მიზანს არ მიიჩნევს გაუფრთხილებლობით დანაშაულთა შემადგენლობების არც აუცილებელ და არც მაკვალიფიცირებელ ნიშნებად. ამასთან, მიზანი, რომელიც სასურველი შედეგის შესახებ წარმოდგენაა, ვერანაირად ვერ ჯდება გაუფრთხილებელი ბრალის ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი შერაცხადი ადამიანის ქცევა მოტივირებული და მიზანმიმართულია, ქცევის მოტივები გაუფრთხილებლობისას არ გვეკლინება დანაშაულის მოტივებად, რადგან, უმეტესწილად, დანაშაულებრივად ითვლება არა ქმედება, არამედ დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი, რომლისკენაც პირი არა თუ არ ისწრაფოდა, არამედ არც კი უშვებდა მათი დადგომის შესაძლებლობას.“<sup>207</sup>

უფრო ადრეულ იურიდიულ ლიტერატურაშიც ვხვდებით ასეთ მოსაზრებას, თითქოს გაუფრთხილებლობითი ბრალისას მოტივი და მიზანი არის არა დანაშაულის, არამედ ქცევის ნიშნები.<sup>208</sup>

მსგავს აზრს ავითარებს ა. რაროვიც: „მიგვაჩნია, რომ მეცნიერები, რომლებიც ამტკიცებენ მოტივთა და მიზანთა არსებობას გაუფრთხილებლობით დანაშაულებში, უშვებენ ამ მოვლენებისადმი სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური მიდგომის ერთმანეთში აღრევას. კრიმინოლოგიას საქმე აქვს ადამიანის ქცევის სხვადასხვა ფორმებთან, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებულია დანაშაულთან. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ კრიმინოლოგიური ანალიზის საგანი შეიძლება იყოს არა მარტო კრიმინალური ქცევის, არამედ მის განხორციელებამდე ჩადენილი ქცევის და პოსტკრიმინალური ქცევის მოტივებიც. რამდენადაც სისხლის სამართალი იკვლევს მხოლოდ დანაშაულებრივ ქცევას,

<sup>206</sup> იხ. Волков Б.С. Мотивы преступлений (Уголовно-правовое, социально-психологическое исследование). Изд. Казанского университета, 1982, с. 76.

<sup>207</sup> Курс уголовного права. Учебник для вузов. В пяти томах. Под редакцией проф. Н. Ф. Кузнецовой, доц. И.М. Тяжковой. Том 1, общая часть, учение о преступлении. Изд. «Зерцало-М», М., 2002, с. 348-349.

<sup>208</sup> იხ: 1) Курс советского уголовного права, (часть общая), т. 1, Л., Изд. ЛГУ, 1968, с. 442; 2) Трайнин А.Н. соч., с. 221-222.

ამდენად იმ მოტივებიდან, რომლებმაც განსაზღვრეს ამა თუ იმ პირის სოციალურად მნიშვნელოვანი ქცევა, სისხლის სამართლისათვის მნიშვნელოვანია მხოლოდ ისინი, რომლებმაც უბიძგეს **დანაშაულის** ჩადენისაკენ და მასში გამოვლინდნენ, ე.ი. **დანაშაულებრივი** მოტივები ანუ უფრო ზუსტად – დანაშაულის მოტივები.<sup>209</sup>

ბ. ვოლკოვი მართებულად არ იზიარებს იმ მეცნიერთა მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, მოტივი და მიზანი მხოლოდ განზრახვი ბრალის ნიშნებია, რამეთუ გაუფრთხილებლობისას არ არსებობს დამნაშავეს მიზანმიმართულება და ამავდროულად დამნაშავეს არ გააჩნია დანაშაულის ჩადენის განზრახვა. ასეთი მტკიცება მისი აზრით: „არამარტო ეწინააღმდეგება დანაშაულის, როგორც ნებელობითი აქტის გაგებას, არამედ უსაგნოდ აქცევს სისხლის სამართლის კანონს, რომელიც პასუხისმგებლობას აწესებს გაუფრთხილებლობითი ქმედებისათვის. **თუკი პირის ნება არაა დაკავშირებული დამდგარ შედეგებთან** (ხაზგასმა ჩემია. – ი.დ.), მაშინ აშკარაა, რომ არ არსებობს საფუძველი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. განზრახვი და გაუფრთხილებლობითი დანაშაული ერთმანეთისაგან განსხვავდება არა **მოტივირებული მოქმედების არსებობით ან არარსებობით** (ხაზგასმა ჩემია. – ი.დ.), არამედ ამ მოქმედების შინაარსით. კერძოდ, ამ მოქმედების გაცნობიერების **არაერთგვაროვანი შინაარსით** (ხაზგასმა ჩემია. – ი.დ.) და შედეგისადმი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულებით.“<sup>210</sup>

არაპირდაპირი განზრახვისას მოტივი და მიზანი შეუძლებელია რომ არ იყოს. ცნობილია, რომ განზრახვის ერთ-ერთი კომპონენტი მართლწინააღმდეგობის შეგნებაა. მაშასადამე, პირის მოტივის ჩამოყალიბებაში სამართლებრივი ნორმის იგნორირება არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მოტივაციის ფაქტორის სახით მოქმედებს, მაგრამ მიზანი, რომელიც დამდგარ დანაშაულებრივ შედეგს არ ემთხვევა, მიიღწევა ისეთი საშუალებითა და ხერხით, რომლის გამოყენებასაც კაუზალური პროცესი ისე შეუძლია წაიყვანოს, რომ იგი ალბათობის მაღალი ხარისხით გამოიწვევს მართლსაწინააღმდეგო შედეგს.

არაპირდაპირი განზრახვითა და თვითიმედოვნებით ჩადენილი ქმედებისას, დანაშაულის ნებელობითი შინაარსი მდგომარეობს სხვა მიზნებისაკენ მიმართულ ქმედებაში. მაგალითად, ხალხმრავალ ადგილზე უმისამართო სროლისას მოქმედების მიზანი, მართალია, არ არის კონკრეტული პიროვნების მოკვლა, მაგრამ დამნაშავე მიზნად ისახავს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას.<sup>211</sup>

თუკი არაპირდაპირი განზრახვისას პირი ისწრაფვის მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის საწინააღმდეგო მიზნის განსახორციელებისაკენ, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შედეგი დადგება, თვითიმედოვნებისას პირის მოქმედება დასახული მიზნის

<sup>209</sup> Рапог А.И. Субъективная сторона и квалификация преступлений. М., 2001, с. 62-63.

<sup>210</sup> იხ. Волков Б.С. Мотивы преступлений (Уголовно-правовое, социально-психологическое исследование). Изд. Казанского университета, 1982, с. 78.

<sup>211</sup> იხ. Волков Б.С. Проблема воли и уголовная ответственность. Изд. Казанского университета, 1965, с. 42.



მისაღწევად დაკავშირებულია მართლსაწინააღმდეგო შედეგის აცილების მიზანთან.

დებულება, რომ ყოველი დანაშაული ნებელობითი ხასიათისაა, საკმარისი საფუძველი უნდა გამხდარიყო მეცნიერებისათვის ეკვლიათ გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულებში მოტივისა და მიზნის გამოვლენის სპეციფიკურ ფორმები და არ უნდა წარემართათ თავისი კვლევები მოტივისა და მიზნის უარყოფისაკენ. გაუფრთხილებლობით დანაშაულებში მოტივისა და მიზნის უარყოფა დასმული პრობლემის ზედაპირული განხილვის შედეგი უნდა იყოს. კერძოდ, ასეთი აზრის განვითარებას ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ დამნაშავის მოქმედების მოტივი არ კმაყოფილდება გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულით გამოწვეული შედეგით, რამეთუ მოქმედების მიზანი მიუღწეველი რჩება. მაგალითად, ა-ს სურს ავადმყოფის დროულად მიყვანა საავადმყოფოში, რის გამოც ავტომანქანით მოძრაობის დაშვებულ სისწრაფეს გადააჭარბებს და ფეხით მოსიარულეს დაახიანებს. აქ მოტივმა (მაგალითად, დაზარალებულის გარდაცვალების შიში) გამოიწვია დისჰარმონია, რომლის მოხსნისთვის აუცილებელია დაზარალებულის საავადმყოფოში მიყვანა, რომელიც მიზნის (გადაარჩინოს ადამიანი) მიღწევის საშუალებად გვევლინება.

მართებულია ბ. ვოლკოვის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა ყოველთვის არაა განპირობებული სასურველი საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომით, რომელიც ნების უშუალო გამონატყულებაა. ასეთი თანხვედრა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულებში შეიძლება, სადაც შედეგი მოქმედების მიზანია. არაპირდაპირი განზრახვითა და გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულებში შედეგი გვევლინება, არა როგორც მოქმედების მიზანი, არამედ გვერდით, მეორად შედეგად.<sup>212</sup>

ვ. მაყაშილი დანაშაულებრივი თვითიმედოვნებისას არ გამოორიცხავს ქმედების მოტივირებულობას და მოტივაციის პროცესს ასე ახასიათებს: „დანაშაულებრივი თვითიმედოვნებისას სწორედ შედეგის არდადგომის შესახებ წარმოდგენას ეძლევა გადამწყვეტი მნიშვნელობა და იქცევა იმ ერთ-ერთ მოტივად, რომელიც განამტკიცებს პირის გადაწყვეტილებას იმოქმედოს დასახული მიზნის მისაღწევად.“<sup>213</sup>

ეს მოსაზრება მცირედენ შესწორებას მოითხოვს. კერძოდ, შედეგის არდადგომის შესახებ წარმოდგენა მოტივი კი არ არის თვითიმედოვნებისას, არამედ მოტივაციის ერთ-ერთი სუბიექტური ფაქტორია, რომელიც ადამიანის პრაქტიკული მოქმედების გადაწყვეტილებას განამტკიცებს. გადაწყვეტილების განმტკიცების შესახებ თვით ვ. მაყაშილიც მიუთითებს, მაგრამ ამ ფუნქციას მოტივს მიაწერს. ამ კუთხით კი გამოდის, რომ მოტივს მოტივი განამტკიცებს. ეს კი ფსიქოლოგიურად შეუძლებელია, რადგან ერთ მოქმედებას მხოლოდ ერთი მოტივი შეიძლება დაედოს საფუძვლად.

<sup>212</sup> იხ. Волков Б.С. Проблема воли и уголовная ответственность. Изд. Казанского университета, 1965, с. 39.

<sup>213</sup> Макашвили В.Г. Уголовная ответственность за неосторожность. М., 1957, с. 38.

თვითიმედოვნებისას, რომელიც წინდახედულობის გაცნობიერებულ დარღვევაა, საკუთარი მოქმედების განპირობებულობა უფრო მკაფიოდ გვევლინება. ასეთ დანაშაულებში მოტივი, ასე ვთქვათ, „უშვებს საკუთარი თავის შეგრძნებას,“ ხოლო დაუდევრობისას უნდა გადაწყდეს შემდეგი საკითხი: – შეეძლო თუ არა პირს გაეთვალისწინებინა საკუთარი მოქმედების შედეგი. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია ვიცოდეთ ამ პირის ქცევის მოტივი. მაგალითად, დაუდევრად მოქმედი მეისრის პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის აუცილებელია დადგინდეს, რითი ხელმძღვანელობდა მოქმედების განხორციელებისას და იყო თუ არა ასეთი მოქმედება შეუთავსებელი მასზე დაკისრებული მოვალეობისადმი.<sup>214</sup>

მოტივისა და მიზნის არსებობას გაუფრთხილებლობით დანაშაულებში არც იონ ლექსასი უარყოფს: – მოტივები დამნაშავის კონკრეტულ მიზნებს განსაზღვრავენ როგორც განზრახი, ისე გაუფრთხილებლობითი დანაშაულისას. პირდაპირი განზრახვისაგან განსხვავებით, გაუფრთხილებლობისას დამნაშავეს არა აქვს ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენის გაცნობიერებული მიზანი. მაგალითად, რკინიგზის მეისრეს ჩაეძინა, რასაც მატარებლის მარცხი მოჰყვა. მისი მიზანი იყო ძილის დაკმაყოფილება და არა ხალხისთვის სიცოცხლის მოსპობა და რკინიგზის ტრანსპორტის მოძრაობისთვის საფრთხის შექმნა. ამ დროს მეისრის მიზანი, რომელიც მიმართული იყო ძილის დაკმაყოფილებისაკენ, განიცდის მის მიერ თავისი მოვალეობის გაცნობიერების უკმარისობას (ხაზგასმა ჩემია. – ი.დ.).<sup>215</sup>

მართებულია ბ. ვოლკოვის მოსაზრება, რომ თუ მეისრემ გულმავიწყობის გამო არ გადაწია ისარი, რასაც მატარებლის მარცხი მოჰყვა, მაშინ აშკარაა, რომ ამ შედეგის მიზეზი მოვალეობასთან შეუთავსებელი მეისრის ნებელობითი ქცევა იყო. მაშასადამე, გაუფრთხილებლობისას მოტივი და მიზანი ანტისაზოგადოებრივ ხასიათს ატარებს.<sup>216</sup>

გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის მოტივიერებულობაზე მიუთითებს ბ. უტევსკიც: – „ყოველი ქმედების მოტივით განპირობებულობა ეხება არა მარტო განზრახ ქმედებებს (ამიტომ არასწორია მოტივის მხოლოდ განზრახვასთან დაკავშირების მცდელობები), არამედ გაუფრთხილებლობით განხორციელებულ ქმედებებსაც.“<sup>217</sup>

ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს ბ. ვოლკოვი: „მოტივი ნების აუცილებელი ელემენტია; მის გარეშე არ შეიძლება რომელიმე ადამიანური საქმიანობის მოაზრება. გაუფრთხილებლობითი დანაშაულის მოტივიერებულობის უარყოფით ჩვენ მას ვართმევთ ძირითად თვისებას, რომლის გარეშეც არ

<sup>214</sup> იხ. Волков Б.С. Мотивы преступлений (Уголовно-правовое, социально-психологическое исследование). Изд. Казанского университета, 1982, с. 79.

<sup>215</sup> იხ. Лекшас Ион. Вина как субъективная сторона преступного деяния. (Перевод с немецкого) М., 1958, с. 18-20.

<sup>216</sup> იხ. Волков Б.С. Проблема воли и уголовная ответственность. Изд. Казанского университета, 1965, с. 44.

<sup>217</sup> Утевский Б.С. Вина в советском уголовном праве. М., 1950, с. 149.

არსებობს არც გაკიცხვა და არც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა... განზრახი მოქმედებისაგან განსხვავებით დაუდევრობისას ნება, როგორც მიზანი და მოტივი არ ვრცელდება მართლსაწინააღმდეგო შედეგებზე. ისინი მოცემულია ისეთ აქტებში, რომლებიც შეუთავსებელია პირის ვალდებულებებთან.“ მაგალითად, როგორც დავადგინეთ ექიმის ბრალეულობა ავადმყოფისათვის დახმარების აღმოუჩენლობისას თუ არ დავადგინეთ მისი მოქმედების მოტივი.<sup>218</sup>

მოტივისა და მიზნის არსებობაზე ბ. ხარაზიშვილიც მიუთითებს არა მარტო არაპირდაპირი განზრახვისას, არამედ გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულებშიც, სადაც მოტივი და მიზანი დანაშაულის შემადგენლობის ფარგლებს გარეთა მოხსენიებული, მაგრამ, მისი აზრით, ეს სრულებით არ მიუთითებს ქმედების არამოტივირებულობაზე. მას ასეთი მაგალითი მოჰყავს: „სუბიექტი ესვრის ხეზე მჯდომ ჩიტს, სადაც იმყოფება მებაღე. ამ დროს პირი უსაფუძვლოდ იმედოვნებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის აცილებას. გასროლის შედეგად ტყვია ხვდება მებაღეს. მოცემულ მაგალითში სუბიექტის მოტივი არის სპორტული ინტერესი, ხოლო მიზანი – ჩიტის მოკვლა.“<sup>219</sup>

დასმული პრობლემის კვლევისას ხელოვნურადაა დაპირისპირებული ნება და მოქმედება, ქცევა და შედეგი. „პირის ქცევა გაუფრთხილებლობისას, – წერს ბ. ვოლკოვი, – რომელიც ეწინააღმდეგება მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, არის სწორედ ის ნებელობითი აქტი, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებრივად საშიში ქმედების მიმართულებას. შედეგი გაუფრთხილებლობისას არის არა **საფუძველი** (ხაზგასმა ჩემია. – ი.დ.), არამედ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელი პირობა. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი აქაც არის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომლის არსი, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, მდგომარეობს იმაში, რომ იგი შეუთავსებელია პირზე დაკისრებული მოვალეობისადმი იყოს ფრთხილი, ყურადღებიანი, წინდახედული.“<sup>220</sup>

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც, გაუფრთხილებლობითი დანაშაული იმპულსური ქცევაა. კერძოდ, მ. უგრეხელიძე დ. უზნაძის თეორიაზე დაყრდნობით გაუფრთხილებლობის იმპულსურობას იმით ხსნის, რომ გაუფრთხილებლობა განწყობის დონეზე მიმდინარე ფსიქიკური აქტივობაა და იმპულსური ქცევის მსგავსად გაუფრთხილებლობისას ადგილი აქვს უყურადღებობას, რის გამოც „სოციალურად საზიანო

<sup>218</sup> იხ. Волков Б.С. Проблема воли и уголовная ответственность. Изд. Казанского университета, 1965, с. 91.

<sup>219</sup> Харазишвили Б. В. Вопросы мотива поведения преступника в советском праве. Гос. изд. «Цодна», Тб. 1963, с. 88-91.

<sup>220</sup> Волков Б.С. Мотивы преступлений (Уголовно-правовое, социально-психологическое исследование). Изд. Казанского университета, 1982, с. 79.

შედევების განხორციელების შესაძლებლობა გაუფრთხილებლობისთვის შინაგანაღალა დამახასიათებელი.“<sup>221</sup>

შეუძლებელია რომელიმე კრიმინალისტმა რაიმე არგუმენტი მოიყვანოს იმის საწინააღმდეგოდ, რომ ნებისმიერი დანაშაული ნებელობითი ხასიათისაა. ლოგიკურია თუ ვიტყვით, რომ ყოველი დანაშაული მოტივირებული და მიზანმიმართულია. თუკი ადამიანის ქცევის მიზანი და დამდგარი შედეგი ერთმანეთს არ ემთხვევა, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ პირის მოქმედება ამ შემთხვევაში უმოტივოა და შესაბამისად უმიზნო, არამედ **მოტივაციის სტრუქტურაში** უნდა ვეძებოთ ის მიზეზები, რამაც განაპირობა მიზნის განუხორციელებლობა. ვთქვათ, სტუდენტი გამოცდის წინ რამოდენიმე საკითხს არ სწავლობს იმ იმედით, რომ მას ეს საკითხები არ შეხვდება. მოხდა ისე, რომ სტუდენტს მართალაც შეუსწავლელი საკითხები შეხვდა და ჩაიჭრა. უდავოა, რომ გამოცდაზე ჩაჭრა მისი თვითიმედოვნების შედეგია. განა ვინმეს შეუძლია თქვას, რომ ვინაიდან შედეგი სტუდენტის გამიზნული მოქმედებით არ დადგა, მისი ქცევა არაა მოტივირებული? რა თქმა უნდა არა. ადამიანის ნებელობითი მოქმედების განხორციელებაზე გავლენას ახდენს სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები. „ადამიანის მოქმედების განმსაზღვრელი ფაქტორები, – წერს დ. კიკნაძე, – იყოფა ორ ჯგუფად – სუბიექტურად და ობიექტურად. ობიექტურ ფაქტორებს მიეკუთვნება ადამიანის მოქმედების გარემო და ქცევა, ხოლო სუბიექტურს – მოთხოვნილებანი და მის საფუძველზე წარმოშობილი ინტერესები, სურვილები, მისწრაფებები, მიზნები, გრძნობები, მოტივები, განწყობები და სხვ.“<sup>222</sup>

მ. უგრეხელიძემ საკუთარი მოსაზრება გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის შესახებ სხვა ნაშრომშიც გამოთქვა: – „დაუდევრობის თავისებურება იმით გამოიხატება, რომ ადამიანის ყურადღების აქტივობას რომელიმე გარკვეული მიმართულებით თან ახლავს დამატებით ამავე ყურადღების პასიურობა სხვა რომელიმე მიმართულებით.“<sup>223</sup>

ეს უკანასკნელი შეხედულება ნაკლებადაა დასაბუთებული. მართებულად შენიშნავს გ. ნაჭყებია, რომ „თუ განზრახვის ფსიქოლოგიური ბუნება ნებისმიერია, ხოლო გაუფრთხილებლობის – იმპულსური, მძიმე შედეგიანი დელიქტების (საბჭოთა სსკ-ის 110-ე მუხლის მეორე ნაწ. (მოქმედი სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2, მე-4, მე-6 ან მე-8 ნაწ. ჩამატება ჩემია. – ი.დ.) ფსიქოლოგიური ბუნება ერთდროულად ნებისმიერიც იქნება და იმპულსურიც. მაგრამ დ. უზნაძის ფსიქოლოგიური თეორიის საფუძველზე, ეს იმის მტკიცებასაც ნიშნავს, რომ ერთსა და იმავე სუბიექტს ერთდროულად შეუძლია შექმნას როგორც ნებისმიერი, ისე

<sup>221</sup> Угрехелидзе М.Г. К вопросу о психологической природе неосторожности. Журнали „მაცნე“, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1972, №4, გვ. 176.

<sup>222</sup> Кикнадзе Д.А. Система факторов действия и развития личности. Изд. «საბჭოთა საქართველო», Тბ., 1982, с. 15.

<sup>223</sup> უგრეხელიძე მ. დაუდევრობის დროს მორალური ბრალის დასაბუთებისათვის, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1975, №1, გვ. 9.

იმპულსური ქცევის განწყობა. როგორაა ეს შესაძლებელი?“<sup>224</sup> გ. ნაჭყებია გაუფრთხილებლობის სოციალურ-ფსიქოლოგიურ შინაარსს ფიქსირებულ განწყობაში ხედავს, რომელიც არც ნებისმიერია და არც იმპულსური.<sup>225</sup>

თუკი ადამიანის დასახული მიზანი ვერ მიიღწევა და სხვა შედეგი დადგება, მაშინ ადგილი აქვს სუბიექტის შეცდომას ანუ ობიექტური ფაქტორებისათვის არასათანადოდ ანგარიშის გაწევას. რატომ ხდება ისე, რომ კაუზალური პროცესი იმ გზით წარიმართება, რომელიც პირს არ უნდა? ამ შეკითხვაზე პასუხი ერთია: იმიტომ, რომ ადამიანი მცდარად აღიქვამს გარე სამყაროს იმ ფაქტორებს, რომლებიც მონაწილეობენ ნებელობითი ქცევის განხორციელებაში. ქცევის მოტივირებულობა არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანის მოქმედებას ყოველთვის უნდა მოჰყვეს ის შედეგი, რომელიც პირს სურს. ადამიანის მოქმედება, რომ ყოველთვის სასურველი შედეგით მთავრდებოდეს, მაშინ სამყარო დაბრკოლებების გარეშე იარსებებდა. მაგალითად, ა. ოთახში ანთებულ სანთელს დატოვებს და მის დაუდევრობას სახლის დაწვა მოჰყვება; ანდა მოჭიდავე დაუდევრად იქცეოდა და არასწორი პოზიციის გამო წააგებს. არის თუ არა მათი მოქმედებები მოტივირებული? რა თქმა უნდა არის, რადგან ადამიანს ცხოველისაგან განსხვავებით აქვს ცნობიერება, რაც მას საშუალებას აძლევს იმოქმედოს სხვაგვარად ანუ იმოქმედოს არა ისე, როგორც მას სურს არამედ ისე, როგორც ამას მისი სოციალური სტატუსი, მისი მოვალეობა მოითხოვს. თუკი ადამიანი სოციალური არსებაცაა, ამიტომ იგი ვალდებულია ანგარიში გაუწიოს საზოგადოებაში მოქმედ ქცევის წესებს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ პირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაულისაგან განსხვავებით, სადაც დანაშაულებრივი მიზანი ეჭვგარეშეა, არაპირდაპირი განზრახვითა და გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულებისას მიზანი ზოგადად მართალია არ არის დანაშაულებრივი (ამიტომაცაა, რომ ევენტუალური განზრახვით და გაუფრთხილებლობით დანაშაულის მომზადება და მცდელობა არ შეიძლება), მაგრამ შეუძლებელია მოტივაციის პროცესში მონაწილე ყველა ფაქტორი უმნიშვნელო იყოს უარყოფითი შეფასების თვალსაზრისით, რადგან ნებელობით მოქმედებაზე გავლენის მქონე ობიექტური ფაქტორები მცდარადაა შეფასებული და ამის საფუძველზე მიზნის მისაღწევად შერჩეული მოქმედების ხერხს და საშუალებას მიეყავართ დანაშაულებრივ შედეგამდე. დანაშაულებრივი შედეგი კი გამოავლენს მოქმედების ხერხისა და საშუალების მიუღებლობას სამართლისათვის. სწორედ, სათანადო ყურადღების გამოუჩენლობის გამო იკიცხება პირი არაპირდაპირი განზრახვით და გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისთვის იმდენად, რამდენადაც მოტივაციის პროცესის ობიექტური ფაქტორებისადმი უყურადღებო დამოკიდებულებამ გამოიწვია დანაშაულებრივი შედეგი (უყურადღებობის ხარისხი

<sup>224</sup> ნაჭყებია გ. ნებისყოფის თავისუფლების პრობლემა სისხლის სამართალში. სადისერტაციო ნაშრომი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1975, გვ. 67.

<sup>225</sup> იხ. იქვე, გვ. 68-69.

ცვალებადობს ანუ მატულობს არაპირდაპირი განზრახვიდან დაუდევრობისაკენ). თუკი ეს ფაქტორები მონაწილეობენ მოტივაციის პროცესში, მაშასადამე, მოტივის ჩამოყალიბებაში, მაშინ ლოგიკურია თუ ვიტყვით, რომ მათ გამო მოტივიც და მიზანიც აურყოფით ელფერს იძენს, რადგან მოტივისა და მიზნის შეფასება აზრს იძენს კონკრეტული დროისა და ადგილის მიხედვით. განსახილველ ვითარებაში კი მოტივი და მიზანი გაკიცხვის ობიექტი უნდა გახდეს, რამეთუ მოტივის დაკმაყოფილება და მიზნის მიღწევა, კონკრეტული დროისა და ადგილის გათვალისწინებით, დანაშაულებრივი ხერხითა და საშუალებით ხდება.

#### § 4. დანაშაულის სტადიების გამმიჯნავი სუბიექტური კრიტერიუმები

ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობით პასუხისმგებლობა დაწესებულია არამარტო დამთავრებული, არამედ დაუმთავრებელი დანაშაულისათვის. პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპიდან გამომდინარე დიდი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის სტადიების ზუსტად დადგენას, რადგან დანაშაულის მომზადებისას სამართლით დაცულ ობიექტს ჯერ კიდევ არ შექმნია საფრთხე დანაშაულის მცდელობისაგან განსხვავებით, ხოლო დანაშაულის მცდელობის დროს კი ჯერ კიდევ არაა სამართლით დაცული ობიექტი დაზიანებული (ვიწრო გაგებით), როგორც ამას ადგილი აქვს დამთავრებული დანაშაულისას. მაშასადამე, სოციალური საშიშროების თვალსაზრისით დანაშაულის ყოველი მომდევნო სტადია უფრო მძიმეა მის წინამორბედ სტადიასთან შედარებით.

დანაშაულის სტადიების სწორად დადგენას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მაშინ, თუ კანონმდებელი დანაშაულის სტადიებისათვის პასუხისმგებლობის დიფერენციაციას ახდენს. „პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაცია, – წერს გ. ნაჭყებია, – პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა, თუ კანონმდებელი სისხლის სამართლის კანონში არ გაითვალისწინებდა პასუხისმგებლობის დიფერენცირებულ ზომებს. ამდენად, პასუხისმგებლობის დიფერენციაცია და ინდივიდუალიზაცია არსებითად ერთი პრინციპია, რომელიც მიმართულია კანონმდებელზე, ხოლო სასჯელის დანიშვნა, როგორც პრაქტიკული პროცესი, სისხლის სამართლის კანონის შესაბამისად ხორციელდება.“<sup>226</sup>

ამ მხრივ, აღსანიშნავია სსკ-ის 56-ე მუხლის მე-4 ნაწილი, სადაც განსხვავებულ „საშეღავათო“ პირობაა დადგენილი იმ

<sup>226</sup> ნაჭყებია გ. სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი. გამომ. „მერიდიანი,“ თბ., 1998, გვ. 139.

დანაშაულთათვის, რომლებისთვისაც სანქციით დაწესებულია უვადო თავისუფლების აღკვეთა. კერძოდ, ამ სახის დანაშაულთა მომზადებისთვის ან მცდელობისთვის უვადო თავისუფლების აღკვეთა არ ინიშნება.

როგორც ვხედავთ, დანაშაულის სტადიების არასწორმა განსაზღვრამ შეიძლება დამნაშავეს უკანონოდ დაუშვიდოს ანდა პირიქით, შეუმსუბუქოს სასჯელი.

დანაშაულის სტადიების დადგენისათვის, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქმედების ობიექტურ თვისებებს. მაგალითად, თუ სახლში პირი შევიდა მკვლელობის განსახორციელებლად ადგილი აქვს დანაშაულის მომზადებას, ხოლო ქურდობის ჩასადენად სახლში შესვლა დანაშაულის მცდელობად უნდა ჩაივალოს.

დანაშაულის ბუნებიდან გამომდინარე ზოგჯერ შეუძლებელია სწორად განვსაზღვროთ დანაშაულის სტადიები ქმედების გარეგანი დახასიათებით. ამიტომ ქმედების სწორი კვალიფიკაციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დამნაშავეს განზრახვის, მოტივისა და მიზნის შესწავლას.

„კანონში რაც არ უნდა მკვეთრად იყოს აღნიშნული ყოველი სტადიის ობიექტური თვისებები, ისინი, რა თქმა უნდა, ვერ ამოწურავენ ყველა გამმიჯნავ ნიშნებს; სტადიების შეფასებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის სუბიექტურ თვისებებს, განსაკუთრებით მოქმედების მიზანს (ხაზგასმა ჩემია. – ი.დ).“<sup>227</sup>

ადამიანის განხორციელებული ქმედება, მაგალითად, იარაღის შექენა, დარაჯის მიერ სიგნალიზაციის გამორთვა, მეგობართან სახლში შესვლა და ა.შ., ობიექტური თვალთახედვით სამართლისათვის უმნიშვნელოა, მაგრამ როგორც კი დავიწყებთ სუბიექტის მოტივისა და მიზნის შესწავლას ფაქტიურად არსებული სურათი შეიძლება რადიკალურად შეიცვალოს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ქმედების მართლწინააღმდეგობას ზოგჯერ პირის მოქმედების მიზანი აფუძნებს.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით დანაშაულის მომზადება მხოლოდ განზრახ შეიძლება. მიუხედავდ იმისა, რომ განზრახვა ორი სახისაა – პირდაპირი და არაპირდაპირი – იურიდიულ ლიტერატურაში თითქმის აღარაინ კამათობს იმის შესახებ, რომ მომზადება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება. თუმცა, ვხვდებით ამ საკითხისადმი სხვაგვარი აზრის დასაბუთების მცდელობასაც. მაგალითად, ა. კოზლოვი წერს: „... ვფიქრობთ, რომ სრულიად დასაბუთებულად უარყოფენ სისხლის სამართალში მხოლოდ განზრახ მომზადების არსებობას და გვთავაზობენ ვცნოთ გაუფრთხილებლობით მომზადების პრაქტიკულ მიზანშეწონილობა და სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა.“<sup>228</sup>

<sup>227</sup> Волков Б.С. Мотивы преступлений (Уголовно-правовое, социально-психологическое исследование). Изд. Казанского университета, 1982, с. 99.

<sup>228</sup> დაწვრილებით იხ: Козлов А. П. Учение о стадиях преступления, серия «теория и практика уголовного права и уголовного процесса», изд. «Юридический центр», Санкт-Петербург, 2000, с. 212-259.

მართალია, სსკ-ის 19-ე მუხლის პირველი ნაწილი დანაშაულის მცდელობის განსაზღვრისას არ აკონკრეტებს მცდელობა პირდაპირი განზრახვით შეიძლება თუ არაპირდაპირით, მაგრამ საკითხის დრმა ანალიზი საშაულებას მოგვცემს დავასკვნათ, რომ დანაშაულის მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება. თუმცა, უახლოეს ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ხვდებით მოსაზრებასაც ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის დაშვების შესაძლებლობის შესახებ.<sup>229</sup>

ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობას უარყოფს თ. წერეთელი: – „მცდელობის კონსტიტუციური ნიშანი იმაში მდგომარეობს, რომ დანაშაულებრივი ნება მიმართულია დანაშაულის განხორციელებაზე.“<sup>230</sup>

ცნობილია, რომ ადამიანის ნებელობითი ქცევა მიზანმიმართულ ხასიათს ატარებს. მაშასადამე, პირს ამ დროს ყოველთვის სურს რაიმე შედეგის მიღწევა, რომლის განხორციელება, თავის მხრივ, ქცევის მოტივის დაკმაყოფილებას იწვევს, ე.ი. ადამიანი შეიძლება მხოლოდ იმისთვის ემზადებოდეს ან იმას ცდილობდეს, რაც მისი მოქმედების მიზანს შეადგენს. სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით, მომზადება და მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება, რადგან მიზანი მარტოდენ პირდაპირი განზრახვის ელემენტია.<sup>231</sup>

ამ მხრივ, ყურადღებას იპყრობს ო. გამყრელიძის მოსაზრება: „დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების მიზანი პირდაპირი განზრახვის აუცილებელი ელემენტია. ევენტუალური განზრახვისათვის არ არის დამახასიათებელი შედეგის განხორციელების მიზანი, ვინაიდან დამნაშავეს არ სურს შედეგი. პირდაპირი განზრახვის დროს **სურვილი** და **მიზანი** ერთმანეთს ემთხვევა, ერთი მეორის გარეშე არ არსებობს. ევენტუალური განზრახვის დროს კი, პირიქით, კაცს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების არც **სურვილი** აქვს და არც **მიზანი**.“<sup>232</sup>

მხოლოდ პირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის განხორციელების შესაძლებლობას ო. გამყრელიძე მის შემდგომ ნაშრომებშიც ასაბუთებს. მართლაც, უდავოა ის ფაქტი, რომ მცდელობის საკანონმდებლო განსაზღვრებაში მოსხენიებული სიტყვები „უშუალოდ“ და „მიმართული“ პირდაპირ განზრახვას გულისხმობს.<sup>233</sup>

<sup>229</sup> იხ. ტურავა მ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეექვსე შეკრებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2006, გვ. 76.

<sup>230</sup> წერეთელი თ. დანაშაულის მომზადება და მცდელობა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1961, გვ. 176.

<sup>231</sup> იხ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. ავტორთა კოლექტივი, რედაქტორები: გ. ტყეშელიაძე, გ. ნაჭყებია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004, გვ. 164-165.

<sup>232</sup> გამყრელიძე ო. სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი. გამომ. „მეცნიერება“, თბ., 1989, გვ. 68.

<sup>233</sup> იხ. გამყრელიძე ო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. ზოგადი ნაწილი, პირველი წიგნი, საქ. იუსტიციის სამინისტროს „საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ რედაქცია, თბ., 2005, გვ. 160.



მსგავსი მოსაზრება გამოთქმული აქვს ა. რაროვსაც: – „... სიტყვა „უშუალოდ“ ნიშნავს: პირდაპირს, ძირითადად, პირველ რიგში, ხოლო „უშუალოდ მიმართული“ თანაბარმნიშვნელოვანია შემდეგი სიტყვების: პირდაპირ გამიზნული, დაგეგმილი. ხოლო მიზანმიმართული, გეგმაზომიერი მოქმედება ყოველთვის განისაზღვრება სურვილით.“<sup>234</sup>

დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის ევენტუალური განზახვით ჩადენის შესაძლებლობას უარყოფენ საბჭოთა სისხლის სამართლის კურსის ავტორებიც.<sup>235</sup>

ნ. დურმანოვიც ეხება აღნიშნულ პრობლემას და მართებულად მიუთითებს, რომ ევენტუალური განზახვისას პირის მოქმედება მიმართულია სხვა შედეგის მიღწევისაკენ. ამ დროს იგი ითვალისწინებს შესაძლო დანაშაულებრივ შედეგს როგორც თავისი ძირითადი მართლზომიერი თუ არამართლზომიერი მოქმედების გვერდით პროდუქტს. ევენტუალური განზახვის დროს პირის არც ერთი მოქმედება არაა მიმართული სპეციალურად ამ შედეგისაკენ.<sup>236</sup>

ევენტუალური განზახვით, რომ მცდელობა არ შეიძლება ამას თვით სისხლის სამართლის კოდექსში აღწერილი ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობის ანალიზიც მოწმობს. სსკ-ის 127-ე (სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება) და 128-ე (განსაცდელში მიტოვება) მუხლებით კანონმდებელმა პასუხისმგებლობა იმიტომ დააწესა, რომ არაპირდაპირი განზახვით მცდელობა შეუძლებელია და რადგან სიცოცხლე მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთეა და მას არ სურს შედეგის დადგომამდე დაუცველი იყოს სიცოცხლე, უკვე სიცოცხლისათვის საფრთხის შემქმნაც დამოუკიდებელი დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობის სახითაა მოცემული.

დანაშაულის მცდელობა რომ მხოლოდ პირდაპირი განზახვით შეიძლება ამას ადასტურებს სსკ-ის 117-ე მუხლიც (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება). აღნიშნული მუხლის დისპოზიციაში კანონმდებელი ჯანმრთელობის დაზიანებად აკვალიფიცირებს ისეთ ქმედებასაც, რომელიც „სახიფათოა სიცოცხლისათვის.“ თუკი ჩვენ ევენტუალური განზახვით დანაშაულის მცდელობას ვაღიარებთ მაშინ, ლოგიკურად მკვლელობის მცდელობად უნდა დავაკვალიფიციროთ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების შემთხვევაც, რადგან ობიექტურად სახეზეა სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნა და დამნაშავე ამ დროს დაზარალებულის სიკვდილის მიმართ არაპირდაპირი განზახვით მოქმედებს.<sup>237</sup> საფრთხე კი ის კონსტიტუციური ელემენტია, რომელიც განასხვავებს დანაშაულის

<sup>234</sup> Рарог А.И. Умысел в формальных преступлениях, при приготовлении, покушении и соучастии. Журнал «Советское государство и право», 1977, №1, с. 67.

<sup>235</sup> იხ: 1) Курс советского уголовного права, часть общая, изд. Ленинградского университета, т. 1, 1968, с. 541; 2) Курс советского уголовного права, часть общая, Преступление, изд. «Наука», , Т. 2, М., 1970, с. 429.

<sup>236</sup> იხ. Дурманов Н.Д. Стадии совершения преступления по советскому уголовному праву, М.,1955, с. 124.

<sup>237</sup> ანალოგიური აზრი გამოთქმულია: – სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), ავტორთა კოლექტივი, რედაქტორი პროფ. გ. ტყეშელიაძე, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2006, გვ. 78.

მცდელობას დანაშაულის მომზადებისა და დამთავრებული დანაშაულისაგან. რჩება ერთი გზა: მიზანი უნდა მივიჩნიოთ დანაშაულის მცდელობის აუცილებელ სუბიექტურ ელემენტად. მიზანი კი მხოლოდ პირდაპირი განზრახვის ელემენტია. მაშასადამე, დანაშაულის მცდელობაც მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება. ამიტომ, სსკ-ის 19-ე მუხლის პირველ ნაწილს, სადაც დანაშაულის მცდელობის ცნებაა განსაზღვრული, უნდა მიეცეს შეზღუდვითი ახსნა-განმარტება, რადგან კანონმდებელი არ აკონკრეტებს განზრახვის სახეს.

ადამიანის ქცევის მიზანზე დაკვირვება საშუალებას იძლევა ობიექტურად დამთავრებული დანაშაული დაუთავრებელ დანაშაულად დავაკვალიფიციროთ. მართებულად შენიშნავს ბ. ვოლკოვი, რომ „ერთი და იგივე მოქმედებას (უმოქმედობას) გააჩნია სხვადასხვა აზრი, თუ ისინი განპირობებულია სხვადასხვა მოტივებითა და მიზნებით.“<sup>238</sup> მაგალითად, ა-მ ბ-ს დაარტყა და ჯანმრთელობა ნაკლებად მძიმედ დაუზიანა. თუკი ა. მოქმედებდა მკვლელობის მიზნით მკვლელობის მცდელობა იქნება; თუ ხულიგნური ქვენა გრძნობით – ხულიგნობა და ა.შ.

მაშასადამე, მოტივი და მიზანი საშუალებას იძლევა სწორად განვსაზღვროთ თუ როდის ითვლება დამნაშავის მიერ განხორციელებული ქმედება დამთავრებულ დანაშაულად ან დანაშაულის რომელ სტადიაზეა შეჩერებული მისი დანაშაულებრივი ქმედება ანდა ხომ არ ჰქონდა ადგილი დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულის სტადიების სწორად დადგენით უმართლობის ტიპიც იცვლება მაგალითად, თუ ადამიანს ტყვიის გასროლით ჯანმრთელობა მძიმედ დაუზიანდება, მხოლოდ ობიექტურად დამდგარი შედეგი საშუალებას არ მოგვცემს გავსაზღვროთ თუ რა ტიპის უმართლობას აქვს ადგილი: – ჯანმრთელობის დაზიანების თუ მკვლელობის უმართლობას. ამ საკითხის გადასჭრელად აუცილებელია დადგინდეს დამნაშავის მოქმედების მიზანი.<sup>239</sup>

დანაშაულის დამთავრებულად მიჩნევა მის საკანონმდებლო კონსტრუქციაზეა დამოკიდებული, ამიტომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს იმ საბოლოო მიზანს, რომელსაც დამნაშავე ისახავდა, თუ ეს მიზანი არ არის დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანი.

სისხლის სამართალში მოტივისა და მიზნის ძირითადი პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მოცემული ნიშნები უშუალო ზეგავლენას ახდენენ დანაშაულის კვალიფიკაციაზე. ამასთან, მოტივისა და მიზნის ეს როლი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს

<sup>238</sup> Волков Б.С. Проблема воли и уголовная ответственность. Изд. Казанского университета, 1965, с. 24.

<sup>239</sup> იხ. სისხლის სამართალის ზოგადი ნაწილი. ავტორთა კოლექტივი, რედაქტორები: გ. ტყეშელიაძე, გ. ნაჭყებია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004, გვ. 157-158

კანონმდებელი ამ ნიშნებს დანაშაულის ნიშნების დახასიათებისას.<sup>240</sup>

უდავოდ სწორია თ. წერეთლის პოზიცია ამ საკითხის შესახებ: – „ბოროტმოქმედის ზრახვები შეიძლება გაცილებით უფრო შორს მიდიოდეს, ვიდრე დანაშაულის შემადგენლობა. მაგალითად, ანგარებით მკვლელობის დროს ბოროტმოქმედის ზრახვა მოიცავს არა მარტო კაცის მოკვლას, არამედ გამორჩენის მიღებასაც (მაგალითად, მემკვიდრეობის მიღებას, ქონების დაუფლებას და ა.შ.), მაგრამ ანგარებითი მკვლელობის დამთავრებისათვის სულაც არ არის საჭირო, რომ მკვლეელმა ნამდვილად მიაღწიოს მის მიერ დასახულ საბოლოო მიზანს.“<sup>241</sup>

და ბოლოს, მოტივისა და მიზნის როლი არანაკლებ საყურადღებოა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ საკითხის გადაწყვეტისათვის. იმის დასადგენად შეწყვეტილი დანაშაულებრივი საქმიანობა უნდა შეფასდეს თუ არა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს მოქმედების მოტივის ანალიზი. „დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მოტივი შეიძლება სხვადასხვა იყოს. მაგალითად, დაზარალებულის სიბრალული, კანონის შიში, ღვთის შიში, დაზარალებულისადმი სიმპათიით განწყობა და ა.შ... აქ მთავარია ერთი მომენტი: მიზნის მიღწევაზე უარის თქმის მოტივის ჩამოყალიბებისას პირს შეცნობილი უნდა ჰქონდეს, რომ მას აქვს ობიექტური შესაძლებლობა ბოლომდე მიიყვანოს დანაშაული.“<sup>242</sup> აქვე შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მოტივი ხშირად მეტყველებს პიროვნების სოციალურ საშიშროების არსებობა-არარსებობაზე. „მაგალითად, თუ პირი დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელს აიღებს იმ მოსაზრებით, რომ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მას მთელი სიცოცხლე შეაწუხებს ჩადენილი ცოდვა ღვთის წინაშე, მაშინ იგი აღარ არის საზოგადოებისათვის საშიში, ხოლო თუ დანაშაულზე ხელის აღების მოტივი იქნება სასჯელის შიში, მაშინ პირი კვლავ რჩება საზოგადოებისათვის საშიშ პირად.“<sup>243</sup>

<sup>240</sup> იხ. Волков Б.С. Мотивы преступлений (Уголовно-правовое, социально-психологическое исследование). Изд. Казанского университета, 1982, с. 82.

<sup>241</sup> წერეთელი თ. დანაშაულის მომზადება და მცდელობა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1961, გვ. 48.

<sup>242</sup> დვალაძე ი. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება. ჟურნალი „აღმანახი“, №19, 2004 წლის თებერვლის გამოშვება, გვ. 21.

<sup>243</sup> იქვე, გვ. 20-21.

## § 5. მოტივისა და მიზნის როლი დანაშაულის ამსრულებლობისას და დანაშაულში თანამონაწილეობისას

### ა) თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი მისი წინამორბედი სისხლის სამართალი კოდექსისაგან განსხვავებით თანამონაწილის სახედ აღარ მიიჩნევს ამსრულებელს, ე.ი. კანონმდებლის მიერ თანამონაწილის სახეები წარმოდგენილია ვიწროდ გაგებული თანამონაწილეობის მიხედვით. ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე ის პირები არიან, რომელთაგან სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულის შემადგენლობას უშუალოდ არ ასრულებენ. აქ სწორედ ვიწროდ გაგებული თანამონაწილეობის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტური მხარის პრობლემა იქნება განხილული, რომელიც არაერთ პრობლემას წარმოშობს მისი ზოგიერთი თავისებურებიდან გამომდინარე.

ცნობილია, რომ თანამონაწილეობა თვითონ კი არაა რომელიმე კონკრეტული დანაშაული, არამედ ამა თუ იმ დანაშაულის განხორციელების ფორმაა და თანამონაწილეთა ერთობლივი ნებელობითი ქმედების შედეგია. თუკი თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველის კაუზალური მხარე და, საერთოდ, მისი ობიექტური მხარის პრობლემა თანამედროვე სისხლის სამართლის დოქტრინაში გაცხარებულ კამათს აღარ იწვევს, ამას ვერ ვიტყვით თანამონაწილეობის სუბიექტურ მხარეზე. ამ პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს სსკ-ის 23-ე მუხლი, სადაც აღნიშნულია: „დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში.“ ბუნებრივად იბადება კითხვა: კანონს სიტყვა-სიტყვითი თუ შეზღუდული ახსნა-განმარტება უნდა მიეცეს? ის ვინც სიტყვა-სიტყვით ახსნა-განმარტებას მისცემს მოცემულ ნორმას, მან ლოგოკურად უნდა დაუშვას თანამონაწილეობა როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით, რადგან სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის მიხედვით განზრახვა ორი სახისაა.

თემის კვლევის საგნიდან გამომდინარე ას იქნება განხილული იმ ავტორთა ნაშრომები, ვინც უშვებდა გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობას. თანამედროვე სისხლისსამართლებრივ აზროვნებაში გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობის შესაძლებლობა საკმაოდაა გაკრიტიკებული და იგი აქტუალური აღარაა. დღესდღეობით იურიდიულ ლიტერატურაში ყურადღებას იპყრობს შემდეგი სამი საკითხი: პირველი, შეიძლება თუ არა ევენტუალური განზრახვით ჩადენილ დანაშაულში თანამონაწილეობა. მეორე, თანამონაწილენი თანაბრად ეულად მოქმედებენ თუ ერთიან უმართლობას ახორციელებენ. მესამე, რა არის თანამონაწილეთა ფსიქიკაში ის სუბიექტური ნიშანი, რომელიც მათი ქმედების ერთიანობას განაპირობებს.

რევოლუციამდელ რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში ე.წ. შეთანხმების თეორიას აღიარებდა ნ. ტაგანცევი: „თანამონაწილეობას მიეკუთვნება დამნაშავეთა მხოლოდ ისეთი თავმოყრის თავისებური შემთხვევები, როდესაც სახეზეა სოლიდარული პასუხისმგებლობა ყველასი თითოეულისათვის და თითოეულის ყველასათვის; ამ პირობის გამო მოძღვრება თანამონაწილეობაზე იღებს დამოუკიდებელი ინსტიტუტის მნიშვნელობას.“<sup>244</sup>

მაშასადამე, ნ. ტაგანცევი თანამონაწილეთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აფუძნებს სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპზე. სოლიდარობა აქ გაგებულია არამხოლოდ კაუზალური მნიშვნელობით, არამედ როგორც თანაბრალეული გაცნობიერებული ერთობლივი მოქმედება. „თუ ვინმე ადამიანს დაჭრის, ხოლო მეორე დღეს დაჭრილს სხვა პირი მოახრჩობს, რომელიც პირველისაგან სრულიად დამოუკიდებლად მოქმედებს, მიუხედავად იმისა, რომ მოხრჩობის შესაძლებლობა განპირობებული იყო დაჭრით, რამაც დააუძღურა მსხვერპლი, თითოეული მათგანი პასუხს აგებს მხოლოდ მათი ნამოქმედარისათვის და ისინი თანამონაწილეთა ცნებაში არ მოიაზრებიან; იგივე უნდა ვცნოთ ჩვენ იმ პირთა მიმართაც, რომლებიც ერთდროულად, მაგრამ ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებლად სახლს ცეცხლს მოუკიდებენ სხვადასხვა ბოლოდან: მათი ბრალეულობა მოსაზღვრება და არა ერთიანი.“<sup>245</sup>

„ბრალის ერთიანობის (Общность вины), – აღნიშნავს ნ. ტაგანცევი, – როგორც თანამონაწილეობის სოლიდარული პასუხისმგებლობის დამახასიათებელი ნიშნის აღიარება იმას ნიშნავს, რომ თანამონაწილეთაგან ყოველი უნდა იყოს ბრალეული და თანაბრალეული. ამ პირობის გამო, რა თქმა უნდა, თანამონაწილე არ შეიძლება იყოს ქმედუუნარო ან შერაცხაობის გამომრიცხველ გარემოებებში მოქმედი, მაგრამ შემდეგ დგება საკითხი, ვრცელდება თუ არა თანამონაწილეთა ცნება არამხოლოდ განზრახ ბრალეულებზე, არამედ გაუფრთხილებლობით მოქმედებზეც.“<sup>246</sup>

„უეჭველია, რომ ასეთი პირი შეიძლება იყოს ბრალეული, შეუძლია სხვათა მოქმედებებთან ერთად წვლილი შეიტანოს კანონსაწინააღმდეგო შედეგის გამოწვევაში, იყოს სხვებთან ერთად მისი პირობების შემქმნელი, მაგრამ იგი, გაუფრთხილებლობის თავისებურებიდან გამომდინარე არ შეიძლება იყოს მონაწილე სხვის ბრალში, არ შეიძლება პასუხი აგოს სხვებთან მისი ერთობლივი მონაწილეობისათვის. ეს დებულება ერთნაირად ეხება როგორც სხვის განზრახ მოქმედებაში გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობას, ისე სხვის გაუფრთხილებლობით მოქმედებაში განზრახ თანამონაწილეობას, და ბოლოს, ასევე

<sup>244</sup> Таганцев Н. С., Русское уголовное право. Часть общая, том I, (полное переиздание), изд. «Автограф», Тула, 2001, с. 573.

<sup>245</sup> იქვე, გვ. 573.

<sup>246</sup> იქვე, გვ. 577.

გაუფრთხილებლობით ერთობლივად დანაშაულის ჩადენის შემთხვევებს.<sup>247</sup>

მაშასადამე, ბრალის ერთიანობა გულისხმობს ქმედების ყოველი განმასხვრციელებლისათვის განზრახვის ქონას. ამასთან, განზრახვის ძირითად სუბიექტურ მაკავშირებელ ელემენტს წარმოადგენს გამიზვნა (Намерение), რაც შეეხება განზრახვის სხვა ელემენტებს, – მოტივს, მიზანს ან გეგმას, – იმ ქმედებათა გამოკლებით, რომლის კანონისმიერ შემადგენლობაში პირდაპირი მითითებაა მიზნის ან გეგმის არსებობაზე, ამ ელემენტთა ერთიანობა არაა არსებითი. მკვლევლობაში მონაწილეები დარჩებიან თანამონაწილეებად, მიუხედავად იმისა, რომ ერთი მოქმედებს პირადი შურისძიებით, მეორე კი ანგარებით, თუნდაც ერთი ახრჩობდეს მსხვერპლს, ხოლო მეორემ დანა დაარტყას... თვით განზრახვა, განსაკუთრებით იმ თანამონაწილეებთან მიმართებით, რომლებიც არ იყვნენ უშუალო ამსრულებლები, ცნობიერების, აგრეთვე ნდომის გაცნობიერებისა და დაშვების საერთო ელემენტების გარდა, უნდა მოიცავდეს ერთობლივი მოქმედების შესახებ წარმოდგენას, რომელიც მიმართულია საერთო ძალისხმევით სამართლით დაცულ ინტერესზე საერთო ხელყოფის მიღწევისაკენ.<sup>248</sup>

ნ. ტაგანცევი იქვე შენიშნავს, რომ შეთანხმება შეიძლება ცალმხრივად იყოს. მაგალითად, დამხმარემ იარაღი დაუდო ამსრულებელს, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს თუ ვინ დაუდო იარაღი. ამიტომ შეთანხმება მოცულობის მიხედვით შეიძლება ეხებოდეს მთლიანად ქმედებას ან მის რომელიმე ნაწილს; უკანასკნელი განსაკუთრებით შესაძლებელია, როდესაც თვით დანაშაულებრივი ქმედება რთულია.<sup>249</sup>

„შეთანხმება, ბრალეულობაში გაერთიანების გამოხატულება, წინ უნდა უსწრებდეს დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებას ან უკიდურეს შემთხვევაში წინ უნდა უსწრებდეს იმ აქტს, რომელშიც გამოიხატა მოცემული ბრალეულის მონაწილეობა. თუ რამოდენიმე ადამიანმა ერთობლივად სიცოცხლე ხელყვეს, დაუშვათ, ცოლ-ქმრის, რომელთაგან პირველი მოკვდა, მეორე კი სასიკვდილოდ დაიჭრა, მაშინ დამთავრებული მკვლევლობისათვის ის თანამონაწილენიც აგებენ პასუხს, ვინც ქმარი დაჭრა.“<sup>250</sup>

მართებულად უნდა ჩაითვალოს ნ. ტაგანცევი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, თანამონაწილეობა გამორიცხულია იქ სადაც ადგილი აქვს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ რომელიმე გარემოებას. „თანამონაწილეობისას, – წერს იგი, – ქმედება უნდა იყოს დანაშაულებრივი... ამის გამო, თუ ხელყოფა ჩადენილად ითვლება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ან სავალდებულო ბრძანების შესრულებისას, მაშინ ქმედება არ შეიძლება იყოს დანაშაულებრივი თანამონაწილეობა.“<sup>251</sup>

<sup>247</sup> Таганцев Н. С., *დასახ. ნაშ.*, გვ. 577.

<sup>248</sup> იქვე, გვ. 578.

<sup>249</sup> იქვე, გვ. 579.

<sup>250</sup> იქვე, გვ. 579.

<sup>251</sup> იქვე, გვ. 582.

ნ. ტაგანცევის მიერ თანამონაწილეთა ქმედებების გამაერთიანებელ სუბიექტურ ნიშნად **გამიზნის** დასახელება ფრიად საყურადღებოა. თუმცა, ავტორი აღარ იძლევა გამიზნის მნიშვნელობის დასაბუთებას. მისთვის „ნათელი უნდა ყოფილიყო, რომ გამიზნა პირდაპირი განზრახვის უმაღლესი ფორმაა და ევენტუალურ განზრახვას ვერ ეგუება. ამიტომ მისი ნააზრევი აშკარად წინააღმდეგობრივია, რადგან ნ. ტაგანცევი, ერთი მხრივ, თანამონაწილეთა საერთო ნიშნად მიიჩნევდა გამიზნას, ხოლო, მეორე მხრივ, თანამონაწილეობას (წამქეზებლობას) შესაძლებლად თვლიდა ევენტუალური განზრახვითაც. გამიზნა და ევენტუალური განზრახვა ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია.“<sup>252</sup>

თანამონაწილეთა სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპს რეკოლუციამდელ რუსულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში აღიარებდა ლ. ბელოგრიც-კოტლიარევესკი,<sup>253</sup> ე. ნემიროვსკი.<sup>254</sup>

„ბრალის ერთიანობის, – წერს ო. გამყრელიძე, – იდეა იმ დროისათვის უკვე ახალი აღარ იყო. ცნობილია, რომ ეს აზრი ჯერ კიდევ 1847 წელს გამოთქმული ჰქონდა XIX საუკუნის თვალსაჩინო გერმანელ კრიმინალისტს ა. ბერნერს თავის გამოკვლევაში „Die Lehre von der Teilnahme am Verbrechen.“ ა. ბერნერის მიხედვით, თანამონაწილეობა არის ნების ერთიანობა, რის გამოც გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობა შეუძლებელია.“<sup>255</sup>

თანამონაწილეთა სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპი, რომ ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს უგულვებელყოფს, ეს ჯერ კიდევ კარგად შენიშნა იმდროინდელმა კრიმინალისტმა გ. კოლოკოლოვმა, რომელიც გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობას აღიარებდა. მისი აზრით, სოლიდარული პასუხისმგებლობა არის სხვისი ბრალისათვის პასუხისმგებლობა, რაც ინდივიდუალური ანუ პერსონალური პასუხისმგებლობის უარყოფაა.<sup>256</sup>

რუს და ქართველ კრიმინალისტთა შორის ო. გამყრელიძე პირველი იყო, ვინც ლიმიტირებული აქსცესურობა აღიარა, რაც იმას ნიშნავს, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობისათვის საკმარისია ერთიანი უმართლობის და არა ერთიანი დანაშაულის განხორციელება. საკითხის სიდრმისეული კვლევის შემდეგ იგი მიდის დასკვნამდე, რომ „თანამონაწილეობისათვის დამახასიათებელია ერთიანი უმართლობის განხორციელება ყველა თანამონაწილის მიერ, რაც შეუძლებელია იმ შემთხვევაში, როცა მათ ობიექტურ მომენტთან (მიზეზობრიობა) ერთად, სუბიექტური

<sup>252</sup> ნ. ტაგანცევიზე ადრე, ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა წლებში გამიზნის ცნებას თანამონაწილეობისათვის იყენებდა რუსი კრიმინალისტი ა. ჟირიაევი. ციტ. ო. გამყრელიძის მიხ: სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი. გამომ. „მეცნიერება“, თბ., 1989, გვ. 114 (Ковалиов М.И. Соучастие в преступлении, ч. первая, Свердловск, 1960, с. 269).

<sup>253</sup> იხ. Белогриц-котлиаревский Л. С. Учебник русского уголовного права, Киев, 1903, с. 205.

<sup>254</sup> იხ. Немировский Э. Я. Учебник уголовного права. Общая часть, Одеса, 1919, с.192.

<sup>255</sup> იხ. სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი. გამომ. „მეცნიერება“, თბ., 1989, გვ. 58–59.

<sup>256</sup> იხ. Немировский Э. Я. დასახ. ნაშრ., გვ. 42.

ელემენტიც არა აქვთ საერთო. უმართლობის სუბიექტური ელემენტი, რომელიც საერთო უნდა იყოს ყველა თანამონაწილისათვის, არის მიზანი. მიზანი კი ობიექტურ მნიშვნელობას იძენს მხოლოდ მაშინ, როცა დელიქტი ჩდენილია პირდაპირი განზრახვით. მაშასადამე, უნდა დავასკვნათ, რომ ჩვენი თვალსაზრისის მიხედვით თანამონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დანაშაულის ყველა მონაწილე მოქმედებს პირდაპირი განზრახვით.<sup>257</sup>

ო. გამყრელიძემ ბრალის ნორმატივისტული თეორიის თვალსაზრისით მართებულად გადაჭრა თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველთან დაკავშირებული პრობლემა. მისი ნაშრომებიდან თანმიმდევრულად გამომდინარეობს შემდეგი: ის ვინც აღიარებს, რომ თანამონაწილეობა აქსცესორული ბუნებისაა და დანაშაულის ერთპიროვნული ამსრულებლობისა და თანამონაწილეობისას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი ერთი და იგივეა, მან თანმიმდევრულად უნდა აღიაროს ერთ დანაშაულში თანამონაწილეობა, რაც იგივე თანაბრალეულობაა იმდენად, რამდენადაც დანაშაული ბრალის გარეშე წარმოდგენელია. ვინაიდან ბრალის ნორმატივისტული თეორიის მიხედვით ბრალი პერსონალური გაკიცხვაა, მაშინ შეუძლებელია სისხლის სამართალში საერთოდ თანაბრალეულობის ცნების გამოყენება.

თუმცა, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, მართალია ბრალი გასაკიცხაობის მომენტს გულისხმობს, მაგრამ ბრალის ნორმატივისტული თეორია მთლიანად დასაბუთებულია არაა.<sup>258</sup> ბ. ვოლკოვი თავის მონოგრაფიულ ნაშრომში ყურადღებას უთმობს მოტივისა და მიზნის მნიშვნელობას დანაშაულში თანამონაწილეობისას. ირკვევა, რომ იგი აღიარებს თანაბრალეულობას თანამონაწილეობისას: – „რამოდენიმე პირის ნებელობითი ძალისხმევით განპირობებული მოქმედების განსაკუთრებული ფორმა, საკუთარ კვალს ასვამს დანაშაულის თანამონაწილეობით ჩადენისას მიზეზობრივ და ბრალეულ კავშირს.<sup>259</sup>

ბ. ვოლკოვის აზრით, „მიუხედავად იმისა, რომ თანამონაწილეობისას ერთიანი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი არსებობს, თანამონაწილეობა არ ქმნის ერთიან ბრალს (ხაზგასმა ჩემია – ი.დ.).“<sup>260</sup>

დანაშაულში თანამონაწილეობისას თანაბრალეულობაზე მითითებულია უახლეს ქართულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში: „...სისხლისსამართლებრივი უმართლობა ერთიანი

<sup>257</sup> გამყრელიძე ო. სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი. გამომ. „მეცნიერება,“ თბ., 1989, გვ. 173–174.

<sup>258</sup> იხ: ბრალის ფსიქოლოგიური და ნორმატივისტული თეორიების კრიტიკის, ასევე ბრალის არსის შესახებ დაწერილებით იხ: ნაჭყებია გ. ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია. თბ., 2001.

<sup>259</sup> იხ. Волков Б.С. Мотивы преступлений (Уголовно-правовое, социально-психологическое исследование). Изд. Казанского университета, 1982, с. 107.

<sup>260</sup> იქვე, დასახ. ნაშ. გვ. 113.



განზრახვის პირობებში ხორციელდება. თუ განზრახვა არის ბრალის ერთ-ერთი ფორმა, მაშინ ცხადია, რომ დანაშაულში თანამონაწილეთა ბრალის ერთიანობაც სახეზეა. იგულისხმება, რომ დანაშაულში თანამონაწილე ფართო გაგებით, ამავე დროს თანაბრალეულია. თანაბრალეულობა ეხება არამარტო თანამონაწილეობას, არამედ თანამონაწილეობას ფართო გაგებითაც... ბრალის პერსონიფიკაცია (ხაზგასმა ჩემია – ი.დ.) ხდება ერთიანი თანაბრალეულობის ფარგლებში საერთო დანაშაულში თითოეული თანამონაწილის ობიექტური როლის, წვლილის შესაბამისად, ერთიანი ბრალის ფარგლებში საკუთარი ბრალისათვის და არა სხვისი ქმედებისა და ბრალისათვის.<sup>261</sup>

მართლაც, მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლის მიხედვით, „დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში.“ მეორე, სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლში მოცემული განზრახვის ორივე სახის განსაზღვრების მიხედვით განზრახვა ბრალის ფორმად გვევლინება, რადგან პირდაპირი განზრახვის და არაპირდაპირი განზრახვის განსაზღვრებებში მითითებულია მართლწინააღმდეგობის გაცნობიერებაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამგვარი განზრახვა უკვე უარყოფითი ნიშნითაა დადგენილი და განზრახვა ბრალის ფორმაა. მაშასადამე, ეს ორი არგუმენტი ნათელყოფს, რომ თანამონაწილეობა თანაბრალეულობასაც გულისხმობს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით. ამასთან, ეს სრულებით არ გამოირიცხავს ბრალის სხვადასხვა ხარისხს. მაგალითად, თუ მძიმე სტრესულ მდგომარეობაში ჩავარდნილი მშობიარე დედის წაქეზებით ექიმმა მოკლა ახალშობილი, ექიმი დაისჯება, როგორც დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი არასრულწლოვნის მკვლელობის ამსრულებელი (სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწ. „ბ“ ქვეპუნქტი), ხოლო დედის მოქმედება დაკვალიფიცირდება მკვლელობის წამქეზებლობად და დაისჯება სსკ-ის 112-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში.<sup>262</sup> ემოციური მდგომარეობა ისეთი პერსონალური ნიშანია, რომელიც მხოლოდ დედას უმსუბუქებს ბრალს, ე.ი. ჩადენილია ერთი მკვლელობა, მაგრამ ბრალის სხვადასხვა ხარისხით, რადგან ექიმის მოქმედება

<sup>261</sup> სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. ავტორთა კოლექტივი, რედაქტორები: გ. ტყეშელაძე, გ. ნაჭყებია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004, გვ. 223.

<sup>262</sup> რატომღაც სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარებში სსკ-ის 112-ე მუხლის კომენტარებისას ანალოგიურ შემთხვევაში ამსრულებლის მოქმედების კვალიფიკაციაზე ნათქვამია: – „დეიდა პასუხს აგებს სსკ-ის 108-ე მუხლით, თუ არ არის რაიმე დამამძიმებელი გარემოება.“ ასეთი პოზიცია არაა გამართლებული, რადგან მსგავს სიტუაციაში ჩადენილი მკვლელობისას ამსრულებლის მოქმედება ვერასდროს ვერ დაკვალიფიცირდება სსკ-ის 108-ე მუხლით, რადგან მსხვერპლი ახალშობილია და ეს ფაქტი ყოველთვის უმწეო მდგომარეობაზე მიუთითებს, რაც მკვლელობის კვალიფიციურ შემადგებლობას ქმნის (სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი). იხ. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი (დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ). ავტორთა კოლექტივი, რედაქტორი ო. გამყრელიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, გამომცემელია სამართლებრივი განათლების ასოციაცია ALPE-ს მიერ, თბ., 2002, გვ. 72.

უფრო მეტად იკიცხება, ვიდრე დედის. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ თანამონაწილეობის დროს თანაბრალეულობა არის, მაგრამ სხვადასხვა ხარისხით.

მიუღებელია თანამონაწილეობა ევენტუალური განზრახვით. აღნიშნულ სახელმძღვანელოში რამოდენიმე ადგილზე ვხვდებით ევენტუალური განზრახვით თანამონაწილეობის შესაძლებლობაზე მითითებას.<sup>263</sup> ცოტა ქვევით ვკითხულობთ: „დანაშაულში თანამონაწილეებს და ამსრულებლებს ამოძრავებთ ერთიანი მიზანი, ხოლო ამ მიზნის განსხვავების შემთხვევაში თანამონაწილეობა შეუძლებელია.“<sup>264</sup> მაშასადამე, ლოგიკურად გამოდის, რომ არც ევენტუალური განზრახვით თანამონაწილეობა შეიძლება, რამეთუ მიზანი მხოლოდ პირდაპირი განზრახვის განუყოფელი ნიშანია. თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაული ნებელობითი პროცესის შინაარსის მიხედვით განსხვავდება ერთი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულისაგან. იგი სპეციფიკური სოციალურ-ფსიქოლოგიური მოვლენაა. ასეთ შემთხვევაში ნებელობითი აქტის უშუალო მიზეზი, რომელიც ანტისაზოგადოებრივი ქცევის საფუძველში დევს, არამხოლოდ ამსრულებლის ნებაა, არამედ გარკვეული თვალსაზრისით სხვა პირთა მოქმედებაც. კერძოდ, წამქეხებისა და დამხმარის მართლსაწინააღმდეგო ქცევა.<sup>\*</sup> ამასთან, მოტივი, რომელიც გახდა ნებელობითი პროცესის საწყისი წერტილი და ამსრულებელს აღუძრა დანაშაულის ჩადენის განზრახვა, წარმოიშობა და განმტკიცდება თანამონაწილეთა უშუალო ზემოქმედებით, მათი ნების აქტიური მონაწილეობით. ამგვარი პირობების გარეშე ამსრულებელს არ შეიძლებოდა წარმოშობოდა დანაშაულის ჩადენის განზრახვა და ის გაბატონებული მდგომარეობა, რომელიც განაპრობებს გარკვეული მიზნის მიღწევას.<sup>265</sup>

ამსრულებლის ნებაზე ზემოქმედება სხვა პირის მხრიდან იმისათვის, რომ თანამონაწილეობად ჩაითვალოს, არ უნდა ატარებდეს ზოგად ხასიათს... ამსრულებლის ნებაზე თანამონაწილის ზემოქმედება ყოველთვის გამოიხატება რომელიმე კონკრეტულ მოქმედებაში.<sup>266</sup>

„თანამონაწილეებს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ ობიექტურად არსებული კავშირი, რომელიც მიმართულია დანაშაულის ჩადენისაკენ. ამასთან, თანამონაწილეთა განზრახვა უნდა მოიცავდეს ასევე იმ მოტივებსა და მიზნებს, რომლითაც ხელმძღვანელობს ამსრულებელი, მაშინაც კი, როდესაც აღნიშნული მოტივები და მიზნები არ იყო გაზიარებული თანამონაწილეთა

<sup>263</sup> იხ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. ავტორთა კოლექტივი, რედაქტორები: გ. ტყეშელიაძე, გ. ნაჭყებია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004, გვ. 193, 208, 223.

<sup>264</sup> იქვე, გვ. 227.

\* რატომღაც ბ. ვოლკოვი არ იხსენიებს ორგანიზატორს, რომელიც უცილობლად ახდენს უშუალო თუ გაშუალებულ ფსიქიკურ ზეგავლენას ამსრულებლის ინტელექტზე. Волков Б.С. Мотивы преступлений (Уголовно-правовое, социально-психологическое исследование). Изд. Казанского университета, 1982, с. 108.

<sup>265</sup> იხ. იქვე, გვ. 108.

<sup>266</sup> იხ. იქვე, გვ. 109.

მიერ... განსაკუთრებით დიდი განსხვავება არსებობს ცალკეულ თანამონაწილეთა მოტივთა და მიზანთა შინაარსში. ამსრულებელი შეიძლება მოქმედებდეს ანგარებით, ხოლო წამქეზებლის მოქმედება განპირობებული იყოს სხვა, არაანგარებითი ინტერესებით; ამსრულებელს შეიძლება სურდეს დანაშაულებრივი შედეგის დადგომა, ხოლო დამხმარე პირი – გულგრილად ეკიდებოდეს მის დადგომას. არსებითად, ყოველ თანამონაწილეს გააჩნია საკუთარი მიზანი და ინტერესი.“<sup>267</sup>

თანამონაწილეთა მოტივთა და მიზანთა შინაარსში მსგავსებისა და განსხვავების დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს არამარტო თანამონაწილეობის დასახასიათებლად, არამედ მისი ფორმების გამიჯვნისათვის. განსაკუთრებით წინასწარი შეთანხმებით თანამონაწილეობის, დანაშაულებრივი ორგანიზაციის ან დანაშაულებრივი საზოგადოების განსაზღვრისათვის. ბ. ვოლკოვი თანამონაწილეობისას მიზნის დადგენას მოითხოვს იმ დანაშაულების განხორციელებისას, რომელთა აღწერისას კანონი პირდაპირ მიუთითებს სპეციალურ მიზანზე. მიზნის ერთიანობა აუცილებელია მაშინაც, როდესაც დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშნად გვევლინება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დანაშაულის განხორციელება.<sup>268</sup>

როგორც ჩანს, ბ. ვოლკოვი თანამონაწილეობისას ყოველთვის არ მოითხოვს მიზნის დადგენას, რაც არასწორად უნდა მივიჩნიოთ, რამდენადაც დანაშაულში ნებისმიერი ფორმით თუ სახით თანამონაწილეობისას დამნაშავეთა ერთობლივი მოქმედება სწორედ საერთო მიზნითაა განპირობებული.

რუსეთის უახლესი სისხლის სამართლის კურსის ავტორები თანამონაწილეთა გამაერთიანებელ სუბიექტურ ნიშნად მიიჩნევენ განზრახვის ერთიანობას: „დანაშაულის ერთობლივად ჩადენის შეგნების გარეშე თანამონაწილეობა შეუძლებელია. თუმცა, ასეთი კავშირი შეიძლება ცალმხრივიც იყოს. თანამონაწილეობა, როგორც წესი, პირდაპირი განზრახვით ხორციელდება, რადგან რამოდენიმე პირთა ფსიქიკური და ფიზიკური ძალების გაერთიანება დანაშაულის ჩასადენად, ძნელი წარმოსადგენია დანაშაულის ერთობლივად ჩადენის სურვილის გარეშე. თუმცა, გამორიცხული არაა თანამონაწილეობის არაპირდაპირი განზრახვით ჩადენის შესაძლებლობა, მაგალითად, ამსრულებლობისა და დახმარებისას ასეთი განზრახვა შესაძლებელია ისეთ დანაშაულთა ჩადენისას, რომლებშიც დასაშვებია პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვა (მატერიალური შემადგენლობანი, რომლებშიც მიზანი არაა გათვალისწინებული აუცილებელი ელემენტის სახით, მაგალითად, მარტივ მკვლელობაში). ფორმალურ შემადგენლობებში, ასევე იმ შემთხვევებში, როდესაც მიზანი პირდაპირაა მითითებული მუხლის დისპოზიციაში ან გამომდინარეობს ქმედების შინაარსიდან

<sup>267</sup> Волков Б.С. Мотивы преступлений (Уголовно-правовое, социально-психологическое исследование). Изд. Казанского университета, 1982, с. 111-113.

<sup>268</sup> იხ. იქვე, გვ. 114.

(გაუპატიურება, ძარცვა, ბანდიტიზმი) თანამონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.<sup>269</sup>

„ინდივიდუალურად მოქმედისაგან განსხვავებით თანამონაწილეთათვის განზრახვის შინაარსი, როგორც წესი, ფართოა ან გულისხმობს ინტელექტუალურ და ნებელობით მომენტებში დანაშაულის ერთობლივად ჩადენის ცოდნის შემცველობას.“<sup>270</sup> აქ სიტყვები „როგორც წესი“ შემთხვევით არაა ნახმარი, რადგან თუ ცალმხრივი სუბიექტური კავშირია თანამონაწილეობაში, მაშინ განზრახვის მოცულობა იგივეა, რაც დანაშაულის ერთპიროვნული ამსრულებლობისას. მაგალითად, ამსრულებელმა ისე გამოიყენა მისთვის დადებული იარაღი, რომ არც კი იცოდა თუ ვინმე დაეხმარა იარაღის მიწოდებით.

„განზრახვის ერთიანობისაგან განსხვავებით მოტივსა და მიზანს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა ენიჭება თუ სისხლის სამართლის კერძო ნაწილის კონკრეტულ მუხლში დანაშაულის აუცილებელ ნიშნადაა მიჩნეული და დანაშაულში თანამონაწილეობისათვის პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს მხოლოდ იმ პირთათვის, რომლებმაც იცოდნენ ასეთი მიზნებისა და მოტივების შესახებ და ერთობლივი მოქმედებით ხელს უწყობდნენ მათ გამხორციელებას. მაგალითად, ანგარებითი მკვლელობისათვის მხოლოდ ის თანამონაწილენი აგებენ პასუხს, რომლების აცნობიერებდნენ ანგარებით მიზანს და ხელს უწყობდნენ მას.“<sup>271</sup>

ეს უკანასკნელი მოსაზრება და მაგალითი უნაკლო არაა, რის გამოც, დაზუსტებას მოითხოვს. ჯერ ერთი, როგორც აღინიშნა, თანამონაწილეობით განხორციელებული დანაშაულისათვის მიზანს არამარტო მაშინ აქვს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა, როდესაც შესაბამის მუხლში ამის შესახებაა მითითებული, არამედ ნებისმიერ შემთხვევაში. მეორე, მოცემულ მაგალითში ანგარება მოხსენიებულია როგორც მიზანი, რაც მიუღებელია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ანგარება, როგორც ადამიანის მამოძრავებელი ძალა შეიძლება იყოს მხოლოდ მოტივი და არა მიზანი. თუ ბოროტმოქმედი ადამიანს კლავს მატერიალური დაინტერესების გამო მოტივი იქნება ანგარება, ხოლო მიზანი – სიცოცხლის მოსპობა, რომლის მიღწევა მოტივს დააკმაყოფილებს. თუმცა, შესაძლებელია ეს მიზანი სხვა უფრო შორეული მიზნის მიღწევის საშუალებაც იყოს. და ბოლოს, თანამონაწილეთა მხრიდან მოტივის მხოლოდ ცოდნა არ კმარა დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისათვის. აქ ყურადღება უნდა მიექცეს მოტივის ხასიათს: – მოტივი უმართლობის დამაფუძნებელია თუ ბრალის ხარისხზე ახდენს გავლენას. მაგალითად, თუ ა-მ ფული გადაუხადა ბ-ს მკვლელობის ჩასადენად, ა. მაინც პასუხს არ აგებს ანგარებით მკვლელობისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მას შეცნობილი ჰქონდა ამსრულებლის ანგარებითი მოტივი. ასეთი კვალიფიკაცია იქიდან გამომდინარეობს, რომ მოტივი მკვლელობის უმართლობის

<sup>269</sup> Курс уголовного права. Учебник для вузов, общая часть. Учение о преступлении, под ред. Н.Ф. Кузнецшвой и И.М. Тяжковой. Изд. «Зерцало-М», Том 1, М., 2002, с. 398.

<sup>270</sup> იქვე, გვ. 398.

<sup>271</sup> Курс уголовного права. Учебник для вузов, общая часть. Учение о преступлении, под ред. Н.Ф. Кузнецшвой и И.М. Тяжковой. Изд. «Зерцало-М», Том 1, М., 2002, с. 398-399.

დამფუძნებელ ნიშნად არ მოგვევლინა. სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მოტივის ან მიზნის შეცნობადობა აუცილებელია რამოდენიმე პირის მიერ ერთობლივად ჩადენილი დანაშაულის თანამონაწილეობით განხორციელებულად მიჩნევისათვის. ასე, მაგალითად, სსკ-ის 174-ე მუხლით ბაეშვის შეცვლა მხოლოდ მაშინაა დასჯადი თუ ამგვარი მოქმედება განხორციელებულია ანგარებით ან სხვა ქვენა გრძნობით; ქურდობის შემადგენლობაში მითვისების მიზანზეა (სსკ-ის 177-ე მუხლი) მითითებული. მაშასადამე, აღნიშნულ მუხლებში მოტივი და მიზანი უმართლობის ტიპის განმსაზღვრელ ნიშნებად გვევლინება.

ცნობილია, რომ იქ, სადაც საუბარია მოქმედების მიზანზე, შეუძლებელია ვისაუბროთ არაპირდაპირ განზრახვაზე ან გაუფრთხილებლობაზე. რადგან ჩვენ თანამონაწილეთა გამაერთიანებელ სუბიექტურ ნიშნად მიზანი მივიჩნიეთ, აქვე უნდა დასაბუთდეს თუ რატომ არ შეიძლება არაპირდაპირი განზრახვით მოქმედებდეს რომელიმე თანამონაწილე, არადა სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლში მოცემული თანამონაწილეობის განსაზღვრებაში არაა დაკონკრეტებული განზრახვის რომელ სახეზეა საუბარი და ეს იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ ევენტუალური განზრახვით თანამონაწილეობა ლოგიკურად შესაძლებელია, მაგრამ ქვევით ჩვენ დავინახავთ, რომ ამგვარი დასკვნის გაკეთება მხოლოდ ცალმხრივი მსჯელობის შედეგია.

თანამონაწილეობისას ევენტუალური განზრახვით მოქმედების შესაძლებლობას განსაკუთრებით ხშირად წამქეზებელთან დაკავშირებით აღიარებენ. წამქეზებლობას არაპირდაპირი განზრახვით უშეუბნა ნ. ტაგანცევი.<sup>272</sup>

თ. წერეთელი უფრო შორს მიდის და არამარტო წამქეზებლობას, არამედ ორგანიზატორის, დამხმარის და თანაამსრულებლის მოქმედებას უშეუბნა არაპირდაპირი განზრახვით.<sup>273</sup> ანალოგიურ აზრს სხვა საბჭოთა კრიმინალისტების ნაშრომებშიც ვხვდებით.<sup>274</sup>

სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ თანამონაწილეობის სუბიექტური მხარის სახე ცალ-ცალკე უნდა განისაზღვროს ამსრულებლის მიერ ჩადენილი მოქმედებისა და ამ მოქმედებით დამდგარი შედეგის მიმართ.<sup>275</sup> ამგვარ შეხედულებას იზიარებს ა. ნაუმოვიც. „პირის ფსიქიკური დამოკიდებულება, – წერს იგი, – სხვა პირების დანაშაულებრივ მოქმედებასთან შეერთების ფაქტისადმი ან მათთვის დანაშაულებრივი მოქმედების სურვილის აღძვრისადმი მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ხასიათდება. ამიტომ თანამონაწილეობა ფორმალური შემადგენლობის მქონე დანაშაულებში (მაგალითად,

<sup>272</sup> იხ. Таганцев Н. С., დასახ. ნაშ. გვ. 594.

<sup>273</sup> იხ. წერეთელი თ. თანამონაწილეობა დანაშაულში. გამომ. „მეცნიერება“, თბ., 1965, გვერდები: 142, 148-149, 161, 195.

<sup>274</sup> იხ. მაგ., Гришаев П. И., Кригер Г. А. Соучастие по уголовному праву. М., 1959. с. 146.

<sup>275</sup> იხ. მაგ., Зелинский А. Ф. Соучастие в преступлении. Волгоград, 1971, с. 9-11; Курс советского уголовного права, часть общая, ред. А.А. Пионтковский. Преступление, изд. «Наука», т. 1, М. 1970, с. 471, 473, 479.

გაუპატიურებაში) შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. სხვა საქმეა – თანამონაწილის ფსიქიკური დამოკიდებულება ამსრულებლის მოქმედებით (უმოქმედობით) დამდგარი დანაშაულებრივი შედეგისადმი. ამ გაგებით, სუბიექტური მხარე შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვა.<sup>276</sup> მაშასადამე, ირკვევა, რომ ა. ნაუმოვი პირდაპირ განზრახვასთან ერთად უშვებს არაპირდაპირ განზრახვასაც.

მსგავსი მოსაზრება, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოთქმულია რუსეთის სისხლის სამართლის კურსში.<sup>277</sup> აქვე მითითებულია, რომ ამსრულებლის სუბიექტური მხარე შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი ასევე არაპირდაპირი განზრახვა.<sup>278</sup> „ამსრულებლისაგან განსხვავებით ორგანიზატორი შეიძლება მოქმედებდეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.“<sup>279</sup> „წამქეზებლის მოქმედება შეიძლება არაპირდაპირი განზრახვითაც გამოიხატოს... წამქეზებლის მიზანი შეიძლება არ ემთხვეოდეს იმ დანაშაულების მიზნებს, რომლებსაც იგი წაქეზებულს უნერგავს. ასევე შესაძლებელია არ ემთხვეოდეს დანაშაულის მოტივები. წამქეზებლის ქმედების კვალიფიკაცია ასეთ შემთხვევებში, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებული იქნება დანაშაულის ამსრულებლის მიზნებსა და მოტივებზე. თუ მოტივი და მიზანი დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტებია, მაშინ წამქეზებელს შეეარაცხება მისი საკუთარი მოტივიც. მაგალითად, თუ წამქეზებელი გამოდიოდა სისხლის აღების მოტივიდან და ფულის გამო დაიყოლიებს პირს მკვლელობის ჩასადენად, მაშინ იგი პასუხს აგებს რფ სსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის „ზ“ და „ღ“ პუნქტით, ხოლო ამსრულებელი ამავე მუხლის „ზ“ პუნქტით. იმ შემთხვევაში, როდესაც მოტივი და მიზანი არ არის დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ნიშნები, მაშინ წამქეზებლის საკუთარი მოტივი და მიზანი გათვალისწინებული იქნება სასჯელის დანიშვნისას.“<sup>280</sup>

აღნიშნული კურსის ავტორები ასევე უშვებენ არაპირდაპირი განზრახვით დახმარებასაც.<sup>281</sup>

აზრი იმის შესახებ, რომ ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე შეიძლება მოქმედებდნენ ევენტუალური განზრახვითაც, საკმაოდ გავრცელებულია. უფრო მეტიც, სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ვხვდებით განზრახვით ერთობლივი მონაწილეობის ისეთ ინტერპრეტაციას, რომლის მიხედვითაც თანამონაწილეობა უნდა ვაღიაროთ ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ამსრულებლის განზრახვით მოქმედებას გაუფრთხილებლობით მოყვება მძიმე შედეგი: – „დანაშაულის ჩადენაში განზრახვი თანამონაწილეობა გაუფრთხილებელ ბრალთან შეხამებით შესაძლებელია მხოლოდ

<sup>276</sup> Наумов А. В. Уголовное право. Общая часть, курс лекций, изд. «Бек», М. 1996, с. 291.

<sup>277</sup> იხ. Курс уголовного права. Учебник для вузов, общая часть. Учение о преступлении, под. ред. Н.Ф. Кузнецшвой и И.М. Тяжковой. Изд. «Зерцало-М», Том 1, М. 2002, с. 398.

<sup>278</sup> იხ. იქვე, დასახ. ნაშ. გვ. 407.

<sup>279</sup> იხ. Курс уголовного права. Учебник для вузов, общая часть. Учение о преступлении, под. ред. Н.Ф. Кузнецшвой и И.М. Тяжковой. Изд. «Зерцало-М», Том 1, М. 2002, с. 409.

<sup>280</sup> იქვე, გვ. 411-412.

<sup>281</sup> იხ. იქვე, გვ. 416.

მაშინ, როდესაც ამსრულებლის განზრახი მოქმედება იწვევს კანონით დამაძიმებელ გარემოებად გათვალისწინებულ შედეგს და რომლის მიმართაც თანამონაწილეებს გააჩნიათ გაუფრთხილებელი ბრალი.“<sup>282</sup>

თანამონაწილეობის სუბიექტური მხარის ამგვარი ფორმულირება განზრახვისა და გაუფრთხილებლობის არასწორი გაგების შედეგია. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ გაუფრთხილებლობა თავისი ბუნებით შეცდომის ნაირსახეობაა, რამდენადაც ადამიანი ამ დროს არასწორად აფასებს მოცემულ სიტუაციას და მის მიზანმიმართულ მოქმედებას მოყვება სულ სხვა შედეგი, ვიდრე ნასურვები იყო. თუკი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება გამოიწვევს სიცოცხლის მოსპობას ეს მხოლოდ ამსრულებლის არასწორი მოქმედების შედეგია, რადგან დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს უშუალოდ, თანამონაწილეებისგან განსხვავებით, მხოლოდ იგი ასრულებს. რამდენადაც შეცდომა წმინდა პერსონალურ ხასიათს ატარებს, რომელიც ბრალზე ხარისხობრივად ზემოქმედებს და გაუფრთხილებლობა შეცდომის ნაირსახეობაა, ამდენად ბრალის ორმაგი ფორმით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში ამსრულებლის მოქმედებით გამოწვეული მძიმე შედეგის სხვა თანამონაწილეთათვის შერაცხვა ბრალეული და პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპების დამახინჯებული გაგება იქნება. მაგალითად, თუ ა. წააქეზებს ბ-ს გაუპატიურებისაკენ, ხოლო ბ-ს გაუპატიურებისას მსხვერპლი შემოაკვდება, მაშინ პასუხისმგებლობა დაუძიმდება მხოლოდ მას ანუ იგი პასუხს აგებს სსკ-ის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

მეორე, თანამონაწილეობისას დამნაშავეთა გამაერთიანებელ სუბიექტურ ნიშნად გვევლინება მიზანი, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი განზრახვა მიმართულია ერთი კონკრეტული შედეგის მისაღწევად. „დამნაშავემ, – წერს ო. გამყრელიძე, – რომელსაც სურს საზოგადოებრივად საშიში შედეგი, საგანგებოდ უნდა წარმართოს თავისი ქმედება ამ შედეგის განსახორციელებლად. მაშასადამე, დამნაშავის ქმედებას პირდაპირი განზრახვის დროს მიზანმიმართული, მიზანდასახული ხასიათი აქვს.“<sup>283</sup> ბრალის ორმაგი ფორმით ჩადენილი დანაშაულის დროს კი ამსრულებლისა და თანამონაწილის ერთიანი მიზანი საერთოდ არ მოიცავს მძიმე შედეგს. ამიტომ ის, რაც თანამონაწილეთა სამოქმედო მიზნის მიღმაა, შეუძლებელია რომელიმე მათგანს შეერაცხოს.

არ უნდა იყოს მართებული თ. წერეთლის აზრი, როდესაც იგი წერს: „ორგანიზატორი შეიძლება მოქმედებდეს როგორც პირდაპირი, ისე ევენტუალური განზრახვით. თუ ვინმემ დაიჭირავა მეორე პირი კაცის მოსაკლავად, იგი იმასაც ითვალისწინებს და უშვებს, რომ დაჭირავებულმა მკვლელმა დაზარალებული შეიძლება გაძარცვოს. ასეთ შემთხვევაში ორგანიზატორი მოქმედებს

<sup>282</sup> Курс советского уголовного права, часть общая, изд. Ленинградского университета, т. 1, 1968, с.597-599.

<sup>283</sup> გამყრელიძე ო. სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი. გამომ. „მეცნიერება,“ თბ., 1989, გვ. 68.

პირდაპირი განზრახვით მკვლევლობის მიმართ და ევენტუალური განზრახვით გაძარცვის მიმართ.<sup>284</sup> უფრო ქვემოთ თ. წერეთელი მიუთითებს: – „... თუ გორდევს წარმოდგენილი ჰქონდა, რომ მისი მსმენელი – ქურდი-რეციდივისტი აღიქვამს მის მონაყოლს, როგორც დანაშაულისაკენ შეგუღიანებას და უშვებდა იმის შესაძლებლობას, რომ შეგუღიანებული პირი დანაშაულს ჩაიდენს, იგი წამქეზებლად ჩაითვლება, თუნდაც ასეთი მიზანი მას არ ჰქონდეს.“<sup>285</sup> „არ არის საჭირო, რომ დამხმარის მოქმედების მიზანი და მოტივი იგივე იყოს, რაც ამსრულებლისა. ამსრულებელი შეიძლება ანგარების მოტივით მოქმედებდეს, ხოლო დამხმარეს შეიძლება მეგობრისათვის დახმარების სურვილი ან რაიმე სხვა უანგარო მოტივი ამოდრავებდეს.“<sup>286</sup>

ახლა რამოდენიმე პუნქტად უნდა დაფიქსირდეს პოზიცია, რომელიც არაპირდაპირი განზრახვით თანამონაწილეობის შესაძლებლობას გააბათილებს: ჯერ ერთი, ამგვარი მოსაზრება მოტივთან დაკავშირებით უდავოა, მაგრამ რაც შეეხება მიზანს იგი ყოველ თანამონაწილეს საერთო უნდა ჰქონდეს. სხვაგვარად შეუძლებელია. ალბათ, ამიტომაცაა, რომ თ. წერეთელს მიზანთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრების გასამყარებლად მაგალითის მოტანა უჭირდა.

მეორე, ევენტუალური განზრახვით თანამონაწილეობა დაშვებულია ძარცვისას, რომლის სუბიექტური მხარე ყოველთვის პირდაპირი განზრახვით ხასიათდება. ეს კარგად შენიშნა თავის დროზე ო. გამყრელიძემ. იგი მიუთითებს, რომ „... ისეთი „ფინალური“ ბუნების დელიქტები, როგორიცაა ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა და სხვ. მხოლოდ პირდაპირ განზრახვას მოითხოვენ და შეუძლებელია მათი ჩადენა ევენტუალური განზრახვით... წარმოდგენლად მიმაჩნია იმის დასაბუთება, რომ ძარცვის თანამონაწილე შეიძლება ევენტუალური განზრახვით მოქმედებდეს.“<sup>287</sup>

მესამე, ის ვინც შესაძლებლად მიიჩნევს არაპირდაპირი განზრახვით თანამონაწილეობას, მან უნდა აღიაროს ევენტუალური განზრახვით მომზადება და მცდელობა. თუ თ. წერეთლის მიერ მოტანილ მაგალითში ფაბულას შევცვლით და დავუშვებთ, რომ ამსრულებელმა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელი აიღო, მაშინ ორგანიზატორი ლოგიკურად უნდა დაისაჯოს მკვლევლობისა და ძარცვის მომზადებისათვის. ამგვარი კვალიფიკაცია ძარცვასთან დაკავშირებით მიუღებელია, რადგან ორგანიზატორი ძარცვას ევენტუალური განზრახვით უშვებდა და მომზადება ევენტუალური განზრახვით შეუძლებელია. ანალოგიურად შეიძლება ვიმსჯელოთ მცდელობის შემთხვევაშიც. მაშასადამე, უნდა ვაღიაროთ, რომ არაპირდაპირი განზრახვით თანამონაწილეობა შეუძლებელია.

<sup>284</sup> წერეთელი თ. თანამონაწილეობა დანაშაულში. გამომ. „მეცნიერება“, თბ., 1965, გვ. 149.

<sup>285</sup> იქვე, გვ. 162-163.

<sup>286</sup> იქვე, გვ. 196.

<sup>287</sup> გამყრელიძე ო. სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი. გამომ. „მეცნიერება“, თბ., 1989, გვ.116.



მეოთხე, განსაკუთრებით თვალში საცემია არაპირდაპირი განზრახვით წამქეზებლობის შეუძლებლობა. სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლის მეორე ნაწილში კანონმდებელი წამქეზებლად მიიჩნევს იმას, ვინც დაიყოლია სხვა პირი განზრახი დანაშაულის ჩასადენად. აქ საყურადღებოა სიტყვა „დაყოლიება“, რომლის ბუნებას თუ დაგუკვირდებით უნდა დავასკვნათ, რომ დაყოლიება იმას ნიშნავს, რომ დამყოლიებელმა პირს ისეთი „ინფორმაცია“ მიაწოდა, რომელიც დაყოლიებულის მოქმედებას დაედო საფუძვლად და რაც მთავარია, ისინი საერთო მიზნის მისაღწევად მოქმედებენ. თუკი დამყოლიებელი სხვა მიზნით მოქმედებს და ადგილი აქვს პირის შეცდენას, მაშინ უნდა ვისაუბროთ შუალობით ამსრულებლობაზე. არაპირდაპირი განზრახვით თანამონაწილეობის (წამქეზებლობის) მომხრეთა მიერ მოტანილ მაგალითებს თუ დაგუკვირდებით, იქ ადგილი აქვს პირთა ვარაუდს, რომ მავანი და მავანი ჩაიდენს დანაშაულს, რაც არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს დაყოლიებას, რადგან „გულში“ ვარაუდით, ვერსიების წამოყენებით, რომელიც დასაყოლიებელი პირსათვის ცნობილი არ არის, დაყოლიება შეუძლებელია.

და ბოლოს, ევენტუალური განზრახვით თანამონაწილეობის მომხრეებს ყოველთვის ისეთი მაგალითი მოაქვთ, რომელშიც თანამონაწილეები ერთიანდებიან პირდაპირი განზრახვით ჩასადენი დანაშაულის განსახორციელებლად, ხოლო ევენტუალური განზრახვით უშვებენ ამ ძირითად დანაშაულთან ერთად მეორე, პარალელური დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას. როგორც ჩანს მათ უჭირთ ისეთი რეალობის წარმოდგენა, როდესაც თანამონაწილეები მხოლოდ ერთ დანაშაულს ჩადიან ევენტუალური განზრახვით.

ასე, რომ თანამონაწილეობაზე საუბარი მხოლოდ მაშინ შეიძლება თუ თანამონაწილეებს ამსრულებელთან ერთად საერთო მიზანი ამოძრავებთ.

### ***ბ) მოტივისა და მიზნის როლი თანამსრულებლობისას***

სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში დომინირებს აზრი იმის შესახებ, რომ თანამსრულებლობა შეიძლება არაპირდაპირი განზრახვით. „თანამსრულებლობისათვის, – წერს თ. წერეთელი, – არ არის აუცილებელი პირდაპირი განზრახვა, საკმარისია ევენტუალური განზრახვაც. თუ, მაგალითად, ერთი საცხოვრებელი სახლის მესაკუთრენი დაზღვევის თანხის მისაღებად გადაწყვეტენ სახლის დაწვას, თანაც ითვალისწინებენ, რომ ცეცხლის წაკიდების შედეგად შეიძლება დაიწვას ამ სახლში მცხოვრები რომელიმე

მდგმური და შეგნებულად უშვებენ ასეთ შედეგს, ცეცხლის წამკიდებელნი მოქმედებენ ევენტუალური განზრახვით და განიხილებიან როგორც მკვლელობის თანაამსრულებლები.“<sup>288</sup>

თანაამსრულებლობის სუბიექტური მხარის შესახებ მართებული შეხედულება გააჩნია ო. გამყრელიძეს. იგი კატეგორიულად გამორიცხავს არაპირდაპირი განზრახვითა და გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობის შესაძლებლობას და საბოლოოდ მიდის დასკვნამდე, რომ თანაამსრულებელთა, ისევე როგორც თანამონაწილეთა გამაერთიანებელი სუბიექტური ნიშანი არის საერთო მიზანი. თანაამსრულებლობისათვის აუცილებელია არამარტო ერთიდაიგივე მიზნის არსებობა, არამედ აუცილებელია თითოეული პირის მიერ იმის ცოდნაც, რომ სხვასთან ერთად ჩადის დანაშაულს.<sup>289</sup>

თანაამსრულებლობისას ნებისმიერ შემთხვევაში მოტივისაგან განსხვავებით მიზანი ყველასათვის საერთო უნდა იყოს, რადგან კონკრეტული დანაშაულებრივი შედეგი, რომლის მიღწევასაც ცდილობს დამნაშავე ანუ ხელყოფის ობიექტი ყოველთვის ვლინდება მიზნის დადგენით.

შეიძლება თუ არა არაპირდაპირი განზრახვის დროს დანაშაულებრივ მიზანზე ვისაუბროთ? ამ შეკითხვას უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს. „პირდაპირი განზრახვა, – წერს ო. გამყრელიძე, – იმიტომ არის პირდაპირი, რომ დამნაშავის მიზანი მიმართულია მოცემული დანაშაულებრივი შედეგისაკენ (ხაზგასმა ჩემია – ი.დ.). ევენტუალური ანუ არაპირდაპირი განზრახვის დროს კი დამნაშავის მიზანი არ არის მიმართული იმ დანაშაულებრივი შედეგისაკენ, რომელიც მას ბრალად ერაცხება. ამ შემთხვევაში დამნაშავის მიზანი შეიძლება, თავის მხრივ, მიმართული იყოს საზოგადოებრივად სასარგებლო, ან, ყოველ შემთხვევაში, სოციალური თვალსაზრისით ინდუფერენტული შედეგისაკენ. ისეც შეიძლება მოხდეს, რომ ადამიანს მიზნად ჰქონდეს დასახული რაიმე დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევა, მაგრამ მის მოქმედებას არაპირდაპირ მოჰყვეს კიდევ სხვა დანაშაულებრივი შედეგი.“<sup>290</sup>

თანაამსრულებლობა არაპირდაპირი განზრახვით შეუძლებელია შემდეგ გარემოებათა გამო: პირველი, ევენტუალური განზრახვის დროს დამნაშავის მიზანი სულ სხვა შედეგისკენაა მიმართული. მეორე, ცნობილია, რომ არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაული მხოლოდ მაშინ ისჯება, როდესაც დანაშაულებრივი შედეგი დგება. ეს ფაქტი არაპირდაპირი განზრახვით თანაამსრულებლობის მომხრეებს ლოგიკურად აიძულებს აღიარონ მომზადება და მცდელობა ევენტუალური განზრახვით, რადგან ცხოვრებაში ადვილი წარმოსადგენია, რომ დამნაშავეთა ევენტუალურ განზრახვას დანაშაულებრივი შედეგი არ მოჰყვეს. მესამე, არაპირდაპირი განზრახვით თანაამსრულებლობის მომხრეებს მაგალითად ყოველთვის მოჰყავთ თანაამსრულებლობის

<sup>288</sup> წერეთელი თ. თანამონაწილეობა დანაშაულში. გამომ. „მეცნიერება“, თბ., 1965, გვ. 142.

<sup>289</sup> იხ. გამყრელიძე ო. დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1974, გვ. 138-139.

<sup>290</sup> იქვე, გვ. 143-144.

ისეთი შემთხვევები, როდესაც ე.წ. შერეულ განზრახვას აქვს ადგილი ანუ როდესაც დამნაშავეთა მიზნით მოცული შედეგი პირდაპირი განზრახვით დგება, ხოლო მისი პარალელური მეორე დანაშაული არაპირდაპირი განზრახვით დგება. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ შეუძლებელია დაუშვათ ისეთი თანაამსრულებლობა, როდესაც ერთ რომელიმე კონკრეტულ დანაშაულს რამოდენიმე პირი იურიდიულად ერთობლივად ახორციელებდნენ.

მაშასადამე, უნდა ვაღიაროთ, რომ თანაამსრულებლობა, ისევე როგორც თანამონაწილეობა შეიძლება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, როდესაც დამნაშავეებს აერთიანებთ საერთო მიზანი. სსკ-ის 23-ე მუხლის თანახმად: „დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში.“ სრულიად ზედმეტია იმაზე მითითება, რომ **განზრახ** დანაშაულში ხდება თანამონაწილეობა ანუ სიტყვა განზრახვა ამოღებულ უნდა იქნეს, რადგან იგი თავისთავად იგულისხმება. სხვათაშორის სწორედ ასეთი რედაქციით იყო ჩამოყალიბებული თანამონაწილეობის ცნება წინამორბედ სისხლის სამართლის კოდექსში. კანონმდებლის ახლანდელი პოზიცია უფრო მეცნიერებაში არსებული იმ არასწორი მოსაზრებისათვის წერტილის დასმის მიზნით გაკეთდა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია თანამონაწილეობა ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივი მონაწილეობა როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულში.<sup>291</sup>

ასე, რომ თანამონაწილეობა მხოლოდ განზრახ დანაშაულში შეიძლება. საკითხისადმი სხვაგვარი მიდგომა შეუძლებელია, რადგან ლოგიკურად ვიღებთ შემდეგ სურათს: ნებელობითი ქცევა ყოველთვის მიზანმიმართულია, ხოლო ნებისმიერი დანაშაული ნებელობითი ხასიათისაა; ადამიანთა განზრახ ერთობლივ მონაწილეობას მხოლოდ მაშინ აქვს გარკვეული საზრისი, როდესაც მათი ერთობლივი ნებელობითი მოქმედება რაიმე შედეგის მიღწევითაა განპირობებული ანუ მათ აუცილებლად უნდა ამოძრავებდეთ გარკვეული მიზანი. ამ უკანასკნელი მუხლის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივი მონაწილეობა სწორედ დანაშაულის ჩადენაა. აქედან ბუნებრივია დასკვნა, რომ თანამონაწილეობა და თანაამსრულებლობა მხოლოდ პირდაპირ განზრახვას გულისხმობს, რადგან გამიზნული მოქმედება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება.

აბსოლუტურად მართალია ო. გამყრელიძე, როდესაც არ ეთანხმება მ. შარგოროდსკის მაშინდელი „სსრკ-ის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის 1958 წლის საფუძვლების“ მე-17 მუხლის ინტერპრეტაციაში და ამტკიცებდა, რომ „მთავარი როდია სიტყვები: „დანაშაულის ჩადენაში.“ აქ უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მივაპყროთ, რომ თანამონაწილეობა არის „ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივი მონაწილეობა“ დანაშაულის ჩადენაში. „განზრახ მონაწილეობა“

<sup>291</sup> იხ. Шаргородский М. Д. Некоторые вопросы общего учения о сочастии. «Правоведение», 1960, №1, с. 91.

დანაშაულში ნიშნავს ამ დანაშაულით გამოწვეული დანაშაულებრივი შედეგისადმი განზრახ ფსიქიკურ დამოკიდებულებას. „ერთობლივი“ სიტყვა კი მიგვანიშნებს, რომ ორმა ან რამდენიმე კაცმა იცის, რომ საერთო ძალებით განზრახ უნდა განახორციელონ ესა თუ ის დანაშაულებრივი შედეგი.“<sup>292</sup>

მაშასადამე, თანამონაწილეობისა და თანაამსრულებლობის ცნებების, მათი ბუნების განხილვამ მიგვიყვანა ლოგიკურ დასკვნამდე, რომ დანაშაულის ამ ფორმებით განხორციელება შეიძლება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, როდესაც ორი ან მეტი პირი საერთო მიზნის განსახორციელებლად ერთობლივად მიმართავენ საკუთარ ქმედებებს.

### *ვ) აგენტ-პროვოკატორის ფიგურა სისხლის სამართალში*

დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლა, დანაშაულის დროულად გამოძიება და გახსნა, დამნაშავე პირთა გამოვლენა და მათ მიერ ჩადენილ ქმედებებზე შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება მართლწესრიგისა და კანონის ავტორიტეტის განმტკიცების სფეროში სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. დამნაშავე პირთა დადგენა განსაკუთრებით რთულდება ისეთ სიტუაციებში, როდესაც ჩადენილ დანაშაულთა შესანიშნავად ბოროტმოქმედნი საკმაოდ ორიგინალურ კონსპირაციულ ხერხებს მიმართავენ. მაგალითად, ორგანიზებული ჯგუფის მიერ განხორციელებულ დანაშაულთა მომეტებული საშიშრობა მისი დადგენის სირთულითაცაა განპირობებული; ზოგიერთი დანაშაული თავისი ბუნებით იმდენად „დახურული“ ტიპისაა, რომ დაზარალებული მხოლოდ ამ უკანასკნელი ფაქტის გამოაშკარავების შემდეგ ხდება ცნობილი. მაგალითად, მექრთამეობისას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1-ლი მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით: „სისხლის სამართლის კოდექსის მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა.“ აღნიშნული მიზნის მისაღწევად, რა თქმა უნდა, აუცილებელია კანონით გათვალისწინებული საშუალებების გამოყენება, რაც უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობითა და სხვა ნორმატიული აქტებით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის თანახმად: „სისხლის სამართლის პროცესის ამოცანებია: დაადგინოს დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტობრივი გარემოებანი და მისი

<sup>292</sup> გამყრელიძე ო. სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი. გამომ. „მეცნიერება,“ თბ., 1989, გვ. 108.

ჩამდენი პირი; უზრუნველყოს კანონის სწორად გამოყენება; არ დაუშვას უდანაშაულო პირის მსჯავრდება; გამოასწოროს საგამოძიებო და სასამართლო შეცდომები; დაიცვას მოქალაქის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულის, აგრეთვე სისხლის სამართლის პროცესის ყველა სხვა მონაწილის უფლებები და თავისუფლებები; დაამკვიდროს საზოგადოებაში კანონის, ჰუმანიზმისა და სამართლიანობის იდეების პატივისცემა.“

მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცავ ორგანოთა კომპეტენციაა დანაშაულობასთან ბრძოლა, მარტო მათი საქმიანობა მაინც ვერ ჩაითვლება საკმარისად მართლწესრიგის უზრუნველსაყოფად. ამისათვის სახელმწიფო მოქალაქეებსაც აძლევს უფლებას შესაბამისი პირობების დაცვით განახორციელონ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება, რომელიც მართლზომიერად ჩაითვლება. დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით აღსანიშნავია დამნაშავის შეპყრობა და უკიდურესი აუცილებლობა, რომელიც ყოველთვის მსჯელობის საგანი უნდა გახდეს ე.წ. აგენტ-პროვოკატორის საქმიანობის შეფასებისას.

თანამედროვე მსოფლიოს ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის მაგალითზე (მაგ: ბელგია, საფრანგეთი, გერმანია და სხვ.) შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულის პროვოკაციასთან დაკავშირებული სირთულეები არაერთგვაროვნადაა გადაწყვეტილი, რაც უპირველეს ყოვლისა, თანამონაწილეობის ბუნებისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომით აიხსნება.<sup>293</sup>

თანამონაწილეობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე თანამონაწილენი ერთიან უმართლობას ახორციელებენ. თუმცა, თუ მათ საერთო, ერთიანი მიზანი არ ექნებათ მაშინ თანამონაწილეობაზე საუბარი ზედმეტია. შეიძლება თამამად ითქვას, რომ თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველზე მსჯელობისას, ერთი მხრივ, სწორედ მიზანზე დაკვირვებამ და, მეორე მხრივ, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის პრობლემამ განაპირობა წამქეზებლისაგან გაიმიჯნოს და დამოუკიდებელი კვლევის საგანი გამხდარიყო აგენტ-პროვოკატორის (agent-provokateur) ფიგურა.

თითზე ჩამოსათვლელია იმ ავტორთა ნაშრომები, სადაც აგენტ-პროვოკატორის პრობლემაა განხილული. აგენტ-პროვოკატორთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც ვინმე შეაგულიანებს სხვას დანაშაულის ჩასადენად, რათა იგი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისცენ.

სისხლის სამართლის კოდექსისა და სისხლის სამართლის პროცესის ამოცანების განსახორციელებლად გამონაკლის შემთხვევებში აუცილებელი ხდება დანაშაულის ხელოვნურად გამოწვევა, რომლის ფარგლების მკვეთრი განსაზღვრა ერთ-ერთი ურთულესი იურიდიული პრობლემაა.

<sup>293</sup> თანამონაწილეობისა და დანაშაულის პროვოკაციის შესახებ ზოგადი ინფორმაციის სახით იხ: პრადელი ჟან. შედარებითი სისხლის სამართალი. გამოცემის მეცნიერული რედაქტორი თედო ნინიძე, თარგმნა ეკატერინე სუმბათაშვილმა, საგამომცემლო-პოლიგრაფიული კომპანია „სანი“, 1999, გვ. 207-213.

რევოლუციამდელ რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში, როგორც თ. წერეთელი აღნიშნავს, აგენტ-პროვოკატორის საკითხი ფართო დისკუსიის საგანი გახდა განსაკუთრებით „ლოპუხინ-აზეფის“ საქმესთან დაკავშირებით. კრიმინალისტთა ერთი ნაწილი ასაბუთებდა, რომ აგენტ-პროვოკატორი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დანაშაულის წამქეზებელი, რადგან აგენტ-პროვოკატორს განზრახული არა აქვს ბოლომდე მიიყვანოს დანაშაული. იგი დაინტერესებულია მხოლოდ იმით, რომ ამსრულებელმა მცდელობის სტადიას მიაღწიოს, რაც შესაძლებლობას მისცემს გამოავლინოს დამნაშავე და გადასცეს იგი მართლმსაჯულების ორგანოებს. ამ შეხედულების ავტორი ნაბაკოვი თვლიდა, რომ საერთოდ განზრახვა შეიძლება მიმართული იყოს მხოლოდ დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაზე. მცდელობის განზრახვა სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით არ შეიძლება არსებობდეს, რადგან დანაშაულის მცდელობის ელემენტს წარმოადგენს ის, რომ იგი ვერ დამთავრდა დამნაშავის ნებაზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ამიტომ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ დამნაშავის განზრახვა მიმართული იყოს სწორედ მცდელობაზე, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში აღმოჩნდებოდა, რომ ეს განზრახვა მოიცავს ისეთ გარემოებებს, რომელიც დამნაშავის ნებაზე დამოკიდებული არ არის. თვით მცდელობის არსის გამო წაქეზება მცდელობისადმი იურიდიულად შეუძლებელია. ეს არის *contradictio in abjecto*.<sup>294</sup>

ამავე დროს ნაბაკოვი არ უარყოფდა აგენტ-პროვოკატორის დასჯის შესაძლებლობას თუ იგი მოქმედებდა ევენტუალური განზრახვით შედეგის მიმართ. გარდა ამისა, ნაბაკოვი გმობდა აგენტ-პროვოკატორის საქმიანობას, რომელშიც ხედავდა არა მარტო „უდიდეს ზნეობრივ ბოროტებას, არამედ აგრეთვე ინსტიტუტს, რომელიც სრულიად დაუშვებელია კულტურულ სამართლებრივ სახელმწიფოში.“ პირიქით, მრავალი კრიმინალისტი, მაგალითად, კოლერი ამართლებს აგენტ-პროვოკატორის საქმიანობას, როგორც სახელმწიფო ხელისუფლებისათვის აუცილებელს.<sup>295</sup>

აგენტ-პროვოკატორის საკითხს უყურადღებოდ არ ტოვებს რევოლუციამდელი რუსეთის ერთ-ერთი უდიდესი კრიმინალისტი ნ. ტაგანცევი. იგი იხილავს, წამქეზებლის ქცევის მოტივებსა და საფუძვლებს, ეხება ისეთ სიტუაციას, როდესაც წამქეზებელი პირადი სურვილებით არ მოქმედებს. ამასთან დაკავშირებით იგი სვამს საკითხს: „იქნება თუ არა წამქეზებელი ის, ვინც დანაშაულისაკენ აგულიანებდა სხვას მისი მართლმსაჯულებისათვის გადაცემისა და პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით?... ასეთი წამქეზებლები შეიძლება იყვნენ როგორც კერძო პირები, ასევე, უმეტესწილად, ამ როლში გვევლინებიან საპოლიციო ხელისუფლების უმცროსი აგენტები, გამოძიებლები, რომლებიც ასრულებენ ე.წ. *agents provocateurs* (*Lockspitzel*) როლს. შეიძლება თუ არა ამ პირების მიმართ

<sup>294</sup> ციტ. თ. წერეთლის მიხ., თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, გვ. 163-164; Труды юридического общества при императорском С.-Петербургском университете, том 1, С.П., 1910, с. 242 и др.

<sup>295</sup> იხ. წერეთელი თ. თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, გვ. 163-164.

გამოვიყენოთ წამქეზებლის ცნება, რა თქმა უნდა, ამისათვის ყველა საერთო პირობების არსებობისას?“<sup>296</sup>

როგორც ქვევით დავინახავთ, ნ. ტაგანცევი კატეგორიულად მოითხოვს აგენტ-პროვოკატორის დასჯას წამქეზებლის სახით: – „უპირველეს ყოვლისა უეჭველია, რომ ერთმა მხოლოდ წამქეზებლის კანონიერ პასუხისგებაში მიცემის სურვილმა არ შეიძლება გამორიცხოს წამქეზებლის დასჯადობა. თუ ვინმემ შეაგულიანა, დაუშვათ, საკუთარი ძმა მკვლელობისათვის, რათა შემდეგ დააბეზლოს და ისარგებლოს მისი ქონებით, რომელსაც უფლებები ჩამოართვეს, ან როგორც გლაზერს მოჰყავს მაგალითი, იმისათვის, რომ ისარგებლოს მისი დაკავებით და მოხიბლოს მისი ცოლი ან ქალიშვილი, რა თქმა უნდა, ასეთი პირი არამარტო უზნეოდ მოქმედია, არამედ სისხლისსამართლებრივად დასჯადი წამქეზებელია.“<sup>297</sup>

ნ. ტაგანცევის ციტირებული აზრის საფუძვლიანობა, ბუნებრივია, არავითარ ეჭვს არ იწვევს, რამდენადაც მოყვანილ მაგალითებში წამქეზებლის მოქმედებები ვერავითარ გამართლებას ვერ ჰპოვებს. თუკი სამართალი უშვებს დანაშაულებრივი სიტუაციის ხელოვნურად გამოწვევას ეს ნაკარნახევი უნდა იყოს არამარტო დამნაშავის მართლმსაჯულებისათვის გადაცემის განზრახვით, არამედ შექმნილი ვითარების უკიდურესობით ანუ დანაშაულში ეჭვიტანილის სხვაგვარად დაკავების შეუძლებლობით.

ნ. ტაგანცევი თავის მსჯელობის საფუძვლიანობას უფრო აკონკრეტებს: „იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც წამქეზებელი ხელმძღვანელობს არა პირადი ზრახვებით, არამედ თავისებურად გაგებული სამსახურებრივი მოვალეობების ან საზოგადოებრივი ინტერესებით, მაინც მსგავსი დამოწმება საკმარისი არაა წამქეზებლის დაუსჯელობის აღიარებისათვის. სამსახურებრივი მოვალეობების დამოწმება თავისთავად უსუსურია, რადგან არანაირი კანონი არ იძლევა უფლებას და არც შეიძლება უფლება მისცეს ვინმეს მსგავსი საქმიანობისათვის. პოლიციის ვალდებულებაა ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების გახსნა ან მომზადებულ დანაშაულთა თავიდან აცილება; მაგრამ ამ და სხვა შემთხვევაშიც ამ საქმიანობას არაფერი საერთო არა აქვს ახალი დანაშაულების ან დანაშაულებრივი მცდელობების განხორციელებასთან. ამგვარი დამოწმება გაუმართლებელია არამხოლოდ მაშინ, როდესაც მოცემულმა აგენტმა მიმართა დანაშაულის გახსნის შესაბამის ხერხს, არამედ მაშინაც, როდესაც იგი მოქმედებდა უფროსის ბრძანებით, რამდენადაც შესაბამისი ბრძანება უკანონოა.“ ნ. ტაგანცევი იქვე დაასკვნის, რომ რამდენადაც დანაშაულის პროვოკატორს შედეგიც სურს, ამდენად არ შეიძლება იგი წამქეზებლად არ მივიჩნიოთ.<sup>298</sup>

ნ. ტაგანცევის ნააზრევიდან აშკარაა, რომ აგენტ-პროვოკატორის მოქმედება ყოველთვის უნდა განიხილებოდეს როგორც დანაშაულის წამქეზება. ანალოგიურ მოსაზრებას იზიარებენ სხვა კრიმინალისტებიც. მაგალითად, თ. წერეთელი,

<sup>296</sup> Таганцев Н. С., დასახ. ნაშრ., გვ. 595.

<sup>297</sup> იქვე, გვ. 595.

<sup>298</sup> იხ. იქვე, გვ. 596.

ლუბლინსკი, ა. ტრანინი და სხვ. „სამძებრო ორგანოებმა არ შეიძლება გამოიყენონ დანაშაულის გახსნის მიზნით ისეთი საზოგადოებრივად საშიში და უკანონო მეთოდი, როგორცაა დანაშაულის პროვოკაცია.“<sup>299</sup>

თუ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარების ისტორიას გადავხედავთ, ცალკე მუხლად დანაშაულის პროვოკაცია საერთოდ არ ყოფილა გათვალისწინებული. საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლი ითვალისწინებდა მხოლოდ თანამდებობის პირის მიერ ქრთამის პროვოკაციის შემადგენლობას.

საბჭოთა ქვეყნებიდან პირველად საკანონმდებლო დონეზე სპეციალური ნორმა ქრთამის პროვოკაციისათვის პასუხისმგებლობის შესახებ დაწესდა რსფსრ 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსით. ქრთამის პროვოკაცია განისაზღვრებოდა როგორც თანამდებობის პირის მიერ წინასწარი შეცნობით მდგომარეობისა და პირობების შექმნა, რომელიც იწვევს ქრთამის შეთავაზებას ქრთამის მიმცემის შემდგომი მხილების მიზნით. ასე რომ, პასუხისმგებლობა გათვალისწინებული იყო მხოლოდ ქრთამის მიმცემის პროვოკაციული საქმიანობისათვის. თუმცა, 1926 წლის რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსში ამგვარი ხარვეზი შეივსო კანონმდებლის მიერ (მუხლი 119-ე) და ქრთამის პროვოკაციაში იგულისხმებოდა თანამდებობის პირის მიერ წინასწარი შეცნობით მდგომარეობისა და პირობების შექმნა, რომელიც იწვევს ქრთამის შეთავაზებას ან აღებას ქრთამის მიმცემის ან ამღების შემდგომი მხილების მიზნით.<sup>300</sup>

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის 1958 წლის საფუძვლების მიღების შემდეგ ანალოგიური შემადგენლობა მხოლოდ უკრაინის სსრ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლით იყო შენარჩუნებული. რუსეთის მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულის პროვოკაციის მხოლოდ კერძო შემთხვევაა გათვალისწინებული. სახელდობრ, რუსეთის სსკ-ის 304-ე მუხლით დაწესებულია პასუხისმგებლობა ქრთამის ან კომერციული მოსყიდვის პროვოკაციისათვის. რუსულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება სხვა დანაშაულის პროვოკაციის შესაძლებლობის თაობაზე, რაც უდავო ჭეშმარიტებაა. ე. დუბონოსოვს მოჰყავს რუსი ავტორების გამოკვლევების შედეგები: – „მიუხედავად იმისა, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია მხოლოდ ქრთამის ან კომერციული მოსყიდვის პროვოკაციისათვის, გამოკითხული ოპერატიული მუშაკების 45,6% თვლის მას შესაძლებლად სხვა შემადგენლობების მიმართაც. ლიტერატურაში შეიძლება მოინახოს მტკიცება იმის შესახებ, რომ იგი შეიძლება შეგვხვდეს ნარკოტიკების, საბრძოლო მასალების შენახვაში, სავალუტო

<sup>299</sup> იხ. თ. წერეთლის დასახ. ნაშრ., გვ. 165-166; Труды юридического общества при императорском С.-Петербургском университете том 1, С.П., 1910, с. 272; Траинин А. Н., учение о саучастии, М., 1941, с. 103.

<sup>300</sup> იხ. Дубонос Е. С., Провокация взятки либо коммерческого подкупа. Серия «высшая школа», М., 2002, с. 8.



ოპერაციების დარღვევაში, ჯიბის ქურდობასა სხვა დანაშაულებში პირთა მხილებისას.\* მასობრივი საინფორმაციო საშუალებებიც ასევე ამტკიცებს, რომ სამართალდამცავი ორგანოები ოპერატიული ექსპერიმენტის განხორციელებისას იყენებენ მოქალაქეთა თანადგომას ნარკოტიკულ საშუალებათა შექენაში ეჭვმიტანილთა მხილებისათვის.\*<sup>301</sup>

დანაშაულის პროვოცირებასთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრას გერმანულ სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში ჩამოყალიბებული თეორიები სხვადასხვაგვარად ცდილობენ:

„1. სამართლებრივი სიკეთის საფრთხეში ჩაგდების ზღვარის თეორიის (**Die Theorie der Rechtsgutsgefährdungsgrenze**) მიხედვით, წამქეზებლობა მხოლოდ მაშინ გამოირიცხება, თუ წამქეზებელს სიტუაციის განვითარება, ქმედების ობიექტის სხვაგვარი ხელყოფის გამოირიცხვით, მხოლოდ მთავარი ქმედების მცდელობამდე სურს. თუ ქმედების დასრულების გამოირიცხვა შეუძლებელია ან აუცილებელიც კია ქმედების ფორმალური დასრულება, სახეზე ყოველთვის წამქეზებლობა გვექნება, რადგანაც თანამონაწილის სისხლისსამართლებრივი დასჯადობის განმაპირობებელი „ხელყოფის მიმართულება,“ სამართლებრივ სიკეთესთან მიმართებაში, უკვე სწორედ სამართლებრივი სიკეთის საფრთხეში ჩაგდებაში განსხეულდება. მხოლოდ აგენტ-პროვოკატორის „საფრთხის თავიდან ასარიდებლად შიშველ მზადყოფნას“ არ შეუძლია ქმედებას სამართლებრივი სიკეთის დამაზიანებელი ხასიათი დაუკარგოს. ასევე საგულისხმოა, რომ საჭიროა შეიზღუდოს მოქმედების სისხლისსამართლებრივი დასჯადობისაგან გათავისუფლებული ის არეალი, რომელიც ტვირთად, საბოლოოდ, სამართლებრივი სიკეთის მატარებელს აწვება. მაშასადამე, როგორც კი სამართლებრივი სიკეთის საფრთხეში ჩაგდების გამოირიცხვა აღარ მოხერხდება, ან საჭირო გახდება ქმედების ფორმალური დასრულება, ამ შეხედულების თანახმად, ადგილი ექნება წამქეზებლობას აგენტ-პროვოკატორის მხრიდან. ასეთ შემთხვევებში, მხოლოდ გამამართლებელი გარემოების ამოქმედების საკითხიღა უნდა იქნეს განხილული გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის § 34-ზე (მართლზომიერი უკიდურესი აუცილებლობა) დაყრდნობით.“<sup>302</sup>

„2. ქმედების განხორციელების ფორმალური ზღვარის თეორიის (**Die Theorie der formellen Vollendungsgrenze**) მიმდევრები წამქეზებლობას მხოლოდ მაშინ უარყოფენ, თუ წამქეზებელს სიტუაციის განვითარება მხოლოდ მთავარი ქმედების მცდელობამდე სურს. ამასთან ერთად, მდგომარეობა არ შეიცვლება თუ წამქეზებელს არ შეეძლო გამოერიცხა სამართლებრივი სიკეთის დაუგეგმავი დაზიანების საფრთხე. წამქეზებლობას მხოლოდ მაშინ

<sup>301</sup> ციტი. იქვე, გვ. 23, \*Замошкин С. А может быть провокация? Чистые руки, 1999, №2, с. 82;\* Котин В. П., Провокация взятки (К проблеме совершенствования законодательства), Государство и право, 1996, №2.

<sup>302</sup> Heinrich Bernd, Strafrecht - Allgemeiner Teil II, Verlag W. Kohlhammer, Stuttgart, 2005, S. 187.

ექნება ადგილი, თუ იგი საკუთარ განზრახვაში ქმედების ფორმალურ დასრულებასაც იტევდა.<sup>303</sup>

„3. სამაგიეროდ, ქმედების მატერიალური განხორციელების ზღვარის თეორიის (**Die Theorie der materiellen Vollendungsgrenze**) მიხედვით, წამქეზებლობა მხოლოდ მაშინ კი არ გამოირიცხება, როდესაც წამქეზებელს სიტუაციის განვითარება მხოლოდ მთავარი ქმედების მცდელობამდე სურს, არამედ მაშინაც, როდესაც იგი ამასთანავე განზრახ ურიგდება ქმედების ფორმალურ განხორციელებას (პირობითად). ის მხოლოდ მაშინ იქნება (ნამდვილი) წამქეზებელი, თუ იგი აგრეთვე ქმედების მატერიალური დასრულებისკენაც მიისწრაფვის. ეს იმიტომ, რომ ამ თეორიის მიმდევართა აზრით, წამქეზებელს, საბოლოო ჯამში, სამართლებრივი სიკეთის მფლობელისათვის ზარალის მიყენება არ უნდოდა. აქედან გამომდინარე, ისეთ კაზუსებში, სადაც ამსრულებელი ქმედების სისრულეში მოყვანასა და ქმედების დასრულებას შორის უნდა იქნეს მხილებული, დასჯადი წამქეზებლობის განმაპირობებელი სამართლებრივი სიკეთის მატერიალური ხელყოფა არ არსებობს. ამასთანავე, სასჯელისაგან გათავისუფლებულ ქმედებათა არეალის გაფართოება კრიმინალურ-პოლიტიკური საფუძვლების გამოც მიზანშეწონილია. ამ შეხედულებას იმ დასკვნამდე მიყვავართ, რომ აგენტ-პროვოკატორის ქმედება წამქეზებლობის გამო მანამ არ არის დასჯადი, სანამ იგი საკუთარ განზრახვაში ქმედების მატერიალურ დასრულებასაც არ ითავსებს.“<sup>304</sup>

4. აღნიშნული თეორიების განხილვის შემდეგ გერმანელი მეცნიერი ბ. ჰაინრიხი მხარს სამართლებრივი სიკეთის გამოუსწორებელი დაზიანების იმ თეორიას (**Die Theorie der irreparablen Rechtsgutsverletzung**) უჭერს, რომელიც აგენტ-პროვოკატორს, ტენდენციის შესაბამისად, სასჯელისაგან გათავისუფლებულ ქმედებათა კიდევ უფრო ფართო არეალით უზრუნველზოფს, ვიდრე წინა თეორია. აქედან გამომდინარე, სავსებით მიზანშეწონილია წამქეზებელს მაშინაც კი მიეცეთ სიტუაციიდან დაუსჯელად გამოსვლის შესაძლებლობა, როდესაც იგი, მართალია, ურიგდება ქმედების შესაძლო მატერიალურ დასრულებას, მაგრამ არ სურს ამ სიტუაციის სამართლებრივი სიკეთის გამოუსწორებელ დაზიანებამდე განვითარება. მაშასადამე, დასჯადობის ზღვარზე მხოლოდ მაშინ იქნება გადაბიჯებული, თუ წამქეზებელი სამართლებრივი სიკეთის შესაძლო გამოუსწორებელ დაზიანებას შეურიგდება. ამგვარი მიდგომის სისწორის დასაბუთება იმითაა შესაძლებელი, რომ, წამქეზებელს, საბოლოო ჯამში, არ სურს ზარალი მიაყენოს სამართლებრივი სიკეთის მფლობელს. აქედან გამომდინარე, არ არსებობს წამქეზებლის დასჯადობის განმაპირობებელი, სამართლებრივი სიკეთის მატერიალური ხელყოფა. ამგვარი ხელყოფა მაშინაც კი, როდესაც ადგილი აქვს სამართლებრივ სიკეთეზე ხანმოკლე მავნე ზემოქმედებას, მხოლოდ ისეთ დროს გვაქვს სახეზე, როდესაც სამართლებრივი სიკეთე,

<sup>303</sup> Heinrich Bernd, დასახ. ნაშ., გვ. 188.

<sup>304</sup> იქვე, გვ. 188.

საბოლოო ჯამში, გამოუსწორებლად დაზიანდება. სავაჭრო ცენტრებში ჩადენილი ქურდობების მაგალითი გვიჩვენებს, რომ ხელყოფილ სამართლებრივ სიკეთესთან მიმართებაში, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ამსრულებელს ნივთის დაუფლების მომენტში ამხელენ (წაასწრებენ), მისი გადამალვის მომენტში, თუ შენობის დატოვებისას. აქედან გამომდინარე, წამქეზებლობის საკითხი აქტუალური მაშინ ხდება, როდესაც სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა ხანგრძლივ ხასიათს მიიღებს და წამქეზებელი ამგვარ შედეგთან შეგუებული იყო. თუმცა, ამგვარ შემთხვევებში, ერთხელ კიდევ, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის § 34-ზე (მართლზომიერი უკიდურესი აცილებლობა) დაყრდნობით, აუცილებლად უნდა დაეფიქრდეთ ქმედების გამართლებულობაზე.<sup>305</sup>

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლი (დანაშაულის პროვოკაცია) სიახლეს წარმოადგენს. აღნიშნული მუხლის თანახმად, დანაშაულის პროვოკაცია განმარტებულია როგორც სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით. მაშასადამე, კანონმდებელი ამ მუხლის შექმნით მოითხოვს მკვეთრად გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან წამქეზებლის საქმიანობა და აგენტ-პროვოკატორის საქმიანობა.

სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით: „წამქეზებელია ის, ვინც დაიყოლია სხვა პირი განზრახი დანაშაულის ჩასადენად.“ ამ კონკრეტულ შემთხვევაში საკითხის ღრმა კვლევისათვის აუცილებელია გამოვიყენოთ შედარებითი კვლევის მეთოდი, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ორ მოვლენას შორის მსგავსების, ხოლო მეორე საფეხურზე განსხვავების დადგენას.

**პირველი,** აგენტ-პროვოკატორის, ისევე როგორც წამქეზებლის მოქმედება, ობიექტური მხრივ გამოიხატება **სხვა პირის დაყოლიებაში დანაშაულის ჩასადენად.**

**მეორე** მსგავსება აგენტ-პროვოკატორსა და წამქეზებელს შორის ისაა, რომ **ორივე მათგანი შერაცხადი უნდა იყოს.**

**მესამე,** აგენტ-პროვოკატორიც და წამქეზებელიც **იყოლიებენ შერაცხადს,** რადგან თუ შეურაცხის დაყოლიება ხდება ადგილი ექნება შუალობით ამსრულებლობას.

**მეოთხე,** აგენტ-პროვოკატორიც და წამქეზებელიც **შერაცხად პირს უბიძგებენ პირდაპირი განზრახვით ჩასადენი დანაშაულისაკენ.** მართალია, სსკ-ის 145-ე მუხლი წამქეზებლის განსაზღვრებისაგან განსხვავებით არ შეიცავს მითითებას განზრახი თუ გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის ხდება დაყოლიება, მაგრამ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ისეთი სიტუაცია, როდესაც პირის დაყოლიება ხდება არაპირდაპირი განზრახვით ან გაუფრთხილებლობით ჩასადენი დანაშაულისათვის. არაპირდაპირი განზრახვისას და გაუფრთხილებლობისას შედეგის დადგომამდე არ შეიძლება ვისაუბროთ ქმედების კრიმინალურობაზე, რადგან მომზადება ან მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება, ხოლო დანაშაულის პროვოკაციის შემადგენლობისათვის

<sup>305</sup> იხ. Heinrich Bernd, დასახ. ნაშ., გვ. 189.

გადამწყვეტია დანაშაულის ჩასადენად პირის დაყოლიება და არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, თუ დანაშაულის რომელ სტადიაზე იქნა აღკვეთილი დაყოლიებულის დანაშაულებრივი საქმიანობა. ამასთან, თუ აგენტ-პროვოკატორი ან წამქეზებელი შეაცდენს პირს და იგი არაპირდაპირი განზრახვით ან გაუფრთხილებლობით დანაშაულს ჩაიდეს, მაშინ საქმე გვექნება შუალობით ამსრულებლობასთან.

**მეხუთე,** არც აგენტ-პროვოკატორად და არც წამქეზებლად პირის ცნობისათვის მნიშვნელობა არა აქვს დანაშაულის მოტივს.

მსგავსი ნიშნების დადგენის შემდეგ აუცილებელია გაირკვეს მათი განმასხვავებელი ნიშნებიც.

უპირველეს ყოვლისა, აგენტ-პროვოკატორსა და წამქეზებელს განასხვავებს მათი სამოქმედო მიზანი. წამქეზებლის მიზანი ყოველთვის ემთხვევა ამსრულებლისა და სხვა თანამონაწილეების მიზანს; აგენტ-პროვოკატორი სწორედ იმიტომ არ მიიჩნევა მის მიერ დაყოლიებული პირის წამქეზებლად, რომ მათ სხვადასხვა მიზანი გააჩნიათ: – აგენტ-პროვოკატორის მიზანი ყოველთვის დაყოლიებულის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემაა. ამ მხრივ, საინტერესოა ო. გამყრელიძის კრიტიკა ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრების შესახებ: ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრების მიხედვით დანაშაულის თანამონაწილის დასჯადობა შეეიცარულ იურიდიულ ლიტერატურაში ე.წ. კორუფციის იდეას ეფუძნება. „თანამონაწილისა (წამქეზებლის) და ამსრულებლის დასჯა სხვადასხვა საფუძველზე ხდება. ისინი სხვადასხვა სიკეთეს ხელყოფენ. თანამონაწილე, კერძოდ, წამქეზებელი, ხელყოფს ამსრულებლის პიროვნებას, მის სოციალურ ინტეგრაციას, ხოლო ამსრულებელი სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით დაცულ რომელიმე კონკრეტულ სიკეთეს (აღამიანის სიცოცხლე, ქონება და სხვ.). ამრიგად, სოციალური ინტეგრაცია ყოფილა დამოუკიდებელი სამართლებრივი სიკეთე. ეს უკვე იმაზე მიანიშნებს, რომ წამქეზებლობა თანამონაწილეობა კი არაა, ისიც დანაშაულის გამოვლინების ისეთივე დამოუკიდებელი ფორმა ყოფილა, როგორც ამსრულებლობაა. წამქეზებლობა ამ თვალსაზრისის თანახმად, დამოუკიდებელი შინაარსის უმართლობაა, რადგანაც იგი ამსრულებლისაგან განსხვავებულ სამართლებრივ სიკეთეს აზიანებს. აქედან უკვე ერთადერთი დასკვნა უნდა გაკეთდეს: ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრება საერთოდ უარყოფს დანაშაულში თანამონაწილეობის ცნებას და შლის ყოველგვარ ზღვარს თანამონაწილეობასა (წამქეზებლობა) და ამსრულებლობას შორის.“<sup>306</sup>

ო. გამყრელიძის აზრით, თუ წამქეზებელს შეცდომაში შეჰყავს ამსრულებელი, მაშინ წამქეზების ჩვეულებრივ შემთხვევას ვერ გავუთანაბრებთ ისეთ შემთხვევას, როცა აგენტ-პროვოკატორი აქეზებს სხვას დანაშაულის ჩასადენად. „წამქეზებლის მოქმედება მაშინ იქნება მიმართული ამსრულებლის პიროვნების წინააღმდეგ,

<sup>306</sup> გამყრელიძე ო., სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი. გამომ. „მეცნიერება,“ თბ., 1989, გვ. 9-14.

როცა წაქეზება ხდება პროვოკაციული მიზნით, როცა ამსრულებელმა არ იცის, რომ მას აქეზებენ იმისათვის, რათა დანაშაულის ჩადენის მომენტში შეიპყრონ და დასაჯონ.<sup>307</sup>

მაშასადამე, აგენტ-პროვოკატორი იმიტომ არაა წამქეზებელი, რომ მას ამსრულებლისა და თანამონაწილეებისათვის უცნობი, განსხვავებული მიზანი ამოძრავებს. მიზანზე დაკვირვება კი სულ სხვა სურათს ქმნის: **ჯერ ერთი**, ფაქტობრივი (და არა იურიდიული) გაგებით წამქეზებელი პროვოკაციული მიზნის გამო დამოუკიდებელი დანაშაულის უშუალო ამსრულებლად გვევლინება, რაც საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ წამქეზებლისაგან განსხვავებით აგენტ-პროვოკატორი დანაშაულის შემადგენლობას უშუალოდ ასრულებს; **მეორე**, – ცნობილია, რომ ხშირად მიზანი დანაშაულის ობიექტს ავლენს, რის გამოც წამქეზებელი იგივე ობიექტს ხელყოფის, რასაც ამსრულებელი და თანამონაწილეები, ხოლო აგენტ-პროვოკატორი ყოველთვის ხელყოფს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს.

ჩვენთვის მიუღებელია საბჭოთა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გამოთქმული აზრი, რომლის თანახმადაც, პროვოკატორი წამქეზებლის განსაკუთრებულ სახედ განიხილება მისი მოქმედების მიზნის მიუხედავად. მართალია, საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსები საშუალებას არ იძლეოდა პროვოკაციული ქმედება დამოუკიდებელ დანაშაულად მიჩნეულიყო, მაგრამ კანონმდებლობის ამ ნაკლზე მეცნიერებაშიც არ მიუთითებდნენ. გავრცელებულ დებულებად ითვლებოდა, რომ „ყოველგვარი დაყოლიება დანაშაულის ჩადენისათვის შემდგომში იმ პირის მხილების მიზნით, რომელსაც პროვოკაცია მოუწევს, განიხილება თანამონაწილეობად და გამოიწვევს პასუხისმგებლობას თანამონაწილეობის წესების მიხედვით. ამ თვალსაზრისის იყო როგორც საბჭოთა მეცნიერ-კრიმინალისტთა უმრავლესობა, ისე სასამართლო პრაქტიკა.“<sup>308</sup>

ამრიგად, თუ ერთად მოქმედ ორ ან მეტ შერაცხადს ერთიანი მიზანი არ ამოძრავებთ, თანამონაწილეობაზე საუბარი შეუძლებელია. სწორედ ამიტომაც, რომ აგენტ-პროვოკატორი ვერ იქნება იმ დანაშაულის თანამონაწილე (წამქეზებელი), რომლისკენაც უბიძგა მან „ხაფანგში“ გაბმულ ადამიანს.

**მესამე** განმასხვავებელი ნიშანი ამ ორ ფიგურას შორის **დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ადებაში** უნდა ვეძებოთ. რამდენადაც დანაშაულის პროვოკაცია ფორმალური დანაშაულია, ამდენად წამქეზებელთან შედარებით აგენტ-პროვოკატორისათვის დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ადება მნიშვნელოვნად შეზღუდულია: წამქეზებელს სრული იურიდიული უფლება აქვს

<sup>307</sup> გამყრელიძე ო., სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი. გამომ. „მეცნიერება“, თბ., 1989, გვ. 14.

<sup>308</sup> იხ: მაგალითად, მაყაშვილი ვ., ტყეშელიაძე გ., პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1964, გვ. 210-211; Траинин А. Н. Учение о соучастии, М., 1941, с. 103; Гришаев П. И., Кригер Г. А. Соучастие советскому уголовному праву, М., 1959, с. 148-149; Советское уголовное право, часть общая, Л., изд. ЛГУ, 1960, с. 416-417.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელი აიღოს მას შემდეგ, როდესაც მან დანაშაულის ჩასადენად სხვა დაიყოლია, ჯერ კიდევ არ განხორციელებულა დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული ყველა ნიშანი და შეგუღიანებულ ადამიანს ნებაყოფლობით და საბოლოოდ გადაარწმუნებს დანაშაულის ჩადენისაგან. ანალოგიურ სიტუაციაში ამგვარი შესაძლებლობა აგენტ-პროვოკატორს საერთოდ არ გააჩნია, რამეთუ სხვისი დაყოლიებისთანავე დანაშაულის პროვოკაცია დამთავრებულ დანაშაულად ითვლება.

**მეოთხე,** წამქეზებლის დანაშაულებრივი ქმედება ყოველთვის სხვაზე ფსიქიკურ ზემოქმედებაში გამოიხატება, რის გამოც წამქეზებლისა და ამსრულებლის სუბიექტური კავშირი ყოველთვის ორმხრივია ანუ ამსრულებელმა იცის, რომ მას დანაშაულის ჩასადენად აქეზებენ. პროვოკაციული საქმიანობისას პირის დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად შეიძლება, როგორც პირადად პროვოკაციის „მსხვერპლისათვის“ აგენტ-პროვოკატორის მიერ დანაშაულის ჩადენის შეთავაზება, ისე სიტუაციის ხელოვნურად შექმნა, როდესაც აგენტ-პროვოკატორი „საფარიდან“ ადევნებს თვალყურს სიტუაციის განვითარებას და „მსხვერპლმა“ არ იცის არც შექმნილი ვითარების ნამდვილი არსი და არც „ხაფანგის“ მომწყობის ვინაობა. მაგალითად, ამ რკინიგზის სადგურზე დადო ჩემოდანი, რომელსაც შორი მანძილიდან ადევნებს თვალყურს იმ ვარაუდით, რომ მავანი და მავანი შეცდება ჩემოდანს უკანონოდ დაეუფლება, რის შემდეგად დამნაშავეს შეიპყრობს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით.

ახლა უნდა გაირკვეს შემდეგი საკითხი: პროვოკაციული საქმიანობა ყოველთვის აკრძალულია, თუ არის განსაზღვრული სიტუაციები, როდესაც სამართალი გამონაკლისის სახით დასაშვებად მიიჩნევა დანაშაულის ხელოვნურად გამოწვევას.

სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის მიზნების განხორციელება საკმაოდ მრავალმხრივ ძალისხმევას საჭიროებს. ზოგჯერ იქმნება უკიდურესი სიტუაცია, როდესაც აუცილებელია დანაშაულის პროვოცირება. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს საქართველოს 1999 წლის 15 მაისის კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ.“ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მიზნებიდან აღსანიშნავია საზოგადოებრივი უშიშროების, დანაშაულებრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვის მიზანი (1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილი). აღნიშნული მიზნების მისაღწევად, საკვლევ საკითხთან დაკავშირებით, საყურადღებოა ამავე კანონის მე-2 მუხლის შემდეგი ამოცანები: ა) დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენა, აღკვეთა და თავიდან აცილება; ბ) იმ პირის დადგენა, რომელიც ამზადებს, სჩადის ან რომელსაც ჩადენილი აქვს დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება; ვ) სისხლის სამართლის საქმეზე აუცილებელი ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება.

აღნიშნული ამოცანების საერთო ნიშანი ისაა, რომ სამივე მიმართულია დანაშაულის გახსნისაკენ, რისთვისაც აუცილებელია დანაშაულის ჩამდენი პირის გამოვლენა და დანაშაულის ჩადენაში

მისი მამხილებელი მტკიცებულებების დადგენა. ამ ამოცანების განხორციელებისათვის მართლაც შესაძლებელია დანაშაულის პროვოცირება თუ იგი უკიდურესი აუცილებლობითაა განპირობებული. კომპეტენტური ორგანოს მუშაკებს შეუძლიათ მოცემულ სიტუაციაში განახორციელონ „საკონტროლო შესყიდვა“ ან „კონტროლირებადი მიწოდება“ (აღნიშნული კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტები). ხსენებული კანონის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით საკონტროლო შესყიდვა ნიშნავს ოპერატიული მუშაკის ან ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს მიერ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე საგნის ან ნივთიერების შეძენას ანდა შეძენის სიტუაციის შექმნას (მისი გასაღების ან მოხმარების მიზნის გარეშე); ხოლო ამავე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, კონტროლირებადი მიწოდება ნიშნავს დანაშაულის გახსნის, დანაშაულის ჩამდენი პირის გამოსავლენად საქართველოს ფარგლებში (ხოლო საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საქართველოს ფარგლებს გარეთაც), საქართველოს ფარგლების გარედან საქართველოში ან საქართველოს გავლით ნივთიერი მტკიცებულების ან ისეთი საგნის კონტროლირებად გადაადგილებას, რომლის თავისუფალი რეალიზაცია კანონით აკრძალულია ან შეზღუდულია.

მაშასადამე, პრაქტიკულად შეიძლება წარმოიშვას ისეთი ვითარება, როდესაც დამნაშავის პასუხისგებაში მისაცემად საჭირო მტკიცებულებების მოპოვებისათვის აუცილებელია დანაშაულის პროვოცირება. თუმცა, ასეთი პროვოცირება მხოლოდ მაშინ უნდა იყოს დასაშვები თუ ეჭვმიტანილთა დანაშაულებრივი საქმიანობა რომელიმე ერთ-ერთ პირობას აკმაყოფილებს: 1) თუ ეჭვმიტანილთა დანაშაულებრივი საქმიანობა **სისტემატურ** ხასიათს ატარებს. მაგალითად, ნარკოტიკების გამსაღებლების დასადგენად ზოგჯერ აუცილებელია პოლიციის აგენტმა შეისყიდოს ნარკოტიკული ნივთიერება, რათა შემდეგ ეს ფაქტი მტკიცებულებად გამოიყენოს. ანდა, ვთქვათ, გარკვეული პირები საცხოვრებელს ან ადგილს გადასცემენ „კლიენტებს“ პროსტიტუციისათვის (სსკ-ის 253-ე მუხლი); 2) დანაშაულებრივი საქმიანობა **განგრძობად** (ამ სიტყვის იურიდიული გაგებით) ხასიათს ატარებს. მაგალითად, კომპიუტერების საწარმოს დირექტორის ინფორმაციის საფუძველზე პოლიციის აგენტი ამ საწარმოს იმ მუშაკს, რომელიც ეჭვმიტანილია კომპიუტერული მოწყობილობების ქურდობაში და მისი მიზანია ამ ნაწილებით კომპიუტერის აწყობა და რეალიზაცია, შესთავაზებს კვლავ მიითვისოს კომპიუტერის ნაწილები; 3) ამა თუ იმ დანაშაულის **მომზადების სტადიაზე** მისი აღკვეთის და მისი ჩამდენის დაკავების მიზნით მოხდება პროვოცირება. მაგალითად, აგენტ-პროვოკატორი მკვლელობის მომზადებისას მკვლელს შესთავაზებს ერთობლივად განახორციელონ მკვლელობა.

თუ კომპეტენტური ორგანოს აგენტი ასეთი დანაშაულის ჩამდენ პირებს დანაშაულის პროვოკაციას მოუწყობს მათი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობის აღსაკვეთად და მათ ფაქტზე წასწრების გამო დააკავებენ, აგენტის მოქმედება მართლზომიერად უნდა ჩაითვალოს. ზემოაღნიშნულ სამივე

შემთხვევაში დანაშაულის პროვოკაციის მართლზომიერად მიჩნევისათვის ასევე უმთავრესია შემდეგი გარემოება: ეჭვიტანილ პირს უნდა ჰქონდეს დანაშაულებრივი განზრახვა და შესაბამისი ქმედება განხორციელებული, რომელიც სისხლისსამართლებრივად რელევანტურია. ამგვარი საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილი ორგანოები ჩამოთვლილია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის მე-12 მუხლში. ესენია, მაგალითად, შსს ოპერატიული ორგანოები, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ოპერატიული ორგანოები, იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულების უსაფრთხოების სამსახური და ა.შ.

ამ მხრივ, მართებულია ვ. ივანოვის პოზიცია, რომელიც მართლზომიერად თვლის და არავითარ საერთოს არ ხედავს პროვოკაციასა და ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფში შეგზავნილი, აგრეთვე სამართალდამცავი ორგანოებისათვის დანაშაულობასთან ბრძოლაში კონფიდენციურ საწყისზე დახმარების აღმომჩენი პირების საქმიანობას შორის, რომლებიც მოწოდებულნი არიან გამოავლინონ, აიცილონ, შეწყვიტონ და გახსნან დანაშაული მათი გამოვლენის რომელიმე სტადიაზე. აღნიშნული პირები არ უბიძგებენ ამსრულებელს დანაშაულის ჩადენისაკენ. ასევე არ მიიჩნევიან პროვოკატორებად დანაშაულებრივი ჯგუფის ის წევრები, რომლებიც თვითონ მონაწილეობდნენ დანაშაულის ჩადენაში, თუმცა შემდეგ დაეკისრათ თანამშრომლობა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარებისა და დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრების მხილებისათვის.<sup>309</sup>

მოქალაქის მიერ დანაშაულის პროვოკაცია, თუნდაც განხორციელებული იყოს დამნაშავის შეპყრობის მიზნით და სხვა საშუალება არ იყოს დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთის, მტკიცებულებათა მოპოვებისა და დამნაშავის მხილებისათვის, გარდა დანაშაულის პროვოცირებისა ანუ დანაშაულის პროვოცირება გამოწვეული იყოს უკიდურესი აუცილებლობით, ყოველთვის დანაშაულად უნდა შეფასდეს. ამ მხრივ, გამონაკლისს წარმოადგენს კანონით უფლებამოსილი ორგანოების ქმედებანი, რომლებიც მოწოდებულნი არიან აღკვეთონ შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა.

ნაწილობრივ მსგავს შეხედულებას ავითარებდა ნ. ტაგანცევი: „რამდენადმე სხვაგვარად წარმოგვიდგება ის შემთხვევა, როდესაც დაყოლიებული პირი უკვე იძებნება ჩადენილი რომელიმე დანაშაულის გამო ხელისუფლების მიერ და ახალი ქმედების და თუნდაც მისი მცდელობის განხორციელება არანაირ ინტერესს არ ემსახურება, ხოლო საფარი ეწეობა არა ახლად ჩადენილის გამო პასუხისგებაში მიცემისათვის, არამედ მხოლოდ დამნაშავის შეპყრობისათვის.“<sup>310</sup> მაშასადამე, ნ. ტაგანცევი აგენტის ასეთ მოქმედებას წამქეზებლობად არ მიიჩნევს. თუმცა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ასეთ შემთხვევასაც ზღვარდადებულად წარმოგვიდგენს.

<sup>309</sup> ივ. Иванов В.Д. Понятие провокации преступления. Концепция развития органов внутренних дел и внутренних войск МВД: теория практика. Тезисы и доклады межвузовской научно-практической конференции. Белгород, 1996, с. 100.

<sup>310</sup> Таганцев Н. С. დასახ. ნაშ., გვ. 596.



და ბოლოს, უნდა შევეხეთ პროვოკაციული საქმიანობის სამართლებრივი შეფასების სფეროში, შეიძლება ითქვას, ყველაზე რთულ საკითხს, რომელიც კანონით უფლებააღჭურვილ პირთა პროვოკაციული საქმიანობის ფარგლებს ეხება.

სისხლის სამართლის კანონმდებლობით დაცულია ისეთი სამართლებრივი სიკეთეები, რომელთა დაზიანებით ან დაზიანების საფრთხის შექმნით არ იქნება გამართლებული აგენტთა პროვოკაციული საქმიანობა, რამდენადაც თვით ამ სამართლებრივ სიკეთეთა ღირებულება ყოველთვის აღემატება სხვა კანონიერ ინტერესებს.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: აკრძალულია იმ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარება, რომელიც:

- ა) საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პატივსა და ღირსებას, ქონებას;
- ბ) საფრთხეს უქმნის იურიდიული პირის უფლებებს;
- გ) დაკავშირებულია მოტყუებასთან, შანტაჟთან, ძალით დაყოლიებასთან, დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენასთან.

კანონის შინაარსიდან გამომდინარე, უნდა მივიჩნიოთ, რომ თუკი პროვოკაციული საქმიანობით საფრთხე ექმნება სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პატივსა და ღირსებას, ქონებას, იურიდიული პირის უფლებებს, მაშინ კომპეტენტური ორგანოების აგენტთა მოქმედება მომზადების სტადიას არ უნდა გასცდეს, რამდენადაც სამართლით დაცულ სიკეთეს მხოლოდ მცდელობის სტადიაზე ექმნება საფრთხე.

ყურადღებას იპყრობს აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, სადაც მითითებულია, რომ ოპერატიულ სამძებრო ღონისძიების ჩატარება დაუშვებელია, რომელიც დაკავშირებულია მოტყუებასთან. კანონის ეს დებულება, შეზღუდულად უნდა უნდა გავიგოთ, რადგან ეს არ გულისხმობს კანონით ნებადართულ შემთხვევაში პროვოკაციული საქმიანობის აკრძალვას. პროვოკაციული საქმიანობა ყოველთვის მოტყუებით ხორციელდება ანუ შესაპყრობი პირი ცდება სწორედ იმიტომ, რომ მან არ იცის შექმნილი სიტუაციის რეალური სურათი. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არც „წამოეგებოდა ანკესზე.“ მაგალითად, პოლიციის აგენტს ნარკოტიკების გამსაღებელი იმიტომ აძლევს გარკვეული საფასურის გადახდის შემდეგ ნარკოტიკს, რომ იგი მოტყუვდა მყიდვილის ვინაობაში.

საზღვარგარეთის სპეცსამსახურების პრაქტიკაში ოპერატიულ ექსპერიმენტს „საიდუმლო ოპერაცია“ ეწოდება. მაგალითად, აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით პროვოკაციად არ ითვლება თუ „პირებს, რომლებსაც განზრახული აქვთ დანაშაულის ჩადენა, საშუალება მიეცემათ (ე.ი. სამართალდამცავ ორგანოებს. // ჩამატება ჩემია-ი.დ.) განახორციელონ საკუთარი მართლსაწინააღმდეგო ჩანაფიქრი.“\*

აშშ-ს სპეცსამსახურების მიერ განხორციელებული ამგვარი ოპერაციის წარმატებულ მაგალითად მიიჩნევა „აბსკემის“ საქმე.<sup>311</sup>

სსკ-ის 145-ე მუხლის (დანაშაულის პროვოკაცია) შესახებ ქ. თბილისის საოლქო სასამართლოსა და უზენაესი სასამართლოს მაგალითზე, რამდენადაც ხელმისაწვდომი იყო, სასამართლო პრაქტიკა არ არსებობს. თუმცა, უდავოა ის ფაქტი, რომ რეალურად ცხოვრებაში არსებობს დანაშაულის პროვოკაციის შემადგენლობის ნიშნები, რომელიც სხვადასხვა მიზეზების გამო რეაგირების გარეშე დარჩა. აი, ამის ნათელი მაგალითებიც.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ 2002 წლის 26 ივნისის განაჩენით ც. ყ. დამნაშავედ ცნო მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვაში, რომლის ღირებულება შეადგენდა 289,10 ლარს. სისხლის სამართლის საქმიდან ირკვევა, რომ: „2002 წლის 28 მარტს, დაახლოებით 13 საათზე, გამოძიებით დაუდგენელმა პირმა ქ. რუსთავში ინდ. მეწარმე „ჭილაშვილის“ მაღაზიაში სარეალიზაციოდ შეიტანა რუსული აქციზური მარკის მქონე სხვადასხვა დასახელების ფილტრიანი სიგარეტები და იქ გამყიდველად მომუშავე ც. ყ-ს შესთავაზა მათი შექენა, რაზეც ამ უკანასკნელმა უარი განუცხადა, მაგრამ შესაძლო შექენისათვის მაღაზიის მფლობელისათვის საჩვენებლად უცნობ მამაკაცს დათანხმდა სიგარეტის რამდენიმე ბლოკის დატოვებაზე, მაგრამ მან დაუტოვა ყველა სიგარეტი და გავიდა მაღაზიიდან, თან მიაძახა, რომ საღამოს მოვიდოდა და თვითონ დაელაპარაკებოდა სიგარეტის ყიდვის თაობაზე მაღაზიის მფლობელს. მისი გასვლიდან მალევე (15 წუთის შემდეგ) მაღაზიაში მივიდნენ პოლიციის მუშაკები და ამოიღეს უაქციზო სიგარეტი.“<sup>312</sup>

ამ და ანალოგიური საქმეების ანალიზისას, უდავოდ უნდა დავეთანხმოდ გ. მამულაშვილის მძაფრ კრიტიკას საგანგებო ლეგიონის მიმართ, რომელიც, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „ავადსახსენებელ „ობეხსს“-ს არ ჩამოუვარდებოდა საგანგებო ლეგიონი პროვოკაციების მოწყობაში.“<sup>313</sup>

აქვე უნდა შევნიშნოთ სხვა სამართალდამცავი ორგანოების დანაშაულებრივი საქმიანობაც, რომელთა მუშაკებიც თვალებს ხუჭავდნენ პროვოკატორთა დანაშაულებრივ ქმედებებზე. 2002 წელს საქართველოს საერთო სასამართლოებს ოთხასზე მეტი უაქციზო საქონლის შექენის საქმე აქვს განხილული, რომელიც ჩადენილია აღნიშნულ დანაშაულთან მეზობლი სტრუქტურების ხელშეწყობით.

<sup>311</sup> ციტ. Дубонос Е. С., დასახ. ნაშ., გვ. 18, ის: \* Николаич В. М. США: полицейский контроль над обществом, М., 1987, с.121; \* 80-იანი წლების დასაწყისში აშშ-ს ფედერალურმა საგამოძიებო ბიურომ ჩაატარა მასშტაბური ოპერაცია აშშ-ს კონგრესის წევრთა შორის მექრთამეთა გამოსავლენად. ფედერალური საგამოძიებო ბიუროს საიდუმლო თანამშრომლები, რომლებიც ქრთამს სთავაზობდნენ, არაბი შეიქების სახით მოქმედებდნენ (см: Власихин В. Операция «Абскем»: жуки, маячки и жало в борьбе с коррупцией. Чистые руки.1999, №3, с. 39-52).

<sup>312</sup> სისხლი სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი (ეკონომიკური დანაშაული). ავტორთა კოლექტივი, რედაქტორი ო. გამყრელიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, გამომცემლობა „მერიდიანი,“ თბ., 2004, გვ. 343.

<sup>313</sup> იქვე, გვ. 344.

შემდეგ პროვოცირებული „სამხილით აკავებენ და კონტრაბანდასთან „ბრძოლის ეფექტურ სტატისტიკასაც ქმნიან.“<sup>314</sup>

გ. მამულაშვილი ამ მანკიერი სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შემდეგ მიდის დასკვნამდე, რომ ზემოაღნიშნულ დანაშაულთა სუბიექტები მოტყუებული არიან ოპერატიული მუშაკების მიერ.<sup>315</sup> ეს ფაქტი უდავოა, თუმცა მცირეოდენ დაზუსტებას მოითხოვს. კანონი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შესახებ კრძალავს ისეთი ღონისძიების ჩატარებას, რომელიც მოტყუებასთანაა დაკავშირებული, მაგრამ, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, კანონს აქ შეზღუდული განმარტება უნდა მიეცეს, რადგან გარკვეულ შემთხვევებში სამხილის მოძიება და დამნაშავის დაკავება შეუძლებელია დანაშაულის ხელოვნურად გამოწვევის გარეშე. რა თქმა უნდა, თუ უკიდურეს ვითარებაში არსებობს ზემოთ ჩამოთვლილი სამი პირობიდან ერთ-ერთი. ასეთი პროვიკაციული ქმედება ყოველთვის ეჭვიმტანილის მოტყუებით ხორციელდება, რის გარეშეც პირის მხილება შეუძლებელი იქნება. მაგალითად, საკონტროლო შესყიდვა, კონტროლირებადი მიწოდება და სხვ. მსგავს სიტუაციებში კომპეტენტურ ორგანოთა მუშაკების მიერ განხორციელებულ საგამოძიებო ექსპერიმენტს მაშინ ექნება დანაშაულებრივი ხასიათი თუ მათ აღუძრეს მოქალაქეს ისეთი დანაშაულებრივი განზრახვა, რომლის განხორციელების სურვილი საერთოდ არ ჰქონია. ანალოგიურ აზრს ვხვდებით სისხლისამართლებრივ ლიტერატურაშიც: „ოპერატიული ექსპერიმენტი უნდა ჩაითვალოს მართლზომიერად და არა პროვოკაციად, თუ იგი არ იწვევს პირის დანაშაულებრივ ქცევას და ერთვება მისი უკვე დაწყებული განზრახვის რეალიზაციაში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ „შესამოწმებელს“ ექსპერიმენტის განხორციელებამდე გააჩნია არჩევანის თავისუფლება და უფლება აქვს ნებაყოფლობით ხელი აიღოს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე.“<sup>316</sup>

დასმული პრობლემის განხილვისას დავინახეთ თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პროცესში აგენტ-პროვოკატორის ქცევის მიზანს: ერთი მხრივ, თუ შესაბამისი პირობები დაცულია მისი ქმედება მართლზომიერია, მეორე მხრივ, თუ დაცული არ არის საგამოძიებო ექსპერიმენტის მართლზომიერების პირობები, მაშინ მისი დანაშაულებრივი საქმიანობა, ლიტერატურაში გავრცელებული ტრადიციული აზრისაგან განსხვავებით, უნდა შეფასდეს არა წამქეზებლობად, არამედ დანაშაულის პროვოკაციად, რომელიც სულ სხვა ტიპის უმართლობს ქმნის. ამასთან, ზოგჯერ დანაშაულის პროვოკაციისას (მიუხედავად იმისა, იგი მართლზომიერია თუ არა) იცვლება

<sup>314</sup> სისხლი სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი (ეკონომიკური დანაშაული). ავტორთა კოლექტივი, რედაქტორი ო. გამყრელიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, გამომცემლობა „მერიდიანი,“ თბ., 2004, გვ. 346.

<sup>315</sup> იხ. იქვე, გვ. 347.

<sup>316</sup> Селезнев М. Эксперимент или провокация? (К вопросу о борьбе с коррупцией) Российская юстиция, 1996, №5, с. 51; მსგავსი პოზიცია იხ: Дубоносов Е. С., დასახ. ნაშ., გვ. 19.

„სატყუარაში“ მოხვედრილ პირთა მიერ განხორციელებული ქმედებების სისხლისსამართლებრივი შეფასებაც. მაგალითად, თუ აგენტ-პროვოკატორი ა-ს შესთავაზებს „ქრთამი“ გადასცეს ერთ-ერთ თანამდებობის პირს და მართლაც, ა. მისცემს ფულს თანამდებობის პირს, მაშინ ა-ს მოქმედება უნდა დააკვალიფიცირდეს ქრთამის მიცემის მცდელობად, ხოლო თანამდებობის პირის ქმედება – ქრთამის აღების მცდელობად. ანალოგიური აზრი გამოთქმულია ქართულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაშიც.<sup>317</sup>

და ბოლოს, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დანაშაულის წამქეზებლობას აქვს ადგილი თუ დანაშაულის პროვოკაციას სამართლებრივი სიკეთის გამოსწორებელი დაზიანების თეორიის (**Die Theorie der irreparablen Rechtsgutsverletzung**) დებულებების შესაბამისად უნდა გადაწყდეს. კერძოდ, ამ საკითხის მართებული გადაწყვეტისათვის მთავარია არა დანაშაულის შემადგენლობის სრული განხორციელება, არამედ აქ გადამწყვეტია სამართლებრივი სიკეთის დაზიანების გამოსწორების ობიექტური შესაძლებლობა და ამ შესაძლებლობისადმი დამყოლიებლის სუბიექტური დამოკიდებულება. თუ პირს ვინმეს დაყოლიებამდე სურდა სამართლებრივი სიკეთის იმგვარი დაზიანება, რომ მისი ხელყოფის შემდგომი გამოსწორება არ სურდა ან არ შეიძლებოდა, მაშინ ადგილი აქვს დანაშაულის წამქეზებლობას. მაგალითად, თუ ა-მ ბ. დაიყოლია კაცის მოსაკლავად, რადგან ბ-ს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა სურდა და კაცის სიკვდილს თავიდანვე ეგუებოდა, მაშინ ადგილი აქვს წამქეზებლობას. განსხვავებულად უნდა გადაწყდეს საკითხი მაშინ, როდესაც დაზიანებული სამართლებრივი სიკეთის გამოსწორება შეიძლება. მაგალითად, თუ ა-ს სურს ბ-ს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა და მისი წაქეზებით ბ. ნივთის ფარულად დაეუფლება და ამ ნივთის უკან დაბრუნების შესაძლებლობა არსებობს, ა-ს მოქმედება დანაშაულის პროვოკაციად უნდა შეფასდეს.

რთულდება სიტუაცია მაშინ, როდესაც ისეთი შედეგი დადგება, რაც დამყოლიებლის განზრახვით არ იყო მოცული. მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით ამ საკითხის დარეგულირებისათვის მისაღები იქნება, თუ სსკ-ის 145-ე მუხლს დაემატება დამამძიმებელი გარემოებები, სადაც სამართლებრივი სიკეთის ღირებულების მიხედვით განსხვავებული პასუხისმგებლობა იქნება დაწესებული ამგვარი შედეგის გამოწვევისთვის.

<sup>317</sup> იხ. მაგალითად, მაყაშვილი ვ., ტყეშელიძე გ., პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1964, გვ. 215.

**დ) ამსრულებლისა და თანამონაწილის პასუხისმგებლობის თავისებურებანი მოტივისა და მიზნის მიხედვით**

აქამდე განხილული იყო თანამონაწილეთა (როგორც ვიწრო, ისე ფართო გაგებით) პასუხისმგებლობის საფუძველი. ახლა უნდა გაირკვეს ისეთი მოტივებისა და მიზნების თავისებურებანი, რომლებიც თანამონაწილეთა პასუხისმგებლობას ან ამძიმებენ ან ამსუბუქებენ.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ კუთხით საბჭოურ და ახლანდელ რუსულ სისხლისსამართლებრივ ნაშრომებში რაიმე საგულისხმო წინადადებებს ვერ ვხვდებით. ეს ბრალისა და სისხლისსამართლებრივი უმართლობის ბუნების შეუსწავლევლობით უნდა იყოს განპირობებული. მისასაღმებელია, რომ ქართულ იურიდიულ აზროვნებაში ამ საკითხებზე არსებობს ღრმა მეცნიერული ნაშრომები, რომელთა ავტორები კვლავ განაგრძობენ ამ მხრივ მეცნიერულ კვლევას (მაგ: ო. გამყრელიძე, ლ.-გ. კუტალია).

„თანამონაწილეთა განზრახვამ, – წერს ბ. ვოლკოვი, – ასევე უნდა მოიცვას ის მოტივები და მიზნები, რომლებითაც ხელმძღვანელობდა ამსრულებელი დანაშაულის ჩადენისას, თუნდაც აღნიშნულ მოტივებსა და მიზნებს არ იზიარებდნენ თანამონაწილეები. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქმნება სუბიექტური კავშირი და ის განსაკუთრებული ფსიქიკური დამოკიდებულება, რომელიც თანამონაწილეობას ახასიათებს.“<sup>318</sup>

სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ თუ „თანამონაწილე აცნობიერებს ამა თუ იმ გარემოებებს, რომელიც ეხება ამსრულებლის პიროვნებას და გავლენას ახდენს ამ უკანასკნელის მიერ ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციაზე, მათ გავლენა უნდა მოხდინონ თანამონაწილეთა მიერ ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციაზე.“<sup>319</sup>

მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ „თანამონაწილეთა პასუხისმგებლობაზე გავლენას ახდენენ ისეთი გარემოებები, რომლებიც ახასიათებს ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულს და მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა გააჩნია. შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, რომლებიც მხოლოდ ერთი თანამონაწილის საზოგადოებრივ საშიშროებას ახასიათებს, არ ახდენს გავლენას სხვა თანამონაწილეთა პასუხისმგებლობაზე მაშინაც კი, როდესაც ამ გარემოებებს გააჩნია მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა და მოცული იყო მათი განზრახვით.“<sup>320</sup>

განსხვავებულად წყვეტს აღნიშნულ საკითხს მ. კოვალიოვი. იგი განასვავებს ობიექტური ხასიათის გარემოებებს და გარემოებებს, რომელიც ამსრულებლის პიროვნებას ახასიათებს. ობიექტური ხასიათის გარემოებები აუცილებლად უნდა შეერაცხოს არამხოლოდ ამსრულებელს, არამედ სხვა თანამონაწილეებსაც, თუ მათი განზრახვით იყო მოცული. პირიქით, ამსრულებლისათვის დამახასიათებელი თვისებები, შეიძლება შეერაცხოს

<sup>318</sup> Волков Б.С. Мотивы преступлений (Уголовно-правовое, социально-психологическое исследование). Изд. Казанского университета, 1982, с. 112.

<sup>319</sup> Советское уголовное право. Часть общая, Л., 1960, с. 422.

<sup>320</sup> Советское уголовное право. Часть общая, М., 1962, с. 217.

თანამონაწილეებს თუ მათ გაცნობიერებული ჰქონდათ ეს გარემოებანი და დანაშაულის შემადგენლობის ძირითადი ან მაკვალიფიცირებელი ნიშნის მნიშვნელობა აქვს.<sup>321</sup>

ბ. ვოლკოვის აზრით, „ამ საკითხის გადასაწყვეტად არ შეიძლება გამოვიდეთ დანაშაულის ჩადენის ობიექტური და სუბიექტური გარემოებების შეპირისპირებიდან. ობიექტური გარემოებები მართლაც დიდ გავლენას ახდენს ცალკეულ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობაზე. თუმცა, ეს აიხსნება არა აღნიშნული გარემოებების განსაკუთრებული თვისებებით, არამედ დანაშაულის ჩადენაში მათი განსაკუთრებული როლით. ობიექტური გარემოებები (დროის, ვითარების, მოქმედების საშუალების, შედეგის სიმძიმის თავისებურებები და ა.შ.) ყოველთვის დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენასთან, რის გამოც გავლენას ახდენენ თანამონაწილეთა ქცევაზე, ასევე მათ მიერ ჩადენილი მოქმედების შინაარსსა და ხასიათზე. ამას ვერ ვიტყვით პირად დამოკიდებულებებსა და გარემოებებზე. უკანასკნელნი შეიძლება მხოლოდ გარეგნულად იყოს დაკავშირებული დანაშაულის ჩადენასთან და არ მოახდინოს არავითარი გავლენა მის ხასიათსა და შინაარსზე, თანამონაწილეთა ნებაზე და, ბუნებრივია, ერაცხებათ არა ყველა თანამონაწილეს, არამედ მხოლოდ მათ, რომელთა მხარესაც არის ისინი.“<sup>322</sup>

„პირად გარემოებებს შორის არის ისეთებიც, რომლებიც ახასიათებს ჩადენილ დანაშაულს, განსაზღვრავენ მისი საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს. ასეთებს, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი. რამდენადაც ეს გარემოებები მართლსაწინააღმდეგო ქცევის მოტივაციის აუცილებელ პირობებს წარმოადგენს, ამდენად ისინი შეუძლებელია არ იქნას გათვალისწინებული თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის განსაზღვრისას. მაშასადამე, სუბიექტურ გარემოებეთა შერაცხვის საფუძველი და მოცულობა ემყარება იმავე პრინციპებს, რასაც ობიექტური ხასიათის გარემოებების შერაცხვა. აუცილებელია, რომ შესარაცხი გარემოებები დაკავშირებული იყოს დანაშაულის ჩადენასთან, ზემოქმედებას ახდენდნენ თანამონაწილეთა ნებაზე.“<sup>323</sup>

„თუ მოტივი და მიზანი, – განაგრძობს ბ. ვოლკოვი – რომლითაც ხელმძღვანელობს ამსრულებელი დანაშაულის ჩადენისას, დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებია ან განიხილება როგორც დამამძიმებელი გარემოებება, მაშინ ისინი შეერაცხება სხვა თანამონაწილეებსაც მაშინაც კი, როდესაც ეს მოტივები და მიზნები მათ მიერ გაზიარებული არ იყო, მაგრამ მოცული იყო მათი განზრახვით. მაგალითად, თუ ამსრულებელმა ჩაიდინა მკვლელობა ანგარებითი მოტივით, ხოლო წამქეზებელსა და დამხმარეს შეგნებული ჰქონდათ ეს, მაშინ მათ პასუხი უნდა აგონ ანგარებით მკვლელობისათვის, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ისინი სხვა განზრახვითა და მოტივით მოქმედებდნენ. ამ შემთხვევაში

<sup>321</sup> იხ. Ковалев М. И. Соучастие в преступлении. Ч. 2, Свердловск, 1961, с. 159.

<sup>322</sup> Волков Б.С. Мотивы преступлений (Уголовно-правовое, социально-психологическое исследование). Изд. Казанского университета, 1982, с. 116.

<sup>323</sup> იქვე, გვ. 116.

ამსრულებლის ანგარებითი მოტივი არ იქცევა წამქეზებლისა და დამხმარის დანაშაულებრივი საქმიანობის მოტივად. საკუთარი ქცევისას ისინი ხელმძღვანელობენ საკუთარი ინტერესებით და ისახევენ საკუთარ მიზნებს. მოქმედების მოტივებსა (და მიზნებში) ჩვეულებრივ გახატულებას პოულობს ადამიანის ძირითადი პიროვნული თვისებები, ინდივიდუალური ხასიათი.<sup>324</sup>

„დანაშაულის მოტივი და მიზანი უნდა შეერაცხოს სხვა თანამონაწილეებს იმ შემთხვევაშიც, თუ ისინი გავლენას არ ახდენენ კვალიფიკაციაზე, მაგრამ ახასიათებს ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულის მომეტებულ საშიშროებას.“<sup>325</sup>

ზოგიერთ შემთხვევაში, თანამონაწილის ქცევაზე ამ გარემოებათა არაერთგვაროვანი გავლენის გამო, მათ შეიძლება ჰქონდეთ საწინააღმდეგო მნიშვნელობა. თუ, მაგალითად, ვინმე ისარგებლებს იმ პირის ძლიერი სულიერი აღელვებით, ვისაც მძიმე შეურაცხყოფა მიაყენეს და მას წააქეზებს შეურაცხმყოფელის მკვლელობისაკენ, მაშინ წამქეზებლისათვის შურისძიება განიხილება როგორც დამამძიმებელი გარემოება, ხოლო ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაული შემამსუბუქებელ გარემოებაში ჩადენილად ჩაითვლება. სხვა მნიშვნელობა აქვს თანამონაწილეთა მოქმედებისათვის დამახასიათებელ მოტივებსა და მიზნებს. თუ კვალიფიკაციაზე გავლენის მქონე მოტივები და მიზნები არ არსებობს ამსრულებლის მხარეს და ახასიათებს მარტო სხვა თანამონაწილეებს, მაშინ ისინი არ შეიძლება შეერაცხოს მას ბრალად. მაგალითად, ა-მ შურისძიების გამო გადაწყვიტა მოეკლა ბ., ვ. არ იზიარებდა ა-ს მოტივს, მაგრამ მაინც აღმოუჩინა დახმარება საკუთარი მოტივისა და მიზნის განსახორციელებლად. კერძოდ, მას სურდა გათავისუფლებულიყო იმ დიდი თანხის გადახდისაგან, რომელიც ვალად ჰქონდა აღებული ბ-საგან. აშკარაა, რომ მოცემულ შემთხვევაში მკვლელობის ანგარებითი მოტივი არ შეიძლება შეერაცხოს ამსრულებელს, მაშინაც კი, როდესაც მისთვის ნაცნობი იყო ბ-ს ნამდვილი განზრახვა, რადგან ამ მოტივს არავითარი გავლენა არ მოუხდენია მის ნებასა და ქცევაზე.<sup>326</sup>

წამქეზებლის ან დამხმარის მხარეს არსებული მოტივები და მიზნები შეიძლება შეერაცხოს ამსრულებელს მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში, კერძოდ, მაშინ, როდესაც ამსრულებელი იღწვის საკუთარი ინტერესებისათვის, თუმცა საკუთარ თავზე იღებს თანამონაწილეთა განზრახვისა და მოტივების განხორციელებასაც; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც ამსრულებელი გვევლინება თანამონაწილეთა განზრახვისა და ნების რეალიზაციის საშუალებად. მაგალითად, მოსყიდვით მკვლელობისას ამსრულებელი თითქოს უერთებს საკუთარ ნებას მომსყიდველის ნებას.<sup>327</sup>

აქ დაწვრილებით წარმოჩინდა ბ. ვოლკოვის შეხედულებანი თანამონაწილეთათვის მოტივისა და მიზნის შეერაცხვის შესახებ, სადაც საკითხის გადაჭრის არასწორი გზაა არჩეული. კერძოდ,

<sup>324</sup> Волков Б.С. Мотивы преступлений (Уголовно-правовое, социально-психологическое исследование). Изд. Казанского университета, 1982, с. 116.

<sup>325</sup> იქვე, გვ. 117.

<sup>326</sup> იხ. იქვე, გვ. 117.

<sup>327</sup> იხ. იქვე, გვ. 117.

მოტივისა და მიზნის თანამონაწილეთათვის შერაცხვისას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს იმას თუ ვის მხარეზეა მოტივი ან მიზანი, – ამსრულებლის თუ თანამონაწილის. მაგალითად, თუ ამსრულებელი მოქმედებს ანგარებით, მაშინ ამგვარი მოტივი ბრალად უნდა შეერაცხოს სხვა თანამონაწილეებსაც, თუ მათ ეს მოტივი შეცნობილი ჰქონდათ.

მეორე მხრივ, ბ. ვოლკოვი მიუთითებს, რომ თანამონაწილეთა მხარეს არსებული მოტივი ან მიზანი მხოლოდ მაშინ შეერაცხება ამსრულებელს, თუკი იგი თანამონაწილეთა ნების რეალიზაციის საშუალებად გვევლინება.

საკითხისადმი ასეთი არათანმიმდევრული და მცდარი მიდგომა თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძვლის, უმართლობისა და ბრალის ნიშნების, მოტივისა და მიზნის უმართლობასა და ბრალზე გავლენის მოხდენის არასწორი გააზრების შედეგი უნდა იყოს. მოტივისა და მიზნის შერაცხვის საკითხი სრულებით არაა დამოკიდებული იმაზე, თუ ვის მხარესაა ისინი: – ამსრულებლის თუ რომელიმე თანამონაწილის მხარეს, რადგან ამით მათი ბუნება სრულებით არ იცვლება.

სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გვხვდება მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ამსრულებლისა და თანამონაწილეთათვის ამა თუ იმ გარემოების შერაცხვის საკითხის გადაწყვეტისას უმთავრესია შემადგენლობის მაკვალიფიცირებელი ნიშნების გათვალისწინების მომენტი.<sup>328</sup>

მეცნიერთა ნაწილი მაკვალიფიცირებელ ნიშნებს ყოფს ქმედებისა და პიროვნებისათვის დამახასიათებელ გარემოებებად. ქმედებასთან დაკავშირებული გარემოებები, მათი აზრით, ობიექტური ბუნებისაა და ზეგავლენას ახდენენ მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხზე, ამიტომ ყველა თანამონაწილეს შეერაცხება ბრალად თუ ამსრულებლის მოქმედებას ახასიათებს. პირადი სახის გარემოებები, თავის მხრივ, ორ ჯგუფად იყოფა. მაგალითად, მოტივი და მიზანი გავლენას ახდენენ როგორც პიროვნების, ისე მოქმედების საზოგადოებრივ საშიშროებაზე. ამიტომ დამხმარემ და წამქეზებელმა პასუხი უნდა აგონ ანგარებით მკვლელობაში თანამონაწილეობისათვის მაშინაც კი, როდესაც მათ ეს მოტივი არ ამოძრავებდათ, მაგრამ იცოდნენ, რომ ამსრულებელი ამ მოტივით მოქმედებდა. თუმცა, თანამონაწილეებს არ შეერაცხებათ ისეთი სახის პირადი გარემოება, რომელიც მხოლოდ ამსრულებლის პიროვნებისთვისაა დამახასიათებელი. ასეთია, მაგალითად, დანაშაულის განმეორება, სისტემატურობა, რეციდივი და ა.შ.<sup>329</sup>

ო. გამყრელიძე იზიარებს დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების დაყოფას ობიექტურ და სუბიექტურ ნიშნებად. იგი ამ

<sup>328</sup> იხ: Трайнин А. Н. Общее учение о составе преступления, М., 1957, с. 286; Шнейдер М.А. Соучастие в преступлении по советскому уголовному праву, М., 1958, с. 75-76; Ковалев М.И. Соучастие в преступлении, ч. 2, с. 160; Советское уголовное право. Часть общая. М., 1964, с. 216; Бурчак Ф. Г. Учение о соучастии в преступлении по советскому уголовному праву, Киев, 1969, с.211-212.

<sup>329</sup> ციტ. გამყრელიძის მიხ: დანაშაულის შუალდობითი ამსრულებლობა და თანამსრულებლობა. გამომ. „მეცნიერება“, თბ. 1974, გვ. 165-166.



ნიშნებს მათი წარმოშობის ხასიათის მიხედვით აჯგუფებს და უწოდებს პერსონალურ და არაპერსონალურ (ობიექტურ) ნიშნებს. პერსონალურ ნიშნებში შედის ბრალისა და სუბიექტისათვის დამახასიათებელი ნიშნები, ხოლო ობიექტური ხასიათის არის უმართლობისათვის დამახასიათებელი ნიშნები.<sup>330</sup>

თანამონაწილეთათვის ბრალისა და უმართლობისათვის დამახასიათებელი ნიშნების შერაცხვის ზოგადი დებულებები მოცემულია სსკ-ის 25-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით. სამართალგამოყენებითი საქმიანობისათვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ზუსტად განისაზღვროს თუ როგორი ბუნებისა მოტივი და მიზანი ანუ უნდა გაირკვეს თუ რომელი მათგანია უმართლობის და რომელი მათგანი ბრალის ნიშანი.

სსკ-ის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „როცა ამსრულებლის ან თანამონაწილის მხარეს არის ისეთი ნიშანი, რომელიც ახასიათებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, მაშინ ეს ნიშანი შეერაცხება სხვა ამსრულებელს ან თანამონაწილეს, რომლის მხარესაც ეს არსებობდა, თუ მას ეს ნიშანი შეცნობილი ჰქონდა.“ აქ იგულისხმება ისეთი ნიშნები, რომლებიც უმართლობის სიმძიმეზე ახდენენ გავლენას. ასეთია, მაგალითად, ორსული ქალის ან არასრულწლოვნის წინასწარი შეცნობადობა, სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზანი, მსხვერპლის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ან სხვაგვარად გამოყენების მიზანი და ა.შ. ვინაიდან ამგვარი ნიშნები ობიექტური ხასიათისაა, კანონმდებელი საკმარისად თვლის მათ შეცნობას.

ცხოვრებაში შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ერთი დანაშაულის ჩადენის მიზანი სხვა დანაშაულის განხორციელების მიზნის საშუალებად გადაიქცეს. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც კაუზალურად მსგავსი ტიპის უმართლობები, მიზნის ზეგავლენით სულ სხვა ტიპის უმართლობებად მოგვევლინება, რადგან მიზანი ყოველთვის ობიექტური ბუნებისაა მიუხედავად იმისა, ამის შესახებ კანონმდებელი პირდაპირ მიუთითებს თუ არა. ამიტომ შეცნობილი მიზანი არამხოლოდ მაშინ შეერაცხება ამსრულებელს ან თანამონაწილეს, როდესაც მიზანი უმართლობას ამძიმებს (მაგ: მკვლელობისას სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზანი), არამედ მაშინაც, როდესაც იურიდიულად მნიშვნელოვანი საბოლოო მიზანი ისეთ უმართლობას აფუძნებს, რომლის განხორციელებაც ან ამსრულებლის ან ერთ-ერთი თანამონაწილის მიზნისთვის სრულიად არაა სავალდებულო. მაგალითად, თუ ა-ს სურს ადამიანის მძევლად ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნით, ხოლო ბ. მას ბინას აძლევს არა ტერორისტული მიზნით, არამედ იმიტომ, რომ შური იძიოს მძევლად აყვანილზე, თუკი ბ-ს გაცნობიერებული ჰქონდა ეს მიზანი იგი სსკ-ის 329-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (მძევლად ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნით) დამხმარე იქნება.

<sup>330</sup> იხ. გამყრელიძის მიხ: დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა. გამომ. „მეცნიერება“, თბ. 1974, გვ. 168.

მიზანს უმართლობის ნიშნად მიიჩნევს ო. გამყრელიძე: – „შესაძლებელია ისეთი შემთხვევა, როცა სხვისი მოკვლის მიზანი აქვს მხოლოდ ამსრულებელს, დამხმარეს ეს მიზანი არა აქვს, მაგრამ ანგარიშს უწევს ამსრულებელს და აძლევს იარაღს; ქურდობის დროს სხვისი ნივთის მითვისების მიზანი აქვს ამსრულებელს, მაგრამ ეს მიზანი არა აქვს თანამსრულებელს ან თანამონაწილეს (წამქეზებელი, დამხმარე, ორგანიზატორი). ასეთ დროს თანამსრულებელი და თანამონაწილეც პასუხს აგებენ განზრახი მკვლელობის ან ქურდობის უმართლობის ჩადენისათვის, თუ მათ იცოდნენ, რომ ამსრულებელი მოქმედებს სსენებული უმართლობის ჩადენის მიზნით.“<sup>331</sup>

თუ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები პერსონალური ხასიათისაა, მაშინ ამსრულებლის ან თანამონაწილეთა მიერ მათი შეცნობა კვალიფიკაციაზე გავლენას ვერ მოახდენს. სწორედ ასე უნდა გავიგოთ სსკ-ის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილი, სადაც ვკითხულობთ: „პერსონალური ნიშანი, რომელიც ბრალისთვის ანდა ერთ-ერთი ამსრულებლის ან თანამონაწილის პიროვნებისათვის არის დამახასიათებელი, შეერაცხება იმ ამსრულებელს ან თანამონაწილეს, რომელსაც იგი ახასიათებს.“ ბრალისთვის დამახასიათებელ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ მოტივი, ემოცია (მაგ: აფექტი). პიროვნებისათვის დამახასიათებელი ნიშანი შეიძლება იყოს, მაგალითად, არაერთგზისობა, რეციდივი. დაუშვათ ა-მ იცის, რომ გ-ს ესმარება ანგარებით მკვლელობაში და ა-ს არ ამოძრავებს ანგარება, მას მაინც არ შეერაცხება ანგარება.

ანალოგიური მოსაზრება გამოთქმული აქვს ო. გამყრელიძეს: – „ვინაიდან ანგარება არ არის განზრახი მკვლელობის უმართლობის დამაფუძნებელი ნიშანი, ის ამსრულებელიდან თანამონაწილეზე ვერ გადავა და ვერ დაამძიმებს მის პასუხისმგებლობას. ანგარება პერსონალურად ამსრულებელს ახასიათებს და მხოლოდ მისი ბრალის ხარისხზე იმოქმედებს, ამსრულებლის ბრალის ხარისხს დაამძიმებს.“<sup>332</sup>

თუ მოტივი უმართლობის დამაფუძნებელ ნიშნად არ გვევლინება, მაშინ იგი პერსონალური ხასიათის ანუ ბრალის ხარისხის განმსაზღვრელი ნიშანია და როდესაც იგი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებადაა გათვალისწინებული, მაშინ მისი შერაცხვა იმ ამსრულებლის ან თანამონაწილისათვის, ვისთვისაც აღნიშნული მოტივი არაა მამოძრავებელი ძალა, ყოველად გაუმართლებელია.

არსებითად იცვლება სიტუაცია თუ მოტივი კანონმდებლის მიერ გათვალისწინებულია როგორც უმართლობის დამაფუძნებელი აუცილებელი ელემენტი. მაგალითად, სსკ-ის 174-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ბავშვის შეცვლისათვის, რომელიც ჩადენილია ანგარებით ან სხვა ქვენა გრძნობით. ამ

<sup>331</sup> გამყრელიძე ო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. ზოგადი ნაწილი, პირველი წიგნი, საქ. იუსტიციის სამინისტროს „საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ რედაქცია, თბ., 2005, გვ. 202.

<sup>332</sup> იქვე, გვ. 202.

დანაშაულში თანამონაწილეობისათვის სავალდებულო არაა ამსრულებელსაც და თანამონაწილეებსაც ამოძრავებდეთ ანგარება ან სხვა ქვენა გრძნობა, რადგან აღნიშნული მოტივები აქ ობიექტური ბუნებისაა. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქ ამგვარ მოტივთა შეცნობადობას ენიჭება. თუკი ამ დროს თანამსრულებელი ან თანამონაწილე, მაგალითად, ალტრუისტული ან სხვა სოციალურად საქებარი მოტივით მოქმედებს (ვთქვათ, ამ დანაშაულის მონაწილემ იცის, რომ ბავშვის მშობლები ალკოჰოლიკები არიან, პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან და ბავშვის მომავლისთვის უკეთესი იქნება თუ იგი შეცვლის შედეგად სახელოვან და ძლიერ ოჯახში გაიზრდება), კვალიფიკაცია მაინც უცვლელი დარჩება და ეს მომენტი ბრალზე იმოქმედებს ხარისხობრივად.

## § 6. სასჯელის ინდივიდუალიზაცია მოტივისა და მიზნის მიხედვით

როგორც დავინახეთ მოტივი და მიზანი უდიდეს როლს ასრულებს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისას. მაგრამ მოტივისა და მიზნის სისხლისსამართლებრივი როლი მარტო ამით როდი ამოიწურება. მოტივსა და მიზანს შეუძლია უკვე დანაშაულად დაკვალიფიცირებული ქმედების გასაკიცხაობაზე იმოქმედოს ხარისხობრივად. აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როდესაც კანონმდებლის მიერ მოტივი ან მიზანი დანაშაულის დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოების სახით სპეციალურად არაა გათვალისწინებული სისხლის სამართლის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში. ეს ბუნებრივიცაა, რადგან თუ მოტივი ან მიზანი აღნიშნული ფუნქციითაა დატვირთული, მაშინ ისინი განმეორებით იგივე ფუნქციას ვერ შეასრულებენ, რამეთუ ეს კანონმდებლის ნების იგნორირება იქნება. მაგალითად, სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწ. „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია ანგარებითი მოტივი მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებად, ხოლო სსკ-ის 110-ე მუხლი მსხვერპლის თხოვნით მკვლელობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად ასახელებს დამნაშავის მიზანს, რომელიც გულისხმობს მომაკვდავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლებას. რა თქმა უნდა, დანაშაულის აღნიშნული მოტივი და მიზანი აღარ მიიღება

მხედველობაში ხელმეორედ სასჯელის დანიშვნისას. ამ დებულებაზე პირდაპირ მიუთითებს მოქმედი სსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილი: „თუ ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლი ან მუხლის ნაწილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნად ითვალისწინებს შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებას, იგივე გარემოება სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში არ მიიღება.“ ანალოგიურ მითითებას ვხვდებით გერმანიის სსკ-ის § 46-ე მე-3 ნაწილში, რომლის თანახმადაც, სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში არ მიიღება გარემოებანი, რომლებიც კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის ნიშნებია.<sup>333</sup>

დასმული საკითხისადმი ამგვარი მიდგომა გერმანულ სისხლის სამართალში „ერთი და იგივე გარემოების ორმაგი გამოყენების აკრძალვის“ (Das Verbot der Doppelverwertung) პრინციპით არის ცნობილი. ჰ. იეშეკი და თ. ვაიგენდი ერთგვარ ალოგიკურობად მიიჩნევენ სასჯელის დამძიმებას იმ საფუძველით, რომელიც დანაშაულის შემადგენლობის ნიშანს წარმოადგენს.<sup>334</sup>

მოტივსა და მიზანს ყოველთვის დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ნებისმიერი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს. მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვითაა შედგენილი. კერძოდ, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის § 46-ე, რომელიც სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებს ეხება, მოსამართლეს ავალდებულებს სასჯელის დანიშვნისას ერთ-ერთ გარემოებად გაითვალისწინოს სამართალდამრღვევის მოტივი და მიზანი.<sup>335</sup>

შემთხვევითი არაა, რომ ჩვენი კანონმდებელი სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებზე საუბრისას სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილში სასამართლოს ავალდებულებს სასჯელის დანიშვნის დროს სხვა გარემოებებთან ერთად გაითვალისწინოს დანაშაულის მოტივი და მიზანი. ეს იმითაა განპირობებული, რომ სამართლიანი სასჯელის დანიშვნა, ბრალზე აგებული სისხლის სამართლის ფარგლებში, აუცილებელ წინაპირობად გულისხმობს დანაშაულის ფსიქოლოგიური მხარის დეტალურ ანალიზს, რომელიც იძლევა პიროვნების შინაგანი სამყაროს შესახებ საერთო სურათს ანუ მის ღირებულებით ორიენტაციებს, მიდრეკილებებს, ტემპერამენტს, ინტერესებს და მოტივაციის სხვა სუბიექტურ ფაქტორებს ნათელი ეფინება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 496-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი.“ ამავე მუხლის მე-4 ნაწილი განმარტავს თუ როდის ითვლება სასამართლოს განაჩენი სამართლიანად: – „განაჩენი სამართლიანია თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება დამნაშავის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.“ მაშასადამე,

<sup>333</sup> იხ. Жалинский А. Э. Современное немецкое уголовное право. Изд. «Прспект», М., 2004, с. 325.

<sup>334</sup> იხ. Jescheck H-H, Weigend T.. Lehrbuch des Strafrechts. Allgemeiner Teil. Berlin. 1996, S. 901.

<sup>335</sup> იხ. Жалинский А. Э. დასახ. ნაშრ., გვ. 325.

სამართლიანი სასჯელის დადგენისას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს დამნაშავის პიროვნებასაც ანუ ამ ეტაპზე უნდა მოხდეს დამნაშავის პიროვნების კრიმინოლოგიური დახასიათება. „დანაშაულობა, მისი წარმომშობი მიზეზები, ხელშემწყობი პირობები და განსაკუთრობით ინდივიდუალური დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმი, შეუძლებელია გამოკვლევულ იქნეს დამნაშავის პიროვნების შესწავლის გარეშე.“<sup>336</sup> დამნაშავის პიროვნების შესწავლა კი შეუძლებელია სრულყოფილად განხორციელდეს დამნაშავის ქცევის მოტივისა და მიზნის გამოკვლევის გარეშე.

მართებულად მიუთითებს ბ. ვოლკოვი, რომ „საკმაოდ დიდია მოტივის როლი სასჯელის დანიშნისას. პირის მიდრეკილებების, შესისხლხორცეული ჩვევების დასახასიათებლად მოტივის როლი გაცილებით დიდია სხვა გარემოებებთან შედარებით. იგი დიდად განსაზღვრავს პირის პასუხისმგებლობის ფარგლებს, სასჯელის სახისა და სხვა იძულებითი ღონისძიებების ამოსავალი წერტილია. შეიძლება კანონი არ მიუთითებდეს მოტივზე, მაგრამ მოტივის განხილვის გარეშე შეუძლებელია სასჯელი სამართლიანად ჩაითვალოს.“<sup>337</sup>

სამართლიანი სასჯელის დანიშნისათვის მოტივისა და მიზნის მნიშვნელობის შესახებ ჯერ კიდევ ვახტანგ VI მიუთითებდა სამართლის წიგნში. მას შეუძლებლად მიაჩნია ამომწურავად ჩამოთვალოს ყველა ის მიზეზები და მოტივები, რომლებიც ადამიანის მოქმედებას განსაზღვრავენ. ასეთ ჩამოთვლას ბოლო არ ექნებოდა – „თუ სულ დაგვეწერა ვეღარას თავს გაუვიდოდით და არც იქნებოდაო,“ ამბობს იგი.<sup>338</sup>

მოქმედი სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილით სასჯელის დანიშნის დროს მოტივისა და მიზნის გარდა მოითხოვს სხვა გარემოებების გათვალისწინებასაც. აქ ყურადღება უნდა გაგამახვილოთ ისეთ გარემოებებზე, როგორცაა: 1) მართლსაწინააღმდეგო ნება, 2) ქმედების განხორციელების ხერხი, 3) დამნაშავის წარსული, 4) პირადი და ეკონომიური პირობები. ყველა აღნიშნული გარემოების შესწავლა შეუძლებელია მოტივისა და მიზნის შესწავლის გარეშე, რადგან მოტივაციის პროცესში აღნიშნული გარემოებები, გარკვეულწილად, ყოველთვის მონაწილეობენ მოტივის ფორმირებაში.

იურიდიულ ლიტერატურაში სათანადო დონეზე არაა შესწავლილი თუ რა იგულისხმება მართლსაწინააღმდეგო ნებაში. მართლწინააღმდეგობა იურიდიული კატეგორიაა, ხოლო ნება – წმინდა ფსიქოლოგიური. მაშასადამე, მართლსაწინააღმდეგო ნება უკვე სამართლის ღირებულებათა სისტემიდან შეფასებული ნებაა.

ნება პიროვნების აუცილებელი კომპონენტია, მისი სტრუქტურის მნიშვნელოვანი ელემენტია, ადამიანის ქცევის აუცილებელი ნიშანია. ვ. ვასილევის აზრით, ნება არის

<sup>336</sup> წუღიაია ზ. კრიმინოლოგია (ზოგადი ნაწილი), გამომცემლობა „ინტელექტი“, თბ., 2003, გვ. 73.

<sup>337</sup> Волков Б.С. Проблема воли и уголовная ответственность. Изд. Казанского университета, 1965, с. 55.

<sup>338</sup> იხ. ვაჩეიშვილი ალ. ნარკვევები ქართულ ისამართლის ისტორიიდან. ტომი I, თბ., 1946, გვ. 202.

გაცნობიერებული, მიზანმიმართული ფსიქოლოგიური აქტიობა, რომელიც დაკავშირებულია დაბრკოლების გადალახვასთან.<sup>339</sup>

დამნაშავის მართლსაწინააღმდეგო ნებაზე საუბრისას ორ მხარეს უნდა მიექცეს ყურადღება:

1) როგორია პიროვნების ინტერესები, მიდრეკილებები, ღირებულებითი ორიენტაციები, რადგან ისინი გამოააშკარავენ დამნაშავის სამართლის ნორმებთან, საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზნეობრივ ქცევის წესებთან დამოკიდებულებას.

მაშასადამე, უნდა მოხდეს დამნაშავის კრიმინოლოგიური დახასიათება, რომელიც დამნაშავის სოციალურ-დემოგრაფიული და სისხლისსამართლებრივი ნიშნების შესწავლის გარდა, გულისხმობს დადგინდეს დამნაშავის სოციალური როლი და დამოკიდებულება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროსადმი და ზნეობრივ-ფსიქოლოგიური თვისება და ღირებულებითი ორიენტაციები.<sup>340</sup> მაგალითად, არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიების და სასამართლო განხილვის დროს სხვა გარემოებებს შორის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 641-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი იმპერატიულად მოითხოვს დადგინდეს: „არასრულწლოვნის პიროვნების ხასიათის თავისებურებანი, მოთხოვნილებები და ინტერესები.“

„ღირებულების კრიტერიუმს წარმოადგენს ნორმა, ნორმის შინაარსი განისაზღვრება უმაღლესი მიზნის – იდეალის შინაარსით. იდეალი არის პროდუქტი კონკრეტულ-ისტორიული საზოგადოებრივი ცხოვრებისა, მისი ასახვაა, ღირებულების ობიექტურობა იდეალის ობიექტურობის ბუნებისაა.“<sup>341</sup> მაშასადამე, ადამიანის ღირებულებითი სისტემა საშუალებას იძლევა დავადგინოთ დამნაშავის შეფასებითი აზროვნება და მისი დამოკიდებულება მართლწესრიგისადმი.

ყოველივე ეს კი საშუალებას მოგვცემს გარკვეულწილად ვიმსჯელოთ დამნაშავის წარსულზე, ისევე როგორც, თავის მხრივ, დამნაშავის წარსულის შესწავლა, განსაზღვრულ ფარგლებში, გეისხნის ადამიანის შინაგან ბუნებას. ამ მხრივ, საყურადღებოა ბ. ვოლკოვის მოსაზრება: – „პიროვნება იქმნება არა მხოლოდ წარსულის პირობებითა და გამოცდილებით, არამედ მომავლითაც. ქცევა გამოხატავს როგორც წარსულს, ისე მომავლის გაცნობიერებას... ნებისმიერი პიროვნების სტრუქტურა შედგება სამი ელემენტისაგან: 1) პიროვნული განწყობა (ქცევის ცხოვრებისეული პროგრამა); 2) მისწრაფებების, მოთხოვნილებებისა და ინტერესების სისტემა; 3) ნების ხასიათი და თავისებურება.“<sup>342</sup> ეს უკანასკნელი, მესამე ელემენტი ქვევით იქნება განხილული.

<sup>339</sup> იხ. Васильев В.Л. Юридическая психология. 3-е издание дополненное, изд. «Питер», Санкт-Петербург, 2000, с. 67.

<sup>340</sup> იხ. წულაია ზ. დასახ. ნაშრ., გვ. 80.

<sup>341</sup> სოციოლოგიური ნარკვევები. ვ. ქვაჩახია, შ. ნადირაშვილი, დ. ბეჭვაია, ვ. ჭელიძე, ღირებულება და განწყობა. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1969, გვ. 49.

<sup>342</sup> Волков Б.С. Мотивы преступлений (Уголовно-правовое, социально-психологическое исследование). Изд. Казанского университета, 1982, с. 28-32.

მართლსაწინააღმდეგო ნების სწორი გააზრებისათვის, რამდენადაც იგი უკვე შეფასებას გულისხმობს, გადამწყვეტი მნიშვნელობა პიროვნების ღირებულებათა სისტემას ენიჭება, რადგან „ღირებულების ცნებაში სრულად ვლინდება სუბიექტის, ინდივიდის ინტერესები, სურვილები და ნებელობა.“<sup>343</sup>

ადამიანი როგორც საზოგადოების წევრი განსახორციელებელ ქცევასთან ერთად აცნობიერებს სოციალურ სფეროში მოქმედ ნორმებს, აფასებს იმ შედეგებს, რომელიც შეიძლება მოჰყვეს მის ქცევას. „ცნობიერება როგორც ნებელობითი აქტის ნიშანი, უპირველეს ყოვლისა, განხორციელებული ქმედების სოციალური საზრისის გაცნობიერებაა.“<sup>344</sup> სისხლისსამართლებრივი გაგებით, ადამიანს დანაშაულის ჩადენისას გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს არამარტო მისი ფაქტობრივი ხასიათი, არამედ ქმედების მართლწინააღმდეგობა, რა თქმა უნდა, თუ იგი მოქმედებს განზრახ.

მართლწინააღმდეგობის შეგნებასთან დაკავშირებით მცირეოდენ შესწორებას საჭიროებს ბ. ვოლკოვის მოსაზრება, რომლის თანახმადაც მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობა გამორიცხავს საერთოდ ქმედების დანაშაულებრიობას. „განხორციელებული ქმედების, – წერს იგი, – საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა არის სწორედ ის ნიშანი, რომელიც გამოხატავს დანაშაულებრივი ქმედების არსს და განასხვავებს მას სხვა ნებელობითი მოქმედებებისაგან. იგი გამოხატავს ქმედების ობიექტური და სუბიექტური თვისებების არსს. მისი შეგნების არარსებობა გამორიცხავს არა მხოლოდ განზრახ ბრალს, არამედ ქმედების დანაშაულებრიობას.“<sup>345</sup>

ამგვარი პოზიცია არ შეესაბამება არც მაშინდელი და არც მოქმედი რუსული თუ ქართული სისხლის სამართლის კოდექსებში მოცემულ თვითიმედოვნებისა და დაუდევრობის საკანონმდებლო დეფინიციებს. ცნობილია, რომ მართლწინააღმდეგობის შეგნება განზრახვის კომპონენტია და იგი ბრალის ეტაპზე დგინდება. თუ პირს ქმედების განხორციელებისას არ ჰქონდა მართლწინააღმდეგობის შეგნება, იგი გაუფრთხილებლობისთვის შეიძლება დაისჯოს, თუ მის მიერ განხორციელებული ქმედება გაუფრთხილებლობით ისჯება.

2) მარტო ღირებულებითი ორიენტაცია არ კმარა იმისათვის, რომ დამნაშავის მართლსაწინააღმდეგო ნება შევაფასოთ და სამართლიანი სასჯელი დავადგინოთ. ამისათვის საჭიროა დამნაშავის ისეთ პიროვნულ თვისებაზეც ვიმსჯელოთ როგორცაა ნების სიმტკიცე, რომელიც წარმოდგენას იძლევა თუ რამდენად მაღალია მასში დამახინჯებული ეგოისტური საწყისები. „ადამიანის ნება, – წერს ვ. ვასილევი, – მუდამდგება სხვადასხვაგვარად, რაც დამოკიდებულია მის სიძლიერეზე, მორალურ აღზრდილობასა და დამოუკიდებლობაზე... ნებელობითი გამოვლინებანი ძალის მიხედვით შეიძლება იყოს ძლიერი, საშუალო და სუსტი... ნების სიძლიერეზე

<sup>343</sup> ბუჭკაია დ. საზოგადოებრივი ცნობიერების აქტუალური საკითხები. თსუ გამომცემლობა, თბ., 1990, გვ. 227.

<sup>344</sup> Волков Б.С. Проблема воли и уголовная ответственность. Изд. Казанского университета, 1965, с. 25.

<sup>345</sup> იქვე, გვ. 27.

მეტყველებს არა ყოველი გადაწყვეტილების შესრულება, არამედ თუ როგორი დაბრკოლებები გადალახა ადამიანმა ნებელობითი მოქმედების შესრულებისას და რა შედეგები მიიღო.<sup>346</sup>

სასჯელის დანიშნისას ყურადღება უნდა მიექცეს დანაშაულის ნების სიმტკიცესა და მის დამოკიდებულებას დანაშაულებრივი ქმედებისადმი როგორც მის ჩადენამდე, ისე დანაშაულის განხორციელების შემდეგ. „გადაწყვეტის აქტი თავისთავად მომენტურია. მაგრამ იმისათვის, რომ ის, რაც გადაწყვეტილია შესრულდეს, აუცილებელია გადაწყვეტილება შეურყეველი დარჩეს, რათა ქცევა ბოლომდე თავისდა შესაფერისად წარიმართოს. ასეთ სტაბილიზებულ გადაწყვეტილებას განზრახვა ეწოდება. განზრახვას ნებელობის აქტში შექმნილი განწყობა უდევს საფუძვლად და რაც უფრო გამძლეა დროის მიმდინარეობაში ეს საფუძველი, რაც უფრო შეურყეველია იგი, მით უფრო მტკიცედ განიცდება განზრახვა და მით უფრო მტკიცეა ნებისყოფა.“<sup>347</sup>

თუკი დანაშაულის ჩადენამდე ადამიანი ყოყმანობდა ეს შეიძლება მიუთებდეს ასეთი გადაწყვეტილების მიღებაში მის სუსტ ნებისყოფაზე, რაც, თავის მხრივ, იმაზე მეტყველებს, რომ მისთვის არც ისე უმნიშვნელოა საზოგადოების ზნეობრივი და სამართლებრივი ღირებულებანი. ამიტომ სასჯელიც შედარებით ღმობიერი უნდა დაინიშნოს.

დანაშაულებრივ ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების სიძლიერეზე შეიძლება მეტყველებდეს განსაკუთრებული სისასტიკე. საწინააღმდეგო ვითარებას აქვს ადგილი აფექტურ მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობისას (სსკ-ის 111-ე მუხლი) ანდა მსხვერვლის თხოვნით მკვლელობისას (სსკ-ის 112-ე მუხლი). თუმცა შესაძლებელია გასაკიცხაობის თვალსაზრისით ერთდროულად მოცემული იყოს, ერთი მხრივ, ძლიერი და, მეორე მხრივ, სუსტი მართლსაწინააღმდეგო ნება. მაგალითად, სრულიად შესაძლებელია ადამიანმა აფექტურ მდგომარეობაში მკვლელობა ჩაიდინოს განსაკუთრებული სისასტიკით. ასეთ ვითარებაში შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემობათა კონკურენციიდან გამომდინარე დანაშაულის კვალიფიკაცია მკვლელობის პრივილეგირებული შემადგენლობით (სსკ-ის 111-ე მუხლი) მოხდება, თუმცა სასჯელის დანიშნისას განსაკუთრებული სისასტიკეც იმოქმედებს სასჯელის ზომაზე.

ნებელობის ფორმირება ბავშვობის პერიოდიდან იწყება. ისევე როგორც მართლშეგნება, ნებელობაც ადამიანის თანდაყოლილი თვისება კი არაა, არამედ ადამიანს ორივე მათგანი თანდათან უყალიბდება, ამიტომ მართლშეგნების მაღალი დონე და ნების სიძლიერე ორივე სწორი აღზრდისა და პიროვნული განვითარების შედეგია. „ნებელობა, – წერს დ. უზნაძე, – ჩვენი თანდაყოლილი ბიოლოგიური თავისებურება კი არ არის, არამედ უფრო მაღალი კატეგორიის მოვლენაა, რომელსაც თვითონ ბიოლოგიურის, საკუთარი ნერვული სისტემისა და მისი თანდაყოლილი ტენდენციების შეცვლისა და წარმართვის ძალა

<sup>346</sup> Васильев В.Л. დასახ. ნაშრ. გვ. 68-69.

<sup>347</sup> უზნაძე დ. დასახ. ნაშრ., გვ. 196.



შესწევს. ნებისყოფის სიმტკიცე, ამისდა მიხედვით, რასაკვირველია, ვერავითარ შემთხვევაში თანდაყოლილ თვისებად ვერ ჩაითვლება: იგი პირადი ცხოვრების მიმდინარეობაში აქვს ადამიანს შექმნილი და ამიტომ მტკიცე ნებისყოფის აღზრდა პედაგოგიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.<sup>348</sup>

ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ ხასიათის ნებელობითი თვისებები მულაგნდება ადამიანის ემოციურ თავისებურებებთან გარკვეულ დამოკიდებულებაში: „ნებელობითი“ ადამიანისათვის ნება დომინირებს გრძნობებზე, ხოლო ემოციური ხასიათის ადამიანისათვის გადაჭარბებული მნიშვნელობა აქვს ემოციურ მდგომარეობებს და ქცევები ხშირად ხორციელდება შემთხვევით აღმოცენებული გრძნობებისა და გუნების გავლენით.<sup>349</sup>

იურიდიულ ლიტერატურაში სწორადაა მითითებული, რომ „პიროვნების ფსიქიკა გარკვეულწილად განპირობებულია ბიოლოგიური ფაქტორებით. ნერვული სისტემის ტიპი, მისი ტემპერამენტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პიროვნების ქცევაზე, მის რეაქციაზე, რომელსაც პიროვნება ამჟღავნებს გარე სამყაროს ფაქტორების მიმართ. ი. პავლოვი თვლიდა, რომ ნერვული სისტემის თანდაყოლილი თვისებები აღზრდასა და სწავლასთან ერთად აყალიბებს ადამიანის ქცევას.“<sup>350</sup>

პრაქტიკაში ხდება შემთხვევები, როდესაც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ადამიანი შეზღუდული შერაცხაობის მდგომარეობაშია და მისი მოქმედება დაბალ მართლსაწინააღმდეგო ნებაზე მიუთითებს, მაგრამ კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობა ისეა კონსტრუირებული, რომ დამნაშავის მიერ განხორციელებული ქმედების მიმართ შეუძლებელია პრივილეგირებული შემადგენლობის გამოყენება. კერძოდ, სსკ-ის 111-ე მუხლით გამორიცხულია პასუხისმგებლობა, თუ მკვლელობის ჩამდენის აფექტური მდგომარეობა გამოიწვია კანონით ახლო ნათესავად მიუჩნეველი პირის მიმართ მსხვერპლის მართლსაწინააღმდეგო ძალადობამ ან სხვა ამორალურმა ქმედებამ და ა.შ. მაგალითად, ასეთი პირები შეიძლება იყვნენ: საცოლე, მეგობარი, ბიძაშვილი და სხვ. ბუნებრივია, რომ ამგვარ ურთიერთობაში მყოფი პირების მიმართ ადამიანი გულგრილი ვერ იქნება. უფრო მეტიც, შესაძლებელია სისხლის სამართლის კანონით ახლო ნათესავად მიჩნეულ პირებზე უფრო მეტად შესტკიოდეს ადამიანს გული სხვა, კანონით ახლო ნათესავად მიუჩნეველ პირებზე. რა თქმა უნდა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართული ტრადიციებისა და ურთიერთობების კვალობაზე არაა გამართლებული „ახლო ნათესავის“ ნაცვლად კანონში ჩავწეროთ „ახლობელი“ და თუ ვინ მიიჩნევა ასეთ პირად ეს მოსამართლის შეხედულებაზე იყოს დამოკიდებული. საკითხისადმი ასეთი მიდგომით, ხშირ შემთხვევაში, დამნაშავეს უსამართლოდ შეუმსუბუქდებოდა სასჯელი. თუმცა, როგორც დავინახეთ,

<sup>348</sup> უზნაძე დ. დასახ. ნაშრ., გვ. 199.

<sup>349</sup> იხ. Васильев В.Л. დასახ. ნაშრ. გვ. 69-70.

<sup>350</sup> Мельникова Ю.Б. Личность преступника и индивидуализация уголовного наказания. Журнал «Советское государство и право», 1979, №8, с.22.

დასაშვებია შემთხვევები, როდესაც კანონის ფორმალური მოთხოვნის გამო აფექტში ჩადენილმა მკვლელობამ ვერ დააფუძნოს მკვლელობის პრივილეგირებული შემადგენლობა იმის გამო, რომ მართლსაწინააღმდეგო ძალადობა და სსკ-ის 111-ე მუხლით გათვალისწინებული მსხვერპლის სხვა ქმედებები განხორციელდა კანონით ახლო ნათესავად მიუჩნეველი პირის მიმართ. ამასთან, მართლსაწინააღმდეგო ნება მსგავს შემთხვევებში, ზოგჯერ, საკმარის მცირეა. სამართლიანი სასჯელის დანიშვნისათვის, ასეთ საგამონაკლისო შემთხვევებში, მოსამართლეს შეეძლო გამოეყენებინა სსკ-ის 55-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმადაც: „თუ არსებობს განსაკუთრებული შემამსუბუქებელი გარემოება, სასამართლოს დამნაშავეს პიროვნების გათვალისწინებით შეუძლია დანიშნოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელი.“ ასეთი განსაკუთრებული შემამსუბუქებელი გარემოების ერთ-ერთ ნიშნად სწორედ ასეთი შემთხვევა უნდა მივიჩნიოთ. სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ასეთ მითითებას ვერსად ვერ ვხვდებით. სამწუხაროა, რომ მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში შესული ცვლილებების გამო 55-ე მუხლის შინაარსი რადიკალურად შეიცვალა და ამის შესაძლებლობა აღარ არსებობს.

როგორც უკვე აღინიშნა, მოტივსა და მიზანთან კავშირში განხილვას მოითხოვს ქმედების განხორციელების ხერხი იმდენად, რამდენადაც მოტივაციის პროცესი მიზნის მიღწევის ხერხისა და საშუალების გაცნობიერების გარეშე არ არსებობს. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით საბრალოდ დასკვნაში სხვა გარემოებებს შორის კანონმდებლის მოთხოვნაა აუცილებლად მითითებული იყოს დანაშაულის ჩადენის მოტივსა და ხერხზე.

მართებულია ბ. ვოლკოვის მოსაზრება, როდესაც მიუთითებს მოტივისა და მიზნის და ხერხის ურთიერთდამოკიდებულებაზე: „განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი არსებობს დანაშაულის ჩადენის ხერხსა და მიზანს შორის, ხოლო მისი მეშვეობით, აგრეთვე მოტივს შორის... მიზნისაგან განსხვავებით დანაშაულის ჩადენის მოტივსა და ხერხს შორის არ არის უშუალო დამოკიდებულება, მაგრამ ამ შემთხვევაშიც დანაშაულის ჩადენის ხერხი და სხვა გარემოება შეიძლება დაგვეხმაროს ნამდვილი განზრახვის დადგენაში, რითაც ხელმძღვანელობდა პირი ქცევის განხორციელებისას... მოტივი და მიზანი არამარტო განისაზღვრება ობიექტური გარემოებებით, არამედ თვითონაც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ ნიშნების დახასიათებისას. მაგალითად, განსაკუთრებული სისასტიკისას.“<sup>351</sup>

გერმანულ სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში ქმედების განხორციელების ხერხი (Art der Ausführung) სასჯელის დანიშვნის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს. უ. ვებერისა და ი. ბაუმანის

<sup>351</sup> Волков Б.С. Мотивы преступлений (Уголовно-правовое, социально-психологическое исследование). Изд. Казанского университета, 1982, с. 83-84.

აზრით, სასჯელის დანიშნისას მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, თუ რა ხერხით ახორციელებს სამართლებრივი სიკეთის დაზიანებას (Rechtsgutverletzung). ავტორები ჩვეულებრივ მკვლელობას (Totschlag) და მკვლელობას დამამძიმებელ გარემოებებში (Mord) ერთმანეთისაგან განასხვავებენ ქმედების განხორციელების ხერხით. მაგალითად, სისასტიკე (grausam), ისეთი საშუალებით, რომელიც საფრთხეს უქმნის მრავალი ადამიანის (საზოგადოების) სიცოცხლეს (mit gemeingefährlichen Mitteln).<sup>352</sup>

დანაშაულის მოტივისა და მიზნის დადგენა დანაშაულის ხერხის გამოვლენის საშუალებას იძლევა, რაც, ხშირად, სწორი კვალიფიკაციის აუცილებელი წინამძღვარია. „მკვლელობის მოტივთა სწორი დადგენა, – წერს ბ. ვოლკოვი, – შესაძლებლობას იძლევა განესაზღვროთ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოტივი გვევლინება დანაშაული ჩადენის ხერხად თუ მისი დაფარვის საშუალებად.“<sup>353</sup> მაგალითად, მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკითაა ჩადენილი თუ არა, მხოლოდ გვამის დასახიჩრებულობა ან დანაწევრებულობა ამის საშუალებას არ იძლევა. ამისათვის საჭიროა გავარკვიოთ მკვლელობის განხორციელების მოტივი.

რაც შეეხება დამნაშავის წარსულს და პირად და ეკონომიკურ პირობებს, ზემოთ აღინიშნა, რომ მოტივი და მიზანი გვეხმარება გარკვეულწილად გამოვაგლინოთ დამნაშავის წარსული და პირადი და ეკონომიკური პირობები, ისევე როგორც, თავის მხრივ, ეს უკანასკნელნიც საშუალებას იძლევა, გარკვეულწილად, ვიმსჯელოთ, თუ რატომ წარმოიშვა ისეთი მოტივი და მიზანი, რამაც დანაშაულებრივი ქმედება გამოიწვია. მაგალითად, არც ისე თუ იშვიათად, დამნაშავის წარსული, მისი არასწორი აღზრდა, დაბალი ზნეობრივი ღირებულებების მატარებელ საზოგადოებაში პიროვნების განვითარება ადამიანის დამახინჯებული სუბკულტურის ჩამოყალიბების საფუძველია, რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ქვედა მოტივებით დანაშაულთა ჩადენას; ანდა მძიმე ეკონომიკური პირობები, ზოგჯერ, პიროვნებას უბიძგებს მატერიალური დაინტერესება დანაშაულებრივი გზით დაიკმაყოფილოს. თუკი მშობელი მშვიერი ბავშვების გამო ან ქურდობას ჩაიდენს ან აკრძალულ ადგილზე ინადირებს ან ითევზავებს, მისი მოქმედების მოტივი, რა თქმა უნდა, მეტყველებს როგორც მის მძიმე პირად სულიერ მდგომარეობასა და ეკონომიკურ პირობებზე, ისე მის ნაკლებ მართლსაწინააღმდეგო ნებაზე.

ადამიანის ქცევათა მოტივების ანალიზი გვეხმარება ვიმსჯელოთ პიროვნების პასუხისმგებლობის გრძნობაზე, რომელიც სასჯელის მიზნებიდან გამომდინარე უაღრესად დიდ დაკვირვებას მოითხოვს.

პასუხისმგებლობა ობიექტური, ხოლო პასუხისმგებლობის გრძნობა სუბიექტური მოვლენაა. პასუხისმგებლობის გრძნობა არის განცდა, რომელიც ყველას განსხვავებული ხარისხით გააჩნია

<sup>352</sup> იხ. Baumann J. Weber U. Strafrecht. Allgemeiner Teil. Bielefeld. 1985. S. 633

<sup>353</sup> Волков Б.С. Мотив и квалификация преступления. Изд. Казанского университета, 1968, с. 105.

პასუხისმგებლობისაგან განსხვავებით. „პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელიც განცდაა, შეიძლება ადამიანში ჩამოყალიბდეს ან არ ჩამოყალიბდეს. ეს დამოკიდებულია ადამიანის ხასიათზე, მის აღზრდაზე, გარემო პირობებზე, ტრადიციებზე და სხვა.“<sup>354</sup> თუმცა, უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ საზოგადოდ შეიძლება ვისაუბროთ ადამიანისათვის არა პასუხისმგებლობის საერთოდ არ ქონაზე, არამედ პასუხისმგებლობის სხვადასხვა ხარისხზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანისათვის პასუხისმგებლობის გრძნობის ქონა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ იგი არ ჩაიდენს დანაშაულს, რადგან პასუხისმგებლობას შეიძლება გრძნობდეს ისეთი მოვალეობების შესრულების გამო, რომელიც სამართლისათვის მიუღებელია. მაგალითად, მკვლელობა „სისხლის აღების“ გამო არის პასუხისმგებლური დამოკიდებულება დამკვიდრებული სახალხო ჩვეულების გამო, მაგრამ პოზიტიური სამართლის ფონზე მკვლელი უპასუხისმგებლობას იჩენს. ამის გამო, აუცილებელია პასუხისმგებლობის გრძნობა განვიხილოთ პიროვნების ღირებულებებთან მიმართებით. სწორედ ასეთი მიდგომით უნდა შეფასდეს ადამიანის შინაგანი სამყარო სამართლებრივი თვალსაზრისით, რადგან „სინდისი როგორც თავისი თავის განსჯა, ყოველთვის მიმართავს ისეთ ინსტანციას, რომელიც ჩვენი ვიტალობის მიღმაა – ის მიმართავს ღირებულებების სამყაროს: ღირებულებათა გაცნობიერების გარეშე საკუთარი თავის განსჯა, შეფასება შეუძლებელია. სწორედ ღირებულებების შუქზე ვსჯით ჩვენ ჩვენ თავს, როცა ეთიკური პოზიცია გვიკავია.“<sup>355</sup>

მოტივისა და მიზნის შესწავლას არამარტო სასჯელის სიმძიმისათვის, არამედ სასჯელის მიზნებისთვისაც აქვს მნიშვნელობა, რადგან ინდივიდუალურ დონეზე დანაშაულის თავიდან აცილებაზე საუბრისას ყურადღება უნდა მიექცეს დანაშაულის მოტივს, ინდივიდუალურ ფსიქოლოგიურ თავისებურებებს (ინტელექტის დონე, ნებელობითი თვისება, ინტერესები), დანაშაულებრივი გამოცდილების ნიშნებს, ფიზიოლოგიურ თვისებებსა და დაავადებებს და სხვ.<sup>356</sup>

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ მოტივისა და მიზნის გათვალისწინება არა მარტო განზრახ, არამედ გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულებისთვის სასჯელის დანიშვნისას უნდა იქნეს ყურადღებით შესწავლილი, რამეთუ მოტივმა და მიზანმა ბრალი შეიძლება დაამძიმოს ან შეამსუბუქოს. მაგალითად, თუ პირი უკანონოდ ნადირობისას კაცს გაუფრთხილებლობით სიცოცხლეს მოუსპობს, მაშინ ანგარებითი მოტივის გამო მას ბრალი უნდა დაუმძიმდეს, ხოლო თუ დაჭრილი მეგობრის გადასარჩენად მძლოლი სისწრაფეს გადაარჭაბებს და გაუფრთხილებლობით ფეხით მოსიარულეს დააზიანებს, რა თქმა უნდა, მისი მიზანი კაცის სიცოცხლის გადარჩენაა, ამიტომ პირველი მაგალითისაგან განსხვავებით დამნაშავე ნაკლებ გაკიცხვას

<sup>354</sup> ერქომაიშვილი ვ. ადამიანი, თავისუფლება, იდეოლოგია. თბ., 2002, გვ. 171.

<sup>355</sup> ადამიანი, ინდივიდი, პიროვნება (ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხები, ნაწ. VIII) ბუაჩიძე თ. ღირებულება და ადამიანის დანიშნულება. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1987, გვ. 36.

<sup>356</sup> იხ. Криминалогия. Под общ. ред. А.И. Долговой, изд. «Норма», М., 2001, с. 455-456.

იმსახურებს. მსგავს მოსაზრებას იურიდიულ ლიტერატურაშიც ვხვდებით.<sup>357</sup>

## დასკვნა

ადამიანის ნებელობითი ქცევის ფსიქოლოგიური მხარის შესწავლა, როგორც დავინახეთ, მოტივისა და მიზნისაგან მოწყვეტით სრულიად შეუძლებელია იმდენად, რამდენადაც მოტივაცია, მოტივი და მიზანი ის არსებითი ნიშნებია, რომლებიც ნებელობით ქცევას განასხვავებს ადამიანის მოქმედების სხვა სახეებისაგან. აღნიშნული საკითხების ირგვლივ, მიუხედავად ნაშრომთა სიმრავლისა მაინც შეინიშნება აზრთა სხვადასხვაობა და მცდარი მოსაზრებები არამარტო ფსიქოლოგიურ, არამედ იურიდიულ ლიტერატურაშიც.

ძველი ქართული სამართლის ძეგლების (მაგალითად, „მცირე სჯულის კანონი,“ ვახტანგ VI სამართლის წიგნი და ა.შ.) მიხედვით მოტივისა და მიზნის შესახებ მცირე ისტორიულმა ექსკურსმა დაგვანახა თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს, რაც კიდევ ერთხელ ხაზი უსვამს მაღალგანვითარებულ ქართულ სამართლებრივ აზროვნებას.

დისერტაციაში წარმოდგენილი მოტივის ჩამოყალიბების ანუ მოტივაციის პროცესი ზოგადი სქემის თვალსაზრისით ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: ნებელობითი ქცევის საწყისი წყარო ყოველთვის მოთხოვნილებაა, რომელიც მხოლოდ მაშინ იქცევა აზრის მქონედ თუ პირს მის მიმართ ინტერესი უჩნდება. ამის შემდგომ პიროვნება იწყებს მიზნის დასახვასა და მისი მიღწევის საშუალებებისა და ხერხების შეჩვენას. აქ იწყება ადამიანის ღირებულებითი აზროვნება, რის გამოც მიზანი წმინდა ფსიქოლოგიური კატეგორია ვერ იქნება. პრაქტიკული მოქმედების განხორციელებას აუცილებლად წინ უძღვის ამ მოქმედების გამართლებულობის, ჭეშმარიტების შესახებ გამოწვეული რწმენა, რომელიც, თავის მხრივ, იწვევს მოქმედების განხორციელების მზაობას, განწყობას. მოტივაციის ეს ეტაპები იწვევს მოქმედების განხორციელების საბოლოო გადაწყვეტილებას, რომელიც მოტივის სახით ფორმდება.

<sup>357</sup> იხ. Саркисов Г.С. Мотив и цель преступления. Журнал «Советское государство и право», 1979, №3, с. 82.

მოტივაციის პროცესის არასწორმა გაგებამ ბევრ მეცნიერს აფიქრებინა, რომ პრაქტიკული მოქმედების განხორციელებამდე, როდესაც პირი რამოდენიმე მოქმედების არჩევანის წინაშე დგას, თითქოს ადგილი აქვს ე.წ. „მოტივთა კონკურენციას“ ანუ „მოტივთა ბრძოლას.“ სინამდვილეში ჩვენ უნდა ვისაუბროთ მოტივაციის ფაქტორთა ბრძოლაზე და არა მოტივთა ბრძოლაზე, რადგან ქცევას მხოლოდ ერთი მოტივი ედება საფუძვლად და მოტივის ჩამოყალიბებამდე მხოლოდ მოტივაციის სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებზე შეიძლება ვისაუბროთ.

ნაშრომში ასევე არის მცდელობა მოტივებისა და მიზნების კლასიფიკაცია მოხდეს იმისდა მიხედვით თუ რა გავლენას ახდენენ ისინი კონკრეტულ შემთხვევაში დანაშაულის ელემენტებზე.

ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე უაღრესად მნიშვნელოვანია მოტივაციის, მოტივისა და მიზნის სწორად გააზრება. ნაშრომში გატარებულია აზრი, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაისვას თუ უმართლობა ნებელობითი ქცევითაა განხორციელებული, რადგან ყოველი დანაშაული ნებელობით ქცევას გულისხმობს. ამ ლოგიკით კი, მოტივისა და მიზნის მნიშვნელობა როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულებშიც არ კარგავს თავის მნიშვნელობას.

შემაჯამებელი სახით უნდა აღინიშნოს, რომ მოტივმა და მიზანმა სისხლის სამართალში შეიძლება შეასრულოს შემდეგი ფუნქციები:

**პირველი,** მოტივი და მიზანი საშუალებას იძლევა დანაშაულებრივი ქმედება გავმიჯნოთ არადანაშაულებრივისაგან ანუ მათ შეუძლიათ დააფუძნონ უმართლობა. მაგალითად, თუ ნივთი მითვისების მიზნით არაა დაუფლებული, არ გვექნება ქურდობა (სსკ-ის 177-ე მუხლი); თუ ბავშვი ანგარებით ან სხვა ქვენა გრძნობით არაა შეცვლილი (სსკ-ის 174-ე მუხლი) პირის მოქმედება არ იქნება დანაშაულებრივი;

**მეორე,** მიზანს დიდი მნიშვნელობა აქვს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების არსებობისათვის. მაგალითად, სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზანი აუცილებელი მოგერიების ან უკიდურესი აუცილებლობისას;

**მესამე,** მოტივი და მიზანი ხშირად საშუალებას იძლევა ობიექტურად მსგავსი დელიქტები ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ. მაგალითად, თუ საქართველოს დასუსტების მიზნითაა განადგურებული საწარმო, გვექნება საბოტაჟის შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედება (სსკ-ის 318-ე მუხლის მე-2 ნაწილი), ხოლო ასეთი მიზნის გარეშე ქმედება ნივთის განადგურებად (სსკ-ის 187-ე მუხლი) დაკვალიფიცირდება; ხულიგნური ქვენა გრძნობით ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 239-ე მუხლით (ხულიგნობა) და არა სსკ-ის 120-ე მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება);

**მეოთხე,** მოტივი და მიზანი ზოგჯერ ქმნის დანაშაულის კვალიფიციურ შემადგენლობას. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ მიზნისაგან განსხვავებით მოტივმა, თავისი პერსონალური

ბუნებიდან გამომდინარე მხოლოდ ბრალის ხარისხი შეიძლება დაამძიმოს;

**მეხუთე,** სისხლის სამართლის კანონმდებლობის ანალიზით გამოირკვა, რომ მოტივისაგან განსხვავებით, მიზანს შეუძლია დააფუძნოს დანაშაულის პრივილეგირებული შემადგენლობა. მაგალითად, სსკ-ის 110-ე მუხლით (მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით) ქმედების კვალიფიკაციისათვის, სხვა პირობებთან ერთად, აუცილებელია დამნაშავეს ჰქონდეს მომაკვდავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლების მიზანი;

**მეექვსე,** მოტივი და მიზანი გვეხმარება განვსაზღვროთ დანაშაული განზრახაა ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით;

**მეშვიდე,** მოტივი და მიზანი საშუალებას იძლევა სწორად დავადგინოთ დანაშაულის ჩადენის სტადიები;

**მერვე,** მოტივისაგან განსხვავებით, დანაშაულში თანამონაწილეობისათვის აუცილებელია ამსრულებელსა და თანამონაწილეს ჰქონდეთ საერთო მიზანი. ასევე გაანალიზებულია დანაშაულის ობიექტური (არაპერსონალური) და სუბიექტური (პერსონალური) ნიშნები. დასაბუთებულია თუ რატომაა მიზანი ობიექტური ხასიათის ნიშანი, ხოლო მოტივი – სუბიექტური;

**მეცხრე,** განგრძობადი და არაერთგზისი დანაშაულების, რომლებიც რამდენიმე ობიექტურად ასე თუ ისე მსგავსი მოქმედებებისაგან შედგებოდა, ერთმანეთისაგან გამიჯვნის უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმს სუბიექტური მომენტი წარმოადგენდა. კერძოდ, არაერთგზისი დანაშაულისაგან განსხვავებით განგრძობადი დანაშაულის დროს ყოველი მოქმედება ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვითაა განხორციელებული. დღეისათვის განგრძობადი და არაერთგზისი დანაშაულების მიზნით გამიჯვნამ დაკარგა აქტუალობა, რამდენადაც სისხლის სამართლის კოდექსში 2007 წლის 4 ივლისს მე-15 მუხლში განხორციელებული ცვლილებით არაერთგზისობის ერთ-ერთი წინაპირობაა მეორე დანაშაულის ჩადენა ნასამართლევი პირის მიერ;

**მეათე,** მოტივი და მიზანი აუცილებელია გავითვალისწინოთ სასჯელის დანიშვნისას (სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილი), რა დროსაც მათი განხილვა უნდა მოხდეს მართლსაწინააღმდეგო ნებასთან, ქმედების განხორციელების ხერხთან, დამნაშავის წარსულთან, პირად და ეკონომიურ პირობებთან კავშირში, რამდენადაც აღნიშნული ოთხი გარემოება გარკვეულწილად ყოველთვის მონაწილეობს მოტივის ფორმირებაში სხვადასხვა ფაქტორების სახით.

## ბიბლიოგრაფია:

1. ბეჭვაია დ. საზოგადოებრივი ცნობიერების აქტუალური საკითხები. *თსუ გამომცემლობა, თბ., 1990;*
2. ადამიანი, ინდივიდი, პიროვნება (ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხები, ნაწ. VIII). ბუაჩიძე თ. ღირებულება და ადამიანის დანიშნულება. *გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1987;*
3. გამყრელიძე ო. გერმანულ-რუსული იურიდიული ლექსიკონის გამომცემის გამო. *ჟურნალი „მაცნე“, სამართლის სერია, 1998, №1;*
4. გამყრელიძე ო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. ზოგადი ნაწილი, პირველი წიგნი, *საქ. იუსტიციის სამინისტროს „საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ რედაქცია, თბ., 2005;*
5. გამყრელიძე ო. სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი. *გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1989;*
6. გამყრელიძე ო. დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა. *გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1974;*
7. გოგიჩაიშვილი თ. ფსიქოლოგია. *თბ., 1996;*
8. გოთუა ზ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი. ლექციების კურსი, *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2001;*
9. დვალიძე ი. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება. *ჟურნალი „აღმანახი“, 2004, №19;*
10. ერქომაიშვილი ვ. ადამიანი, თავისუფლება, იდეოლოგია. *თბ., 2002, გვ. 215-219;*
11. ერქომაიშვილი ვ. ფილოსოფია. *გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, გამომცემლობა „კვარი“, თბ., 2002;*
12. ვაჩიშვილი ალ. სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი. *თსუ გამომცემლობა, თბ., 1960;*
13. ვაჩიშვილი ალ. დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში. *თბ., 1957;*
14. ვაჩიშვილი ალ. ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან. *ტომი I, თბ., 1946;*
15. კიკნაძე დ. დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის სისტემური გაგებისათვის. *ჟურნალი „აღმანახი“, სპეც. გამოშვება: სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის პრობლემები, 2000, №13;*
16. კიკნაძე დ. ადამიანის ქცევის სამართალმნიშვნელობის აქტუალური პრობლემები. *ჟურნალი „სამართალი“, 1992, №4;*
17. კიკნაძე დ. სამართლის ცოდნა და მართლშეგნება. *ჟურნალი „მაცნე“, სამართლის სერია, 1993, №2;*
18. კიკნაძე დ. მოტივაციისა და დემოკრატიული ტრანსფორმაციის აქტუალური პრობლემები. *ჟურნალი „ცხოვრება და სამართალი“, 1998, №1;*
19. კიკნაძე დ. სამართლის ცოდნა და მართლშეგნება. *ჟურნალი „მაცნე“, სამართლის სერია, 1998, №1;*



20. კორძაია-სამადაშვილი ნ. დანაშაულის მოტივი ვახტანგ VI სამართლის მიხედვით. *თსუ შრომები*, ტ. 89, 1960;
21. კუტალია ლ-გ. ბრალის შესახებ ფსიქოლოგიური მოძღვრების ფრანკისეული კრიტიკისათვის. *ჟურნალი „სამართალი“*, 1998, №7-8;
22. მამულაშვილი გ. ერთიანი დანაშაულის ცნება და ფორმები. ავტორეფერატი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, *თბ.*, 1994;
23. მაყაშვილი ვ., ტყეშელიაძე გ., პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის. *გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“*, *თბ.*, 1964;
24. მეტრეველი ვ. საქართველს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. *გამომცემლობა „მერიდიანი“*, *თბ.*, 2002;
25. მცირე სჯულის კანონი. გამოსაცემად მოამზადა ელგუჯა გიუნაშვილმა, *გამომცემლობა „მეცნიერება“*, *თბ.*, 1972;
26. ნათაძე რ. ზოგადი ფსიქოლოგია. *თსუ გამომცემლობა*, 1977;
27. ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ფილოსოფიის ისტორიის კათედრა, რ. გორდუზიანი, გ. თევზაძე მ. ნემსაძე, მ. ჭელიძე, *თბ.*, 1993;
28. ნაჭყებია გ. ნებისყოფის თავისუფლების პრობლემა სისხლის სამართალში. *სადისერტაციო ნაშრომი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად*, *თბ.*, 1975;
29. ნაჭყებია გ. სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი. *გამომცემლობა „მერიდიანი“*, *თბ.*, 1998;
30. ნაჭყებია გ. სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება. (ლექციების კურსი), *თბ.*, 2002;
31. პრადელი ჟან. შედარებითი სისხლის სამართალი. *გამოცემის მეცნიერული რედაქტორი თედო ნინიძე, თარგმნა ეკატერინე სუმბათაშვილმა, საგამომცემლო-პოლიგრაფიული კომპანია „სანი“*, 1999;
32. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი I, ავტორთა კოლექტივი, რედ. პროფ. გ. ტყეშელიაძე, *გამომცემლობა „მერიდიანი“*, *თბ.*, 2006;
33. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. ავტორთა კოლექტივი, რედაქტორები: გ. ტყეშელიაძე, გ. ნაჭყებია, *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა*, 2004;
34. ტყეშელიაძე გ. ბრალი შეფასებითი ცნება. *სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები (საიუბილეო კრებული მიძღვნილი თსუ იურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთავისადმი), თსუ გამომცემლობა*, *თბ.*, 2003;
35. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი (დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ). ავტორთა კოლექტივი, რედაქტორი თ. გამყრელიძე, *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, გამოცემულია სამართლებრივი განათლების ასოციაცია ALPE-ს მიერ*, *თბ.*, 2002;
36. სისხლი სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი (ეკონომიკური დანაშაული). ავტორთა კოლექტივი, რედაქტორი თ. გამყრელიძე, *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის*

- სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2004;
37. სოციოლოგიური ნარკვევები. ვ. ქვაჩახია, შ. ნადირაშვილი, დ. ბეჭვაია, ვ. ჭელიძე, ღირებულება და განწყობა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1969;
  38. ტყეშელიაძე გ. ლენინური მოძღვრება აუცილებლობისა და თავისუფლების შესახებ და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება. „მარქსისტულ-ლენინური ეკონომიკური და სამართლის თეორიის საკითხები“, თბ., 1970;
  39. ტყეშელიაძე გ. პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1965;
  40. ტურაგა მ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეექვსე შეესებულებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2006;
  41. უგრესელიძე მ. დაუდევრობის დროს მორალური ბრალის დასაბუთებისათვის. ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1975, №1;
  42. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია. გამომცემლობა „აღმაშენებელი“, ტომი III–IX, თბ., 1998;
  43. ფუტყარაძე ე. უკიდურესი აუცილებლობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალში. სადისერტაციო ნაშრომი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2003;
  44. შავგულიძე თ., სურგულაძე ლ. საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. თბ., 1988;
  45. წერეთელი თ. დანაშაულის მომზადება და მცდელობა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1961;
  46. წერეთელი თ. დანაშაულებრივი ქმედობა და მისი შედეგი. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1966;
  47. წერეთელი თ. თანამონაწილეობა დანაშაულში. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1965;
  48. წერეთელი თ., ტყეშელიაძე გ. მოძღვრება დანაშაულზე. თბ., 1969;
  49. წულაია ზ., სისხლის სამართალი. კერძო ნაწილი, მეორე ტომი, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბ., 2001;
  50. წულაია ზ. კრიმინოლოგია (ზოგადი ნაწილი). გამომცემლობა „ინტელექტი“, თბ., 2003;
  51. ხარაზიშვილი ბ. სიცრუის ფსიქოლოგია (ეთიკურ-სამართლებრივი ასპექტები). გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1975;
  52. ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თბ., 1984;

\* \* \*

53. **Белогриц-котлиаревский Л. С.** Учебник русского уголовного права. Киев, 1903;
54. **Блэкборн Р.** Психология криминального поведения. Серия «Мастера психологии», изд. «Питер», С-Пет., 2004;
55. **Бурчак Ф. Г.** Учение о соучастии в преступлении по советскому уголовному праву. Киев, 1969;
56. **Васильев В.Л.** Юридическая психология. 3-е издание дополненное, изд. «Питер», Санкт-Петербург, 2000;
57. **Волков Б.С.** Проблема воли и уголовная ответственность. Изд. Казанского университета, 1965;
58. **Волков Б.С.** Мотивы преступлений (Уголовно-правовое, социально-психологическое исследование). Изд. Казанского университета, 1982;
59. **Волков Б.С.** Мотив и квалификация преступления. Изд. Казанского университета, 1968;
60. Актуальные вопросы современного уголовного права, криминологии и уголовного процесса (второй советско-западногерманский colloquium). **Гамкрелидзе О. К.** К вопросу субъективных признаков неправды. Изд. «Мецниереба», Тб., 1986;
61. **Герцензон А.А.** Уголовное право. Часть общая. М., 1948;
62. **Гришаев П. И., Кригер Г. А.** Соучастие по уголовному праву. М., 1959;
63. **Дагель П. С. Котов В. Д.** Субъективная сторона преступления. Изд. Воронежского университета, 1974;
64. **Дагель П.С.** Проблема вины советском уголовном праве. Уч. зап. ДВУ, Владивосток, 1968;
65. **Дубоносов Е. С.** Провокация взятки либо коммерческого подкупа. Серия «высшая школа», М., 2002;
66. **Дурманов Н.Д.** Стадии совершения преступления по советскому уголовному праву, М., 1955;
67. **Жалинский А. Э.** Современное немецкое уголовное право. Изд. «Проспект», М., 2004;
68. **Земцов И.Г.** Социальные механизмы мотивации поведения личности. М., 1971;
69. **Зелинский А. Ф.** Соучастие в преступлении. Волгоград, 1971;
70. **Иванов В.Д.** Понятие провокации преступления. Концепция развития органов внутренних дел и внутренних войск МВД: теория практика. Тезисы и доклады межвузовской научно-практической конференции. Белгород, 1996;
71. **Ильин Е.П.** Мотивация и мотивы. Серия «Мастера психологии», изд. «Питер», М., 2003;
72. **Кикнадзе Д.А.** Система факторов действия и развития личности, изд. «сабчота сакартвело», Тб., 1982;
73. **Кикнадзе Д.А.** Потребности, поведение, воспитание. М., 1968;

74. **Ковалев М. И.** Соучастие в преступлении. Ч. 2, *Свердловск, 1961*;
75. **Козлов А. П.** Учение о стадиях преступления. Серия «теория и практика уголовного права и уголовного процесса», изд. «Юридический центр», Санкт-Петербург, 2000;
76. Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации. Под общей редакцией **Ю.И. Скуратова, В.М. Лебедева**, изд. группа «ИНФРА. М-НОРМА», М., 1996;
77. **Красиков Ю. А.** Соучастие в преступлении. Курс лекций, лекция 10, изд. группа «ИНФРА. М-НОРМА», М., 1996;
78. Криминология. Под общ. ред. **А.И. Долговой**, изд. «Норма», М., 2001;
79. **Кудрявцев В.Н.** Общая теория квалификаций преступлений. Изд. «Юрист», М., 2001;
80. Курс советского уголовного права, (часть общая), т. 1, Л., изд. ЛГУ, 1968;
81. Курс советского уголовного права, часть общая, преступление, изд. «Наука», Т. 2, М., 1970;
82. Курс уголовного права. Учебник для вузов. В пяти томах. Под редакцией проф. **Н. Ф. Кузнецовой, доц. И.М. Тяжковой**. Том 1, общая часть, учение о преступлении, изд. «Зерцало-М», М., 2002;
83. **Лекшас Ион.** Вина как субъективная сторона преступного деяния. (Перевод с немецкого, М., 1958);
84. **Леонтьев А.Н.** Проблемы развития психики. М., 1959;
85. **Леонтьев А.Н.** Деятельность, сознание, личность. М., 1975;
86. **Леонтиев А.Н.** Избранные психологические произведения. Изд. «Педагогика», в двух томах, т. 1, М., 1983;
87. **Лукашева Е.А.** Мотивы поведение человека в правовой сфере. Журнал «Советское государство и право», 1972;
88. **Лунеев В.В.** Мотивация преступного поведения. М., 1991, с. 107;
89. **Макашвили В.Г.** Уголовная ответственность за неосторожность. М., 1957;
90. **Мельникова Ю.Б.** Личность преступника и индивидуализация уголовного наказания. Журнал «Советское государство и право», 1979, №8;
91. **Наумов А.В.** Уголовное право. Общая часть, изд. «Бек», М., 1996;
92. **Немировский Э. Я.** Учебник уголовного права, общая часть, Одеса, 1919;
93. **Никифоров Б.С.** Объект преступления. Гос. изд. юридической литературы, М., 1960;
94. **Петелин Б. Я.** Мотивация преступного поведения. Журнал «Советское государство и право», 1980, №4;
95. **Петровский А.В.** Основы теоретической психологии. Учебное пособие. Изд. «ИФРА-М», М., 1998;
96. **Рарог А.И.** Умысел в формальных преступлениях, при приготовлении, покушении и соучастии. Журнал «Советское государство и право», 1977, №1;
97. **Рарог А.И.** Субъективная сторона и квалификация преступлений. М., 2001;
98. **Рубинштейн С.Л.** Основы общей психологии. Серия «Мастера психологии», изд. «Питер», Санкт-Петербург, 2002;

99. **Саркисов Г.С.** Мотив и цель преступления. *Журнал «советское государство и право», 1979, №3;*
100. **Селезнев М.** Эксперимент или провокация? (*К вопросу о борьбе с коррупцией*) *Российская юстиция, 1996, №5;*
101. Советское уголовное право. Часть общая, *Л., 1960;*
102. Советское уголовное право. Часть общая, *М., 1962;*
103. Советское уголовное право. Часть общая. *М., 1964;*
104. **Таганцев Н. С.,** Русское уголовное право, часть общая, том I, (*полное переиздание*), изд. «Автограф», Тула, 2001;
105. **Тарарухин С.А.** Установление мотива и квалификация преступления. *Киев, 1997;*
106. **Теплов Б. М.** Психология. *М., 1949;*
107. **Траинин А. Н.** Учение о соучастии. *М., 1941;*
108. **Трайнин А. Н.** Общее учение о составе преступления. *М., 1957;*
109. Уголовное право. Общая часть, *издание третье, измененное и дополненное, изд. «Норма», М., 2001;*
110. **Угрехелидзе М.Г.** К вопросу о психологической природе неосторожности. *ქუჩბაღლი „მაცნე“ ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, კრიმინოლოგიის და სამართლის სერია, 1972;*
111. **Утевский Б. С.** Вина в советском уголовном праве. *Госюриздат, М., 1950;*
112. **Фельдштейн Г. С.** Уголовное право и психология. Роль мотива в уголовном праве. *Право и жизнь, кн. 6, 1925;*
113. **Филановский И.Г.** Социально-психологические отношения субъекта к преступлению. *ЛГУ, 1970;*
114. **Хайнц Хекхаузен.** Мотивация и деятельность. *Серия «Мастера психологии», 2-е издание, изд. «Питер», М, С-Петербург и т.д., 2003;*
115. **Харазишвили Б. В.** Вопросы мотива поведения преступника в советском праве. *Гос. изд. «Цодна», Тб. 1963;*
116. **Хьел Л., Зиглер Д.,** Теории личности. *Серия «Мастера психологии», изд. «Питер», М, С-Петербург и т.д., 2001;*
117. **Церетели Т.В.** Причинная связь в уголовном праве. *Гос. изд. «Юридической литературы», изд. второе, исправленное и дополненное, М., 1963;*
118. **Церетели Т.В.** Основание уголовной ответственности и понятие преступления, *«Правоведение», 1980, №8;*
119. **Чавчавадзе Н.** Культура и ценности. *Тб., 1984;*
120. **Шавгулидзе Т.Г.** Необходимая оборона. *Тб., 1966;*
121. **Шаргородский М. Д.** Некоторые вопросы общего учения о соучастии. *«Правоведение», 1960, №1;*
122. **Шнейдер М.А.** Соучастие в преступлении по советскому уголовному праву, *М., 1958;*

\* \* \*

123. **Baumann J. Weber U.** Strafrecht. Allgemeiner Teil. *Bielefeld, 1985;*
124. **Jescheck H.-H., Weigend T.** Lehrbuch des Strafrechts. Allgemeiner Teil. *Berlin, 1996;*

125. **Heinrich Bernd**, Strafrecht - Allgemeiner Teil II, *Verlag W. Kohlhammer, Stuttgart, 2005*;
126. **Wessels/Beulke**. Strafrecht. Allgemeiner Teil. Die Straftat und ihr Aufbau. C. F. Müller Verlag Heidelberg, 2002 .

\* \* \*

### ნორმატიული მასალა:

127. 2000 წლის 1 ივნისის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
128. 1998 წლის 18 მარტის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
129. 1999 წლის 15 მაისის საქართველოს კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ;

ნაშრომი შესრულებულია ჩემს მიერ, არ გამოიყენებია ლიტერატურა სათანადო მითითების გარეშე და ვაცნობიერებ სიყალბის გამოვლენის შემთხვევაში ჩემი შედეგის ბათილად ცნობისა და შესაბამისი პროგრამიდან აღდგენის უფლების გარეშე გარიცხვის რეალობას.

ირაკლი დვალიძე